

ნ. ვ ა ჩ ნ ა ძ ე

სერაპიონ ზარზმედის ცხოვრება
როგორც საისტორიო წყარო



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1975

ნაშრომი მიზნად ისახავს ადრეფეოდალური ხანის ქართული აგიოგრაფიული ძეგლის — „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სე-რაპიონისი“ როგორც წყაროს მონოგრაფიულ შესწავლას.

წიგნის პირველ ნაწილში განხილულია ძეგლის ცნობები სამცხის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ისტორიაზე, აგრეთვე, აღნიშნული ძეგლის წყაროთმცოდნეობითი ხასიათის შესწავლის ძირითადი საკითხი — მისი თარიღი. ახალი არგუმენტების მოშველიებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ცხოვრება“ ასახავს IX საუკუნის ვითარებას, ხოლო დაწერილია ის X საუკუნის დასაწყისში.

წიგნის მეორე ნაწილში მოცემულია „ცხოვრების“ ტექსტი, საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა. საძიებლები, ვრცელი ლექსიკონი; ჩატარებულია ტექსტუალური ხასიათის ეკლევა-ძიება და რიგ შემთხვევაში შეტანილია შესწორებები წყაროს წაკითხვასა და გაგებაში.

წიგნი გათვალისწინებულია სტუდენტების, ასპირანტების, საქართველოს ძველი ისტორიის პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტებისა და ქართული მწერლობის ისტორიითა და კულტურით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ა ვ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ

ბასილი ზარზმელის თხზულება „ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“ დიდი მნიშვნელობის მქონე ძეგლია. სავსებით კანონზომიერია ის ინტერესი, რომელსაც მკვლევარნი მის მიმართ იჩენენ, რადგანაც ის ერთნაირად საყურადღებოა ქართული მწერლობის, სამართლის, ხელოვნების ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, ამასთან, ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შორის ძნელად მოეძებნება მას ანალოგი, რომელშიც ესოდენ სიუხვით იყოს მოცემული ცნობები ქვეყნის საზოგადოებრივი წყობილების შესახებ.

ბასილი ზარზმელის თხზულება აღმოაჩინა და პირველად გამოსცა მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა. საქართველოს მუზეუმის საეკლესიო ფონდის № 69 ხელნაწერზე* მუშაობისას, რომელშიც მოთავსებული იყო იოანე პეტრიწის მიერ თარგმნილი და კომენტირებული თხზულება „კავშირნი ღმრთის მეტყუელებითნი“ პროკლე დიადოხოსისა, მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა შეამჩნია ორსვეტად დაწერილი უცნობი ნაწარმოები, რომელიც გადმოიწერა და გამოსცა კიდეც. ეს იყო სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება!

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ამ ძეგლს იკვლევდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი, ს. ჯანაშია და სხვები. მთავარი სიძნელე ძეგლის შესწავლაში მისი უთარილობაა. აღნიშნულ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა თვალსაზრისი ამ საკითხზე მერყეობს VII—X საუკუნეების ფარგლებში.

1 „ცხოვრება და მოქალაქობა ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი.“ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მწერლობა, წიგნი მეორე, ტფილისი, 1909.

* აღნიშნული ხელნაწერის მოკლე აღწერილობა მოცემული აქვს თ. უ ო რ დ ა ნ ი ა ს, შედარებით ვრცელი — კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ს. ახალი, საფუძვლიანი აღწერილობა ამ ხელნაწერისა იხ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. I, 1973, № 69.

როგორც საისტორიო წყარო სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება ძირითადად ორმხრივაა საინტერესო: იგი გვაწვდის ცნობებს სოციალური განვითარების საკითხებსა და ისტორიულ პირებზე. გარდა ამისა, ძეგლი შეიცავს ცნობებს სამცხის სამონასტრო კოლონიზაციაზე, ისტორიულ გეოგრაფიაზე, ეკონომიკაზე და სხვ. მაგრამ მასში დაცული ყველა ცნობის სრულფასოვნად გამოყენება შეიძლება მხოლოდ მათი გარკვეულ ქრონოლოგიურ ფარგლებში მოქცევის შემდგომ. ასე რომ, ამ ძეგლის წყაროთმცოდნეობითი ხასიათის შესწავლის ძირითადი და ამოსავალი საკითხია მისი დათარიღება. ჩვენც ამ საკითხით დავიწყებთ.

დასასრულ, მადლობის გრძნობით გვინდა მოვიხსენიოთ ვ. გაბაშვილი, კ. გრიგოლია, ი. იმნაიშვილი, რომელთაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს წიგნზე მუშაობისას.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების დათარიღებისათვის

ძველი ქართული მწერლობის ისეთი მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლი, როგორცაა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ფაქტების სიუხვით გამოირჩევა. ამიტომაც მით უფრო საოცარია, რომ მასში არსად ვხვდებით პირდაპირ მითითებას თარიღზე, ეს გარემოება კი თხზულებაში მოთხრობილ ამბავთა ქრონოლოგიურ ლოკალიზაციას მეტისმეტად ართულებს. არანაკლებ შემაფერხებელია მეორე გარემოება: თხზულებამ ჩვენამდე მოაღწია გვიანი ხანის ერთადერთი და ისიც წარყენილი ხელნაწერით.

თხზულების აღმომჩენსა და მის პირველ გამომცემელს მ. ჯანაშვილს არ მოუცია პირდაპირი მითითება მისი დაწერის თარიღზე, მაგრამ მან პირველმა მიაპყრო ყურადღება ნაწარმოების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ სერაპიონი იყო მოწაფე მიქაელ პარეხელისა, ხოლო ეს უკანასკნელი — შიო საკვირველთმოქმედისა¹. თხზულების ეს ადგილი შემდგომ უმთავრესი არგუმენტი გახდა იმ მკვლევართათვის, რომელნიც მას მე-7 საუკუნით ათარიღებენ².

მ. ჯანაშვილი ძეგლის დათარიღებისას, ერთი მხრივ, ემყარებოდა თხზულების ზემოაღნიშნულ ადგილს, მეორე მხრივ კი, ზარზმის ფერისცვალების ხატის 886 წლის წარწერას, რომელიც გვამცნობს: „ქ. სანელითა ღმრთისაჲთა შეიმოსა ხატი ესე მწედ ამსა გიორგისა, ოვფალთა ფარსმან ერისთავისა, ივანესა, ტკი... მირიანისა, ფერისა, სულასა, ერისა მათისა მამასახლისობასა პაველ მსა, ქორო-

¹ ს. ზარზმელის ცხ., იხ. აქვე, 153₁₋₂—154₃.

² ს. კაკაბაძე. საისტორიო ძიებანი, 1924. გვ. 54; პ. ინგოროვიცა, გიორგი მერჩულე — მწერალი მეათე საუკუნისა, ჟნათობი, 1950. № 7, გვ. 136; მ. სივე, ევიორვი მერჩულე. თბილისი. 1954, გვ. 324—339; ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება. XI—XVI საუკუნეები, თბილისი, 1955, გვ. 122; ა. ბოგვერაძე. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების თარიღისათვის. მძაგნე, № 3, 1964, გვ. 50—69; მ. ლორთქიფანიძე, აღრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1966, გვ. 71—72, სადაც აქტიური ძეგლის ადრინდლობის სასარგებლოდ არსებულ არქუ-ენტებს გარკვეულ ანგარიშს უწევს, მაგრამ საკითხს ბოლომდე გადაჭრილად არ თვლის.

ნიკონი იყო რ³. ვინმე პავლე ხუცესი იხსენიება ბასილის თხზულებაში, ვითარცა ზარზმის მონასტრის წინამძღვარი. მ. ჯანაშვილი ასკვნის: „თუ პავლე მამასახლისი პავლე ხუცესია და იგი თუ ჩანს ამ ხანს, თვით სერაპიონი ზარზმის აშენებას დაახლოებით შეუდგებოდა არჩილის მეფობაში (668 — 718 წწ.)“⁴.

ბასილის თხზულება რომ ამ ხანის ვითარებას ასახავს, მ. ჯანაშვილის აზრით, ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი: 1. „ცხოვრებაში“ გიორგი ჩორჩანელი დიდ მთავრად არის მოხსენიებული. 2. თხზულებაში არსად იხსენიება მეფე. როდესაც ვინმე გარდაბანელმა არჩილ მეფე არაბთა წინაშე დააბეზლა, ხოლო მეფე 718 წელს სიკვდილით დასაჯეს, მემართიანეს თქმით, „იქმნეს სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერიათ ბრძოლა და იქმნეს მტერ ურთიერთას“. მ. ჯანაშვილის აზრით, სწორედ ამგვარი ვითარებაა ასახული „ცხოვრებაში“. 3. როგორც ცნობილია, ბასილის თხზულებაში გვხვდება საეკლესიო სახელები—ლატავრი, მირიან, ბეშქენ, რომლებიც სხვა, დაახლოებით ამ ხანის წყაროებშია დადასტურებული. მაგალითისათვის მკვლევარს მოაქვს კორინდეთის ბერძნული სახარების მინაწერები (სახარების თარიღად ავტორი აღნიშნავს 821 წელს), რომლებშიც ხშირად იხსენიებიან ბეშქენები, ხოლო ლატავრი ერქვა აშოტ კურაპალატის დას⁵. 4. ზარზმის ფერისცვალების ხატი 886 წელს განუახლებია ვინმე პავლეს. ეს უკანასკნელი კი მეოთხე თუ მეხუთე მამასახლისი იყო აღნიშნული მონასტრისა. მაშასადამე, ასკვნის მკვლევარი, ხატის შემზადება და ზარზმაში მოსვენება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, არაუგვიანეს VII საუკუნისა და თუ ზარზმა სერაპიონის მიერ ამ საუკუნეშია დაარსებული, მაშინ სავსებით კანონზომიერია, რომ ბასილი ზარზმელს არაფერი უკონოდა ნათქვამი „შემდეგი დროის კლარჯეთ-აფხაზეთის მონასტრების აღმაშენებლის — გრიგოლ ხანცთელის შესახებ“⁶.

ცნობილია, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენიებულია გრ. ხანცთელის მეგობარი, ბერთის პარეხში დამკვიდრებული მიქელ. ვინმე მიქაელ პარეხელი ნახსენებია სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიც, მაგრამ ისინი, მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მსჯელობით, სხვადასხვა

³ Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство (Исследование по истории грузинского средневекового искусства), Тбилиси, 1959, გვ. 28.

⁴ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. LII.

არჩილის მეფობის წლები მკვლევარს ნაჩვენებია აქვს ვახუშტის მიხედვით.

⁵ იქვე, გვ. LII.

⁶ იქვე, გვ. LV.

პირები სჩანან, რადგან: „ა) შიო მღვიმელის მოწაფის მიქელის დროითგან (VI საუკ.) ხ ა ნ ძ თ ე ლ ა მ დ ე (760—862) ორი-სამი თაობის მანძილი მაინც არის, ბ) შიო მღვიმელის მოწაფე მიქელი პარეხს მივიღა ოპიზიდან და გრ. ხანძთელის მეგობარი კი მიჯნაზორით ხანძთას მივიღა და მერე ბერთას პარეხს (უდაბნოს) დაემკვიდრა“⁷.

მ. ჯანაშვილმა „ცხოვრებაში“ დასახელებულ საეკლესიო მოღვაწეების ასეთი სქემა მოგვცა:

შიო მღვიმელი (მოვიდა 562 წ.)
მიქელ პარეხელი (მისი მოწაფე)
სერაპიონ ზარზმელი (ამის მოწაფე)
ბასილი (სერაპიონის ძმისწული)
გიორგი (მამასახლისი)
მიქელ (მამასახლისი)
პავლე ხუცესი (მამასახლისი)

„თითო თაობისათვის რომ დავდვათ 40 წელიწადი, მივიღებთ დროს შიოდამ პავლეს მამასახლისობამდე — 880 წ. და სწორედ ამ ხანაში კი, პავლეს მამასახლისობაში, გაახლებულია ზარზმის ფერისცვალების ხატი, მოტანილი აქ სერაპიონის მიერ“⁸.

იქნებოდა, რომ სერაპიონი, მ. ჯანაშვილს სერაპიონ ზარზმელი არჩილ მეფის (668 — 718) თანამედროვედ მიაჩნია, ხოლო მისი ცხოვრების ამსახველი თხზულების ავტორი, ბასილი — მერვე საუკუნის მეორე მეოთხედის მოღვაწედ.

თხზულების ჯანაშვილისეულმა დათარიღებამ ივ. ჯავახიშვილის კრიტიკა დაიმსახურა. ეს უკანასკნელი ბასილის თხზულებას ათარიღებდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების მონაცემების გამოყენებით, კერძოდ, ორივე თხზულების გიორგი მაწყვერელისა და მიქელის გაიგივების გზით. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მცდარია მოსაზრება, რომ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა და გიორგი მერჩულის თხზულების მიქელი სხვადასხვა პირია. აი, რას წერდა მკვლევარი ამის თაობაზე: „მ. ჯანაშვილი ამტკიცებს (ალბათ, რაკი მის აზრს, რომ მიქელი შიო მღვიმელის მოწაფე უნდა ყოფილიყო, არ უდგება), ვითომც ეს სხვა მიქელი უნდა იყოს. მაშინ გ¹ ი მაწყვერელიც სხვა უნდა ყოფილიყო, რაც სრულებით უსაფუძვლო იქნებოდა“⁹. საერთოდ, თხზუ-

⁷ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. LV—LVI (სქოლიო).

⁸ ი ქ ვ ე, გვ. LI.

⁹ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მოზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.), ტფილისი, 1916, გვ. 72 (სქოლიო).

ლების ჯანაშვილისეულ გამოცემას, ასევე იმ წინასიტყვაობას, რომელშიც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაა განხილული, ი. ჯავახიშვილი მეტად დაბალ შეფასებას აძლევდა.

ი. ჯავახიშვილის აზრით, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების დიდ ნაკლად უთარილობა უნდა ჩაითვალოს. ნაწარმოების ანალიზის შედეგად მკვლევარი მივიდა დასკვნამდე, რომ ბასილის თხზულება მხოლოდ დაახლოებით შეიძლება დათარიღდეს, ვინაიდან საამისო ზუსტი მაჩვენებელი მას არ გააჩნია. ბასილი ზარზმელი იხსენიებს იმ პირს, რომელსაც მისთვის უამბნია სერაპიონის სასწაულმოქმედებათა შესახებ. ეს პიროვნება ყოფილა გიორგი მაწყვერელი. ვინმე გიორგი მაწყვერელი მოხსენიებული ჰყავს მერჩულესაც იმათ გვერდით, რომელთაც შეეძლოთ და შეშვენოდათ კიდეც ხანცთელი არქიმანდრიტის ცხოვრება-მოღვაწეობა აეწერათ. აი ამ ორი თხზულების გიორგი მაწყვერელს მკვლევარი ერთი და იმავე პიროვნებად მიიჩნევს.

ი. ჯავახიშვილი ასეთნაირად მსჯელობს: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ დასრულდა 951 წელს. როდის დაიწყო გ. მერჩულემ მისი წერა, ჩვენ არ ვიცით. ერთი კი ცხადია: ასეთი თხზულების დაწერა ადვილი საქმე არ იყო და არც მოკლე დროში მოხერხდებოდა. როდესაც მერჩულე თხზულების წერას შეუდგა, გიორგი მაწყვერელი უკვე გარდაცვლილი იყო. მაშასადამე, ბასილი ზარზმელს ცნობები სერაპიონის შესახებ 951 წ. კარგა ხნით ადრე უნდა მიეღო გიორგი მაწყვერელისაგან, ხოლო თვით „ცხოვრებაც“ დაახლოებით იმავე დროს უნდა დაეწერა, როდესაც მერჩულემ დაასრულა თავისი ქმნილება, ე. ი. მე-10 საუკუნის პირველი ნახევრის დამლევს“¹⁰.

„თუ ოდესმე აღმოჩნდა მიქელ პარეხელის „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ“, და სასწაულნი, რომელიც ბასილის სიტყვით „შემდგომად სიკვდილისა მისისა აღწერეს მოწაფეთა მათა“, მაშინ უფრო დაახლოებით შეიძლება განისაზღვროს სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ შედგენის თარიღი, იმიტომ, რომ როცა ავტორი ამ „ცხოვრებასა“ სწერდა, მიქელ პარეხელის „ცხოვრება“ უკვე დაწერილი ყოფილა“¹¹.

გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში მოხსენიებული მიქელ პარეხელი, ი. ჯავახიშვილის აზრით, იგივე მიქაელია, რომელიც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში იხსენიება. აქედან გამომდინარე, ეს უკანასკნელიც გრიგოლ ხანცთელის თანამედროვე და მეგობარია. „მაშასადამე, — დასძენს მკვლევარი, — მისი მოწაფე სერაპიონი — ხანძთელი არქიმანდრიტის უმცროს თანამედროვედ უნდა ჩაითვალოს“¹².

¹⁰ ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 62.

¹¹ ი ქ ვ ე.

¹² ი ქ ვ ე, გვ. 71—72.

სბასილი ზარზმელის თხზულებას იხილავს ექ. თაყაიშვილი¹³. დიდია მკვლევრის დამსახურება არა მარტო სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების, არამედ ზარზმის ეკლესიის მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლის საქმეში. ექ. თაყაიშვილმა დეტალურად განიხილა ფერისცვალების ხატი, რომლის სახელზე აშენებული იყო ზარზმის ეკლესია, განსაზღვრა მისი მნიშვნელობა და ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში.

ფერისცვალების ხატმა შემოგვინახა უძველესი წარწერანი და უძველესი თარიღი ქართული ხატისა¹⁴.

ზარზმის ფერისცვალების ხატი ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში (ფონდი გ-47). წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებითა (კილურწერტულოვანი დამწერლობა) XI საუკუნისაა როგორც ი. ჯავახიშვილმა შენიშნა, ის შედგება ორი წარწერისაგან¹⁵: I წარწერა 888 წლის წარწერის პირია (ქრონიკონის აღმნიშვნელი ასოები „რგ“. წარწერიდან ცალკე ლითონის ნაგლეჯზე მოცილებული ყოფილა დ. ბაქრაძისა და ე. თაყაიშვილის დროსვე); II წარწერა XI საუკუნისაა და გვაწვდის ცნობას ზვიად ერისთავის მიერ ხატის ხელახლა შემკობის შესახებ. ორივე წარწერა შესრულებულია ერთი (XI საუკუნის) ხელით, შედგება ოთხი სტრიქონისაგან: I წარწერას ლჭირაეს 1—2 სტრიქონები, ხოლო II წარწერას — 3—4 სტრიქონები. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ქარაგმის ნიშნად ნახმარია სწორი, განივი ხაზი. ზოგჯერ ქარაგმა ზედმეტადაა ნახმარი. წარწერა დაზიანებულია: მარჯვენა კიდეში 1 სტრიქონში აკლია ორი ასო, 2 სტრიქონში — სამი ასო, 3 სტრიქონში — ოთხი ასო, 4 სტრიქონში — შვიდი — ათი ასო¹⁶.

¹³ ე. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, ტფილისის უნივერსიტეტის ნოაშბე, № 1, 1919, გვ. 105—124.

¹⁴ იქვე, გვ. 110.

¹⁵ ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 171-172.

¹⁶ ძირითადი გამოცემები: Brosset, M. A., VI, 1873, გვ. 462—464; Кондаков и Баградзе, Опись памятников, СПб., 1898, გვ. 131; „ივერია“, 1894, № 188, გვ. 2; Е. С. Такашвили, АЭРЗ, выпуск I, 1905, გვ. 66—68; მისივე, Зарэмский монастырь и его древности, СМОМПК, вып. XXXV, 1905, გვ. 66—68; ე. თაყაიშვილი, არხ. სოფ., წ. I, 1907, გვ. 37—39; მისივე, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, ტფილისის უნივერსიტეტის ნოაშბე, № 1, 1919—1920, გვ. 105—124 (კიბახა სხვაობაში ჩვენთან-თ); კ. კეკელიძე, აღზრდილი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფილისი, 1935, გვ. 117—119; ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო წყაროება (V—XVIII სს.), თბილისი, 1945, გვ. 132; გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქროსწველობა, 1957, გვ. 5—6, ტაბ. 1—2 (ჩვენთან კითხვასხვაობაში: ჩ).

1. [ქ] სე-ოც ი-ოც ეზ-სც ქც-ქი უსი ჟქ-ჯ ზქ-სც ჯს-ჯ ოქ-ოც
ფს-ჩ უბ-სხსც უხ-სც [უ]ქქ[ქსც]
2. ჟბ-ჩსც ფბ-სც სხ-სც უბ-სც ჟბ-სც (+) ჟბ-სცქს-ჯსც უხ-სც
ქ-ბი უქ[ქ ოქ]
3. [ქ]სე-ოც ი-ოც ბ-ი ხ-ბი უბ-ბი [ქ]ქ ს-ხ ხს-სც უბ-სც
ბ-ჯსც ი-ბს უქ-ბი ეზ-ჯ უქ-სც ზ-ს [ქცქქ]
4. სქც უხ-ბი სხ-ი ბც ყც-ჩი [ქ]ქ-ბი ქცქქქი ფბსცქს-ჯსც უ-
სხ-ჯ ბბ-ს ბ-ბსც [ქ-ს ჯ-ჩი-ბ-ქსც]

I წარწერა

1. [ქ.]¹ ს(ა)ხ(ელა)თა ღ(მრთისაჲ)თა შ(ეი)მ(ო)სა ხატი ესე მწ(ე)ლ² ამ(ი),
სა³ გ(იორგი)სა, ო(ჯ)ვ(ალ)თა: ფ(არ)ს(მან) ერ(ი)ს(თა)ვ(ი)სა, ივ(ანე)სა-
[პა]ტ(რი)კი[სა]⁴,
2. მ(ი)რ(იან)ი(ა)სა, ფ(ე)რ(ი)სა, ს(უ)ლ(აჲ)სა⁵, ერ(ი)სა მ(ა)თ(ი)სა, ქ.⁶ მ(ა)-
მან(ა)ხლ(ისო)პ(ა)სა პ(აე)ლ(ს)სა, ქ(რ)ონი(კ)ონი⁷ [იყო⁸ რე].

II წარწერა

1. [ქ.]⁹ ს(ა)ხ(ელი)თა ღ(მრთისაჲ)თა მე, ზ(ვა)დი ერ(ის)თ(ა)ვ(ი)კ[ი,ქ]ს ს(უ)ლ-
კ(ურთ)ხ(ეუ)ლ(ი)სა ერ(ის)თ(ა)ვ(ი)სა [ა]რ(ა)ბ(აჲ)სი ღ(ი)რს ვ(ი)ქმ(ე)ნ
შ(ე)მ(კობა)დ პ(ა)ტ(იონი)სა ა(მი)ს [ხატი]
2. [სა]. შ(ეი)ვ(ელ)რე ს(უ)ლი და ვ(ო)რ)ცნი [ჩ]ემნი ხ[ატო ფე]რ(ი)ს(ც)ვა-
ლ(ე)ბ(ი)ს(ა)ო, შ(ე)წი(ე) ს(უ)ლსა ჩ(ე)მს(ა), ღლ(ე)სა [მას¹⁰ განკითხვ-
სასა¹¹].

ფერისცვალების ხატის წარწერას, მკვლევრის აზრით, სხვა მხრი-
ვაც აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა. ე. თაყაიშვილი სწორედ ამ წარწე-
რის მოშველიებითა და გრიგოლ ხანკთელის ცხოვრების ჩვენებათა
შემწეობით ათარიღებს ბასილი ზარზმელის თხზულებას. ფერისცვალე-
ბის ხატის წარწერით 886 წელს ზარზმაში მამასახლისად პავლე ჩანს,
ეს უკანასკნელი კი „ცხოვრების“ მიხედვით სერაპიონის მომდევნო წი-
ნამძღვრების — გიორგისა და მიქაელის შემდეგაა ზარზმაში. „აქედან
შეგვიძლია დავასკვნათ, — წერს მკვლევარი, — რომ სერაპიონის და
მის შემდეგ სამი წინამძღვრის მოღვაწეობა ზარზმაში ეკუთვნის მე-9
საუკუნეს: სერაპიონისა დაახლოებით პირველ ნახევარს, გიორგისა,
მიქელისა და პავლესი მეორე ნახევარს. როგორც ცხოვრებიდან ჩანს,

¹ ქ. — თ. ² [მწედა (ანუ): შემწედა] თ. ³ ამ-სა ჩ. მაწყურელისა თ. ⁴ ტკი . . . ჩ.
[პე?] ტრაქ[ისა]თ. ⁵ სულასა თჩ. ⁶ ქ. — ჩ; ქ(რისტეს მიერ) თ. ⁷ ქორონიკონი თჩ.
⁸ იყო — ჩ. ⁹ ქ. — თ. ¹⁰ მას — თ. ¹¹ განკითხვსასა — ჩ.

პავლეს შემდეგ წინამძღვრობა დაიჭირა .ძმისწულმა სერაპიონისამან ბასილმა, რომელმაც აღწერა სერაპიონის ცხოვრება“¹⁷. Ⴀ

ს. თაყაიშვილის აზრით, ბასილი ზარზმის მონასტრის გამგებელი უნდა ყოფილიყო 886 წლის შემდგომ, დაახლოებით IX საუკუნის დასასრულსა და X საუკუნის დასაწყისში. სწორედ X საუკუნის დასაწყისში უნდა დაეწერა მას აღნიშნული თხზულება¹⁸. Ⴀ

როგორც „ცხოვრებიდან“ ირკვევა, ბასილისათვის ცნობები გიორგი მაწყვერელს მიუწოდებია, ეს კი ის გიორგია, რომელსაც გრიგოლ ხანტელის ცხოვრების ავტორი იხსენიებს თავის თხზულებაში. მკვლევრის აზრით, ძნელი წარმოსადგენია, რომ მას X საუკუნის დასაწყისის შემდგომ ეტოცხლა. გიორგიმ, როგორც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან ჩანს, „დაიპყრო“ აწყურის კათედრა და სამცხის გამგებელი შეიქნა. მას მრჩეველად სწორედ სერაპიონი ჰყავდა. გიორგი, სერაპიონის მომდევნო წინამძღვრების—გიორგის, მიქაელის, პავლესა და, როგორც ეტყობა, ბასილის თანამედროვეც ყოფილა¹⁹. აქედან გამომდინარე, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ბასილი ზარზმელს თავისი თხზულება უნდა დაეწერა არა უგვიანეს მეთათე საუკუნის პირველი მეოთხედისა²⁰.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების დათარიღების საკითხს ეხება პ. პეტერსის იმ გამოკვლევაში, რომელიც უძღვის ძეგლის მიხედვით ლათინურ თარგმანს და რომელშიც საუბარია ბასილი ზარზმელის თხზულების დაწერის თარიღზე. უფრო ზუსტად, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება-მოღვაწეობის ხანაზე. პ. პეტერსის აზრით, ეპიგრაფიკული და, აგრეთვე, სხვა ხასიათის მასალა საშუალებას გვაძლევს ამ მხრივ ზოგი რამ გამოვიკვლიოთ.

პ. პეტერსს ექვემოთნულ ფაქტად მიაჩნია ცნობა იმის შესახებ, რომ სერაპიონ ზარზმელი იყო მიქაელ პარეხელის მოწაფე, მიქაელი კი — შიო მღვიმელისა, რომელიც ლევენდის მიხედვით საქართველოში VI საუკუნის ბოლოს მოვიდა²¹. „ამრიგად, სერაპიონის მიერ ზარზმის მონასტრის აშენების ამბავი საუკუნეთა წყველიადში იკარგება“²², — დასძენს მკვლევარი.

¹⁷ ე. თაყაიშვილი, შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, № 1, 1919, გვ. 110.

¹⁸ იქვე, გვ. 111.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე, გვ. 114.

²¹ P. Peeters, «Histoires monastiques Grégoriennes», Bruxelles. 1923 (Extrait des Analecta Bollandiana, t. XXXVI—XXXVII), გვ. 165.

²² იქვე.

იხილავს რა პ. პეტერსისეულ თარგმანს თხზულებისას, აგრეთვე იმ გამოკვლევას, რომელიც ტუქსტს უძღვის, კ. კეკელიძე აღნიშნავს პ. პეტერსის დამსახურებას ამ ძეგლის კვლევის სფეროში, მაგრამ ზოგიერთ საგულისხმო შენიშვნასაც აკეთებს. მაგალითად, კ. კეკელიძე ერთ ადგილას წერს: „მიქელ პარეხელი Peeters-ს მართლაც შიო მღვიმელის მოწაფედ მიაჩნია (p. 165), მაგრამ, ჯერ ერთი, თვით ბიოგრაფიაში ეს ცნობა გადმოცემულია არა როგორც ექვემდებარებული ფაქტი, არამედ როგორც „სიტყვაა მამათა მიერ მომავალი“, ე. ი. — გარდამოცემა; თან ეს ადგილი ბიოგრაფიისა (p. 165), ეტყობა, დამახინჯებულია. მართლაც, აქ ვკითხულობთ: „რამეთუ აღეშენა რაჲ წმიდაჲ და დიდი უდაბნოჲ ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი, ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით და აღაშენა უწყებითა საღმრთოთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი ძმათაჲ ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდიან“. ვინ მოვიდა „ამისსა შემდგომად მუნით“, ე. ი. ოპიზით, და ვინ აღაშენა პარეხი? ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, ჩანს აქ ბიოგრაფიას რალაც უნდა აკლდეს“²³.

თავისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ როდის დაიწერა ბასილის თხზულება ან რომელი საუკუნის მოღვაწეა სერაპიონ ზარზმელი, კ. კეკელიძემ უფრო ადრეც გამოთქვა²⁴. ვინაიდან „ცხოვრებაში“ არც ერთი თარიღი არ არის მითითებული მასში აღწერილი ამბების გამოსარკვევად, ამიტომ მკვლევარი ემყარება ზარზმის ფერისცვალების ხატის 886 წლის ცნობილ წარწერას, რომელიც პავლეს წინამძღვრობაშია გაკეთებული, და მიდის დასკვნამდე, რომ რადგან „პავლე იყო მეოთხე წინამძღვარი ზარზმისა (სერაპიონი, გიორგი, მიქელი, პავლე), სერაპიონის ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენ უეჭველად მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში უნდა დაედგათ; ასე რომ, ის ყოფილა თანამედროვე გრიგოლ ხანცთელისა, რომელიც ცოტა უფრო გვიან გარდაცვლილა (861). პავლეს შემდეგ, მაშასადამე 886 წლის შემდგომ, წინამძღვრობა მიუღია ბასილს, დაახლოებით მეცხრე საუკუნის გასულს და მეთათს დამდეგს, და სწორედ ამ დროს უნდა დაეწეროს მას თავისი ბიძის, სერაპიონის, ცხოვრება“²⁵.

²³ კ. კეკელიძე, რეცენზია პ. პეტერსის შრომაზე: «Histoires monastiques Géorgiennes», შიმონიძისეული, I, 1926, გვ. 277—278.

²⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, ძველი მწერლობა, ტფილისი, 1923, გვ. 145—148.

²⁵ იქვე, გვ. 146—147.

მაშასადამე, გიორგი მერჩულის თხზულება გაცილებით გვიან დაწერილა, ვიდრე ბასილის ნაწარმოები, ამიტომაც, კ. კეკელიძის აზრით, ეს უკანასკნელი არაფერს ამბობს გრიგოლ ხანცთელის დიად მოღვაწეობაზე²⁶. მართალია, არც გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაშია რაიმე ნათქვამი სერაპიონის ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებზე: როგორც ჩანს, გიორგი მერჩულეს წყაიბული არა ჰქონია სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, მაგრამ იგი კარგად იცნობდა ბასილის თხზულების ერთ უმთავრეს მოქმედ პირს — გიორგი მაწყვერელს, მის დროს უკვე დიდი ხნის გარდაცვლილს, რომელსაც შეეძლო და შეშვენოდა კიდევ ხანცთელი არქიმანდრიტის ცხოვრება-მოღვაწეობა აეწერა²⁷.

ბასილი ზარზმელის თხზულების დათარიღებას მკვლევარი სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებასა და გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში მოხსენიებული ზოგიერთი პირის იდენტიფიკაციის გზით ახდენს. მაგალითად, ორთავე თხზულების მიქაელი მას ერთი და იმავე პირად მიაჩნია²⁸. ამ თხზულებათა გიორგი მაწყვერელსაც მკვლევარი ერთი და იმავედ თვლის, რადგან, მისი აზრით, არ არსებობს არავითარი საბუთი იმისათვის, რომ VI საუკუნეში ისეთი მძლავრი და მნიშვნელოვანი საეპისკოპოსო კათედრის არსებობა ვივარაუდოთ, როგორც ბასილის აქვს მოცემული თავის ნაწარმოებში²⁹. რაც შეეხება ჩვენი თხზულების ცნობას, რომ მიქაელ პარეხელი შიო საკვირველთმოქმედის მოწაფე იყო, მკვლევარი მას ანაქრონიზმად მიიჩნევს³⁰. ამის თაობაზე კ. კეკელიძე წერს: „მიქელ პარეხელი (IX ს.) შიო მღვიმელის (VI ს.) მოწაფე ვერასგზით ვერ იქნებოდა, სხვა შიო კი, საკვირველთმოქმედი, რომელიც „ვითარცა მთიები განთიადისაჲ ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა“, ჩვენ არ ვიცით. ამიტომ, თუ ამ ადგილს ბასილი ზარზმელს მივაკუთვნებდით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მის შრომაში „შიოს“ ნაცვლად იკითხებოდა სახელი „გრიგოლი“, რომელიც ნუსხახუცურად ქარაგმით დაწერილი „გლისი“ ან „გილისი“, შემდეგი

²⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, 1923, გვ. 146—147.

²⁷ იქვე.

²⁸ კ. კეკელიძე, აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 114; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, თბილისი, 1941, გვ. 484.

²⁹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, 1960, გვ. 148.

³⁰ კ. კეკელიძე, აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 114; მისივე, Памятники древнегрузинской агиографической литературы, გვ. 65.

დროის უმეცარი გადამწერის თვალსა და ხელში „შიოდ“ ქცეულა“³¹. არ არის გამორიცხული, რომ ეს ფრაგმენტი დროთა ვითარებაში დამახინჯებულიყო, მით უფრო, რომ კ. კეკელიძე იმავე ძეგლში სხვა, რამდენიმე შერყვნილ ადგილსაც უთითებს³².

მაგრამ, კ. კეკელიძის აზრით, საქმე ისაა, რომ თხზულების ეს ადგილი ბასილის არ უნდა ეკუთვნოდეს, რადგან „ბასილს ხელთ ჰქონია თვით „ცხოვრება“ მიქელისა, დაწერილი მისი მოწაფეების მიერ არაუგვიანეს 40—50 წლისა ბასილის მამასახლისობამდე, ამიტომ გაუგებარი იქნებოდა მისგან თქმა იმისა, რომ ასეთი ცნობა „მამათა მიერ მოვალს ჩუენდაო“; ასეთი გამოთქმა, რომელიც გულისხმობს ზეპირი გადმოცემით მიღებულ რამდენიმე საუკუნოვან ამბავს, შეეძლო შეეტანა თხზულებაში მის გადამკეთებელს, მეტაფრასტს. ამ გადამოცემაში ის კი შენახულა, რომ მიქელის საკვირველმოქმედი მოძღვარი „ვითარცა მთიები განთიადისაჲ ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა“, მაგრამ ის კი წარყვნილა — თუ რა ერქვა ამ მოძღვარს. ამოწერილი სიტყვების უადგილობასა და შემდეგ ჩამატებულობას ამჟღავნებს სხვა მოსაზრებაც. ბასილი ამბობს: მიქელმა „აღაშენა“ მცირე ეგუტერი და შესაკრებელი ძმათაჲ ადგილსა... რომელსა პარეხ უწოდიან“. როგორ შეეძლო მას უშუალოდ ამ სიტყვების შემდეგ ეთქვა: „ესე სიტყვაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქელ იყო აღმაშენებელი“³³.

გარდა გიორგი მერჩულის თხზულებისა, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების დათარიღებისას მკვლევარი ემყარება ფერისცვალების ხატის წარწერას³⁴.

ერთი სიტყვით, კ. კეკელიძის აზრით, თხზულება დაწერილია სერაპიონის ძმისწულის — ბასილის მიერ X საუკუნის 20-იანი წლების მიწურულს³⁵, ხოლო გადაკეთებულია არაუადრეს XI საუკუნისა. „თუ რამდენად კომპეტენტურია ეს უკანასკნელი (იგულისხმება მეტაფრასტი, ნ. ვ.) იქიდანაც ჩანს, რომ სერაპიონის, VI საუკუნის მოღვაწის,

³¹ კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 115.

³² К. Кекелидзе, Памятники древнегрузинской агнографической литературы, გვ. 65.

³³ კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 115.

³⁴ К. Кекелидзе, Памятники древнегрузинской агнографической литературы, გვ. 65.

³⁵ იქვე, გვ. 74.

თანამედროვეთ მიაწერს ციტატას VII საუკუნის მიწურულში 688 წ. დაწერილი თხზულებიდან „ცხოვრება გრიგოლ აკრაქანტელისა“³⁶.

ქ. კეკელიძის აზრით, ნაწარმოების ენა არის. გამოკვეთილი, ნათელი, საესებით დაცულია ქართული კლასიკური სალიტერატურო ენის ნორმები. ამ მხრივ სცოდავს მხოლოდ ის ადგილები, რომლებიც მეტაფრასტს ეკუთვნის³⁷.

ბასილი ზარზმელის თხზულების დათარიღების საკითხს ეხება ს. კაკაბაძე, რომელიც მას VII საუკუნის ნაწარმოებად მიიჩნევს. მკვლევარი ეყრდნობა თხზულების იმ ადგილს, რომელშიც მოთხრობილია, რომ სერაპიონ ზარზმელი იყო მიქაელ პარეხელის მოწაფე, ხოლო ეს უკანასკნელი — შიო საკვირველთმოქმედისა³⁸. |

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება შეისწავლა პ. ინგოროყვაამ, რომელმაც ნაწარმოების არქეტიპი IX საუკუნის დამლევს, კერძოდ, 886 წლის ახლო ხანებში დაწერილად მიიჩნია³⁹. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მკვლევარმა შეიცვალა აზრი და ახალი თარიღი შემოგვთავაზა⁴⁰. ეყრდნობა რა მ. ჯანაშვილის მიერ დამოწმებულ ადგილს, სადაც მოთხრობილია, რომ სერაპიონ ზარზმელის მოძღვარი მიქაელ პარეხელი შიო მღვიმელის მოწაფე იყო, მკვლევარი მას VII საუკუნეში დაწერილად მიიჩნევს. |

თავის მხრივ პ. ინგოროყვაამ ზემოთქმულს. უმატებს შემდეგს: რადგან სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოიხსენიება ოპიზის მონასტერი, რომელიც, როგორც ვახტანგ გორგასლის მათიანედან ჩანს, V საუკუნის მეორე ნახევარში დაარსებულა, ხოლო შიო მღვიმელის მოწაფე — მიქაელ პარეხელი სწორედ ამ მონასტერში დამკვიდრდა, ამიტომ ამ უკანასკნელის მოღვაწეობა ოპიზის უდაბნოში VI საუკუნის შუა წლებს უნდა მიეკუთვნოს. პ. ინგოროყვაამ, ერთი მხრივ, ეყრდნობა ცნობას ვახტანგის ისტორიიდან: „ხოლო არტავაზ ალაშენა ციხე არტანუჯისა, და მონასტერი რომელ არს ოპიზა, და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა“⁴¹, ხოლო მეორე მხრივ,

³⁶ ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, 1960, გვ. 147.

³⁷ К. Кекелидзе, Памятники древнегрузинской агиографической литературы, გვ. 76.

³⁸ ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, 1924, გვ. 54.

³⁹ პ. ინგოროყვაამ, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. «მნათობი», 1939, № 9, გვ. 125.

⁴⁰ პ. ინგოროყვაამ, გიორგი მერჩულე—მწერალი მეათე საუკუნისა, «მნათობი», 1950, № 7, გვ. 136; მისივე, «გიორგი მერჩულე», თბილისი. 1954, გვ. 324—339.

⁴¹ ქუანშიერი, ცხავეტნე გრგუსლსა, ქც., ტომი I, გვ. 173.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ჩვენებას: „რამეთუ აღეშენა რაჲ წმიდაჲ და დიდი უდაბნო[ჲ] ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი. ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით და აღაშენა უწყებითა საღმრთოთათა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათა[ჲ] ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდიან“⁴².

კ. კეკელიძე ჯუანშერის ზემომოტანილი ცნობის თაობაზე წერს: „უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვები — რომელ არს ოპიზისა — იკითხება ვახტანგის ისტორიის მხოლოდ ერთ, ქალაშვილისეულ, ნუსხაში, რომელშიც ეს სიტყვები, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ არც ერთ სხვა ნუსხაში იმათ ადგილი არ აქვთ, უნდა მიჩნეულ იქნას გლოსად რომელიღაც სხვა დროის რედაქტორის თუ გადამწერისა, რომელიც შემდეგი მოსაზრებიდან გამოდიოდა: თუ ამ ციტატაში ნაჩვენებია სახელი ციხისა და სამი ეკლესიისა, რატომ მონასტრის სახელიც არ უნდა ყოფილიყო ნაჩვენებო, და მან თვით „უჩვენა“ ის“³.

კ. კეკელიძე არ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ V საუკუნეში შეიძლებოდა არსებულიყო ისეთი დიდი მონასტერი, როგორიც ოპიზაა, ვინაიდან სამონასტრო მშენებლობა ჩვენში მხოლოდ VI საუკუნიდან იწყება⁴⁴. ხოლო რაც შეეხება ვახტანგის ისტორიას, მასში, მკვლევრის აზრით, არა ერთი და ორი ლეგენდარული ცნობაა შემონახული⁴⁵.

პავლე ინგოროყვას თქმით, სერაპიონი და იოანე დაახლოებით VI საუკუნის შუა წლებში უნდა დაბადებულყვნენ. მათ წარვლეს „სიმრავლე წელთა და სიბერითა კეთილითა განიპოვნეს“. სერაპიონი უნდა გარდაცვლილიყო VII საუკუნის პირველ ნახევარში; სერაპიონის ძმისწულის — ბასილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა კი VII საუკუნეს განეკუთვნება და ამიტომ ბუნებრივია, რომ თხზულც იაც ამავე საუკუნეში იყოს დაწერილი.

ეწინააღმდეგება რა კ. კეკელიძის მიერ მოცემულ და არიღებას, პავლე ინგოროყვა ერთ-ერთ ძირითად შეცდომად სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებასა და გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში მოცემული ზოგიერთი ისტორიული პირის იდენტიფიკაციას თვლის. ოგალითად, მიქელისას, რომელიც ორივე თხზულებაში მოიხსენიება და სწორედ ერთი და იმავე ადგილის მოღვაწედ. აი, რას წერს მ. ჯანაქილი ამის

⁴² ს. რ. ზმელს ცხ. ბა, გვ. 153₂₉₋₃₃.

⁴³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, გვ. 147.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ იქვე.

თაობაზე: „ხანძთელის ცხოვრებაში იხსენიება მისი მეგობარი მიქელ, დამკვიდრებული ბერთის პარეხში, მაგრამ ეს სხვა მიქელი უნდა იყოს, რადგან: ა/შიო მღვიმელის მოწაფის მიქელის დროითგან (VI საუკ.) ხანძთელამდე (760 — 862) ორი-სამი თაობის მანძილი მაინც არის, ბ/შიო მღვიმელის მოწაფე პარეხს მივიდა ოპიზიდან და გრ. ხანძთელის მეგობარი კი მიჯნაზორით ხანძთას მივიდა და მერე ბერთას პარეხს (უდაბნოს) დაემკვიდრა“⁴⁶.

ამ ორი ძეგლის მიქელი რომ ერთი და იგივე პირი არ არის, ამაზე ილ. აბულაძე მიუთითებს თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში: „თავი რომ დავანებოთ იმის ძიებას, მართლა ერთი და იგივე პიროვნებაა თუ არა ამ ორი ძეგლის მიქელ პარეხელი, რასაც თვით ძეგლების მოწამობანი არ უნდა ადასტურებდნენ (ხაზი ჩვენია, ნ. ვ.), ერთი ნათელია: ხანძთელის ცხოვრების „პარეხთა“ გეოგრაფიული სახელია, ხოლო სერაპიონის ცხოვრებისა საზოგადო უნდა იყოს, რადგან აქ იგი, ან მისი ფუძე, იხმარება არა მრავლობითი რიცხვის ფორმით, რაც საგნის სახელთაგან წარმოქმნილ გეოგრაფიულ სახელთათვის დამახასიათებელია, არამედ მხოლობითით („პარეხ“ უწოდინ). ამასთანავე ზარზმელის ცხოვრების „პარეხის“ შემცველი ადგილი, დამოუკიდებლად იმისა, იქნება ის საკუთარი თუ საზოგადო სახელი, საგულისხმოა იმითაც, რომ იქ მოცემულია ამ სახელის მნიშვნელობა: „ადგილი კლდოანი და უვალი კაცთაგან“⁴⁷.

3. ინგოროყვას სხვა არგუმენტებიც მოაქვს, კერძოდ: 1. კლარჯეთის სავანეთა საკითხი სერაპიონ ზარზმელისა და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებათა მიხედვით. მისი აზრით, თუ ბასილი ზარზმელის დროს კლარჯეთში მხოლოდ ორი მონასტერი იყო, მერჩულის ცნობით 830—840 წლებში იქ უკვე 10 სავანეა, ხოლო 840 წლის შემდგომ ამათ კიდევ ორი მიემატა. ამიერიდან უკვე ხშირად იხსენიება კლარჯეთის ათორმეტი სავანე.

2. გრიგოლ ხანძთელის მოუხსენებლობა ბასილი ზარზმელის თხზულებაში. ეს საკითხიც მ. ჯანაშვილმა წამოჭრა. აი, რას წერდა იგი: „...ჩვენი ძეგლი კრინტს არ ძრავს შემდეგი დროის კლარჯეთაფხაზეთში მონასტრების აღმაშენებლის გრიგოლ ხანძთელის შესახებ“⁴⁸.

⁴⁶ მოსე ჯანაშვილი. ქართული მწერლობა, წიგნი II, 1909, გვ. LV — LVI (სქოლიო).

⁴⁷ ილ. აბულაძე, ორი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი მეოთხე, № 8, თბილისი, 1943, გვ. 938—939.

⁴⁸ მოსე ჯანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. LV.

3. ბასილი ზარზმელის თხზულებაში არსად მოიხსენიება მეფე, მეფობის ინსტიტუტი. სათანადო ადგილას ესეც აქვს აღნიშნული მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ს.⁴⁹

თავისი დებულება რომ უფრო დამაჯერებელი გახდოს, პ. ინგოროყვა ერთმანეთს ადარებს ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულის ცნობებს სამცხის მთავართა (მირიანის ძეთა) გვარეულობის შესახებ. მკვლევარი აკრიტიკებს კ. კეკელიძის მიერ მოცემულ ქრონოლოგიას, რომლის თანახმად ახალ ჩორჩანელთა (მირიანის ძეთა) გვარეულობას საფუძველი 880 — 890 წლებში დაედო. პ. ინგოროყვას აზრით, გ. მერჩულეს ტექსტის მიხედვით აშკარაა მირიანის ძეთა გვარეულობის სამცხის მფლობელად გახდომა IX საუკუნეზე. გაცილებით ადრე, ვიდრე გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში მოიხსენიება მირიანის ძეთა ამ გვარეულობის შთამომავალი, სამცხის მთავარი მირიანი (II), რომელიც VIII — IX საუკუნეთა მოღვაწეა (დაბ. 780 — 790 წლებში, გარდ. 859 წ. ახლო)⁵⁰.

4. თხზულებაში არ არის არავითარი ცნობა არაბობის შესახებ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების დათარიღების საკითხს ეხება ს. ჯ ა ნ ა შ ი ა გამოკვლევაში „არაბობა საქართველოში“⁵¹. მკვლევარი ფიქრობს, რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში აღწერილია VIII — IX საუკუნეთა საზღვარზე შექმნილი გარდამავალი ვითარება, როდესაც, მემბტიანეს თქმით, „იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა — იქმნეს მტერ ურთიერთას“.

ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს აღნიშნულ თვალსაზრისს, როგორც ჩანს, სავესებით იზიარებს გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ს.⁵²

ბასილი ზარზმელის თხზულების დათარიღების საკითხს გაკვირთებება შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ იმ თავში, რომელიც იოანე მოსხისაღმია მიძღვნილი. ავტორი წერს: „დღეს მეცნიერებაში უ დ ა ვ ო დ ა ა (ხაზი ჩვენია, ნ. ვ.) დამტკიცებული, რომ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება იმავე საუკუნეშია დაწერილი, რომელშიც იოანე მოსხის „სამოთხე“ და როგორც დღეს უკვე გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, „სიბრძნე ბალავარის“ ქართული ტექსტიც კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს მიერ ხაზგასმული სინტაქსური და სტილი-

⁴⁹ მოსე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშ., კვ. LII.

⁵⁰ პ ა ე ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე — მწერალი მეთე საუკუნისა, «მნათობი», 1950, № 7, კვ. 149.

⁵¹ ს ა მ ო ნ ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, თბილისი, 1952, კვ. 392.

⁵² გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გავითარება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1973, კვ. 58—59.

სტური დამთხვევა „სიბრძნე ბალავარის“ ქართული ტექსტისა და „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ აღწერილობისა დიდი მნიშვნელობის ფაქტად უნდა ჩაითვალოს. თუ მხედველობაში იქნება მიღებული ის პატარა, მაგრამ დიდი მნიშვნელობის მქონე შესწორება, რომელიც პავლე ინგოროყვამ შეიტანა სერაპიონ ზარზმელის ქრონოლოგიური დათარიღების საქმეში, არ შეიძლება არ აღენიშნოთ, რომ კორნელი კეკელიძის ისტორიულ-ლიტერატურული დაკვირვება თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა⁵³.

რალა თქმა უნდა, არ შეიძლება დღეს მეცნიერებაში უდავოდ დამტკიცებულად მივიჩნიოთ, რომ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება VII საუკუნეშია დაწერილი. ასევე, ვერ დავეთანხმებით მკვლევარს, აგრეთვე, იმაში, თითქოს, პავლე ინგოროყვამ „პატარა, მაგრამ დიდი მნიშვნელობის მქონე შესწორება შეიტანა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ქრონოლოგიური დათარიღების საქმეში“. პავლე ინგოროყვამ ზარზმელი ისტორიკოსის თხზულების დაწერის თარიღი მთელი სამი საუკუნით წინ გადმოსწია, ამიტომაც აქედან გამომდინარე სრულიად სხვაგვარად უნდა გადაწყდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უშუალოდ აღნიშნული თარიღიდან გამომდინარეობს.

და კიდევ: კ. კეკელიძეს „ბალავარიანისა“ და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებასთან დაკავშირებით სრულიად სხვა აქვს აღნიშნული, კერძოდ: როგორც კ. კეკელიძე ფიქრობს, ბალავარიანის ერთ-ერთი, B რედაქცია დაწერილი უნდა იყოს IX — X საუკუნეთა მიჯნაზე, A კი — არა უადრეს X საუკუნისა, ამ საუკუნის დასასრულს. „ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს რიგი ახალსპარსული სიტყვებისა, რომლებიც თხზულებაში გვხვდება. მეცხრე საუკუნის ბოლომდე თუ მეათის დამდეგამდე ახალ სპარსული სიტყვები ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში მოსალოდნელი არაა. მეორე საბუთი: სტილით თარგმანი უახლოვდება სერაპიონ ზარზმელის მეტაფრასულ „ცხოვრებას“, რომელიც დაწერილი უნდა იყოს არა უადრეს მეთერთმეტე საუკუნის ნახევრისა“⁵⁴.

⁵³ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტომი პირველი, თბილისი, 1956, გვ. 301.

⁵⁴ კ. კეკელიძე, ბალავარის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბილისი, 1960, გვ. 47.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების დათარიღების საკითხს ეხება გ. ჩუბინაშვილი⁵⁵, რომელიც თვლის, რომ „ცხოვრება“ IX საუკუნის ვითარებას კი არ გადმოგვცემს, როგორც ეს ი. ჯავახიშვილს, ექ. თაყაიშვილსა და კ. კეკელიძეს მიაჩნდათ, არამედ უფრო ადრინდელს. მკვლევარი თვლის, რომ 1. გიორგი მერჩულესა და ბასილი ზარზმელის თხზულებებში მოხსენიებულ მიქელთა გაიგივება შეუძლებელია, რასაც ის ფაქტი ნათელყოფს, რომ სერაპიონ ზარზმელის მასწავლებლის—მიქელ პარეხელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი თხზულება დაწერეს მისმა მოწაფეებმა, ხოლო გ. მერჩულის თხზულებაში მოხსენიებული მიქელი მონაზვნად გვესახება⁵⁶. ამის შედეგად კი საფუძველი ეცლება თხზულების ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძისეული დათარიღების ძირითად არგუმენტს, 2. ბასილი ზარზმელის მიერ აღწერილი სამცხის კოლონიზაციის სურათი VI — VII საუკუნეების ვითარებას უფრო ასახავს, ვიდრე IX საუკუნისას, 3. თხზულების ადრინდლობას მოწმობს, აგრეთვე, მასში მეფის ხელისუფლების მოუხსენებლობა, რაც VI — VII ანდა VIII საუკუნეს უფრო შეეფერება, ვიდრე IX—X საუკუნეებს, 4. ქვეყნის სოციალური ვითარებაც, მკვლევრის აზრით, თხზულების ადრინდლობაზე მიგვანიშნებს, მაგალითად: ცალკეულ დიდ მთავართა და წარჩინებულთა არსებობა, მსგავსად გიორგი ჩორჩანელისა, რომელთა ხელთ „საზღვართ-ვრცელი“ მამულებია და რომელიც „უმრავლესთა ჟამთა ინადირობნ“, ფეოდალიზმის განვითარების დასაწყისისათვის არის დამახასიათებელი. ყოველივე ზემოთქმულის გამო, დაასკვნის გ. ჩუბინაშვილი, ანგარიში უნდა გაეწიოს ცნობას იმის შესახებ, რომ სერაპიონ ზარზმელი იყო მოწაფე მიქელ პარეხელისა, ხოლო ეს უკანასკნელი — შიო საკვირველთმოქმედისა, ცნობას, რომელიც კ. კეკელიძემ შემდეგი დროის უმეცარი გადაწყერის შეცდომად მიიჩნია⁵⁷, 5. თხზულების ადრინდლობას უნდა მოწმობდეს ის გარემოება, რომ სოფელ ძარღუაში მცხოვრებმა გლეხმა შეკრიბა სამას ხუთი ღრაკჰანი „სახითა პირველთა მათ მეფეთაათა“, რომელიც, კ. კეკელიძის მტკიცებით, ბიზანტიის იმპერატორებს უნდა გულისხმობდეს, ხოლო ასეთი დიდი

⁵⁵ Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство (исследование по истории грузинского средневекового искусства). Тбилиси, 1959, стр. 29—31. ამ საკითხს მკვლევარი ეხება, აგრეთვე, თავის მოხსენებაში, რომელიც წაკითხულ იქნა 1943 წ. 26 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სესიაზე.

⁵⁶ იქვე, გვ. 30.

⁵⁷ კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 115.

რაოდენობა ბიზანტიური მონეტებისა მოსალოდნელია არა IX — X, არამედ VI — VII სს., 6. არქიტექტორის მოწვევა „ბერძენთა ქუეყანისაგან, ადგილისაგან ხუფათ წოდებულისა“, 7. მისახლეობის გამოსვლები მონასტრის მშენებლობის წინააღმდეგ, რაც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ამ დროს მესხეთის მთელი მოსახლეობა არ უნდა ყოფილიყო გაქრისტიანებული. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე გ. ჩუბინაშვილი დაასკვნის: «Следовательно, принятое в связи со столь обычной обработкой текста, произведенной по К. Кекелидзе во второй половине XI века, отнесение написания жития племянником героя к X веку поддержано быть не может, житие рисует картину не позже перелома VIII—IX веков»⁵⁸.

ზარზმის პირველი აღმაშენებლის — სერაპიონის ცხოვრებასა და მოღვაწეობას საგანგებოდ შეეხო ვ. ბერიძე, რომელმაც შეისწავლა სამცხის XIII — XVI საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები⁵⁹.

ამ საკითხისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გაცნობამ მკვლევარი დაარწმუნა, რომ ექვი, შეტანილი თხზულების ტრადიციულ დათარიღებაში უსაფუძვლო არ ჩანს. ვ. ბერიძის აზრით, 1. განსხვავება ბასილი ზარზმელის თხზულების მიქაელსა და გიორგი მერჩულის ნაწარმოების მიქელს შორის არც იმდენად უმნიშვნელოა⁶⁰. მერჩულის ცნობით მიქელ მიძნაძორიდან მოვიდა „ბერთის პარება“, ხოლო ბასილის მიხედვით, მიქელ მოვიდა ოპიზიდან და დამკვიდრდა „...ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარებ უწოდიან“ ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად მ. ჯანაშვილმა წამოჭრა, რაც სათანადო ადგილას აღნიშნული გვაქვს, რის გამოც მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ; 2. ვ. ბერიძე ექვს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ ეფრემი აწყურის კათედრაზე შეეცვალა გიორგიმ. აი, რას წერს მკვლევარი: „დამტკიცებული კია მართლაც, რომ გიორგი ეფრემის შემკვიდრე იყო? კ. კეკელიძე ამ შემთხვევაში ე. თაყაიშვილზე მიგვითითებს, ე. თაყაიშვილს კი მხოლოდ შემდეგი უწერია: „გიორგი გახდა მაწყვერელად ალბათ ეფრემის შემდეგ, რომელიც მოხსენიებულია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. როგორც ვხედავთ, ეს მოსაზრება არაა დამტკიცებული“⁶¹. აი რას წერს კ. კეკელიძე აღნიშნული საკითხის შესახებ: „ცნობები ეფრემ დიდის შესახებ მო-

⁵⁸ Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

⁵⁹ ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII—XVI საუკუნეები, თბილისი, 1955.

⁶⁰ ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

⁶¹ ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII—XVI საუკუნეები, გვ. 121.

ცემულია გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“, ხოლო გიორგი მაწყვე-რელზე ლაპარაკობს სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრება“. ამ თხზულებათა მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, ე. თაყაიშვილთან ერთად (შენიშვნები ზარზმისა და მის სიძველეთა შესახებ, ტფილ. უნივერ. მოამბე 1, III), რომ გიორგი იყო უშუალო მემკვიდრე ეფრემისა აწყურის კათედრაზე⁶²; 3. მშენებლობა, რომელიც ოპიზაში წარმოებდა მაშინ, როცა აქ სერაპიონმა გაიარა გზად. მოაქვს რა კეკელიძის მიერ მოცემული დეტალური განხილვა საკითხისა⁶³, ვ. ბერიძე ამის თაობაზე წერს: „როგორც ვხედავთ, აქაც უმეტესად ჰიპოტეზებთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, გვარამ მამფალისა და მის ძის დროს ოპიზა „მეორედ აღშენებულია“. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ სერაპიონის ცხოვრებაში მოხსენიებული მშენებლობა მაინცდამაინც „მეორედ აღშენებაა“? ისეთ დიდ მონასტერში, როგორიც ოპიზა იყო, მშენებლობა — შენობათა რემონტი, სამეურნეო ან სხვა დანიშნულების ნაგებობათა შენება — ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, არა ერთხელ და ორჯერ ყოფილა. რასაკვირველია, ყოველი ასეთი მშენებლობის შესახებ ცნობები არ დარჩებოდა. ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს იმისათვის, რომ ბასილის მიერ გაკვრით მოხსენიებული ფაქტი მაინცდამაინც დავუყავშიროთ მემატიანის ან წარწერათა ცნობებს, ესეც რომ არ იყოს, აშოტ კურაპალატების „აღილება“ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სხვა წყაროთა მიხედვით მშენებლებად არ არიან ცნობილნი, არაა საკმარისად დამაჯერებელი“⁶².

მართლაც, ისეთ დიდ მონასტერში, როგორიც ოპიზა იყო, ხშირად ექნებოდა ადგილი შეკეთებას. ისიც ცხადია, რომ ყოველგვარი ასეთი შეკეთების შესახებ ცნობა ვერ დარჩებოდა. დიდი რეკონსტრუქციის ამბავს მოიხსენიებდნენ.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თვით ოპიზის კედლის მხატვრობის მიერ შემონახულ ცნობასა და „მატიანე ქართლისას“ ჩვენებასთან. აი ეს ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობა: „და მოკულა გუარამ, ძე აშოტისი, და დამარხეს ოპიზას, მეორედ მისგან აღშენებულსა“⁶⁵. „აშოტ კურაპალატი, მეორედ მაშენებელი ოპიზისაჲ და წმიდისა ამის საყდრისაჲ“⁶⁶. რომელი აშოტი იგულისხმება ოპიზის კედლის მხატვრობის წარწერაში? კ. კეკელიძის აზრით, ოპიზის მეორედ მაშენებლად უნდა

⁶² კ. კეკელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 110.

⁶³ იქვე, გვ. 112—114.

⁶⁴ ვ. ბერიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 122.

⁶⁵ მატიანე ქართლისა, ქც., I, 1955, ვვ. 260₂₄.

⁶⁶ Н. М а р р, Тексты и разыскания, VII, გვ. 160.

ჯამოირიცხოს აშოტ კურაპალატი, რადგან „არც მატიანედან, არც სხვა დოკუმენტებიდან, არც გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებიდან“, სადაც ამის შესახებ რაიმე ცნობა უთუოდ დარჩებოდა, ის ეკლესია-მონასტრების, კერძოდ, ოპიზის მაშენებლად ცნობილი არაა“⁶⁷; უნდა გამოირიცხოს, აგრეთვე, აშოტ კუხი, „რადგანაც, ჯერ ერთი, ის „ერისთავთ-ერისთავადაა“ ცნობილი და არა კურაპალატად, მეორე, თუ ჩვენამდე მოაღწია ცნობამ მის მიერ ტბეთის მონასტრის და ხანძთის ახალი ეკლესიის აშენების შესახებ, რატომ უნდა დაკარგულიყო ასეთივე ცნობა ოპიზის შესახებ?“⁶⁸. ვერც იმ აშოტ კურაპალატს ვიგულისხმებთ, რომლის დროსაც „გრიგოლ ხანძთელს ცხოვრება“ დაიწერა, ვინაიდან მშენებლად არც ისაა ცნობილი, და რომ ასეთი რამ მომხდარიყო მის დროს და მის მიერ, ალბათ ამას გიორგი მერჩულეც აღნიშნავდა“⁶⁹.

კ. კეკელიძე ოპიზის კედლის მხატვრობის მიერ შემონახულ ცნობას ყალბად მიიჩნევს. მკვლევრის აზრით, საქმე შემდეგშია: ოპიზის სატრაპეზოში, მისი სამხრეთის კამარაზე ამოკრილი ყოფილა თვით სატრაპეზოს აშენებისდროინდელი წარწერა, რომელშიც იხსენიებოდა ეინძე აშოტი. თამარის დროის მომხატველებს ამ ლაპიდარული ძეგლის აშოტი, რომლის სახელთან არავითარი ტიტული არ ყოფილა აღნიშნული, მიუღიათ აშოტ კურაპალატად და ასეთი გაიგივების ნიადაგზე შესაფერისი წარწერაც გაუკეთებიათ. „ამრიგად, — დაასკვნის კ. კეკელიძე, — ოპიზის მეორედ მაშენებლად უნდა გვარამ მამფალი იქნეს ცნობილი, თანახმად მატიანესა, მით უმეტეს, რომ გარდა იმისა, რომ ის ოპიზაში დაიმარხა, მისი ქტიტორული მზრუნველობა ოპიზისათვის დამოწმებულია ბაგრატ IV ცნობილ სიგელში. მაშ ვინ უნდა იყოს ლაპიდარული ძეგლის აშოტი, რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში სატრაპეზო აუშენებია?“⁷⁰. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ეს აშოტი არის ძე გვარამ მამფლისა, აშოტ მამფალი.

ვ. ბერიძე აანალიზებს რა ოპიზის გუმბათის ყელს, მიდის დასკვნამდე, რომ ამ ძეგლის ცალკეული ნაწილები X საუკუნის პირველი ნახევრის — ე. ი. 954 წელს გარდაცვლილი — აშოტის დროის ძეგლებს უკავშირდება. „...ოპიზის ფრესკის წარწერაში „ყალბ ინტერპრეტაცი-აზე“ ლაპარაკიც დიდად საეჭვოა. არ არსებობს არავითარი საბუთი იმისათვის, რომ ეს წარწერა გვიანდელად — თამარისდროინდელად — მივიჩნიოთ. ამგვარ თარიღს ნ. მარი იმიტომ ასახელებდა, რომ

⁶⁷ კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

⁶⁸ კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ იქვე. გვ. 113—114.

მას ოპიზის აწინდელი გუმბათი თამარისდროინდელი ეგონა. მაგრამ ნამდვილად გუმბათი, როგორც ითქვა, X საუკუნისაა⁷¹.

რა თქმა უნდა, საესებით შესაძლებელია, რომ ოპიზის „მეორედ აღშენება“ გვარამ მამფლისა და მისი ძის დროს მომხდარიყო, მაგრამ არსებობს ერთი ფრიად დამაფიქრებელი გარემოება, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. საქმე შემდეგშია: ჩვენამდე მოაღწია რელიეფმა აშოტ კურაპალატის გამოსახულებით, რომელიც ოპიზის მონასტრის მთავარი ეკლესიის სამხრეთის ფასადზე ყოფილა მოთავსებული⁷². რელიეფს ყურადღება მიაპყრო ე. თაყაიშვილმა⁷³. აღნიშნული რელიეფი ფოტოგრაფ დ. ერმაკოვს ჩამოეტანა თბილისში. მასზე წარმოდგენალო პირების ვინაობის განსაზღვრა და წარწერების ამოკითხვაც ექ. თაყაიშვილის სახელთანაა დაკავშირებული⁷⁴.

ოპიზის რელიეფი ქვის ორ ფილაზე გამოკვეთილ მთლიან კომპოზიციას წარმოადგენს. ერთ-ერთ ფილაზე გამოსახულია ტახტზე მჯდომი ქრისტე, ხოლო მის გვერდით — ფიგურა ვედრების უესტით. ქვის აღნიშნულ ფილაზე ორი წარწერაა, რომლებიც ექ. თაყაიშვილმა შემდგენიარად ამოკითხა:

✠ 1 იესო ქრისტე
2 დავით
3
4

მეორე ფილაზე გამოკვეთილია ქტიტორი, რომელსაც ეკლესიის მოდელი უპყრია ხელთ. მასზე მოცემული წარწერები ასეთი შინაარსისაა:

✠ 1 ხ 2 ხ 3 ხ ეკლესია (ეკლესია)
4 აშტ (აშოტ)
5
6

ტახტზე მჯდომ ქრისტეს მარცხენა ხელში უჭირავს სახარება, მარჯვენათი კი აკურთხებს ეკლესიის მოდელს, რომელსაც მას ქტიტორი აწვდის.

ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ქტიტორი ეკლესიის მოდელით ხელში უნდა იყოს აშოტ დიდი კურაპალატი, რომელსაც ოპიზის მთა-

⁷¹ ვ. ბერიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 122.

⁷² Г. Казбег, Три месяца в Турецкой Грузии, ЗКОИРГО, книжка X, 1876, გვ. 78.

⁷³ Е. Такашвили, АЭРЗ. т. II, Тифлис, 1905, гв. 57.

⁷⁴ იქვე. გვ. 56—58.

ვარი ეკლესიის ფრესკული წარწერა იხსენიებს, ვითარცა ოპიზის მეორედ მაშენებელს, მით უფრო, რომ აქვეა წარწერა ^ს მ, რომელსაც ^ჩ მკვლევარი მართებულად კითხულობს „ამოტად“.

ამოტ კურაპალატის გამოსახვა, აგრეთვე, წარწერების პალეოგრაფიული ხასიათი ექ. თაყაიშვილს აფიქრებინებს, რომ წარწერა X საუკუნისაა (ექ. თაყაიშვილის გამოანგარიშებით ამოტ დიდი კურაპალატი გარდაიცვალა 826 წელს).

მაგრამ საქმე ის არის, რომ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში არც ოპიზის მშენებლობაზე და არც, მით უმეტეს, „მეორედ აღშენებაზე“ არაფერია ნათქვამი. კამათი, რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშია გამართული ამ საკითხის ირგვლივ, ტექსტის არასწორ წაკითხვაზეა აგებული. მოგვაქვს სათანადო ფრაგმენტი თხზულებიდან: „ხოლო ვითარცა იყო წმიდა იგი მდაბალ და აღუზუავებელ, ტბილითა და დაშნითა კელითა იხილვებოდა მდგომარედ ხუროთა თანა საეკლესიოთა, რამეთუ იყო სხუათავე თანა სათნოებათა მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა და ფრიად შემკულ წესითა ხუცობისათა“. გამოთქმაში „ხუროთა თანა საეკლესიოთა“ ნაგულისხმევი არიან ოპიზაში მოღვაწე წმინდა მამები; მათ სერაპიონს „შემსგავსებული პატივი წინაუყვეს“, რადგან იგი მშვიდი და თავმდაბალი „კელითა იხილვებოდა“ და სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად „სჯულთა საეკლესიოთა“ შესანიშნავი მცოდნეც იყო.

ბასილი ზარზმელის დათარიღების საკითხს დეტალურად განიხილავს ა. ბოგვერაძე⁷⁵. მკვლევარს მიაჩნია, რომ სერაპიონის მოღვაწეობა ზარზმაში დაახლოებით VI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით შემოიფარგლება, ხოლო მისი ცხოვრების ამსახველი თხზულება VII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს დაწერილი. მკვლევარი ეყრდნობა ნაწარმოების იმ ადგილს, სადაც მოთხრობილია სერაპიონის ძიქელის მოწაფეობა, ხოლო ეს უკანასკნელი შიოს მოწაფედ არის გამოცხადებული⁷⁶.

ა. ბოგვერაძე სავსებით ეთანხმება პ. ინგოროყვას, რომელსაც ზარზმელის თხზულების ადრინდელობის დამადასტურებელ საბუთად მოაქვს: 1. IX საუკუნის კლარჯეთში გაჩაღებული დიდი სამონასტრო მშენებლობების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის — გრიგოლ ხანცთელის მოუხსენებლობა;

⁷⁵ ა. ბოგვერაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების თარიღისათვის, «მაცნე», № 3, 1964, გვ. 50—69.

⁷⁶ ს. ზარზმელის ცხ. ბა, გვ. 153₃₄₋₃₈—154₁₋₂.

2. იმდროინდელი კლარჯეთის სავანეთა მოუხსენებლობა (ა. ბოგვერაძე წერს: „ბასილის ნაწარმოებიდან ირკვევა, რომ კლარჯეთის მხარეში სერაპიონის დროს მხოლოდ ორი მონასტერი — ოპიზა და პარეხი იყო“)⁷⁷;

3. არაბთა შესახებ ცნობების უქონლობა;

4. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების მოუხსენებლობა („თუ არაბების მოუხსენებლობა ჩვენს თხზულებაში შეიძლება კიდევ ახსნილი იქნეს IX ს. მეორე ნახევრის ქართლის სამხრეთ პროვინციებში შექმნილი მდგომარეობით, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებზე ღუმილი კი ფრიად დამაფიქრებელია“)⁷⁸.

ა. ბოგვერაძე ბასილი ზარზმელის თხზულების დათარიღებისათვის დამატებით იყენებს სამცხის სამონასტრო მშენებლობას, ასე ვერცლად რომ არის აღწერილი „ცხოვრებაში“. მკვლევარი წერს: „არ შეიძლება ძველი არ გვეჩვენოს, აგრეთვე, სამონასტრო მშენებლობის ის სურათი, რომელსაც „ცხოვრებაში“ ვხედავთ. სამშენებლო ქვის უქონლობის გამო „საღმრთოა შური მონასტრის შენებისაჲ“ სერაპიონს და მის „ძმებს“ აიძულებს „წყლისაგან რასმე, ლო^ს იერობდეს და უშუერსა რასმე ქვასა მუნით გამოიღებდეს“. როგორც იქნა, „შემდგომად სამისა წლისა სრულ იქნა ეკლესიაჲ და შეიმკო ყოვლითა განგებითა, რომელი შეპკუანდა ჟამსა მას. „ეს ჟამი“, როგორც ვხედავთ, ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების გაშლისა და აყვავების ხანა არ ყოფილა. მაშინ, როცა კლარჯეთი დიდებული ეკლესია-მონასტრებითაა მოფენილი, დასაქვრებელია, მეზობელ სამცხეში მდინარისაგან გამოღებული „უშუერი“ ქვით შენდებოდეს პატარა მონასტერი, ისიც დიდი მთავრის მზრუნველობით და ხელისშეწყობით? ჩანს, ქვეყანა ამ დროს ჯერ კიდევ ადრეფეოდალური ურთიერთობის იმ საფეხურზე იმყოფება, როცა მის საზოგადოებრივ ძალებს არ მოსდევთ საშუალება ნივთიერი სახსრების გამოღებისა“⁷⁹.

თუ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში აღწერილია VI ს. მეორე ნახევრის სამონასტრო მშენებლობის სურათი, ხოლო, მკვლევრის თქმით, „ეს ჟამი... ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების გაშლისა და აყვავების ხანა არ ყოფილა“, მაშინ ლოგიკურად წინააღმდეგობაში ვეარდებით, რადგან განა მცხეთის ჯვარი ამ ეპოქის ნაგებობა არ არის? და საერთოდ V—VI სს. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების

⁷⁷ ა. ბოგვერაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 60.

⁷⁸ ა. ბოგვერაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 62.

⁷⁹ იქვე.

შესწავლა ხომ ამტკიცებს, რომ სამშენებლო ხელოვნება იქამად გან-
ვითარების მაღალ საფეხურზე იდგა.

* * *

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოთხრობილი ამბების ქრო-
ნოლოგიური ლოკალიზაციისათვის, ჩვენი აზრით, ანგარიში უნდა გაე-
წიოს შემდეგ გარემოებებს:

1. ენობრივი ფაქტორი. თხზულების ტექსტი როგორც შორფო-
ლოგიურად, ასევე სინტაქსურად საფუძვლიანად არის შესწავლილი
და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბასილის ნაწარმოების ჩვენამდე
მოდწეული ტექსტი X—XI საუკუნეების თხზულებათა წრეს განეკუთ-
ვნება⁸⁰. მაგრამ თხზულებაში მოთხრობილი ამბების დათარიღებისათ-
ვის, ჩვენი აზრით, გაცილებით საგულისხმოა მისი ლექსიკური მხარე,
კერძოდ, ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი, რომლებსაც მეტაფრასტს ვერ
მივაკუთვნებთ და რომელთა უმეტესი ნაწილი გვიანდელი წარმოშო-
ბისაა, ნაწილი თუმც ძველია, მაგრამ საგრძნობლად მოდერნიზებუ-
ლი⁸¹. საკუთარ სახელთა უმრავლესობა ქართულ ძეგლთაგან პირველად
ბასილის თხზულებაში დასტურდება.⁸² ბეშქენ — Beşken, საშ. სპ. Peş-
gin, არაბული Biskīn, სომხური Peşgen ქართულ წყაროებში XI
საუკუნეზე უადრესს არ გვხვდება („მატიანე ქართლისა“), ამავე დროს,
აღნიშნული სახელი თავისი ფორმით (თავკიდური „ბ“-ს გამო) უფრო
ახლოა არაბულ, ვიდრე საშუალო სპარსულ ანდა სომხურ ფორმებ-
თან.

ბაჰლაუნდი — Bahlaundi, ძვ. Parθava, საშ. სპ. Pahlav, Pahlavān,
ახ. სპ. Pahlav, Pahlavan, არაბ. Pahlavān, სომხ. Պահևաունի. აღნიშნუ-
ლი სახელი წარმოშობით საშუალო სპარსელია, ბასილის თხზულებაში
კი ახალი ფორმით არის წარმოდგენილი. იგი „დ“ ბოლოკიდურით ახალ
სპარსულ ფორმას უახლოვდება. ამ უკანასკნელის არსებობა IX საუკუნემ-
დე არ არის მოსალოდნელი.

⁸⁰ ნ. გ. ო. გ. უ. ა. ძ. ე. «სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების» ტექსტისა და ენის საკო-
თხები, ფილოლოგიური ძიებანი, I. თბილისი, 1964, გვ. 7—23.

⁸¹ ძეგლში მოხსენიებულ საკუთარ სახელებზე უფრო დაწვრილებით მსჯელობა
გვექნება ქვემოთ, შრომის ამ ნაწილში კი მიზანშეწონილად ვცანით მათი მხოლოდ ჩა-
მოთვლა და მოკლედ კომენტირება.

⁸² აღნიშნული საკითხის მნიშვნელობაზე პირად საუბარში მიგვიითთა აწ განსვენე-
ბულმა ი. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ე. მ., რომელსაც მნიშვნელოვანი დაკვირვებები ჰქონდა, მაგრამ
მათი გამოქვეყნება, საუბედუროდ, ვერ მოასწრო.

ბასილის თხზულებაში დამოწმებულ საკუთარ სახელებზე ზოგიერთი ცნობა
მ. ა. ნ. დ. რ. ო. ნ. ი. ა. შ. ვ. ი. ლ. მ. ა. ზეპირ საუბარში მოგვაწოდა, რისთვისაც მადლო-
ბას მოვახსენებთ.

ამასპო — Amaspo. წარმოსდგება ფორმისაგან ამაზასპ — Hamā-zāspa. ეს უკანასკნელი IX საუკუნემდე არ გვხვდება ქართულ მწერლობაში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“). მისი სახეცვლილება ამაზასპი, ისევე როგორც თავად ფორმა ამაზასპი, დადასტურებულია ლეონტი მროველთან. ბასილი ზარზმელის თხზულებაში დამოწმებული ფორმა — ამასპო ამაზასპის სახეცვლილებას წარმოადგენს. ამ უკანასკნელის გაქართულებული, შედარებით გვიან მიღებული ფორმაა.

ია — ia < „აჰაჰა“ — yahya. წარმოშობით, შესაძლოა, არაბულია, მაგრამ ქართულ წყაროებში XII საუკუნეზე უადრესს არ გვხვდება.

ლატავრი — latavri. „ავრი“ სუფიქსიანი სიტყვები ძველად გამოყენებული ყოფილა ქალის სახელებად. რა არის ეს „ავრი“? იგი სპარსული წარმოშობისა უნდა იყოს და ნიშნავს „ასულს, ქალს, ქალიშვილს“⁸³. ქართულ წყაროებში XI საუკუნემდე არ გვხვდება („მატიანე ქართლისა“). ჰრ. აჰარიანის მოწმობით, აღნიშნული სახელი სომხურში ქართულიდან არის შესული.

გარბანელი — garbaneli. აღნიშნული სახელი სომხურშიც იხმარება, მხოლოდ ოდნავ განსხვავებული ფორმით (*Գարբանիէլ*); იხსენიება მხოლოდ ერთხელ და ისიც XI საუკუნეში. ამ სახელის ეტიმოლოგია ჰრ. აჰარიანისათვის უცნობია. როგორც ჩანს, სომხურში ეს სახელი შესულია ქართულიდან, რაზედაც მიუთითებს სადაურობის აღმნიშვნელი ქართული სუფიქსი -ელ.

ქურდ — kurd. სომხური *քուրդ*, ჰრ. აჰარიანის აზრით, მომდინარეობს სპარსული kurd-იდან და VIII საუკუნეზე უადრესს არ გვხვდება.

II. ფერისცვალების კულტი. ფერისცვალების დღესასწაული, როგორც ეორტოლოგიის ისტორიიდან არის ცნობილი, აღმოსავლეთში ფეხს იკიდებს საყოველთაოდ VIII საუკუნიდან, ხოლო კონსტანტინოპოლში იმპერატორ ლეონ ბრძნის (886 — 912) დროიდან. VIII საუკუნეზე ადრე მისი გავრცელება საქართველოში, ალბად, საეჭვოდ უნდა მივიჩნიოთ⁸⁴.

⁸³ ა. ბ ა ნ ი ძ ე, *ჯერი სუფიქსიანი ქალის სახელები ძველ ქართულში*, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, II, საიუბილეო, თბილისი, 1968, გვ. 12.

⁸⁴ В. В. Болотов, Михайлов день. Почему собор св. архистратига Михаила совершается 8 ноября? (Эртологический этюд). Христианское чтение, 1892, Ноябрь-Декабрь, гв. 616—621. ფერისცვალების კულტის შესახებ იხ. Boobyer, G. H. St. Mark and the Transfiguration Story, Edinburgh-London, 1942; Grawfurd, L. P. The Transfiguration. A Manifestation of God in Man, London, 1912; Remsey, A. M. The Glory of God and the Transfiguration of Christ, 1949; Riesenfeld, H. J'ésus transfiguré. L'Arrière-plan du récit évangélique de la transfiguration de Notre-Seigneur (Acta Seminarii Neotestamentici Upsaliensis, XVI-1947).

III. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში დამოწმებულ სოციალურ ტერმინოლოგიას (მამული, ერი) გვიანდელი სემანტიკა აქვს.

IV. აწყურის ეპისკოპოსის გაძლიერება და მის მიერ სამცხის საერო ხელისუფლების ხელთ გდება, რასაც გვამცნობს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, მოსალოდნელია არა VI საუკუნეში, როცა ნამდვილად ისიც კი არ ვიცით, არსებობდა საერთოდ აწყურის ეპარქია თუ არა, არამედ უფრო IX საუკუნეში, რადგან ამ პერიოდთან აშკარად ჩანს მაწყვერლის აღზევება (გრიგოლ ხანატელის ცხოვრება).

V. ტერმინები „ქუეყანა“ და „სოფელი“ ბასილის თხზულებაში დამოწმებულია ახალი მნიშვნელობითაც, რაც მათ VIII — IX საუკუნეებში შეიძინეს (ი. ჭავჭავაძის მიხედვით).

VI. ბაჰლაუნდების გვარის ისტორია. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხსენიებული ბაჰლაუნდის გვარიდან შემდეგში წარმოიქმნა ორი და შესაძლოა სამიც ახალი გვარი: ახალი ჩორჩანელები, ლაკლაკნი და ფალავანდიშვილები (?).

ლაკლაკთა საგვარეულო პირველად იხსენიება XI საუკუნეში, ზარზმის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში: „წმიდაო დედოფალო, მეოხ ეყავ წინაშე ძისა და ღმრთისა ჩუენისა ყოველთ ლაკლაკთ: ერისთავთ — ერისთავ მირიანს და... მე, გლახაკმა ეპრაქსია, დედამან სკსა (?) და მირიანისამან, შეეამკე... სალოცველად ყოველთა ლაკლაკთ, საკსენებლად სულისა ჩუენისა...“.

ბაჰლაუნდის გვარის მეორე განშტოება ახალი ჩორჩანელებისა, აგრეთვე, პირველად იხსენიება XI საუკუნის აღაპში. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება ჩორდვანელისა და ჩორჩანელის გაიგივებისა (კ. კეკელიძე, ა. ბოგვერაძე) და სკლიაროსის დამამარცხებელ სარდალ თორნიკეს (X ს.) ჩორჩანელად მიჩნევის შესახებ, რა თქმა უნდა, მცდარია.

ამრიგად, ბაჰლაუნდის გვარიდან წარმოქმნილი ახალი ჩორჩანელის გვარიცა და ლაკლაკთა გვარიც წყაროებში მხოლოდ XI საუკუნიდან იხსენიება.

სრულიად გამორიცხულია, რომ ლაკლაკ ბაჰლაუნდი, მოხსენიებული სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში, ყოფილიყო VI საუკუნის მოღვაწე, ხრლო ლაკლაკთა გვარი წარმოქმნილიყო X—XI საუკუნეში. ასევე გამორიცხულია, რომ პირველ ჩორჩანელთა საგვარეულო, მოხსენიებული სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში, გადაშენებულიყო VI საუკუნეში, ჩორჩანის მემამულეები ბაჰლაუნდები გამხდარიყვნენ იმავე საუკუნეში, ხოლო ჩორჩანელები მათ სწოდებოდნენ X—XI საუკუნიდან.

საეჭვოა, რომ ლაკლაკთა და ახალ ჩორჩანელთა გვარები წარმოქმნილიყო VI საუკუნეში და მათზე ცნობა შემოგვრჩენოდა მხოლოდ X—XI საუკუნიდან. ამასთან, ასეთ შემთხვევაში ახალ ჩორჩანელთა გვარის ისტორია გაიჭიმებოდა VI — XIII საუკუნეებზე, ხოლო ლაკლაკთა გვარისა VI — XII საუკუნეებზე, რაც აგრეთვე საეჭვოა. ამ პერიოდში ასეთი ხანგრძლივი ისტორიის მქონე გვარები არ ჩანს.

ბაჰლაუნდების გვარს X—XI საუკუნეებთან აახლოებს, აგრეთვე, ამ პერიოდის წარწერებში და აღაპებში მოხსენიებულ ლაკლაკთა და ახალ ჩორჩანელთა საგვარეულო სახელები: სულა, ივანე, მირიანი. X საუკუნესთან ამ გვარს აახლოებს, აგრეთვე, ზარზმის ეკლესიის წარწერა 979 წლის ახლო დროისა, სადაც მოხსენიებულია სკლიაროსის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილე ივანე სულას ძე. იგი, უეჭველია, ბაჰლაუნდების გვარისა თუ ამ გვარის ერთ-ერთი განშტოების წარმომადგენელია.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხსენიებული მირიან ბაჰლაუნდი, დიდი მთავარი, ცხადია, არ არის გიორგი მერჩულესთან მოხსენიებული მირიანი. ეს უკანასკნელი უფრო გვიანდელი მოღვაწე უნდა იყოს, მაგრამ ეს გვიანდელობა, ალბათ, ერთ თაობას არ გადასცილდება. ამავე დროს, ცხადია, რომ ორივე მირიანი ბაჰლაუნდების საგვარეულოდანაა. ამასთან, არც ერთი მათგანი მთლიანად არც განაგებს და არც ფლობს სამცხეს; მათ გვერდით ადგილი რჩება სხვა დიდი მთავრებისთვისაც.

ასე რომ, ბაჰლაუნდების გვარის ისტორია, ჩვენი აზრით, საბოლოოდ სწყვეტს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების თარიღის საკითხს მისი გვიანდელობის სასარგებლოდ.

სმრაპიონ ზარზმელის ცხოვრების ცნობები სამცხის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ისტორიაზე

1. ეკონომიკა

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი — მესხეთი ბუნებრივი ნიშნების მიხედვით ორ ზოლად იყოფოდა; ერთს შეადგენდა ზღვის სანაპირო ზოლი, რომელიც არსიანის ქედის დასავლეთით იყო გადაჭიმული და აჭარას, შავშეთსა და კლარჯეთს მოიცავდა. არსიანის ქედის აღმოსავლეთით მდებარეობდა მეორე ზოლი, რომელიც სამცხის, ჭავჭავთის, არტაანის, კოლასა და ტაოს თემებისაგან შედგებოდა¹.

ძველ ქართულ წყაროებში აღნიშნული ნაწილებიდან დაწვრილებითაა აღწერილი ზღვის სანაპირო ზოლის ჰავა და ნიადაგები. მისი მიწა-წყალი სოფლის მეურნეობის თვალსაზრისითაც კარგად არის დახასიათებული². საკმარისია დავასახელოთ გრიგოლ ხანტელის ცხოვრება, რომელიც უხვად შეიცავს ცნობებს ამ თვალსაზრისით. რაც შეეხება მეორე ზოლს, მის შესახებ მასალა მწირია³; ამიტომაც

¹ ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930, გვ. 144.

² ი ქ ე ე.

³ მესხეთის მიწა-წყლის მოკლე დანახიათება მოვეცა პროკოპი კესარიელმა. მისი ცნობები ძირითადად არსიანის ქედის აღმოსავლეთით მდებარე ნაწილს შეეხება, ამდენად მათი მნიშვნელობა, წყაროთა სიმცირის გამო, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს.

პროკოპი კესარიელის ცნობით, ლაზების ქვეყნის მეზობლად, «...სახელდობრ იბერიის გასწვრივ, ცხოვრობენ ძველთაგანვე იბერთა ქვეშევრდომი მესხები, რომელთაც მთებში აქვთ საბინადრო ადგილები... ამ ქვეყანაში ღებები მეტად მაღალია, უზარმაზარი და საშინლად მიუვალი. და ისინი გავრცელებულია ვიდრე კავკასიის მთებამდე. ამათ უკან აღმოსავლეთით არის იბერია, რომელიც პერსარმენიელებამდე აღწევს» (De bello Gothico, გეორგიკა, ტომი II. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს ი მ ო ნ ყ ა უ ხ ხ ი შ ვ ი ლ მ ა, 1965, გვ. 127).

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ყველა ის წყარო, რომელიც ამ ზოლის შესახებ მცირეოდენ ცნობას მაინც გვაწვდის. ამ მხრივ დიდ ყურადღებას იმსახურებს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, რადგან მასში დაცული ცნობები საგანგებოდ სამცხეს შეეხება.

აღნიშნული პროვინცია სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ძველთაგანვე დაწინაურებული ყოფილა. ამაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა მისი ჰავა, ნიადაგი და საერთოდ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა.

სამცხეს სავაჭრო-სამომოსვლო გზები აკავშირებდა როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხესთან, ისე მეზობელ ქვეყნებთან. სამცხიდან გზები მიდიოდა ლიხთ-იმერეთს, გურიას, აჭარას, შავშეთს, ერუშეთ-არტაანს, ჯავახეთსა და ქართლს⁴.

ვახუშტის მიხედვით, ახალციხის წყალი კვანძლას ზევით ოთხ მდინარედ იყოფოდა. ესენია: ფერსათის მთებიდან გამომდინარე ოძრხის წყალი, ქვაბლიანისა და ბოცოს წყლები გურია-აჭარის მთებიდან, ჯაყის წყალი არსიანის მთებიდან მისი შემდინარე ფოცხოვის ხევით⁵.

სწორედ ამ მდინარეთა ხეობებს მიჰყვებოდა გზები. სამცხიდან ჩრდილო-დასავლეთით გზა მიემართებოდა იმერეთში. ვახუშტი ოძრხის წყლის ხეობით იმერეთს მიმავალ გზას შემდეგნაირად აღწერს: „გარდავალს აქედამ გზა კაკას ხიდზედ, ბაღდადს. ამ გზას ეწოდა, მთით, რკინის-ჯვარი“⁶. „რკინის ჯვარის გზა ერთი მთავარი მაგისტრალთაგანი იყო, — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, — სამხედრო-პოლიტიკურთან ერთად, მას დიდი ეკონომიური მნიშვნელობაცა ჰქონდა. ბიზანტიიდან (ანატოლიიდან), და განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, უმთავრესად ამ მიმართულებით შედიოდნენ ლიხთიქით საქართველოში“⁷.

სამცხიდან გზა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით არტაანისაკენ მიდიოდა. არტაანი დიდი და მნიშვნელოვანი მაგისტრალების სავანძო პუნქტი იყო.

სამცხიდან გზები გადიოდა აგრეთვე გურიაში, აჭარაში, შავშეთსა და ერუშეთში. ვახუშტი გვამცნობს: „ხოლო ქვაბლოვანისა და ბოცოს-წყლის სათავიდან გარდავლენან გურიას და აჭარას გზანი, და ჯაყის-

⁴ ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 84.

⁵ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 125—126.

⁶ იქვე, გვ. 125.

⁷ ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 86—87.

წყლის სათავიდამ გარდავალს აჭარასა და შავშეთს გზანი, და ფოცხოვის-წყლის სათავიდამ გარდავალს ერუშეთს გზა⁸.

ქვაბლიანის ხეობა რომ ჯერ კიდევ VIII — IX საუკუნეებში ყოფილა ეკონომიურად დაწინაურებული, ამაზე მეტყველებს ზარზმის ტაძარი, ზანავსა და ჩორჩანში სამცხის მთავრის—გიორგი ჩორჩანელის დიდ სასახლეთა არსებობა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს აშკარად მოწმობს, რომ მეზობელ მხარესთან — აჭარასთან ქვაბლიანის დამაკავშირებელი გზა იყო ცხოველი და განვითარებული, მაგრამ „...ამისდა მიუხედავად ძველი მოწმობანი აჭარა-სამცხეს შორის ამ გზით მიმოსვლის შესახებ თითქმის არ გაგვაჩნია (თუ არ დაუშვებთ, რომ ანდრია მოციქული დიდ აჭარიდან სამცხეში რკინის ჯვარ-ოდრხეს გზით კი არა, არამედ გოდერძ-ქვაბლიანით შეიძლება მხოლოდ შემოსულიყო)“⁹.

ისტორიული სამცხის გულს ახალციხის ქვაბული წარმოადგენს¹⁰. ეს უკანასკნელი ოროგრაფიულად საქართველოს სამხრეთი მთიანეთის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ჩრდილოეთიდან იმერეთის ქედით, სამხრეთიდან ერუშეთის მალლობით, ხოლო აღმოსავლეთსა და დასავ-

⁸ ე ა ხ უ შ ტ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 126.

⁹ ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 89.

¹⁰ ახალციხის ქვაბულისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული და სხვა ხასიათის მიმოხილვა მოცემულია შემდეგი სპეციალური ნაშრომების მიხედვით: Б. А. Клоповтовский, Ахалцихская котловина, узел основных ландшафтов Закавказья (Юго-Западная Грузия). Труды Второго всесоюзного географического съезда, I, Москва, 1948 г., стр. 356—366; Гамкрелидзе П. Д. и Эдилашвили В. Я., Геологическое описание листа К-38-XX (Боржоми), 1941; Кордзыхия М. О. и Напетваридзе Е. А., Климатические типы Грузии и зоны их распространения (с картой климатов Грузии), 1946 год; Сосновский Д. И. и Клоповтовский Б. А., Геоботаническая карта Ахалцихской котловины, 1946; Фигуровский И. В., Климаты Кавказа (Предварительный очерк). Записки Кавказского отдела Русского географического общества, кн. XXIX, вып. 5, Тифлис, 1919; Фигуровский И. В., Деление Кавказа на физико-географические области и районы, отдельный оттиск из № 2 XXIV тома «Известий Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества», 1916; ა ბ ე ს ა ძ ე, გ., ახალციხის მაზრის ხორბლები, ექსპერიმენტული აგრონომიის ინსტიტუტის შრომა, № 6, 1930; В. Л. Менабде, Пшеницы Грузии, Тбилиси, 1948; ახალციხის საცდელი მინდვრის 1952 წლის ანგარიში, მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქივი, საქმე № 03-009; Н. И. Вавилов, Научные основы селекции пшеницы, Избранные труды, III, Москва-Ленинград, 1962; ნ. კ ე ტ ლ ი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბილისი, 1957; ნ. ვ ე ე ლ ი, საქართველოს მცენარეული საფარი, თბილისი, 1960 და სხვ.

ლეთიდან შესაბამისად თრიალეთისა და არსიანის ქედებით არის შემოსაზღვრული.

დღევანდელ საზღვრებში ქვაბულის ფართი 2500 კვ კმ-ს შეადგენს. ქვაბულისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის უდაბლესი და უმაღლესი ჰიფსომეტრიული მაჩვენებლებია შესაბამისად 900 (აწყური) და 2964 მეტრი (მთა კაჟუმბერტი). ქვაბული საქართველოს რელიეფის ერთი მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ნაწილია. მისგან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს ნესტიანი, ტყიანი დასავლეთ ამიერკავკასია (ნაწილობრივ სუბტროპიკული კოლხეთი), სამხრეთ-აღმოსავლეთით — ცივი და კონტინენტური მთიან-მდელოიანი და ნახევრადუდაბნო-სტეპიანი სამხრეთ-კავკასიონის ვულკანური ზეგანი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით — გრილი და თბილი აღმოსავლეთი ამიერკავკასია (მდინარე მტკვრის შუა და ქვემო წელის აუზი).

ახალციხის ქვაბულის უდიდესი ნაწილი თავისი ლანდშაფტით განეკუთვნება აღმოსავლეთ ამიერკავკასიას; მისი სამხრეთი, ამაღლებული ნაწილი — ერუშეთის ზეგანი — საქართველოს სამხრეთ მთიანეთის შემადგენლობაში მყოფი ვულკანური ზეგანის ჩრდილო-დასავლეთ კიდეს შეადგენს. რაც შეეხება ქვაბულის დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიას, მასზე მკვეთრად იგრძნობა დასავლეთ ამიერკავკასიის ლანდშაფტის გავლენა.

ოროგრაფიულად ახალციხის ქვაბულის ძირი, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 900 — 1100 მეტრს უდრის, მდინარეული ტერასების ფართო გავრცელებით ხასიათდება. ეს უკანასკნელნი გენეტურად მდ. მტკვრის, ფოცხოვის, ქვაბლიანის მოქმედებასთან არიან დაკავშირებული. რაც შეეხება ქვაბულის ფერდობებს, იგი გარემოცულია მთებისა და ქედების — ახალციხე-იმერეთის, არსიანის, საბადურ-ოშორის და სხვა დასაფხვურებული და მძლავრად დაღარული ხეცებითა და ხეობებით. ქვაბულის სამხრეთ ნაწილში აღმართულია ერუშეთის ლავური ზეგანი (2000-დან 2900 მეტრამდე ზღვის დონიდან).

ახალციხის ქვაბული ჰიდროგრაფიულად წარმოდგენილია მდ. მტკვრითა და მისი შემდინარეებით, აგრეთვე, წვრილი ტბებითა და მრავალი მინერალური და მტკნარი წყაროთი. მდინარე მტკვარი მესხეთის ფარგლებში იერთებს რიგ მნიშვნელოვან შემდინარეებს — მარცხნიდან ფოცხოვს (შენაკადებით ქვაბლიანითა და ოცხეთი), ურაველს, წინუბნის წყალს, მარჯვნიდან კი — ახალქალაქის წყალს, კოდალას, ოთასწყალს, ოშორისწყალს და სხვ. ტბები განლაგებულია მტკვრის ხეობაში (წუნდის ტბა), ერუშეთის მაღლობის ჩრდილო-დასავლურ კიდეზე (ტბა სათახვე) და აჭარა-იმერეთის ქედის თხემზე. მინერალუ-

რი წყაროები არის აბასთუმანში (ოცხე), ასპინძასთან, ურაველში და ა. შ.

ახალციხის ქვაბულის ჰავა გარდამავალია აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაბლობისათვის დამახასიათებელი კონტინენტურ-სუბტროპიკულიდან დასავლეთ საქართველოსათვის ტიპური ზღვის ჰავისაკენ. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 460-დან 900 მმ-მდე; ქვაბულის ძირის უმეტეს ნაწილში საშუალო-წლიური ტემპერატურა 5—9° უდრის, ფერდებზე — 0—3°. ჰავა თანდათან მშრალდება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, აგრეთვე, ფერდებზე ზევითან ქვევით, სიმაღლის შემცირებასთან ერთად.

ახალციხის ქვაბულში ნიადაგების მიხედვით სამი ვერტიკალური ზონა გამოიყოფა: 1. მთიან-მდელოიანი რუხი (ტყიანი) ნიადაგები, რომლებიც გავრცელებულია ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე არსებულ ადგილებში, 2. რუხი ტყიანი ნიადაგები 1500-დან 2000 მეტრამდე ზღვის დონიდან, 3. ყავისფერი (ტყიანი) ნიადაგების ზონა, რომელიც უმეტესად ქვაბულის ძირა ნაწილშია (1200-დან 1500 მეტრამდე და უფრო დაბლა ზღვის დონიდან). ამ უკანასკნელს უნდა მივაკუთვნოთ ის ზოლიც, რომელიც ტყიანი ნიადაგებიდან წაბლა-სტეპურ ნიადაგებზე გარდამავალია და უმეტესად გვხვდება ახალციხის ქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილში. ამავე სიმაღლის ადგილებში კუნძულების სახით არის შავმიწიანი ნიადაგები. იგივე შეიძლება ითქვას წაბლა ნიადაგების შესახებაც. ამას გარდა, ქვაბულში მდინარეთა ხეობების ძირზე და მიმდებარე ზოლში გვხვდება ალუვიური და დელუვიური ნიადაგები.

ახალციხის ქვაბული ქართველი ხალხის კულტურის ერთ-ერთი უძველესი კერაა.

მესხეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მიუხედავად ამ ქვეყნის მთაგორიანობისა, დახელოვნებული მიწათმოქმედი ყოფილა. აქაურ მკვიდრთ ვენახებიცა და ხეხილის ბაღებიც ჰქონიათ გაშენებული. მესხეთის მოსახლეობის დიდი შრომისმოყვარეობა და მეზღეობა-მეხილეობით გატაცება ჯერ კიდევ პროკოპი კესარიელს (VI ს.) შეუნიშნავს: „მესხეთის მთები არც მწირია და არც ნაყოფიერებას მოკლებული, არამედ სავსეა ყოველგვარი სიკეთით, რადგან მესხებიც მარჯვე მიწის მუშები არიან და იქ ვენახებიც არიან“¹¹. მესხეთის მცხოვრებნი, როგორც მარჯვე მიწათმოქმედნი, აწარმოებდნენ ბრძოლას ეროზიის წინააღმდეგ: ნიადაგს ათავისუფ-

¹¹ De bello Gothico, გეორგიკა, ტომი მეორე, თბილისი, 1965, გვ. 127.

ლებდნენ ქვებისაგან, რომელთაც იყენებდნენ მიჯნებისათვის, და ამრიგად ქმნიდნენ ხელოვნურ ტერასებს. სწორედ ხეობათა კალთებზე შექმნილი ხელოვნური ტერასები გამოიყენებოდა ვენახებისა და ხეხილის ბაღების გასაშენებლად. ამგვარი ხელოვნური ტერასები სამცხეში უნახავს XIX საუკუნის 70-იან წლებში ლ. ზ ა გ უ რ ს კ ი ს, რომელიც ამის თაობაზე წერს: «Проезжая около деревни Хизабавры, мы заметили небольшие виноградные лозы, расположенные террасами на покатости, обращенной к югу. Подобные виноградные лозы видели мы потом при въезде в Хертвис и в других местах ущелья. Жители Хизабавры готовят даже вино, подходящее по своему вкусу к имеретинскому»¹².

იმავე ავტორის მოწმობით, აღნიშნულ სოფლებს გარდა, მევენახეობით განთქმული ყოფილა სოფ. უნწა და აგრეთვე ქ. ახალციხე. «В Унце, — как нас уверяли, — виноградные лозы давали в последние годы зрелый и сочный виноград. В самом Ахалцихе хорошо привился один сорт винограда, пересаженный из Артевина»¹³. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ახალციხის მაზრას ღვინო საკმარისად მაინც არ ჰქონდა და იგი შემოჰქონდათ იმერეთიდან: «Протяжение всей дороги от Ахалциха, через перевал Ркинисджвари и Зекарское ущелье, до Кутаиси — 107 верст; по этой дороге, называемой обыкновенно Зекарскою, из Имеретии в Ахалцих везут главным образом вино, а из Ахалциха в Имеретию отправляют: хлеб, огородные овощи, фрукты и в особенности разного рода скот, значительное количество которого пригоняется из Турции»¹⁴.

სამცხეში შუა საუკუნეებში განვითარებული ყოფილა მემინდვრეობა. ამაზე მეტყველებს ერთი ფრიად საყურადღებო ცნობა ჟამთააღმწერლისა, სადაც ნათქვამია: „ყრმანი მკუღართა დედათა ძუძუთა ლეშეთა სწოვდიან, და უ მ რ ა ვ ლ ე ს ი ე რ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა წ ა რ ვ ი დ ა სამცხეს, ქუეყანად ბექასსა, სადა — ი გ ი ი პ ო ვ ე ბ ო რ ა პ უ რ ი ს ა ს ყ ი დ ლ ა დ. ფრიადსა და უზომოსა მოწყალეობასა შინა იყო მეუღლე ბექასი ვახახი, რომელი იყო ყოვლითურთ შემკობილი“¹⁵.

აღნიშნული პროვინცია სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით რომ ჯერ კიდევ VIII — IX სს. ფრიად დაწინაურებული ყოფილა, ამას ადასტურებს ზოგიერთი ცნობა, რომელიც ბასილი ზარზმელის თხზულებაშია დაცული.

¹² Л. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. ЗКОИРГО, кн. VIII, Тифлис, 1873, გვ. 54.

¹³ იქვე, გვ. 55.

¹⁴ იქვე, გვ. 40—41.

¹⁵ ჟამთააღმწერელი, ქც., II, გვ. 310_{გ-11}.

როგორც წყაროდან აშკარად მოჩანს, სამცხეში განვითარებული ყოფილა მემინდვრობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ტერმინ „აგარაკის“ დამოწმება: „რამეთუ იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაჲთა, რომლისა სიერცე საზღვართ-ვრცელ და მრავალ იყო“¹⁶. ან კიდევ: „მერმე მოილო (სერაპიონ ზარზმელმა, ნ. ვ.) ანდერძი დიდისა მის მთავრისა გიორგისი და წარიკითხა აღსავსემან ცრემლითა, და ილოცა მისთვის და აკურთხა კურთხეული იგი კაცი, რამეთუ მდიდრად მიეცა ყოველივე უხუებით: აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე საკედართა და მროწეულთაჲ“¹⁷.

მემინდვრობის არსებობაზე მეტყველებს ტერმინი „ყანობირი“, რომელიც აღნიშნულ ძეგლშია დატული: „...ვიხილენით მცირენი რა[ჲ]მე ყანობირნი და მცირე დაბაჲ“¹⁸. ყანობირი უძველესი ტერმინია. იგი ქართული ოთხთავის ტექსტში რამდენჯერმე გვხვდება¹⁹. ამ უკანასკნელის სიმფონია-ლექსიკონში ის ახსნილია, როგორც ყანებო²⁰. სულხან-საბა ორბელიანთან ვკითხულობთ: „ყანობირი-ყანები“²¹. აღნიშნული ტერმინის ამგვარივე ახსნა გვაქვს ი. აბულაძისეულ ლექსიკონში²².

ბასილი ზარზმელის თხზულებაში იხმარება ტერმინი „ორთოკი“: „ხოლო წმიდამან მან აღილო კელითა თვისითა ორთოკი რკინისა[ჲ] და გამოაქანდაკენა ჭუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა, რომელნი-იგი იხილვებიან ვიდრე დღენდე[ლ]ად დღემდე“²³. სულხან-საბა ორბელიანი ამგვარად განმარტავს აღნიშნულ ტერმინს: „ორთოკი-ორგნითვე სათხროლი“²⁴. ასეთი სამეურნეო იარაღი, რომელსაც ერთი ფუნქციის მატარებელი ორი პირი ჰქონდა, ნაპოვნია

¹⁶ ს-ნ ზარზმელს ცა. გვ. 157₁₂₋₁₅.

¹⁷ ი ქ ვ ე, გვ. 177₆₋₁₀.

¹⁸ ი ქ ვ ე, გვ. 163₁₄.

¹⁹ იხილეთ: ყანობირი ეგვი, რგანთეთრებულ არიან და ახან მკად, ი. 4,35 C; წარვიდოდა იესუ დღესა შაბათსა ყანობირსა მათსა, მ. 12,1; ე-რ-იგი თანა-წარპვიდოდა ყანობირსა შაბათსა შინა, მრ. 2,23.

²⁰ ი. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბილისი, 1948—1949 წწ.

²¹ ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფ-შიძის და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928.

²² ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

²³ ს-ნ ზარზმელს ცხ-ბა, გვ. 164₁.

²⁴ ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, I, თბილისი, 1966.

მახარაძის რაიონის სოფელ შრომაში და ამჟამად მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება²⁵. იგი წარმოადგენს სწორკუთხა ფორმის ბრინჯაოს თუ სპილენძის ფირფიტას, რომელსაც შუა ნაწილში სატარე ხვრელი აქვს. სატარეს უკანა პირი, ისევე როგორც ჩვეულებრივი ბრინჯაოს თოხებისა, მილისებურად გამოშვებულია. იარაღის ორივე პირი მოკვეთილია, რაც იმის მანიშნებელია, რომ მას ორივე მხრიდან ერთნაირად ხმარობდნენ მიწის დასამუშავებლად²⁶. საქართველოს რელიეფისა და ნიადაგის მრავალგვარობის გამო მიწის დამუშავება სახვნელით ზოგჯერ ალბათ ვერ ხერხდებოდა, უპირატესად მთის ზოლში, და ამ მიზნით თოხს ხმარობდნენ ხოლმე, რასაც ბასილის თხზულებაც ადასტურებს.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ტექსტში დამოწმებულია ტერმინი „წისკელი“²⁷, რაც აგრეთვე ადასტურებს მემინდვრეობის განვითარებას VIII—IX სს. სამცხეში.

მიწათმოქმედების საკითხს უნდა უკავშირდებოდეს მიწის აზომვის წესი.²⁸ გიორგი ჩორჩანელმა იხმო ვინმე ჭაბუკი ასაკითა და უთხრა: „შვილო საყუარელო, გზა-ჰყევ წმიდათა ამათ და ხვალე განთიადით განვიდრე მწუხრამდე [რაოდენი] შემოწერთ შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა, ვინა[ა]თგან აღგილსა ამას წადიერ არიან. და უკუეთუ ვინმე იპოოს დამახრწველ მათდა უცხოებისათვს, ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისაებრ აშენებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა“²⁹.

მესხეთი, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი, განთქმული ყოფილა მესაქონლეობით. ი. ჯავახიშვილის თქმით, ამ ნაწილში „...ზამთარი მკაცრი უნდა ყოფილიყო, ზაფხული კი გრილი და საამო; მალღობი მდებარეობის წყალობით აქ ზაფხულში, მეტადრე ჯავახეთსა და კოლა-არტაანში საუცხოვო ბალახი იცოდა და მშვენიერი სამოვრები იყო, რომლითაც საქართველოს სხვა თემების მესა-

²⁵ ო. ჯავახიშვილი, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, ტომი 49, 1953, გვ. 178.

²⁶ იქვე, გვ. 200.

²⁷ ს-ნ ზარზმელის ცხბა, გვ. 162²², 162³¹⁻³².

²⁸ ცნობილია, რომ საქართველოში არსებობდა და დღესაც არსებობს დღიური გუნთხე-

²⁹ ს-ნ ზარზმელის ცხბა, გვ. 161²²⁻³⁰—162¹.

ქონლებიც სარგებლობდნენ³⁰. ამ მხრივ სამცხეც არ იყო გამონაკლისი.

მიწათმოქმედების გვერდით VIII—IX სს. სამცხის მეურნეობაში მესაქონლეობის განვითარებაზე მეტყველებს, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ცნობით, გიორგი ჩორჩანელის კარზე საჯედართა³¹, მროვეულთა³², ჯორები³³, კარაულელების³⁴ და სხვა მრავალგვარი საქონლის არსებობა³⁵.

იგივე ძველი გვამცნობს სამცხეში მონადირეობის მნიშვნელოვან როლს. ნადირობა, როგორც მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი, ფრიად გავრცელებული ყოფილა არა მარტო სამცხეში, არამედ საქართველოს ყველა სხვა კუთხეში. საამისო ცნობები საკმარისად მოგვეპოვება წერილობით წყაროებსა და ლიტერატურაში: კავკასიისა და საქართველოს ფაუნისა და ნადირობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მცოდნე ა. კალინოვსკი წერდა, რომ კავკასიაში დამოწმებულია ნადირობის მეტად ფართო გავრცელება და ამავე დროს ნადირობის წესების მნიშვნელოვანი სიუხვე, დაწყებული პრიმიტიული და დამთავრებული სავსებით განვითარებული ხერხებით³⁶.

ქართველი ხალხის ყოფასა და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაცულია ნადირობის ჩვევები და, რაც მთავარია, მისი ორგანიზაციის მრავალგვარი სახეობა³⁷. ამ მხრივ შესანიშნავი ტრადიციების მქონე ისტორიული სამცხის მოსახლეობა.

ქართველ ტომებში ნადირობას პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა: „მრავალრიცხოვან მტერთან მუდმივ ბრძოლაში ჩაბმული ქართველი ხალხისათვის, იმ ხალხისათვის, რომელიც ერთი ხელით უდიდეს კულტურულ მშენებლობას ეწეოდა, ხოლო მეორეთი ნიადაგ მტერს იგერიებდა, რეგულარული არმიის არყოლის პირობებში სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ნადირობას, როგორც სამხედრო ვარჯიშს. ორგანიზებული, მასობრივი ნადირობა წრთვნიდა ხალხს, ზრდიდა მასში

³⁰ ი. ქაჯახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1930, გვ. 146.

³¹ სწ. ზარზმელის ცხება, გვ. 159^ა, 161^ბ, 177^გ.

³² იქვე, გვ. 177^ბ.

³³ იქვე, გვ. 171^ა.

³⁴ იქვე, გვ. 171^ბ.

³⁵ იქვე, გვ. 177^გ.

³⁶ ა. რობაქიძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს ხალხო მეურნეობაში, I, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, თბილისი, 1941, გვ. 76.

³⁷ იქვე.

საბრძოლო თვისებებს, ამტკიცებდა სამხედრო სულისკვეთებას და უზრუნველყოფდა ქვეყნის თავდაცვით უნარიანობას. დახელოვნებული მონადირე მოწინავე მებრძოლსა ნიშნავდა და აქედან ბუნებრივად რაინდის იდეალის განუყრელ თვისებას დახელოვნებული ნადირობა და უცდომელი მოისარობა წარმოადგენდა³⁸.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება ნათელყოფს, თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნადირობას ფეოდალის ყოფაში; თხზულების მიხედვით, დიდი და წარჩინებული მთავარი — გიორგი ჩორჩანელი „უმრავლესთა ჟამთა“ ნადირობაში ატარებდა; ამ უკანასკნელისათვის ნადირობა წარმოადგენდა დასვენებას, შვება-განცხრომასა და გართობას და, ამავე დროს, ყოფის აუცილებელ ატრიბუტს.

გიორგი ჩორჩანელი ნადირობდა ხოლმე საგანგებოდ ადგილას, რომელიც მდიდარი იყო თხითა და „სხუათა ნადირთა ველურთა[ა]თა“, და რომელსაც ცხროჭა ეწოდებოდა³⁹. ამ ადგილას მას სახლიც ჰქონია აგებული, „...რომელ ოდესმე ეწიის ღამე, — მოგვითხრობს აგიოგრაფი, — სადგურ ყვიან მას შინა სიბნელისათვის ღამისა და უვალობისა და სიქშოჰსა ტყეთა[ა]სა“⁴⁰.

ნადირობისას გიორგი ჩორჩანელის გვერდით იმყოფებოდნენ და მასთან ერთად ნადირობდნენ „მთავარნი“, რომელნიც ამავე დროს იყვნენ „საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი“, „წინაშემდგომელნი“, მსახური, რომელსაც აგიოგრაფი ერთ შემთხვევაში „ყრმას“ უწოდებს, ხოლო მეორეში — „მონას“.

ძველ საქართველოში პირველ რიგში ნადირით ბუნებრივად მდიდარ ადგილებში ნადირობდნენ, როგორც იყო ყარაიაზის დაბლობი, თრიალეთის შამხნარი, აჯამეთის ტყე, გეგუთი და გელათი, მაგრამ როგორც წყაროებიდან ირკვევა, მეფეებს თავის სამფლობელოში სპეციალური ნაკრძალებიც ჰქონდათ მოწყობილი⁴¹. ა. რ. ბ. ა. ქ. ი. ძ. ის. აზრით, ნაკრძალები ცალკე საერისთავოებშიც არსებობდა. ამის ნიმუშად ავტორს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში საგანგებოდ დასახელებული ადგილი ცხროჭა მიაჩნია⁴². მკვლევრის აზრით, ასეთ ადგილებში სხვას აკრძალული უნდა ჰქონოდა ნადირობა, რასაც მოწმობს გიორგი ჩორჩანელის ამგვარი განცხადება: „ვინა[ა] არს ადგილსა

³⁸ ა. რ. ბ. ა. ქ. ი. ძ. ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 151.

³⁹ ს-ნ ზარზმელის ცხრა, გვ. 157²²⁻²⁴.

⁴⁰ ი. ქ. ვ. ე, გვ. 157²⁴⁻²⁶.

⁴¹ ა. რ. ბ. ა. ქ. ი. ძ. ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 22.

⁴² ი. ქ. ვ. ე, გვ. 23—24.

იმას სიჭმომ[ა] კუამლისა[ა], ანუ თუ ვის რად უქმს ცეცხლი? უკუეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადნიერ და ურცხვნო ქმნილ არს? და-
ლათუ სხუაჲ საჭირო რაჲ ვის უქმს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერ-
ვართ?“⁴³.

თუ საზოგადოების ერთი ნაწილისათვის ნადირობა უმეტესწილად
გართობა-დასვენების საშუალება იყო, გარკვეული წრისათვის იგი შე-
მოსავლის წყაროს წარმოადგენდა, თუმც დიდი ხანია აღარ იყო ქვეყ-
ნის მეურნეობის მთავარი და უპირველესი დარგი, რის გამოც სამე-
ურნეო ყოფაში მას გადამწყვეტი როლი, ბუნებრივია, აღარ ექნებოდა.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება საყურადღებო ცნობებს გვაწვე-
ლის ნადირობის ორგანიზაციის შესახებ: „და ვითარცა ვილოდეთ, აჰა
ესერა მოვიდეს ვინმე კაცი უკეთურნი, რომელნი გუეტყოდეს, რაჲთა
დაეცადოთ სლვა[ა] კერძოთა მათ, რომელთა მიგუემართა, რამეთუ
ჟამი არსო ნადირთაჲ, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა
არიან მონადირენი ადგილთა ამათ, რაჲთა არა იქმნას ცთომი[ა] მა-
თი თქუენ მიერ. და არა გკტევენეს რაჲთურთით წარსლვად კერძოთა
მათ“⁴⁴.

მაშასადამე, დღის გარკვეულ მონაკვეთში, საღამო ჟამს, ნადირი
ტბის პირს მოადგებოდა წყლის დასალევად. იქვე ახლოს, ტბასთან,
წინასწარ „ჩასახუნდრებულნი“ მონადირენი ელოდნენ ნადირის გამო-
ჩენას. ასეთ დროს ადამიანის ერთ ზედმეტ მოძრაობას შეეძლო და-
ეფრთხო ნადირი და ხელმოცარული დაეტოვებინა ისინი, ვისთვისაც
ეს ნაწილობრივ მიინც საარსებო საშუალება იყო. „ძნელი წარმოსად-
გენია, — წერს ა. რ. ბ. ა. ქ. ი. ძ. ე., — რომ სანადიროდ ასეთი ორგანი-
ზებული წამოსვლა სხვადასხვა სანახიდან, ნადირობის წესების ასეთი
სასტიკი დაცვა და, რაც მთავარია, ერთმანეთის მოსაკლავად გამეტე-
ბა, მხოლოდ გართობის მიზნით ყოფილიყოს მოწყობილი. როგორც
ჩანს, ნადირობა მნიშვნელოვან საარსებო წყაროს წარმოადგენდა ზე-
მოხსენებული ადგილებისათვის X — XI საუკუნეებში“⁴⁵...

მონადირეთა ასეთი დახასიათება, როგორც კაცის მოსაკლავად
გამზადებულისა, მოცემულია სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების
შემდეგ ადგილზე: „ესე არს ტბაჲ მღრვე ყოლადვე, რომელსა ეწო-
დების საოჰქუე. და არს ამას შინა სიმრავლე თაჭუთა [და] სხუათა ნა-
დირთა[ა] და დედა[ა] შფოთთა და ბრძოლათა [ა].“

⁴³ ს. ნ. ზარზმელის ც., გვ. 157₃₁₋₃₅.

⁴⁴ იქვე, გვ. 164₃₃₋₁₆₅₁₋₂.

⁴⁵ ა. რ. ბ. ა. ქ. ი. ძ. ე., დასახელებული ნაშრომი, გვ. 133.

რამეთუ ესა ამას აქა იხილვებიახ მდევარნი
ნადირთანი, შეკრებულნი თვთოეულთა სანახებ-
თანი და ურთიერთას მდევარნი საქმეთა უჯე-
როთანი, რომელნი კლვადცა მზა არიან თვთო-
ეულია⁴⁶.

როგორც ჩანს, ეს ადგილი ნადირით მდიდარი ყოფილა. ამიტომაც
„ნადირთ მდევარნი“ სხვადასხვა სანახიდან სწორედ აქ მოდიოდნენ.
მაგრამ რადგანაც მათ ნადირობის გარკვეული წესი და ორგანიზაცია
ჰქონდათ, რომლის დარღვევა ნადირის დაფრთხობას გამოიწვევდა, ამი-
ტომ ხელისშემშლელ პირობებთან, რაღა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო
უთანხმოება, დავა, კამათი, მაგრამ რაც შეეხება „კლვას“, ვფიქრობთ,
გადაჭარბებაა. ეს აგიოგრაფს დასჭირდა, ალბათ, იმისათვის, რომ უკეთ
წარმოეჩინა ამ ადამიანთა „ბოროტება“, „უკეთურება“, „შფოთის-
მოყვარეობა“. რასაც შემდგომი სტრიქონებიც ადასტურებს: „...ტბაჲ
ესე მიზეზი შფოთთა და კაცის-კლვათა[ჲ] განკმა წმიდათა ამათ
მიერ“⁴⁷. ვფიქრობთ, სწორედ წმინდა მამებისადმი გაწეული წინააღმ-
დეგობის გამო „დაისაჯნენ“ მონადირენი ასე სასტიკად.

აღნიშნული ტბა, რომელიც დღესაც არსებობს ზარზმასა და ადი-
გენს შორის ზღვის დონიდან 1910 მეტრის სიმაღლეზე და ყარაგელის
სახელს ატარებს, მდიდარი ყოფილა თავით. თხზულებაში ვკითხუ-
ლობთ: „ესე არს ტბაჲ მღრკე ყოლადვე, რომელსა ეწოდების სათა-
კუე. და არს ამას შინა სიმრავლე თავუთა [და] სხუათა ნადირ-
თა[ჲ]...“⁴⁸. თავვის ჰერა ფართო მასშტაბით ხორციელდებოდა, ამი-
ტომაც მისი მნიშვნელობა სცილდებოდა სამცხის პროვინციის საზღვ-
რებს: თავვის ტყავი, როგორც ძვირფასი ბეწვეული, საგარეო ბაზარ-
ზედაც გაჰქონდათ⁴⁹.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება განსაკუთრებულ ყურადღე-
ბას იმსახურებს როგორც წყარო, რომელშიც უხვად მოიპოვება ცნო-
ბები ხელოსნობაზე: ხელოსნობა აქ უშუალოდ უკავშირდება სამონას-
ტრო მშენებლობას, ხოლო ეს უკანასკნელი არის ის დერძი, რომლის
ირგვლივაც ვითარდება „ცხოვრების“ სიუჟეტი.

⁴⁶ ს-ნ ზარზმელს ცხ-ბა, გვ. 164₇₋₁₃.

⁴⁷ ი ქ ვ ე, გვ. 169₈₋₉.

⁴⁸ ი ქ ვ ე, გვ. 164₇₋₉.

⁴⁹ ს. ქ ა ნ ა შ ი ა, ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქარ-
თველოში, შრომები, II, გვ. 446.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში დამოწმებული ტერმინები „შენება“⁵⁰ და „აღშენება“⁵¹ ძირითადად თანამედროვე შინაარსითაა ნახმარი. „აშენება“ უმთავრესად ახლის აგებას ნიშნავდა, ამის შესაბამისად იმას, ვინც აშენებდა, ან აშენებას თაოსნობდა, „მაშენებელი“ ეწოდებოდა⁵². ბასილი ზარზმელთან გვხვდება როგორც „აშენება“ და მისი შესაბამისი „მაშენებელი“ (მრ. „მაშენებელნი“)⁵³, ისე „აღშენება“ და მისგან ნაწარმოები „აღმაშენებელი“⁵⁴.⁵

ერთგან ტერმინს „აღმაშენებელი“ წინ უძღვის მსაზღვრელი „პირველნი“: სერაპიონ ზარზმელმა, შეიტყო რა გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების ამბავი, „...ჰრქუა იკონომოსსა და ხუცესთა და ძმათა ყოველთა, რაჲთა ხელის დღე მივიდენ საფლავად მისსა, ადგილსა მას ზანავისასა, სადა-იგი მონასტერი შუეხიერი მენ არს, რომლისა-იგი იყვნეს პირველნი აღმაშენებელნი ამასჲო და ქურდია. ხოლო აწ კუალად და[ა] გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაჰლაუნდისა[ა] [ძისა] იოვანესი“⁵⁵. უეჭველია, ცნებაში „კუალად“ უნდა ვიგულისხმოთ „კუალად აღშენება“, რაც შესაძლოა განახლებას გამოხატავდეს მსგავსად ცნებებისა „მეორედ აშენება“, „განახლებით აშენება“, „კუალად განახლება“, „ახლად შენება“⁵⁶.

ტერმინი „შენება“ იხმარებოდა როგორც ახლის აგების, ასევე აგებული განახლების მიზნით, რასაც ბასილის თხზულებაც ადასტურებს⁵⁷.

ყველა იმ პირს, რომელიც ამა თუ იმ საქმეს ასრულებდა საერო თუ სასულიერო ნაგებობათა მშენებლობისას, „მუშაკნი“ და „მაშენებელნი“ ეწოდებოდა, მაშენებელი ხელოსნები კი „ხუროლ“ იწოდებო-

⁵⁰ სწ ზარზმელს ცხბა, გვ. 153₂₆, 156₁₇, 157₂₁, 161₃₆, 163₃₂, 169₂₂, 173₃, 170₂₃, 170₂₄, 171₂, 172₇, 173₂, 173₃₀.

⁵¹ ი ქ ვ ე, გვ. 153₂₉, 153₃₁, 155₃, 155₁₁, 155₈, 155₁₀, 156₉, 157₆, 158₂₀, 159₁₈, 160₁₁, 160₂₀, 162₃, 165₂₉, 169₂₀, 169₂₁, 169₂₉, 170₂, 170₇, 170₃₀, 170₃₅, 171₂₅, 175₂₀, 175₃₆, 176₁₁, 181₃₃.

⁵² შ. მესხია, ხელოსნობა ძველ საქართველოში (V—XII სს). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ზარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, თბილისი, 1942, ხელნაწერის გვ. 26.

⁵³ სწ ზარზმელს ცხბა, გვ. 153₂₇.

⁵⁴ ი ქ ვ ე, გვ. 153₂₅.

⁵⁵ ი ქ ვ ე, გვ. 176₂₃₋₂₉.

⁵⁶ შ. მესხია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 29.

⁵⁷ სწ ზარზმელს ცხბა, გვ. 182₉, 183₁₂, 184₇, 184₉.

დენე⁵⁸. „ხურონი“ მაშენებლის მნიშვნელობით იხმარება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში: „ხოლო ვითარცა იყო წმიდა იგი მდაბალ და აღუზუავებელ, ტკბილითა და დაწინითა კელითა იხილვებოდა მდგომარედ ხუროთა თანა საეკლესიოთა, რამეთუ იყო სხუათავე თანა მეცნიერ სჯულთა საეკლესიოთა და ფრიად შემკულ წესითა ხურობისა[ჟ]თა“⁵⁹.

„ხუროთა ერთ ჯგუფს ეწოდებოდა „ქვითხურონი“, მეორეს — „კირით-ხურონი“. ორივე ეს ცნება ერთნაირი მნიშვნელობისა იყო, მაგრამ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში ისინი იშვიათად გვხვდება. მათ ნაცვლად, VIII საუკუნიდან მაინც მკვიდრდება სომხურიდან შემოსული სიტყვა „გალატოზი“, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა⁶⁰.

აღნიშნული ტერმინი იხმარება, და არა ერთხელ, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში: „და იყო ვითარ გასრულდა სარკუმლამდე, გამოხატეს თვთ მიქაელცა ორთა მათ თანა გალატოზთა ზედა სარკუმელსა აღმოსავალისასა“⁶¹. ან კიდევ: „...ქელოვნებით განთქუმულსა. კაცსა მოუწოდა მიქაელ ქუეყანისაგან ბერძენთასა, ადგილისაგან ხუფათ წოდებულისა, ბრძანებითა უფალთა[ჟ]თა, რომელსა თანა-შემწედ აქუნდა გალატოზ სახელით შუარტყლელი. და ესე ორნივე იყვნეს მოძღუარ და მასწავლელ სიმრავლესა მუშაკთასა“⁶². როგორც ძეგლიდან ჩანს, არსებობდნენ „გალატოზთა განმგებელნი“: „და ყვეს კაცი იგი განმგებელ არა თუ გალატოზთა, არამედ ძმათაცა იკონომოსობაჲ ერწმუნა“⁶³, — მოგვითხრობს აგიოგრაფი იმ პირის შესახებ, რომელიც სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ აღკვეცეს ზარზმის მონასტერში და არაფრით გამოირჩეოდა გარდა იმისა, რომ „...იყო კაცი იგი საქმარ და მსრბოლ გზათა შორთა“⁶⁴. ამრიგად, „გალატოზთა განმგებლად“ საცხებით დასაშვებად მიაჩნდათ ისეთი პირის დანიშვნა, რომელსაც „გალატოზობისა“ მაინცდამაინც არაფერი ესმოდა⁶⁵.

⁵⁸ შ. შესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

⁵⁹ სწ ზარზმელს ცხება, გვ. 174₃₋₇; შდრ. К. Кекелидзе. П. д. а. II, გვ. 92.

⁶⁰ შ. შესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

⁶¹ სწ ზარზმელს ცხება, გვ. 184₁₄₋₁₆.

⁶² იქვე, გვ. 183₂₂₋₂₇.

⁶³ იქვე, გვ. 184₇₋₈.

⁶⁴ იქვე, გვ. 182₂₇₋₂₈.

⁶⁵ შ. შესხია, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

მსგავსად „გალატოზთა განმგებელისა“, შესაძლებელია კაცი „ხუ-
ჯროთმოძღვარი“ ყოფილიყო, მაგრამ „ქელი ხურობისაჲ“ არ ჰქონო-
და. ამ შემთხვევაში, გასაგებია, სრულიად გამოირიცხებოდა შემოქმე-
დებითი მომენტი და აღნიშნული პირის ფუნქციებს მშენებლობაზე
ზედამხედველობის გაწევა, მშენებლობის რიგიანად მსვლელობაზე
ზრუნვა შეადგენდა⁶⁶. ასეთი იყო ვინმე გარბანელი, რომლის შესახებ
ბევრი რამ არის მოთხრობილი თხზულებაში, მაგრამ არსად ერთი სიტ-
ყვითაც კი არ არის მითითებული, რომ იგი ხუროთმოძღვრებაში (ამ
სიტყვის დღევანდელი გაგებით) ჩახედული ყოფილიყოს⁶⁷. ერთგან
გარკვევით არის ნათქვამი: „ხოლო იყენეს ხ უ რ ო თ მ ო ძ ლ უ ა რ დ ა
ზ ე დ ა მ დ გ ო მ ე ლ ს ა ქ მ ი ს ა მ ი ს გ ა რ ბ ა ნ ე ლ ი და ო რ ნ ი
ი გ ი ძ მ ა ნ ი“⁶⁸. გარბანელი „ხუროთმოძღვრად“ მხოლოდ პირველი ეკ-
ლესიის აგებისას იყო, შემდეგ „ახალი ხუროთმოძღვარი“ გამოჩნდა,
რომლის დანიშნაც, როგორც ჩანს, არაფერს შეცვლიდა. ახალი ეკლე-
სიის მშენებლობის დაწყებისას მიქელმა მესამე ხუროთმოძღვარი
დანიშნა, რომელიც ალბად გამოირჩეოდა ნიჭიერებით, გემოვნებით,
ოსტატობით, რადგანაც „კელოვნებით განთქმული კაცის“ სახელი
ქონია მოხვეჭილი.

ძეგლში აღწერილია მშენებლობის პროცესი. წმინდა მამებმა წი-
ნასწარ შეარჩიეს სათანადო ადგილი, შეამზადეს იგი, მაგრამ მშენებ-
ლობისათვის საჭირო ქვის მოპოვება ამ არე-მარეში შეუძლებელი შე-
იქნა, რადგან „...ქვანი მათ ადგილთანი ტყეთაგან დაფარულ იყვნეს,
ვინა[ჲ]ცა წყლისაგან რაჲსმე ღონიერობდეს და უშუერსა რასმე ქვასა
მუნით გამოიღებდეს“⁶⁹. სხვაგან ვკითხულობთ: „და არა იპოვა რაჲთ-
თურთით ქვა[ჲ], და ჭირით და შრომით მდინარისა მისგან მოიღებ-
დეს“⁷⁰.

მშენებლობის ადგილს კვლავ ეწვია გიორგი ჩორჩანელი, რომელ-
მაც „...განიცადა ყოველი საქმე მათი, და იურვოდა, რაჲთამცა კეთი-
ლად აღეშენა ეკლესია[ჲ] იგი. და მოუტდა გულსა და პრქუა წმიდათა
მათ: „ქრისტეს მიერ განბრძნობილნო მამანო, უკუეთუ სთნავს სიწმი-
დესა თქუენსა, არს ადგილი ერთი, სადა ეკლესია[ჲ] მისი დაცემულ
არს ძრვისაგან. აწ, უკუეთუ ჰბრძანოთ, ადვილ არს, რაჲთა იგი მოვი-

⁶⁶ შ. მესხია. დასახ. ნაშრ.. გვ. 42.

⁶⁷ გარბანელის შესახებ იხ. სწ ზრზმლს ცხბა, გვ. 165₈₋₁₁, 165₁₆₋₁₈, 166₂₅₋₂₈

170₁₁₋₁₈

⁶⁸ სწ ზრზმლს ცხბა, გვ. 170₂₈₋₂₉.

⁶⁹ იქვე. გვ. 170₂₅₋₂₇.

⁷⁰ იქვე, გვ. 170₃₁₋₃₃.

ლოთ“. ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, რამეთუ უკმ[რ]ად მდებარე არს ეკლესია[ჲ] იგი, ბრძანეს, რაჲთა სწრაფით კელ-ყონ საქმესა მას. და იწყეს მოღებად მეყსეულად რაოდენი ეკმარებოდა ეკლესიისა მისთვის. და იცნობებთან ქვანი იგი ზოგს-რაჲმე კუთხთა მიერ და კამარათა. ხოლო არს სახელი ადგილისა მის უმწაჲ, რომელი შორავს ათორმეტ მილიონ“⁷¹. მაშასადამე, წმინდა მამებმა მიიღეს გიორგი ჩორჩანელის რჩევა: მდინარისაგან ამოღებული „უშუერი“ ქვის ნაცვლად მათ დაიწყეს მოზიდვა მშენებლობისათვის ვარგისი და ამავე დროს უკვე დამუშავებული ქვისა, რომელიც „უკმრად“ ეყარა უმწად წოდებულ ადგილას, ეს უკანასკნელი კი ზარზმიდან „ათორმეტ მილიონ“* იყო დაშორებული.

ამ საკითხის თაობაზე ა. ბოგვერაძე შენიშნავს: „არ შეიძლება ძველი არ გვეჩვენოს აგრეთვე სამონასტრო მშენებლობის ის სურათი, რომელსაც „ცხოვრებაში“ ვხედავთ. სამშენებლო ქვის უქონლობის გამო „სალმართოჲ შური მონასტრისა შენებისაჲ“ სერაპიონს და მის „იმებს“ აიძულებს „წყლისაგან რასმე ღონიერობდეს და უშუერსა რასმე ქვასა მუნით გამოიღებდეს“. როგორც იქნა „შემდგომად სამისა წლისა სრულ იქმნა ეკლესიაჲ და შეიმკო ყოვლითა განგებითა, რომელი შეკგუანდა ჟამსა მას“. ეს ჟამი, როგორც ვხედავთ, ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების გაშლისა და აყვავების ხანა არ ყოფილა. მაშინ როცა კლარჯეთი დიდებული ეკლესია-მონასტრებითაა მოფენილი, დასაჯერებელია, მეზობელ სამცხეში მდინარისაგან ამოღებული „უშუერი“ ქვით შენდებოდეს პატარა მონასტერი, ისიც დიდი მთავრის მზრუნველობითა და ხელისშეწყობით? ჩანს, ქვეყანა ამ დროს ჯერ კიდევ ადრეფეოდალური ურთიერთობის იმ საფეხურზე იმყოფება, როცა მის საზოგადოებრივ ძალებს არ მოსდევთ საშუალება დიდი ნივთიერი სახსრების გამოღებისა“⁷².

ამრიგად, ა. ბოგვერაძის აზრით, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში აღწერილი სამონასტრო მშენებლობის სურათი, თავისი მცირე მასშტაბით, არ შეესაბამება IX — X სს. ეპოქას, რამდენადაც ამ პერიოდში კლარჯეთში დიდებული მონასტრები აშენდა და ასეთივე აშენდებოდა სამცხეშიც.

ჩვენი აზრით, ძველის მონაცემები არ არის შეუსაბამობაში IX — X სს. ეპოქასთან სამონასტრო მშენებლობის მასშტაბების თვალსაზრით-

⁷¹ სწ ზარზმელს ცხ“ბ., გვ. 170³⁴⁻³⁶—171¹⁻⁸.

⁷² ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

* მილიონი უდრის 1000 ნაბიჯს.

სით: თხზულება აგვიწერს სამცხეში ეკლესია-მონასტრების საკმაოდ ინტენსიური მშენებლობის სურათს.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში დაწვრილებითაა აღწერილი ზარზმის ეკლესიის მშენებლობა, რადგან თხზულება საგანგებოდ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასახვის მიზნით იქმნება; აღწერილია არა მარტო ეკლესიის, არამედ მიმდებარე ნაგებობების შენება: „ხოლო შემდგომად სამისა წლისა სრულ იქმნა ეკლესიაჲ და შეიმკო ყოვლითა განგებითა, რომელი შეჰკვანდა ჟამსა მას. და აღმართეს მას შინა ცხოველს-მყოფელი ხატი ფერისცვალებისა [ა]. და ამისსა შემდგომად სე ნ ა კ ე ბ ი ც ა ი შე ნ ე ს ძმათა“⁷³.

ღმიუხედავად იმისა, რომ ძეგლი წარმოადგენს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების აღწერას და მიზნად არ ისახავს სამცხეში სამონასტრო მოძრაობის მთელი სურათის გადმოცემას, მასში, ზარზმის ეკლესიის გარდა, მაინც გვხვდება ცნობები სხვა ეკლესია-მონასტრების აგების შესახებ. კერძოდ, თხზულება გვამცნობს, რომ სერაპიონის ძმამ—იოვანემ ააგო შესანიშნავი მონასტერი „...ბრძანებისაებრ დიდისა მის მოქალაქისა. და შეამკო ყოვლითა სამკაულითა, ვითარცა შეჰკვანდა, და უწოდა სახელი სენნაჲ თვისი, რამეთუ იოვანე-წმიდა ეწოდების ადგილსა მას. მოვიდოდა ჟამითი-ჟამად ძმისა თვისისა თანა და ისწავებნ ყოველსავე განგებასა მონასტრისასა“⁷⁴. როგორც ტექსტიდან ჩანს, სამცხეში ეკლესია-მონასტერთა რიცხვი მრავალი იყო: სერაპიონ ზარზმელის გარდაცვალების გამო „...მოვიდა ძმა [ა] მისი იოვანე, რამეთუ უწყებული იყო სულისაგან, ვითარცა ღრუბლითა აღტაცებული. და შემოკრება სიმრავლე გარემოთა მონასტერთა და სოფელთაჲ. ხოლო მოვიდა ღმერთ-შემოსილი გიორგი მაწყუერელიცა ჟუარითა ყოველთა თანა მწყობრთა ეკლესიისათა“⁷⁵.

ძეგლი გვამცნობს აგრეთვე ზანავში „შუენიერი“ მონასტრის არსებობას. სერაპიონმა „...ჰრქუა იკონომოსსა და ხუცესთა და ძმათა ყოველთა, რაჲთა ხვალის დღე მივიდენ საფლავად მისსა (გიორგი ჩორჩანელის), ადგილსა მას ზ ა ნ ა ვ ი ს ა ს ა, სა და ი გ ი მ ო ნ ა ს ტ ე რ ი შ უ ე ნ ი ე რ ი შ ე ნ ა რ ს, რომლისა-იგი იყვნეს პირველნი აღმაშენებელნი ამასპო და ქურდია“⁷⁶. ძეგლის მიხედვით გიორგი ჩორჩანელს ჰქონდა არაერთი ეკლესია: მან „...ყოველივე. რაჲცა აქუნდა,

⁷³ ს-ნ ზარზმელს ცხ-ბა, გვ. 171⁹⁻¹².

⁷⁴ ი ქ ვ ე, გვ. 176⁸⁻⁹.

⁷⁵ ი ქ ვ ე, გვ. 180²²⁻²⁷.

⁷⁶ ი ქ ვ ე, გვ. 176²²⁻²⁷.

და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შე[3]ვედრა და შეილთა მისთა საკუთრებით განუთვსა, რომელთა ეწორდა სულა, ბეშქენ და ლაკლაკი“⁷⁷.

ღამრიგად, როგორც ვხედავთ, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ასახული საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის სურათი ამ მხრივ არ ეწინააღმდეგება IX—X საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ვითარებას. უმასთან, ჩვენი აზრით, საერთოდ ძნელია ძეგლში ასახული ეპოქის განსაზღვრა იმის მიხედვით, თუ რა მასშტაბის საეკლესიო მშენებლობაა დამოწმებული თხზულებაში, როგორი ქვეით აშენებდნენ ამა თუ იმ ეკლესიას; ყველა ეპოქაში შესაძლოა აეშენებინათ როგორც ბრწყინვალე, ისე მდარე ხუროთმოძღვრული ძეგლი; როგორც კარგად ნათალი, ისე დაუმუშავებელი — „უშუერი“ ქვეით; განა არ ააგეს ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში ჯვრის დიდებული ტაძარი? და განა არ იგებოდა ადრეფეოდალური ხანის ბოლოს მდარე ძეგლები? რაც შეეხება კონკრეტულად ზარზმის მონასტერს, იგი მთლიანად „უშუერი“ ქვეით ხომ არ აუგიათ? მისი მშენებლობისას გამოიყენეს უმწაში დაქცეული ეკლესიის კარგად ნათალი ქვები, როგორც ეს ბასილის თხზულებაშია აღნიშნული. ამ მიმართებით უფრო მეტის თქმა იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ ასეთ პირობებში, როცა ზარზმის თავდაპირველ ნაგებობას ჩვენამდე სრულიად არ მოუღწევია, უფრო ფართოდ მსჯელობა ამ საკითხზე თითქმის შეუძლებელია.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებამ შემოგვინახა ცნობები ვაჭრობის სფეროდანაც. სოფელ ძარღუაში მცხოვრები „გლეხი“, რომელიც იყო „საკმარ და მსრბოლ გზათა შორთა“, მონასტერში აღიკვეცა: „და ყვეს კაცი იგი განმგებელ არა თუ გალატოზთა, არამედ ძმათაცა იკონომოსობაჲ ერწმუნა“⁷⁸. ამ პირმა მონასტერს შესწირა საკმარდ მოზრდილი თანხა. თხზულებაში ვკითხულობთ: „...იკითხეს კაცისა მის მიერ რიცხვ ოქრო[ა]საჲ და ვითარებაჲ. ხოლო მან ჰრქუა: „ოქრო[ა] ეგე არს ოქრო[ა]საგან თლილისა და წმიდისა, სახითა პირველთა მეფეთაჲთა, ხოლო რიცხვთ იყო ბეჭედსა ამას შინა დ რ ა ჰ კ ა ნ ი ს ა მ ა ს რ ხ უ თ ი თ უ რ თ“. და ვითარცა განჰქსნეს მანდილი“, რომელსა შინა გამოკრულ იქ[მ]ნა, და იპოვა, ვითარცა პირველ ეთქუა კაცსა მას. და იწყეს შენებად გულს-მოღვინედ“⁷⁹.

⁷⁷ ს-ნ ზარზმელს ცხ-ბა, გვ. 176₃₁₋₃₆—177₁.

⁷⁸ ი ქ ვ ე, გვ. 184₇₋₈.

⁷⁹ ი ქ ვ ე, გვ. 184₁₋₇.

* ტერმინი მანდილი ქართულ ძეგლთაგან პირველად „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ იხსენიება.

როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, ამ პირს „შეუკრებია სამას ხუთი ბიზანტიური დრაჰკანი (დრაჰკანი იწონიდა 1 1/15 მისხალ ოქროს) „ოქრომსაგან თლილისა და წმიდისა“. თხზულებაში ნაჩვენებია გზა ამ ფულის შექმნისა... ის იგზავნებოდა ხოლმე შორეულ ქვეყნებში და უეჭველია, ასეთი მიმოსვლისას იქენდა ფულს; ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ მის მიერ შექმნილი ფული „სახითა პირველთა მეფეთაჲთა“, ბიზანტიური იყო“⁸⁰. ბიზანტიური მონეტების ასეთი რაოდენობა, გ. ჩუბინაშვილის აზრით, მეტად შეესადაგება ადრეულ ეპოქას, ვიდრე IX—X საუკუნეებს: «естественно учесть прямые указания на раннее время, как сообщение... о 305 золотых драхмах вклада, сделанного сельчанином Дзаргуа на постройку храма Зарзмы, что они были украшены — по толкованию и акад. К. Кекелидзе — изображениями византийских императоров»⁸¹.

როგორია ნუმისმატიკური მასალის მონაცემები ამ საკითხთან დაკავშირებით? * ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს მ უ ზ ე უ მ ი ს კ ა ტ ა ლ ო გ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ, ანასტასი I-ის დროიდან მავრიკი კეისრამდე (491 — 602) ნაპოვნია 1349 ბიზანტიური მონეტა, ფოკადან კონსტანტინე IV-მდე (602—685) — 1334, იუსტინიანე II-დან მიხეილ II-მდე (685—829) — 423, თეოფანედან ნიკიფორე II ფოკამდე (829 — 969) — 226, იოანე კიმისხიდან ნიკიფორე III-მდე (969 — 1081) — 283, ალექსი I კომნენიდან ალექსი III-მდე (1081 — 1195) — 349.

ი. ი. ტ ო ლ ს ტ ო ი ს კ ა ტ ა ლ ო გ ი თ:

ანასტასი I-ის დროიდან მავრიკი კეისრამდე (491—602) ნაპოვნია 1578 ბიზანტიური მონეტა, ფოკადან კონსტანტინე IV-მდე (602—685) — 1129, იუსტინიანე II-დან მიხეილ II-მდე (685—829) — 532, თეოფილედან მიხეილ III-მდე (829—867) — 72.

მაგრამ სამონეტო კოლექციები თითქმის ყოველთვის სუბიექტური ხასიათისაა: რაც უფრო მეტადაა გავრცელებული მონეტის ესა თუ ის სახეობა, მით უფრო მცირდება ამ უკანასკნელის მიმართ კოლექციონერის ინტერესი. ამის გამო კოლექციებში შედარებით დიდი ადგილი ეთმობა იშვიათ მონეტებს. მაგალითად, კომნენოსებისა და პალეოლოგების ხანის მონეტებს კოლექციონერები ნაკლები გულისყურით ეკიდებიან, ვიდრე წინა საუკუნეებში მოჭრილ მონეტებს⁸². ეს

⁸⁰ კ. კეკელიძე, ა. ფ. ქ. ლ., გვ. 134.

⁸¹ Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

* კატალოგების მონაცემები მოგვაქვს ნაშრომებიდან: А. П. Каждан, Византийские города в VII—XI вв., Советская археология, XXI, 1954; И. И. Толстой, Византийские монеты, вып. I—IX, СПб, 1912—1914.

⁸² А. П. Каждан, Византийские города в VII—XI вв., СА, XXI, 1954, გვ. 167.

ფაქტორი, ბუნებრივია, ხელს უშლის მკვლევრებს ჭეშმარიტი და ობიექტური სურათის აღდგენაში. ამის გამო მსჯელობა მხოლოდ ძველი კატალოგების მონაცემებით ცალმხრივი და ზერელე იქნებოდა; თუ მას არ შევამაგრებდით არქეოლოგთა მიერ მოპოვებული ახალი მასა-ლით.

როგორც გათხრების შედეგად მოპოვებული ნუმისმატიკური მასალა მოწმობს, მცირე აზიაში მიმოქცევაში არსებული ბიზანტიური მონეტების რაოდენობა VIII — IX საუკუნეებიდან ძალზე შემცირებულია, ხოლო XI—XII საუკუნეებში მატულობს და საგრძნობლადაც. გამონაკლისს შეადგენს ერთი განძი, რომელშიც 34 მონეტაა VIII საუკუნისა, ხოლო 68 მონეტა — IX საუკუნის I ნახევრისა⁸³. რაც შეეხება დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, ბიზანტიური ნუმისმატიკური მასალის რაოდენობა აქ სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარია. მაგალითად: იტალიაში ნაპოვნია VI საუკუნის 600, VII საუკუნის 129 მონეტა (ამას ემატება 205 სოლიდი VI საუკუნის დამლევისა და VII საუკუნის დამდევისა), VII — VIII საუკუნეების მიჯნისა — 43, IX საუკუნის დამლევისა და X საუკუნის დამდევისა — 73 და, ბოლოს, XI საუკუნის 16 მონეტა. საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში ნაპოვნია შესაბამისად 461 მონეტა VI საუკუნისა, 200 — V — VI სს., 23 — VI საუკუნისა; ჩრდილოეთ გერმანიის ზოგიერთ ოლქში ნაპოვნია X საუკუნის მონეტებიც, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოლდენბურგში ნაპოვნი განძი. მასში 41 მონეტაა IX საუკუნისა⁸⁴.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ამიერკავკასიაში? საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბიზანტიური მონეტებიდან მცირეოდენი ნაწილი თარიღდება VII—IX საუკუნეებით. აღნიშნული პერიოდის მონეტათა სიმცირე ნათლად მეტყველებს იმ გარკვეულ პოლიტიკურ სიტუაციაზე, რომელიც აქ შეიქმნა არაბთა დამპყვრების შემდეგ. მიუხედავად ამისა, VII საუკუნის დამლევი და VIII საუკუნის დამდეგით თარიღდება ბიზანტიური ოქროს მონეტები, რომელთაგან ერთი ნაპოვნია ბიჭვინტაში, ხოლო მეორე — სოხუმში. ორივე მონეტა მოჭრილი უნდა იყოს ტიბერიოს III-ის (698—705) ხანაში. აღნიშნული მონეტები ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილებაში (№ 84 და № 85)⁸⁵. ნაპოვ-

⁸³ E. F. Newelle, The byzantine board of Lagbe, New York, 1945.

⁸⁴ A. П. Каждан. დასახ. ნაშრ., გვ. 167—168.

⁸⁵ თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბილისი, 1955. გვ. 18.

ნია აგრეთვე IX საუკუნის ვერცხლის მონეტა ობიზაში (№ 92), იგი ლეონ VI-ის (886—912) ხანას ეკუთვნის; სპილენძისა — ნიკიფორე I-ს (802—811) — დმანისში (№ 86); ლეონ V-ს (813—820) — ქობულეთში (№ 87); თეოფილეს (829—842) — ოკამში (№ 88), ბობოყვათში (№ 89), ქობულეთში (№ 90); ლეონ VI-ს (886 — 912) — ოჩამჩირეში (№№ 93 — 94), დმანისში (№ 95), ფსირცხაში (№ 96), ციხისძირში (№ 97), ქობულეთში (№ 98)⁸⁶.

როგორც ვხედავთ, VIII—IX საუკუნეების ბიზანტიური მონეტები ჩვენი ცოტაა, მაგრამ მაინც არსებობს (როგორც ოქროს, ასევე ვერცხლისა და სპილენძისა). ამასთან მხედველობაში მისაღებია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: სოფ. ძარლუას მცხოვრები, რომელსაც 305 დრაჰკანი ჰქონდა, იყო „...კაცი საკმარ და მსბოლო გზათა შორთა“, ისე რომ, ადვილი მოსალოდნელია მას ეს თანხა შემოჰყოლოდა საიდანმე⁸⁷, მით უფრო, რომ ბიზანტიური ფული საერთაშორისო ვალუტის როლში გამოდიოდა, მას კიდევ დიდხანს ჰქონდა გასავალი როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის ქვეყნებში.

ამრიგად, ზემოაღნიშნული ნუმიზმატიკური კატალოგების მონაცემები მართლაც მეტყველებს ბიზანტიური მონეტების რაოდენობის შემცირებაზე VIII — IX სს., მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მონაცემები მხოლოდ ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე მოპოვებული მონეტების რაოდენობას გვიჩვენებენ; არ არის გამორიცხული, რომ ამ მონეტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია ან ჯერჯერობით არ არის მოპოვებული; ამასთან არსებული მასალაც შესაძლოა სრულად არ არის აღრიცხული, რის გამოც ვერც კატალოგებში პოვა ასახვა.

ამდენად, ჩვენი აზრით, სოფელ ძარლუას მცხოვრების მიერ ზარზმის მონასტრისათვის შეწირული 305 დრაჰკანი თუნდაც რომ ბიზანტიურ მონეტებად მივიჩნიოთ, ეს ცნობა მაინც არ გამოდგება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების დასათარიღებლად.

2. სოციალური ვითარება

ა) სოციალური ტერმინოლოგია

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში არ არის პირდაპირი მითითება თარიღზე. ასეთ ვითარე-

⁸⁶ თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბილისი, 1965, გვ. 18.

⁸⁷ კ. კ ე ძ ე ლ ი ძ ე, აღრიცხული ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 134.

ბაში თხზულებაში მოთხრობილი ამბების ქრონოლოგიური ლოკალიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასში დაცული სოციალური ტერმინოლოგიის შესწავლას. თითოეული ასეთი ტერმინის კვლევა, აღნიშნულ კონტექსტში მისი მნიშვნელობის გარკვევა ხელს შეუწყობს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების მონაცემების საფუძველზე ადრეფეოდალური სამცხის სოციალური ვითარების წარმოსახვას. ძეგლში დაცულ სოციალურ ტერმინთა ანალიზი და მათი შევსება-შეჭერება გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში არსებულ ტერმინებთან შესაძლებლობას მოგვცემს წარმოვაჩინოთ ამ მხარის ფეოდალური საზოგადოების როგორც მაღალი (გაბატონებული), ისე დაბალი (დაქვემდებარებული) საზოგადოებრივი ფენები. ასეთი ტერმინებია სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში: - მთავარი, წარჩინებული („მთავარი დიდი და წარჩინებული“), უფალი, საკუთარი, წინაშემდგომელი, ქუეყანის-მოქმედი, კაცი, გლახაკი, მონა; გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში: აზნაური, ერისმთავარი, მსოფლიო, მდაბიო.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების მიხედვით სამცხეში არის „მთავარი დიდი და წარჩინებული“. იგი ყველას აღემატება სიმდიდრით: „ერის“ სიმრავლით, სახნავ-სათესი მიწების რაოდენობით, რომელთა სივრცე „საზღვართვრცელია“¹ „...რამეთუ იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთადათა, რომლისა სივრცე საზღვართ-ვრცელ და მრავალ იყო“¹.

მთავარი „დიდი და წარჩინებული“ მრავალი სოფლის მფლობელია, რომელთა ნაწილს იგი ზარზმის ეკლესიის ასაგებად მოსულ საღმრთო ძმებს უთმობს: „...სოფლებნიცა (!) მისცნა კაცმან მან ღმრთისამან გიორგი, ვიდრემდის მოსწრაფე იყო, რაათა ყოველივე ადგილისა მისთვის წარაგოს“².

მთავრის მატერიალურ საფუძველს, როგორც ცნობილია, შეადგენს მიწის ფეოდალური მფლობელობა, რომელიც მისი დიდებისა და ძლიერების წყაროა. თხზულებაში ხაზგასმითაა აღნიშნული მთავრის საქონელები — აგარაკი, სოფელი. სახნავ-სათესი მიწების „საზღვართვრცელობა“ სრულიად აშკარად მოჩანს შემდეგი ფაქტიდან: სერაპიონსა და მის თანმხლებ პირებს მთავარმა გააყოლა ვინმე ჭაბუკი, რომელსაც მოუწოდა: „შვილო საყუარელო, გზა-ჰყევ წმიდათა ამათ და ხვალე განთიადით განვიდრე მწუხრამდე რაოდენი შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათ-

¹ ს-ნ ზარზმელს ცხ-ბა, 157¹²⁻¹⁸.

² იქვე, გვ. 171²¹⁻²³.

და, ვინაჲთვან ადგილსა ამას წადიერ არიან. და უკუეთუ ვინმე იპოოს დამახრწეველ მათდა უცხოებისათჳს, ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისაებრ აშენებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა“³.

მთავრის საკუთრებაა „სხვადასხვა ადგილნი“ და „ყოველი საკმარი უხუებით“, „საქონელი მრავალფერი“, „სიმრავლე საკედართა და მროწეულთაჲ“. გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების შემდეგ, მისივე ანდერძის თანახმად, ზარზმის მონასტერს „...მდიდრად მიეცა ყოველი ივე უხუებით: აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე საკედართა და მროწეულთაჲ“⁴.

გიორგი ჩორჩანელის საბრძანებელში შედის „ადგილნი მრავალნი და კეთილნი“, „...და შესავალნი“ მათი; „მთავარი დიდი და წარჩინებული“ თავისი სამფლობელოს ერთ ნაწილს უთმობს ზარზმის ეკლესიის ასაგებად მოსულ საღმრთო ძმებს, რადგან კარგად იცის, რომ მის მამულში მონასტრის არსებობა მისივე სოციალური ძლიერების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია: „გვედრები, წმიდანო ღმრთისანო, რაჲთა ერთი მომმადლოთ მე, რამეთუ არიან ადგილნი მრავალნი და კეთილნი და ნაშენებითა ღონიერნი და იხილნეთ იგინი, და უკუეთუ დიდად მოაშენდეს სულსა თქუენსა, აჰა ადგილნი და შესავალნი და ყოველი საკმარი უხუებით“⁵.

მთავრობის ატრიბუტი იყო აგრეთვე ტაძარი (სასახლე) და კარავი (როგორც ჩანს, მცირე სასახლე). თხზულებაში ვკითხულობთ: „ესევეითარი ესე კაცი იყოფოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა, რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ— ჩორჩანელი, რომლისა ტაძარნი შენ იყვნეს სანახეპსა ჩორჩანისა და ზანაეისასა“⁶.

მთავარს უნდა ჰქონოდა საგვარეულო სასახლე. იგი დადასტურებულია სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში. მისი კავშირი გვარის სიდიდესა და სიძლიერესთან აშკარად მოჩანს სხვა ქართული წყაროებიდანაც. როდესაც სერაპიონს აუწყეს გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების ამბავი, „...დიდად იგლოვა, ცრემლოდა ვითარცა მკსნელი ლაზარეს ზედა და უმეტეს, რომელ არა თანა-დახუდა სიკუდილსა მისსა, ვინაჲცა ჰრქუა იკონომოსსა და ხუცესთა და ძმათა

³ სწ ზარზმის ცხვა, გვ. 161₂₂₋₂₆—162₁.

⁴ იქვე, გვ. 177₈₋₁₀.

⁵ იქვე, გვ. 161₂₃₋₂₇.

⁶ იქვე, გვ. 157₁₈₋₂₂.

ყოველთა, რაჟთა ხეალის დღე მივიდენ საფლავად მისსა, ადგილსა მას ზანავისასა, სადა-იგი მონასტერი შუენიერი შენარს, რომლისა-იგი იყვნეს პირველნი აღმაშენებელნი ამას-პო და ქურდია“⁷.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ტექსტიდან ირკვევა, რომ მთავარი „დიდი და წარჩინებული“ დიდი მამულისა და მასში მდებარე „ყოველთა ეკლესიათა“ მფლობელია. ავტორის გადმოცემით, გიორგი ჩორჩანელს მემკვიდრე არ შერჩენოდა, ამიტომაც მან თავისი ქონების ნაწილი „...მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შეჰვედრა და შეილთა მისთა საკუთრებით განუთესა“⁸.

საინტერესოა თხზულების ტექსტში ტერმინ „მამული“ დამოწმება. აღნიშნული ტერმინი, როგორც ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, მამეულისაგან არის წარმომდგარი და მამისაგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ საკუთრებას ნიშნავდა⁹!

„მამულის“ შესახებ ი. ჯავახიშვილი წერს: „აღსანიშნავია, რომ „მამული“ საღმრთო წერილის ქართულ თარგმანში მხოლოდ მამის სამშობლოს, მამეულსა კნიშნავს და ბერძნულს *ἡ ἰατρικὴ*-ს, ლათინურს *patria*-ს, სომხურს *սպգ*-ს ან *գաւառ*-ს უდრის (იხ. მაგ. ლევიტელთა 25₁₀ და მათეს 13₄₅). მე-VIII ს. დამლევსაც „მამული“ და „დედული“ წინანდებურად მამისეულსა და დედისეულს, მამაკაპაქეულს ნიშნავდა. იოანე საბანისძეს მაგ. ნათქვამი აქვს: აბო ტფილელი იყო ნამდვილი არაბი, „ყოვლადვე არაბიელთა თესლი მამულად (ე. ი. მამის მხრით) და დედულად (ე. ი. დედის მხრით), რომლისა მამაჲ მისი და დედაჲ მისი და დანი მისნი იყვნეს მუნვე ქალაქსა მას შინა ბაღდადს ბაბილოვნი-სასაო“ (წამებაჲ ჰაბოჲსი 15). გაქრისტიანებულ ჰაბოს მსაჯულმაც უთხრა: „ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტყევიბიეს მამული სჯული“-ო (იქვე, 24). მე-IX და X სს. ძეგლებში კი „მამული“ უკვე საგვარეულო, მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების აღმნიშვნელი ტერმინია (იხ. მაგ. ბ. ზარზმელისა და გ. მერჩულის თხზულებები). ამგვარად, „მამული“ თავისი მნიშვნელობით უკვე ლათინურს *res in patrimonio*-ს და *patrimonium*-ის შესატყვი-

⁷ სწ. ზარზმელის ცხ. ბა, გვ. 176₂₁₋₂₇.

⁸ იქვე, გვ. 176₃₄₋₃₆.

⁹ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, ტფილისი, 1929, გვ. 388.

სობას წარმოადგენს და ეს მნიშვნელობა ამ ტერმინს საუკუნეთა განმავლობაში შერჩა¹⁰.

„მამული“ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ნახმარია არა მარტო იმ ახალი მნიშვნელობით, რომელსაც ი. ჯავახიშვილი IX—X საუკუნეებით ათარილებს, არამედ მას შეეძენილი აქვს კიდევ სხვა ნიუანსი — აღნიშნავს ფეოდალური მიწათმფლობელობის ფორმას, რაც სრულიად ახალი მოვლენაა, მკვეთრად გამიჯნული ამ ტერმინის IX ს. ადრინდელი შინაარსისაგან.

მთავარი „დიდი და წარჩინებული“ მპყრობელი და უფალია ადგილთა და მათ სანახთა. როდესაც გიორგი ჩორჩანელმა ნაღირობისას ტყეში კვამლი შენიშნა, საქმის ვითარების გასარკვევად აფრინა კაცი, რომელმაც სერაპიონს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მთავრისა ვარ მე დიდისა, რომლისა სახელი გიორგი, რომლისა მიერ მოვივლინე მე, რამეთუ დაუკვრდა ესევითარსა ამას ადგილსა კუამლი ცეცხლისა და ყოლად ყოფაჲ კაცისაჲ“. ხოლო წმიდასა მას ვითარცა ესმა, რამეთუ მთავარი არს და უფალი ადგილთა მათ, გამოიკითხა გამოწულილვით ყოველი საქმე მისი. და ვითარცა ცნა ზედამიწეენით, ვითარმედ უფალ არს მათ ადგილთა და მპყრობელ ყოველთა მათ სანახებთა, მეყსეულად იწყო წმიდამან სერაპიონ და მყის წარმოუთხრა პირველითგან ვიდრე მუნ ეამამდე, თუ რომლისა მიზეზისათვის მოიწინეს ადგილსა მას, და ვითარმედ ეგულების აღშენებაჲ მონასტრისაჲ¹¹.

თხზულების ტექსტიდან დამოწმებული ადგილები აშკარად მოწმობს დიდი და წარჩინებული მთავრის—გიორგი ჩორჩანელის ეკონომიურ სიმძლავრეს.

დიდი მონასტრის აგებას სჭირდებოდა ამგვარი ფეოდალის შემწეობა, ამიტომაც მონასტრისათვის ადგილის შესარჩევად მოსულ საღმრთო ძმებს მთავარი შემდეგნაირად მიმართავს: „...საქმენი ესე... თვნიერ ჩემსა არა წარემართებიან“¹².

გიორგი ჩორჩანელის გარდა დიდი მთავარი ყოფილა აგრეთვე მისი დის ქმარი—მირიანი, ძე ბეშქენ ბაჰლანდისა.

ბასილი ზარზმელის თხზულების მიხედვით, „დიდი და წარჩინებული მთავრის“ გვერდით სამცხეში არსებობენ უფ-

¹⁰ ი. ჯავახიშვილი, ქართული საპართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, გვ. 389.

¹¹ სწ ზარზმელს ცხბა, გვ. 158₁₋₂.

¹² იქვე, გვ. 160₇₋₁₁; შდრ. გრგლ ხნტლს ცხბა, გვ. 261₂₁₋₂₄.

რო დაბალი რანგის მთავარნიც — „ს ხ უ ა ნ ი ც ა მ თ ა ვ ა რ ნ ი“. თხზულების ავტორის თქმით, ზარზმის ეკლესიის ასაგებად მოსულ საღმრთო ძმებთან, გიორგი ჩორჩანელის გარდა, მოვიდნენ „...ს ხ უ ა ნ ი ც ა მ თ ა ვ ა რ ნ ი... გ ა რ ე მ თ ა ა დ გ ი ლ თ ა ნ ი და თვთო-ეულნი უთხრობდეს წმიდათა მათ სიმარჯუესა სამონასტრეთა ადგილ-თასა, და კაციცა იგი, რომელ პირველ იოტა ძინძედ წოდებულისა მის-გან ადგილისა, მოწლედ შეუვრდებოდა და აწუევდა, რაჟთა მუნ აშე-ნებდენ“¹³.

ცხადია, „ს ხ უ ა ნ ი ც ა მ თ ა ვ ა რ ნ ი“ თავიანთი სოციალ-ეკონო-მიური რანგით გიორგი ჩორჩანელზე დაბლა დგანან. კ. კეკელიძე სა-მართლიანად აღნიშნავს, რომ „ეს მთავრები ისეთი სიმდიდრისა და შეძლების პატრონად არ ჩანან, როგორც „მთავარი დიდი და წარჩი-ნებული“¹⁴.

მაშასადამე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში სამცხის ფეო-დალური კლასის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი „მთავარი“ და არც ერთხელ არ გვხვდება სიტყვა „აზნაური“; რაც შეეხება გიორგი შერ-ჩულეს თხზულებას, აქ ფეოდალური კლასის ძირითადი აღმნიშვნელი ტერმინი არის აზნაური¹⁵, მაგრამ მთავარიც იხმარება: „ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინააშე აშოტ კურა-ბალატისა, და ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფნაჩული. და აწ ნათესავთა მისთა ჰრქვან დაფნაჩულნი. ესე აზნაური შემკულ იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა, ჰასაკითა და ახოვნებითა, და ყოველსა ზედა საქმესა განმარჯუებითა და კეთლად მორწმუნეობითა ქებულ იყო“¹⁶. ერთ დღეს გაბრიელს ესტუმრა მამა გრიგოლი. დიდი აზნაური შინ არ იყო. „ხოლო რაჟამს მოიწია სახიდ-თვსა გაბრიელ მთავარი, მაშინ აუწყა ღმრთის მოყუარემან მეუღლემან მისმან ნეტარისა მამისა გრიგოლის მოსლვაჲ, და ვითარ-იგი მან სიხარულით განუტევა და ვითარცა ესმა ესე დიდებულ-სა მას აზნაურსა, მადლი შეწირა ღმრთისა წმიდისა მის შეს-ლეისათვს სახლსა თვსსა, და აკურთხა მეუღლმც თვსი“¹⁷. ან კიდევ: ზან-ცთის ძველი ეკლესია, ავტორის თქმით, აიგო „...შეწევნითა ქრისტე-სითა და მეოხებითა წმიდისა გიორგისითა და ლოცვითა ნეტარისა მა-

¹³ სწ ზარზმის ცხბა, გვ. 168₂₂₋₃₂.

¹⁴ კ. კეკელიძე, აღრიცხული ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბი-ლისი, 1935, გვ. 125.

¹⁵ მ. ლორთქიფანიძე, აღრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, 1966, გვ. 143.

¹⁶ გიორგი შერჩულე, გრგლ ხნცთლს ცხბა, გვ. 258₂₁₋₂₅.

¹⁷ იქვე, გვ. 259₈₋₁₂.

მისა გრიგოლისითა, ხოლო კორციელად მოღუაწებითა დიდებულისა გაბრიელ მთავრისა და ყოველთა მართლმორწმუნეთათა“¹⁸.

საგანგებო განმარტებას მოითხოვეს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ტექსტში დამოწმებული „სხუანიცა მთავარნი“.

ალბათ, შემთხვევითობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში იხმარება ტერმინი „მთავარი“ და არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს „აზნაურის“ გამოყენებისა, წინააღმდეგ გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებისა, სადაც ერთი და მეორეც არის მოხსენიებული. ამ ორ ტერმინს შორის, სოციალური შინაარსის თვალსაზრისით, არავითარი განსხვავება არ შეინიშნება. როგორც ჩანს, იმ დროს „მთავარი“ „აზნაურის“ სინონიმად იხმარებოდა.

გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში ერთგან გაბრიელ დაფანჩულის მიმართ იხმარება ტერმინი „ერის მთავარი“: „ამისა შემდგომად ღმრთის-მსახურსა მეფესა აშოტ კურაპალატსა აუწყა გაბრიელ ერის-მთავარმან სანატრელისა მამისა გრიგოლის ღირსება და უცხოვება და უქმსა უდაბნოსა მონასტრისა შენება და მოწაფეთა მისთა სათნოება და მოწაფეთაგანვე ცნობა და დიდებულებისა და წმიდისა მის მშობელთა“¹⁹.

ტერმინი „მთავარი“ გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში იხმარება აშოტ კურაპალატის ძეთა მიმართ. გრიგოლმა სთხოვა მათ ენახათ მის მიერ აგებული მონასტრები და კლარჯეთის უდაბნონი. „ხოლო მათ ისმინეს მოკსენება და წმიდისა მის, რომელიცა წინა წარმოუძღლა მთავართა (იგულისხმებიან აშოტ კურაპალატის შვილნი) მათ“²⁰. ანდა: „ხოლო ერისკაცთა მათ შეიკვიმეს მხილება იგი უმეცართა წესისდადებისა და შეინდევს შჯულისა წინამძღუართაგან. და ვითარცა განასრულეს პურის ჭამა, მისცეს მშვედობა მთავარსა მას დიდსა (იგულისხმება გუარამ კელმწიფე) და მან სიხარულით განუტევენა ყოველნი“²¹.

როგორც ვხედავთ, გაბრიელ დაფანჩული ერთდროულად იწოდება დიდებულ აზნაურად, მთავარად და ერისმთავრად. ამავე დროს ყველა მთავარი არ იწოდება ერისმთავრად. „სხუანიცა მთავარნი“, როგორც ჩანს, არ იყვნენ ერისმთავრები. ერისმთავრებად უნდა ვიგულისხმოთ მთავართა მაღალი კატეგორია — „მთავარი დიდი და წარჩი-

¹⁸ გრგლ ხნცთლს ცხბა, გვ. 261₂₁₋₂₄.

¹⁹ იქვე, გვ. 261₃₄₋₃₈.

²⁰ იქვე, გვ. 275₄₋₈.

²¹ იქვე, გვ. 290₁₈₋₁₉.

ნებული“. რაც შეეხება აზნაურს, როგორც ჩანს, აზნაურთა კლასი ამ დროს უკვე გაყოფილია ორ სოციალურ ფენად: დიდებულ აზნაურებად და აზნაურებად (მაგრამ დიდებულები ჯერ არ არიან გამოყოფილნი ცალკე წოდებად. დიდებული წარმოადგენს მხოლოდ აზნაურთა ზედაფენის ეპითეტს).

როგორც ჩანს, აზნაური ჯერ კიდევ ინარჩუნებს ზოგად შინაარსს და მოიცავს როგორც მთავარს, ისე ერისმთავარს. მაშასადამე, ფეოდალთა კლასს აღნიშნავს ორი ტერმინი: აზნაური და მთავარი, ამ კლასის ზედაფენას — დიდებული აზნაური და ერისმთავარი სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში „სხუანიცა მთავარნი“ მოხსენიებულნი არიან მრავლობით რიცხვში და, ცხადია, წარმოადგენენ რიგით მთავრებს. მათგან აშკარად გამოირჩევა მთავარი „დიდი და წარჩინებული“, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში მოხსენიებული „ერისმთავრის“ და „დიდებული აზნაურის“ თანაბარი სოციალური რანგის პირად.

გიორგი ჩორჩანელი, მთავარი „დიდი და წარჩინებული“, გარემოცულია „წინაშემდგომლებით“. ეს უკანასკნელნი მის გვერდით იმყოფებიან, მას ემსახურებიან. როდესაც უცხოთა მოსვლის ამბავი შეიტყო, გიორგი ჩორჩანელმა „მონათავანი“ გაგზავნა ადგილის დასაზვერად, ამ უკანასკნელმა კი „ყოველი მიუთხრა დიდსა მას მთავარსა და ყოველთა წინაშემდგომელთა. ხოლო იგინი მთავრითურთ შიშმან და განკვრევაბამან შეიპყრნა და საოცარ რამე ჰგონეს საქმე იგი“²².

„წინაშემდგომელი“ უძველესი ტერმინია. იგი გვხვდება შატბერდული ოთხთავების ტექსტებში, რომლებიც, მართალია, IX—X საუკუნეებშია გადაწერილი, მაგრამ წარმოშობით ადრინდელ ხანას—IV—V საუკუნეებს ეკუთვნის²³. აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი იხმარება ოთხთავის ჯრუჭისა და პარხლის რედაქციებში, აღიშისაში კი არც ერთხელ არ არის მოხსენიებული: „და ერთმან ვინმე წინაშემდგომელმან იკადა მახვლი და ჰსცა მონასა მდღელთ მოძღურისასა და წარკუეათა ყური“ (მრ., 14, 47, DE); „ხოლო მან კუალად უვარ-ყო. და მერმე შემდგომად მცირედისა ეამისა წინაშემდგომელნი იგი ეტყოდეს პეტრეს: ჰეშმარიტად მათთანაჲ ხარ, და რამეთუ გალილეველ ხარ“ (მრ., 14, 70, DE): „მერმე კუალად მკე-

²² სწ ზარზმელს ცხა, გვ. 158₂₄₋₂₇.

²³ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1945, გვ. 011.

ვალმან მან იხილა იგი და იწყო სიტყუად წინაშე მდგომელთა მათ, ვითარმედ: ესეცა მათგანი არს“ (მრ., 14, 69, DE); „მიუგო და ჰრქუა ანგელოზმან მან: მე ვარ გაბრიელ, წინაშე მდგომელი პირსა ღმრთისასა და მოვივლინე სიტყუად შენდა და ხარებად ამას“ (ლ., 1, 19, DE); „და ვითარცა ესე თქუა მან, ერთმან წინაშე მდგომელმან მსახურმან ჰსცა ყურმიალსა იესუს და ჰრქუა: „ესრჳთ სიტყუას უგება მღდელთ მოძღუარსა? (ი., 18, 22, DE).

ტერმინი „წინაშემდგომელი“ გვხვდება გიორგი მერჩულის თხზულებაში. გაბრიელ ერისმთავარმა გრიგოლ ხანცთელისა და მისი მოწაფეების საქმიანობა გააცნო აშოტ კურაპალატს. „ესე ყოველი ვითარცა გულისკმა-ყო კეთილად მსახურმან კურაპალატმან აშოტ, მსწრაფლ ხოლო დაწერა ებისტოლჳ ქელითა: თვისითა და კაცი ერთი კეთილი წინაშე მდგომელთაგანი და ერთი გაბრიელის მსახურთაგანი სწრაფით წარმოავლინნა მამისა გრიგოლის წინაშე“²⁴.

მერეს მახლობლად, მათვის სამყოფელში ქურდები მოსულიყვნენ. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც წინ მოუძლოდა მათ, „...კადნიერ იქმნა წარღებად, რაჲცა-იგი აქუნდა წმიდასა მას. და მან ჰრქუა: „წინაშე მდგომელი ვარ წმიდისა ღმრთის-მშობლისაჲ, რომელმანცა პატიეულ გყოს შენ წარმდები ეგე“²⁵.

თხზულების მიხედვით, დიდი მთავრის ქვეშევრდომი დაბალი რანგის ვასალები არიან „საკუთარნი“. „საკუთარი“ სოციალურად ექვემდებარება უფალს. საკუთარნი თვითონაც მთავარნი არიან. გიორგი ჩორჩანელმა, მოისმინა რა ამბავი სერაპიონისა და სხვათა მოსვლის შესახებ, მოისურვა დაწვრილებით შეეტყო ყოველივე. ამ მიზნით... განთენნა რაჲ, კუალად უბრძანა მთავარმან ორთა საკუთართა თვსთა და გონებითაცა ფრთხილთა, რაჲთა ზედა-მიწევნით ცნან ყოველივე. ხოლო წარმოვიდეს კაცნი იგი. და ვითარცა მოიწინეს წინაშე წმიდისა მის მამისა, და იხილნა იგინი და გულისკმა-ყო, რამეთუ მთავარნი არიან და საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი, მიეგება და მოწულედ მოიკითხნა წმიდამან მან და წინაშე ხატსა წარავლინნა, და თაყუანის-სცეს რაჲ, და იკურთხნეს და განიხარეს დიდად ფრიად“²⁶.

დიდი და წარჩინებული მთავარი „საკუთართ“ ხშირად აზრს ეკითხება და მათი რჩევისამებრ იქცევა. ავტორის გადმოცემით, გიორგი ჩორჩანელმა „...ჰრქუა თვსთა საკუთართა: „ვიინაჲთგან არა ინებეს

²⁴ გრგოლ ხნცთლს ცხბა, გვ. 261³³-41.

²⁵ იქვე, გვ. 284³⁴-38.

²⁶ სწ ზრზმლს ცხბა, გვ. 158²⁰-38.

წმიდათა მათ აღგილთა მას ზანავისათა, რაჲთამცა მუნ გუეშენა უდაბ-
ნოჲ დიდი და მალალი, აწ უკუე რაჲ ჯერ-არს ყოფად?“ ხოლო მათ
პრქუეს: „რაჲთა არა დაეაბრკოლოთ გულს-მოდგინებაჲ მათი“²⁷. და
მართლაც, გიორგი ჩორჩანელმა ისე გადაწყვიტა საკითხი, როგორც
„საკუთრებმა“ ურჩიეს: „ძალისაებრი შუწვენა“ გაუწია საღმრთო
ძმებს და ამ უკანასკნელთა კარნახით გადაჭრა სამონასტრო ადგილის
შერჩევის საქმე.

ტერმინი „საკუთარი“ საბა-სულხან ორბელიანს შემდეგნაირად
აქვს განმარტებული: „ესე არს განთესებული საქმე (+ ვითარცა თუა-
ლისათჳს ფერი, ყურისათჳს სმენა, ცხვირისათჳს ყნოსა, პირისათჳს
გემო და ესევეთარნი საკუთარნი)“²⁸. ამ განმარტებიდან ისე ჩანს, რომ
სიტყვა „საკუთარი“ ნიშნავს დამახასიათებელ მხარეს, თ ვ ი ს ე ბ ა ს,
რაც სხვებისაგან გამოარჩევს ერთ მოვლენას თუ საგანს²⁹. ილ. აბუ-
ლაძის ეტიმოლოგიით ტერმინები „საკუთარი“, „საკუთრება“, „უსაკუ-
თრესი“ თავისი „კუთ“ ძირით ძველ ქართულში ძირითადად გადმოს-
ცემს ცნებას, დაკავშირებულს სპეციფიკურთან, კერძოსთან, პირად-
თან, ცალკესა (ცალკერძსა) და სათავისოსთან, ანუ თჳსთან³⁰. „კუთ“
და მისგან ნაწარმოები „კუთნ“ ფუძე, თავის მხრივ, ნაწარმოები ზმნე-
ბითა და სახელზმნებით — კუთნვა, დაკუთნვა, განკუთნვა, გამოკუთნ-
ვა, განკუთნებული, მკუთნველი საბოლოოდ „კუეთ“ ზმნის ფუძისა-
გან ამოდის; ასე რომ, კუთ და კუთნ ძირსა თუ ფუძეს, უპირველეს
ყოვლისა, „კუეთა“-ს ცნებისაგან მოაქვთ თავიანთი მნიშვნელობა (გა-
მოკვეთა, გამოყოფა, გამოსაზღვრა, გამოარჩევა, გამოცალკეევა, გამო-
კერძოება, განთვისება, განჩემება, გამოკუთვნება), რაც სომხური ენის
მონაცემებითაც მტკიცდება³¹. სომხურში „კუთნ“-ისა და „საკუთარ-
საკუთრების“ ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინები, ქართულის მსგავსად,
„კუეთა“-საგან მოდიან. ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, შემთხვევი-
თი მოვლენა არ უნდა იყოს, მას გარკვეული სოციალური პირობები
უნდა ედოს საფუძვლად³².

ი. ჭავჭავიძის აზრით, ტერმინი „კუთნა“ მსახურებას, თავყა-
ნისცემას, ზრუნვას და მოვლას ნიშნავდა. ამის მიხედვით „საკუთარი“

²⁷ ს-ნ ზრზმლს ცხ-ბა, გვ. 161¹⁵⁻¹⁸.

²⁸ ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, ი ო ს ე ბ
ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა და ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ი ს რ ე და ქ ც ი თ, თბილისი, 1928.

²⁹ ი ლ . ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, ხელნაწერთა ინსტი-
ტუტის მოამბე. I, 1959, თბილისი, გვ. 157.

³⁰ ი ქ ვ ე, გვ. 163.

³¹ ი ქ ვ ე, გვ. 166.

³² ი ქ ვ ე, გვ. 167.

თავდაპირველად მოსაველელის, საზრუნავისა და სათაყვანებელის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო“³³.

აღნიშნული ტერმინი გვხვდება პირველსავე ქართულ წერილობით ძეგლში „მარტკლობაჲ შუშანიკისი“: „...იყო იგი (შუშანიკი, ნ. ვ.) ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით. და პრქუა ვინმე პიტიახშსა საკუთარმან მისმან, ვითარმელ: „ამათ წმიდათა მარხვათა ნურას ეტყუ მას“³⁴. იგივე თხზულებაში ვკითხულობთ: „ხოლო პიტიახშმან გამოარჩია ძუძუჲს-მტჳ მისი საკუთარი, რაჲთა მოიყვანის იგი (შუშანიკი, ნ. ვ.) ტაძრად“³⁵.

„როგორც ძუძუჲს-მტე, რომელსაც პიტიახშში საპასუხისმგებლო მისიის დასაკისრებლად გამოარჩევს, ისე „ვინმეც“, რომელიც პიტიახშს რჩევას აძლევს, უკანასკნელთან დაახლოვებულნი პირები არიან. „საკუთარი“ ორივე შემთხვევაში დაახლოვებულ პირს, ახლობელს, თავისიანს ნიშნავს“³⁶.

ტერმინი „საკუთარი“ იხმარება გიორგი მთაწმიდელის თხზულებაში: „ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპათგან დიდებული და წარჩინებული და საჩინოჲ მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მკნე და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისაჲთა და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულისკმის-ყოფითა, და სავსე შიშითა ღმრთისაჲთა და ყოვლითავე კეთილისა საქმითა, და ფრიად საყუარელი და საკუთარი კეთილად ქსენებულისა დავით კურაპალატისაჲ“³⁷. ანდა: „და ვითარ ესმა კოსტანტი მეფესა, დიდად შეწუხნა და წარავლინა თვისი ვინმე საკუთარი და მოიკითხა იგი“³⁸. შემდეგ: „...ჟამთა რომანოზ მეფისათა, დიდად წარჩინებულ იქმნა გიორგი

³³ ი. ჭავჭავაძის, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, გვ. 394.

³⁴ იაკობ ტურტაველი, მარტკლობაჲ შუშანიკისი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 19₁₃₋₁₆.

³⁵ იქვე, გვ. 24₁₁₋₁₂.

³⁶ გ. სოსელია, საკუთრების უფლების აღმნიშვნელი ტერმინების შესახებ V—XVIII სს. ქართულ წყაროებში, ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტომი IX, სოხუმი, 1956, გვ. 91.

³⁷ გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესა და ეფთჳქესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს.), თბილისი, 1967, გვ. 42₁₃₋₂₀.

³⁸ იქვე, გვ. 91₁₃₋₁₄.

წინაშე რომანოზ მეფისა და დიდად საკუთარ და პატივცემულ³⁹.

ტერმინი „საკუთარი“ გვხვდება გიორგი მცირეს თხზულებაში: გიორგი მთაწმიდელი, ავტორის თქმით, „...აღმოცენა... ქუეყანასა თრიალეთისასა, ვითარცა პირმან საქმისამან გაუწყოს. რამეთუ მშობელ—ამისნი იყვნეს ღმრთის-მსახურნი. ეწოდებოდა მამასა იაკობ, ხოლო დედასა — მარიამ. ესე იაკობ იყო ერთგულთაგანი და საკუთართა ღმრთის-მსახურისა მეფისა გიორგისთა⁴⁰; „პირველად შეჰვედრა იგი (გიორგი მთაწმიდელი, ნ. ვ.) ყოვლად წმიდასა ღმრთის-მშობელსა, რომლისა-იგი ერთგულ მსახურ და საკუთარ მონაყოფად იყო, და მერმე თვსთა ძმათა მიუთუალა და თვთ სიხარულით წარვიდა სახედ თვსა⁴¹; „ხოლო მეფემან ბაგრატ სიხარულითა დიდითა წარმოგზავნა შვილი თვისი მართა კაცთა თანა საკუთართა თვსთა⁴²; „ხოლო მას (მეფეს, ნ. ვ.) ვითარცა ესმა, განიხარა ფრიად და წარმოავლინა საკუთარი თვისი იოვანე⁴³.

ამრიგად, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის „საკუთარის“ სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსზე: „საკუთარი“ ვასალია — ის დიდ მთავარს ექვემდებარება, ამავე დროს თვითონაც მთავარია. „საკუთარი“ დაბლა დგას წინაშემდგომელებზე: ბერებთან გაგზავნილი ყრმა დაბრუნების შემდეგ ამბავს მოახსენებს არა მარტო მთავარს — გიორგი ჩორჩანელს, არამედ მის წინაშემდგომელებსაც, გიორგი. ჩორჩანელი კი ამბის ზედმიწევნით შესატყობად გზავნის არა წინაშემდგომელებს, არამედ ორ საკუთარს. სხვა წყაროების ცნობები აღსატურებს და ნაწილობრივ ავსებს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების მონაცემებს „საკუთარზე“, როგორც დაბალი რანგის ვასალზე.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში, გარდა საზოგადოების გაბატონებული ფენისა, გვხვდება დაბალი სოციალური ფენებიც და ინმარება მათი აღმნიშვნელი სათანადო ტერმინებიც. ამ მხრივ საგანგებო

³⁹ გიორგი მთაწმიდელი. ცხოვრება, იოვანესი და ეფთჳმესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს.), თბილისი, 1967, გვ. 93₁₄₋₁₈

⁴⁰ გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს.), თბილისი, 1967, გვ. 110₄₋₁₀

⁴¹ იქვე, გვ. 115₁₁₋₁₄

⁴² იქვე, გვ. 141₉₋₁₀

⁴³ იქვე, გვ. 157₁₅₋₁₈

ყურადღებას იმსახურებს ტერმინი „ქუეყანის-მოქმედი“, რომელიც, როგორც უკვე აღნიშნულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, მიწისმოქმედს, მიწის დამმუშავებელს, გლეხს ნიშნავს⁴⁴.
თხზულების მიხედვით, „ქუეყანის-მოქმედს“ ახასიათებს პატიოსანი შრომითა და ლიტონად, ე. ი. უბრალოდ, მარტივად ცხოვრება: „ესე ნეტარი და ყოლად ქებული სერაპიონ აღმოსცენდა ქუეყანასა კლარჯეთისასა მშობელთაგან ღირსთა და პატიოსნებით და ლიტონად ცხოვრებითა, რომელნი შრომით და ქუეყანის-მოქმედებით იზარდებოდეს და ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ზრდიდეს გლახაკთა, და ძალისაებრსა მისცემდეს უღონოთა კელის-აპყრობასა, და სიმშვიდით და სიძდაბლით იყოფვოდეს მსგავსად საწინასწარმეტყუელოესა სიტყვსა: „ვის მივხედნე გარნა მშვიდსა და მდაბალსა“ და შემდგომი“⁴⁵.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, „ქუეყანის-მოქმედს“. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ცნობით, შეუძლია „გლახაკთა მდიდრად ზრდა“ და „უღონოთა კელის-აპყრობა“. ამდენად, ცხადია, „ქუეყანის-მოქმედი“ არ წარმოადგენს საზოგადოების ყველაზე დაბალ სოციალურ კატეგორიას არც ეკონომიურად („გლახაკთა მდიდრად ზრდა“) და არც უფლებრივად („უღონოთა კელის-აპყრობა“).

საზოგადოების უმდაბლესი სოციალური კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინი „გლეხი“ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხსენიებული არ არის. არ არის იგი დადასტურებული არც გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებასა და არც ზოგიერთ სხვა ნარატიულ ძეგლში, როგორც ეს შენიშნა ი. ჯავახიშვილმა. მისი აზრით, ამ ძეგლებში გლეხის შესატყვისად იხმარება სხვა ტერმინები: გიორგი მერჩულეს თხზულებაში — „მსოფლიონი ერის კაცნი“ და „მდაბიო“, „მატიანე ქართლისაჲში“ — „წურილი ერი“, სუმბატ დავითის ძის თხზულებაში — „ერნი მსოფლიონი“. ი. ჯავახიშვილი თვლის, რომ ეს ან შემთხვევითობით აიხსნება, ან მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ეს ტერმინი XI საუკუნემდე არ იყო დამკვიდრებული ქართულ მწერლობაში⁴⁶.

⁴⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. I-ტფილისი, 1928, გვ. 28. კ. კეკელიძე, აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 127.

⁴⁵ ს. ზარზმელის ცხება, გვ. 152₂₆₋₂₇.

⁴⁶ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, გვ. 38.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად არა, მაგრამ მანაც გვაქვს ამ სიტყვის ხმარება ქართულ მწერლობაში მეთერთმეტე საუკუნემდე. ერთი ადრინდელი ხმარება ამ სიტყვისა დადასტურებულია „რიფსიმეანთა წამების წიგნში“, რომელიც VIII საუკუნეზე უადრესი და IX საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს⁴⁷.

„რიფსიმეანთა წამების წიგნი“ ასახელებს ქალაქ ვალარშაპატის დაბალ მასას, რომელსაც „გლებს“ უწოდებს⁴⁸. ტერმინ „გლების“ ზოგადი მნიშვნელობა კარგად ჩანს ქართული ბიბლიის „ოშკურ ხელნაწერში წარმოდგენილი „სოლომონის სიბრძნის“ მე-6 თავის მე-7 მუხლიდან⁴⁹. ილ. აბულაძე ასე განმარტავს „გლების“ შინაარსს: „როგორც ქართულ მოწმობათაგან ირკვევა, „გლები“ ძველად ჩვენში ხმარებულა ფართო შინაარსით მოსახლეობის სოციალურად დაბალი ფენის აღმნიშვნელად, და ვიწროთი—ამ დაბალ ფენაში შემავალი ქალაქელი (რიფსიმეანთა წამების მიხედვით) თუ სოფელი უბრალო ხალხის ანუ „გლების“ ამსახველად (გრიგოლ ოშკელის თარგმანის მიხედვით). ბიბლიის ქართული თარგმანის „გლები“ შეესატყვისება სომხურ „ალქატს“ და რუსულ „НШШШ“-ს და „БЕДНЯК“-ს. ორთავე შემთხვევაში „ღარიბს“. ეს უკანასკნელი კი ძველი ქართულით ჩვეულებრივ „გლახაკ“-ად იწოდება. რადგან ქართულ კონტექსტებში „გლები“ თითქმის ყველგან „მდიდარს“ უპირისპირდება, ამიტომაც მისი „გლახაკ“-ად მიჩნევა არ უნდა ჩანდეს საექვო⁵⁰.

როგორც ი. აბულაძის მიერ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, „გლები“ იყო დაბალი სოციალური ფენის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი. ამასვე უკერს მხარს „ნიკორწმინდის დაწერილი“, სადაც „გლები“ აღნიშნავს როგორც მიწაზე მიმაგრებულ, მებეგრე მიწისმოქმედს, რომლის გაყიდვა, შეწირვა თუ სხვა სახით გასხვისება შეუძლია ფეოდალს, ისე მიწისმფლობელ უშუალო მწარმოებელს. საბუთის ცნობით, ნონასტრის წინამძღვარი ყიდულობს მიწას გლებისაგან: „ჩინქარაჲს ძისა გლებისაგან ვიყიდე ნაოთხალი ვენაჯისაჲ, ჩუენ თანა ედვა და გავისაკუთრე და მივეც ზროხაჲ ა, და ორმოცისა დრამისა კმელადი“⁵¹. ამავე საბუთის ცნობით, მონასტერს სწორავენ გლებებს, ე. ი. პირად თავისუფლებამწართმეულ უშუალო მწარმოებელს⁵².

47 ი. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკონიდან, გვ. 170.

48 იქვე.

49 იქვე, გვ. 172.

50 იქვე, გვ. 174.

51 ქართული სამართლის ძეგლები. ტომი III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს), თბილისი, 1970, გვ. 27.

52 იქვე.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში იხმარება ტერმინი „გლახაკი“. როგორც წყაროებიდან ჩანს, ეს არის „ქუეყანის-მოქმედთა“ წრიდან გამოსული, ეკონომიურად და სოციალურად მიმძლავრებული, წარმოების უნარდაკარგული სოციალური ფენა. გლახაკის ცნება სიმდიდრესთან არის დაპირისპირებული: „უძლურთა მკურნალო, კირვეულთა შემწეო, ღელვა-გუემულთა ნავთ-საყუდლო, გ ლ ა ხ ა კ თ ა ს ი მ დ ი დ რ ე ო, უცხოთა და მოგზაურთა ნუგეშინის-მკემლო...“⁵³. სხვაგან ავტორი სამონასტრო ადგილის შესარჩევად სამოსელჩამოხეული და დაქანცული ბერების გარეგნობას მიიჩნევს გლახაკთა გარეგნობად. იგი წერს: „...ესევეთართა ს ი გ ლ ა ხ ა კ ი თ ა იხილვებიან და ესევეთარსა ამას უღლაწსა ადგილსა იხილვებიან“⁵⁴.

აღამიანთათვის მძიმე უბედურებად თვლის ავტორი „სიგლახაკის ალში“ ჩავარდნას. სერაპიონ ზარზმელის ოჯახის თავგადასავალი მოწმობს, რომ სანამ ოჯახის მამა ცოცხალია და შრომის უნარი შესწევს, „ქუეყანის-მოქმედის“ ოჯახიც არსებობს, მაგრამ დაობლებულ მცირეწლოვან ბავშვებს თავისი შრომით არსებობა არ შეუძლიათ და დიდ მატერიალურ სივიწროვეს განიცდიან: „და დაშეთს სამნივე ყრმანი მსგავსად ბაბილოენისა ყრმათა ა ლ ს ა მ ა ს შ ი ნ ა ს ი გ ლ ა ხ ა კ ი ს ა ს ა შ ე თ ხ ე უ ლ ნ ი“⁵⁵.

შუა საუკუნეებში გლახაკთა სოციალური ფენა არსებობდა სხვა ქვეყნებშიც, როგორც აღმოსავლურ სამყაროში, ისე ბიზანტიაში. ჩვენში ამ ფენის მრავალრიცხოვნებას მოწმობს ის გარემოება, რომ იგი მეფეთა სავანებო ზრუნვის საგანი იყო. მაგალითად, ბაგრატ კურაპალატმა IX საუკუნეში გლახაკთა და უძლურთა სასარგებლოდ განსაკუთრებული გადასახადი, ე. წ. „გლახაკთა ნაწილი“ დააწესა⁵⁶.

„გლახაკი“ ღარიბის, დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომი ადამიანის აღმნიშვნელად იხმარება გიორგი მცირეს თხზულებაში: „ამისა შემდგომად აღძრვითა ზეგარდამოხათა მოუკდა სურვილი უ ც ხ ო ე ბ ი ს ა და ს ი გ ლ ა ხ ა კ ი ს ა ა და თვსთა და მეცნიერთაგან განშორებისაჲ, და, უფროაჲს-და ვთქუა თუ, სურვილი თაყუანისცემისათვის წმიდათა მათ და განმაცხოვრებელთა ადგილთა...“⁵⁷. ავტორის თვალთხედვით გლახაკი ხმარობს „დაბებულ“, ე. ი. ძველ, დაცვეთილ, დაკონკილ ტანსაცმელს. როდესაც გიორგი მთაწმიდელი ათონის მონას-

⁵³ ს¹ ზ¹ ზმ¹ლს ცხ¹ბა, გვ. 186⁷⁻⁹.

⁵⁴ ი ქ ვ ე, გვ. 158⁹⁻⁹.

⁵⁵ ი ქ ვ ე, გვ. 153¹⁸⁻¹⁸.

⁵⁶ ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 115.

⁵⁷ გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისაჲ, გვ. 119¹²⁻¹⁸.

ტრიდან იერუსალიმში გაიპარა, მას გზად შემოხვდა ვილაც კაცი, რომელსაც „დაბებკული“ ტანსაცმელი ემოსა. გაიგეს რა გიორგის წასვლის ამბავი, მამა მკარი და სხვა ბერნი „შეწუხნეს ფრიად და ყოველით კერძო მეძიებელნი და შემპყრობელნი განავლინნეს, და ყოველნი გზანი მოიცივნეს. მაშინ, ვითარცა გულისკმა-ყო, რამეთუ შეიპყრობდეს, საღმრთო ღონე იქუშია ვითარცა დიდმან ათანასი, და შესამოსელი თვისი ფრიად კეთილი მისცა გლახაკსა ვისმე და მისი იგი დაბებკული შეიმოსა“⁵⁸.

ტერმინი „გლახაკი“ უქონელის, უღონოს მნიშვნელობით იხმარება ძველში „ისტორიანი და აზმანი შარავეანდელთან“. თამარმა „...იკსნა მოვალენი ვალთაგან, და მისცა ობოლთა ღონე და ქურივთა კელმწიფობა ქორწინებად, და ღონიერ ყვნა გლახაკნი და მდიდარ ღონიერნი“⁵⁹. ან კიდევ: „მშუებელნი იხარებდეს, გლახაკნი განმდიდრდებოდეს“⁶⁰; თამარი გლახაკთადმი მზრუნველობას იჩენდა: „ამან (იგულისხმება თამარი, ნ. ვ.) ისმინა კმა იგი უტყუელისა პირისა და შეიტკბო იგი, რამეთუ ღამე ყოველ მძღვარება, ლოცვა, მუკლთ-დრეკა და ცრემლით ვედრება ღმრთისა ზემდგომობითა განსაკვრებულ აქუნდა, და ღამე ყო კელსაქმარი, რომელი გლახაკთა მიეცემოდა“⁶¹. ან კიდევ: „კელით-საქმარი ჩისი განყიდეს და ეგოდენ ფასი გლახაკთა აქელ-საქმარის და მისცის არა სამეფოდ შემოსავალთაგან“⁶². თამარი „...არა უმაღლო იპოვა ღმრთისა მიმართ; აღასრულებდა ლიტანიობასა და ღამისთევასა, მრავალნი გასცა ობოლთა და გლახაკთა ზედა, და ლაშქართა ზედა გაყო საჭურჭლე დიდი, აღვსებულნი კუალად აღავსნა“⁶³. თხზულების ერთი ადგილიდან ჩანს, რომ გლახაკი შიმშილობდა: თამარმა „...აღავსნა ყოველნი კელნი მთხოველთანი, და განაძღნა ყოველნი გლახაკნი და აღუვსო წიაღნი მათნი უხუებით“⁶⁴.

ტერმინი „გლახაკი“ იხმარება ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში მდიდართა საპირისპიროდ: „...იყვნეს თვთ მუნ და ყოველთა ადგილსა ლიტანიობანი და ღამისთევანი მიმდემნი, და ცრემლთა დინებანი იხილვებოდეს მდიდართა და გლახაკთანი სწო-

⁵⁸ ცხება გრგი მოწმდსი, გვ. 119₃₁—120₁₋₄.

⁵⁹ ისტონი და აზმნი, ქც, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. II, გვ. 29₁₆₋₁₇.

⁶⁰ იქვე, გვ. 47₁₄.

⁶¹ იქვე, გვ. 79₁₂₋₁₄.

⁶² იქვე, გვ. 81₁₋₃.

⁶³ იქვე, გვ. 109₁₄₋₁₇.

⁶⁴ იქვე, გვ. 140₂₀₋₂₁.

რეზიოტ⁶⁵. ეხება რა თამარის დიდ დამსახურებას, ავტორი შენიშნავს: „და წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარემოში ქართლისა, თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თვსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თვსად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა“⁶⁶.

თამარის ზრუნვა გლახაკთა მიმართ ბასილი ეზოსმოდღვარს შემდეგნაირად აქვს აღწერილი: „ხოლო გლახაკთათვის განეჩინნეს სარწმუნონი ზედამდგომელნი, და ყოვლისა სამეფოსა მისისა შემოსავალნი, რაცა იყო შინათ და გარეთ, ყოვლისა ნათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებელად ერთისა ქრთილისა მარტულამდეცა. და ამას ყოვლადვე არა გონებდა ქველის საქმედ მითულვად წინაშე ღმრთისა, რამეთუ რაჟამს მოიცალის მარტოებით ყოფად, მყის აღიღის სასთუელი, გინა საკერავი და ნაშრომსა მას თვსთა კელთასა ხუტესთა და გლახაკთა განუყოფნ თვსითა კელითა“⁶⁷. ან კიდევ: „წარვლნა დღენი მისნა სიხარულსა შინა, ამისთვის რამეთუ მარადღე ახარებდა ყოველთა გლახაკთა და დავრდომილთა“⁶⁸.

როგორც ვედავთ, „გლახაკთა“ ფენას იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა შუა საუკუნეების საქართველოს სოციალურ ცხოვრებაში, რომ ის სახელმწიფო ზრუნვის საგანს შეადგენდა.

როგორც აღნიშნული გვექონდა, ბასილი ზარზმელის თხზულებაში არ იხმარება ტერმინი „გლეხი“, მაგრამ როგორც ტექსტიდან თვალნათლივ ჩანს, „გლეხები“ (თუ გლეხს მივიღებთ დაბალი სოციალური ფენის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად, როგორც ეს ჩანს ადრინდელ ძეგლებში) უნდა ყოფილიყვნენ იმ ადგილის მფლობელნი, რომელიც მდებარეობდა „უტყვს“-ად წოდებული ხევის ბოლოში და სახელად ძინძე ჰქმევია. როდესაც მათ შეუტყვიათ ბერების მოსვლის ამბავი, განრისხებულთ ეს უკანასკნელნი აქედან გაუძევებიათ.

თხზულების ტექსტში ვკითხულობთ: „ხოლო ეუწყა რაჲ უფალთა მის დაბისათა, ვითარმედ უტყხოთა ვიეთმე მონაზონთა ჰნებაჲს ადგილსა მას აღშენებად მონასტერი, ხოლო მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოვლითურთ მქეცებრივ, უწირავ და ბოროტ, რამეთუ არა ინებეს კურთხევაჲ წმიდათა მათგან“⁶⁹.

⁶⁵ ბასილი ეზოსმოდღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქც.

II, გვ. 144²⁵⁻²⁷.

⁶⁶ იქვე, გვ. 147⁷⁻¹⁰.

⁶⁷ იქვე, გვ. 147²⁴⁻²⁹.

⁶⁸ იქვე, 147²⁴⁻²⁵.

⁶⁹ სწ. ზრზმელს ცხბა. გვ. 156²⁰⁻²¹

ამ ფრაზაში გამოსკვივის აგიოგრაფის კლასობრივი დამოკიდებულება დაბალი სოციალური ფენის, ამ შემთხვევაში „გლეხობის“ მიმართ.

ს. ჭანაშია ამ „უფალთა მის დაბისათა“-ში გულისხმობდა, ერთი მხრივ, „გლეხებს“, ხოლო მეორე მხრივ — მათი სოფლის ბატონს, რომელსაც, როგორც მკვლევარი შენიშნავს, მის ხალხთან ერთად „...ბერებისათვის უკმეხად გამოუცხადებია—არც თქვენი ლოცვა-კურთხევა გვინდა და არც თქვენი მონასტერი, მოგვშორდით თავიდანო. სერაპიონი და მისი თანამშრომელი, როგორც ჩანს, გაძალიანებულან. მაშინ ამ ფეოდალს, ალბათ, მსახურებისათვის განკარგულება გაუცია, უტაცნიათ ხელი დაუბატიებელი სტუმრებისათვის და ძალით გადაურეკნიათ თავიანთი სოფლის საზღვრებს გარეშე“⁷⁰.

ეფიქრობთ, რომ „უფალთა მის დაბისათა“-ში ამ დაბის მფლობელი „გლეხნი“ იგულისხმებიან მხოლოდ.

სამონასტრო ადგილის შესარჩევად წამოსული ბერები მიადგებიან ადგილს, რომელიც მდებარეობდა „...შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა. ხოლო იყო მუნ წისქვილი, სახლი რაჲმე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა საძმო ეწოდებოდა. და ამას შინა იყვენეს კაცნი რაჲმე უკეთურნი, ყოლად მქეცებრივნი, ვითარცა ადგილისა უკაცოხსა და უცხოხსანი“⁷¹. დაინახეს რა მოსული ბერები „კაცთა მის დაბა-წისქვილისათა, იწყეს ყენებად... და ვითარცა ცოფნი წინა რბიოდეს“⁷², მოგვითხრობს ავტორი.

მაგრამ მამების შეურაცხყოფისათვის „...კაცთა მათ, რომელნი იგი შესაკრებელსა მას წყალთასა წინა რბიოდეს ვითარცა ეშმაკეულნი“⁷³, ღვთის სასჯელი მიიღეს. არანაკლები ძალის შეტაკება მოუხდათ ბერებს ტბასთან, რომელსაც „სათაქუე“ ეწოდებოდა. ამ მგზავრობის ერთ-ერთი მონაწილე იგონებს: „მოვიდეს ვინმე კაცნი უკეთურნი, რომელნი გუეტყოდეს, რაჲთა დავაცადოთ სლვაჲ კერძოთა მათ, რომელთა მიგუემართა, რამეთუ უამი არსო ნადირთაჲ, რომელნი მოვლენ ტბასა ამას,

⁷⁰ ს. ჭანაშია, მწიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში, შრომები, II, გვ. 440.

⁷¹ ს. წ. ზრ. ზმლს ცხ. ბა, გვ. 162₂₂₋₂₆.

⁷² იქვე, გვ. 162₂₁₋₂₃.

⁷³ იქვე, გვ. 167₂₂₋₂₃.

რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ, რაჲთა არა იქმნას ცთომამჲ მათი თქუენ მიერ⁷⁴.

წმინდა მამები „გარე-უკუ-მოაქციეს“, ისინი გამოემართნენ ადგილისაკენ, რომელსაც ბაბგენ ეწოდებოდა, და შეხვდნენ ვინმე გარბანელს, რომელსაც სერაპიონმა ჭუარი დასწერა და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ღმერთმან მოგაგოს ნაცვალი მგზავრობისა შენისაჲ, ძმაო ხოლო გეტყვ შენ, რამეთუ ადრე იხილო მისაგებელი კ ა ც თ ა მ ა თ ბ ო რ ო ტ თ ა და შ ფ ო თ ი ს-მ ო ყ უ ა რ ე თ ა ჲ“⁷⁵.

დამოწმებულ ადგილებში დაბალი სოციალური ფენის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი „კ ა ც ი“ (მრ. კაცნი, კაცთა; შდრ. მეგრული („კოჩი“). რა მიმართებაშია „კაცი“ „გლეხთან“? გლეხი, როგორც ჩანს, უფრო ზოგადი ტერმინია, ვიდრე კაცი. „გლეხი“ ეწოდება უშუალო მწარმოებელთა ყველა ფენას, როგორც პირადად თავისუფალს, ისე პირად თავისუფლებამწართმეულ მებეგრეს, ფეოდალის მიწაზე მჭდომს, ხოლო „კაცი“, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების მიხედვით, უფრო ვიწრო შინაარსისა ჩანს: ის არ გულისხმობს მებეგრეს, ფეოდალის მიწაზე მჭდომს. ზემოთ აღნიშნულ მაგალითებში „კაცნი“ დაბა-წის-ქვილის მფლობელნი არიან; როგორც ჩანს, ძინძეს მფლობელნი— „უფალნი დაბისანი“ ასევე „კაცნი“ არიან.

ამრიგად, „დაბის უფლებთან“, „კაცებთან“ (გლეხებთან?) ბერების შეტაკება მოწმობს, რომ ამ უკანასკნელთ კარგად ესმოდათ, რასაც უქადდა მათ ამ ადგილებში მონასტრის მშენებლობა. ამიტომაც მათ მძაფრი წინააღმდეგობა გაუწევიათ სერაპიონისა და მისი თანხლები პირებისათვის.

ყურადღასაღებია ის გარემოება, რომ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ავტორი საზოგადოების ამ დაბალი ფენისადმი კლასობრივ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და სწორედ კლასობრივი პოზიციიდან უწოდებს მათ „უკეთურს“, „ბოროტს“, „უწირავს“, „მჭეცებრივს“, „შფოთის-მოყუარეთ“ და სხვა.

გლეხთა წრეს ეკუთვნოდა ალბათ სოფელ ძ ა რ ლ უ ა ს მცხოვრებიც⁷⁶. იგი სერაპიონ ზარზმელის გარდაცვალების შემდგომ მისსავე მონასტრის მამასახლისმა აღკვეცა. „...და აღასრულეს მის ზედა ყოველი წესი მონაზონთაჲ. და ვითარცა წარვიდა კ ა ც ი იგი სოფლად თქსსა, იცნეს იგი კ ა ც თ ა და მეგობართა, და განჰკრთეს, იხილეს რაჲ

⁷⁴ სწ ზარზმელს ცხბა, გვ. 164_ა-_ბ—165₁.

⁷⁵ ი ქ ე ე, გვ. 165_ა-_ბ.

⁷⁶ კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ა. ფ. ქ. ლ., გვ. 127.

უცხოთა სამოსლითა შემოსილი, და ენება კულად ერისაგან ყოფად. და ვითარცა ვერ შეუძლეს მორჩილებად მისი, უთხრეს ესე უფალსა მისსა, რამეთუ იყო კაცი იგი საქმარ და მსრბოლ გზათა შორთა⁷⁷.

როგორც ჩანს, ამ დროს სამცხეში „გლებთა“ მასიდან გამოყოფილი იყვნენ ცალკეული პირები, რომლებიც ასრულებდნენ ამა თუ იმ წვრილ სამოხელეო ფუნქციას. ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდა სოფელ ძარღუაში მცხოვრები „მსრბოლი გზათა შორთა“, რომელიც ქონებრივად რამდენადმე დაწინაურებულა (305 დრაჰკანის მფლობელი გამხდარა).

ასეთივე კატეგორიის პირები იყვნენ ე. წ. „მკვრცხლ მავალნი“. გიორგი ჩორჩანელმა შეიტყო უცხო პირთა მოსვლის ამბავი და „...შემდგომად სამისა დლისა უბრძანა, რაათა მზა-ყენენ გზანი მიმყვანებელნი ადგილსა მას, რომელსაცა იყენეს წმიდანი იგი. და აღეკაზმა და აღილო მცირედი რაამე ევლოგიაჲ, რომელი შეეტყუებოდა კაცთა მათ მეუღაპნოეთა, და მის თანა წარიყვანა ხუცესნიცა საცეცხლურსა-კუმეველებითა. და წარავლინა წინაათ მკვრცხლ მავალნი, რაათა გაანჰმზადებდენ გზათა“⁷⁸.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში ახმარება ტერმინი „ერი“: „ხოლო წმიდაჲ იგი, ვითარცა იყო უცხოჲ ზუაობისაგან, მიუგო და ჰრქუა მათ: „ნუ ჰგონებთ, მთავარნო და ერნო, თუმცა ჩუენითა რაათმე ძალითა ქმნილ იყვნეს სასწაულნი ესე, არამედ რამეთუ აღიდა ხატი პარისა თვისისაჲ ქრისტემან ღმერთმან, რაათა თქუენ გრწმენეს, ვითარმედ არა ტყუვილ და ამაო არიან საქმენი ესე, რომელთა თქუენ ხედავთ“⁷⁹. ან კიდევ: „...დაიდგინა მონაცვალებდ მისა აავლე ვინმე ხუცესი, კაცი წამებული ყოვლისა მიერ ერისა“⁸⁰.

ტერმინი „ერი“ შემკრებლობითი, საზოგადო ცნების გამომხატველი სიტყვა იყო, რომელსაც ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: ხალხსაც აღნიშნავდა და ჯარსაც. შავალითად, სახარების ქართულ თარგმანში აღნიშნული ტერმინი ხან ხალხის, ბრბოსა და კრებულის შესატყვისიდა, ხან ჯარისა და ლაშქრისა⁸¹. სიტყვა „ერის“ ამგვარი მნიშვნელობების არსებობა სრულიად დასაშვებია ჩანს, რადგან უძველეს დროს ხალხი და ჯარი ერთი

⁷⁷ ს. წ. ზარზმელ ცხ. ბა, გვ. 182²³⁻²⁸.

⁷⁸ იქვე, გვ. 159²⁴⁻²⁹.

⁷⁹ იქვე, გვ. 169⁹⁻¹⁴.

⁸⁰ იქვე, გვ. 184²⁹⁻³¹.

⁸¹ ი. ქაჯახიშვილი, ქართულ სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი

და იგივე იყო. შემდგომში ტერმინი „ერი“ თანდათან კარგავს ჯარის გაგებას და მხოლოდ ხალხის აღმნიშვნელ ტერმინად იქცევა. ჯარისათვის კი სამწერლო ენაში ჯერ სიტყვა „სპა“ შემოდის, ხოლო შემდგომ ტერმინი „ლაშქარიც“ იხმარება⁸².

ბასილი ზარზმელის თხზულებაში „ერი“ სოციალური ტერმინია და იხმარება საზოგადოების დაბალი ფენის (რუს. *престолюжи*) აღსანიშნავად. ამაზე განსაკუთრებით მიგვანიშნებს ერთი ადგილი „ცხოვრიდან“, სადაც ნათქვამია: გიორგი ჩორჩანელი „...ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთათა...“⁸³.

ცნობილია, რომ ძველ ქართულ წყაროებში დაბალი ხალხის აღსანიშნავად იხმარებოდა „წურილი ერი“ და „ყოველი ერი“. ამ ტერმინთა შინაარსობრივი მნიშვნელობა კარგადაა ნაჩვენები ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში იხმარება ტერმინი „ყრმა“. ეს უკანასკნელი „მონის“ სინონიმად არის გამოყენებული. მაგალითად, როდესაც ნადირობისას გიორგი ჩორჩანელმა ტყეში კვამლი შენიშნა, „...მყის უბრძახა ერთსა ვისმე მონათა განსა: „და წარვედ მსწრაფლ“, ჰრქუა, „და ზედამიწევნით ცან ძალი საქმისაჲ ამის და მუწყე ჩუენ, თუ რაჲმე არს სახილავი ესე?“. ხოლო წარვიდა მყის ყრმაჲ იგი და ჭირით და შრომით მიჰყვა კუამლსა მის ცეცხლისასა“⁸⁴. იგივე ტერმინი ერთგან კვლავ აქვს თხზულების ავტორს გამოყენებული: „და მოუწოდა (იგულისხმება გიორგი ჩორჩანელი, ნ. ვ.) ერთსა ყრმათა განსა და ჰრქუა მას: „მივედ, ძმაო, და არქუ წმიდათა მათ, რაჲთა მოვიდენ ადგილსა ამას“⁸⁵.

ტერმინ „ყრმის“ თაობაზე კ. კეკელიძე შენიშნავს: „თხზულებაში (იგულისხმება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება) ვხვდებით აგრეთვე სხვა სოციალური წრის წარმომადგენელსაც, მაგალითად, ყრმას, რომელიც, ავტორის შეგნებით, მონის სინონიმს წარმოადგენს... რომ აქ სიტყვა „ყრმა“ სოციალური ტერმინია, აღმნიშვნელი იმისა, რასაც ჩვეულებრივ „ყმა“ ეწოდებოდა, და არა ასაკისა, ბავშვის მაჩვენებელი, ჩანს იქიდან, რომ ამ „ყრმას“ თითქმის ყოველ ნაბიჯზე „კაცი“ ეწოდება, მას მიმართავენ სიტყვით „ძმაო“ და არა „შვილო“. საფიქრ-

⁸² ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, გვ. 21.

⁸³ სწ. ზარზმელის ცხ. ბა. 157₁₃₋₁₄.

⁸⁴ იქვე, გვ. 157₂₅₋₂₆—158₁₋₄.

⁸⁵ იქვე, გვ. 161₁₃₋₁₆.

ბელია, რომ „ყმა“, რომლის პირვანდელ, უძველეს ფორმად „ყრმა“ ჩანს, როგორც სოციალური ტერმინი, უფრო ძველია, ვიდრე ე. წ. პატრონუმობის პერიოდი ჩვენი ისტორიისა (მე-10 საუკუნე), ის, ალბათ, იხმარებოდა პარალელურად ტერმინისა „მონა“; ყოველ შემთხვევაში, ბიბლიაში არის ისეთი ადგილები (მაგალ. ისაია 44²¹), სადაც „ყრმა“ „მონის“ მნიშვნელობითაა ნახმარი (И. Джавахов, Государственный строй древней Грузии и Армении, 73). ამავე მნიშვნელობით ეს ტერმინი ნახმარი უნდა იყოს აგრეთვე მეხუთე საუკუნის ძეგლში, რომელსაც „შუშანიკის მარტვილობა“ ეწოდება⁸⁶.

ქ. კეკელიძემ „ყ რ მ ის“ განმარტებისას ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ტერმინი მოხსენიებულია იაკობ ცურტაველის თხზულებაში „მარტვლობაჲ შუშანიკისი“ და იქაც, მისივე სიტყვით, იმავე მნიშვნელობითაა ნახმარი, როგორც ბიბლიის ჩვენთვის ცნობილ რედაქციებში.

ტერმინი „ყ რ მ ა“ განმარტებული აქვს ილ. აბულაძეს „შუშანიკის მარტვლობის“ მის მიერ გამოცემული ტექსტისათვის დართულ ლექსიკონში. მკვლევარი აღნიშნულ ტერმინს განმარტავს, როგორც „ახალგაზრდას“⁸⁷. საზოგადოდ კი, ი. აბულაძის აზრით, ტერმინი „მონა“ და „ყრმა“ მსახურის (და არა ყმის) აზრს მოიცავენ და ერთმანეთს ამიტომაც ენაცვლებიან⁸⁸.

რა თქმა უნდა, ბასილი ზარზმელის თხზულებაში დამოწმებულ ტერმინებს „ყრმა“ და „მონა“ არაერთი კავშირი არა აქვს მონათმფლობელურ ფორმაციასთან. ისინი ფეოდალური საზოგადოების ცნებათა გამოხატველად გვევლინება. ამავე დროს, როგორც ჩანს, „ყრმა-ცა“ და „მონაც“ განვითარების ორგვარ ტენდენციას ამჟღავნებდა: ორივე ტერმინი დროთა განმავლობაში უკავშირდებოდა როგორც გაბატონებული ფეოდალური კლასის მაღალსა და საშუალო (მდრ. „ვეფხისტყაოსნის“ ყრმასა და მონას), ასევე დაბალ საზოგადოებრივ ფენებს (მაგალითად, „ყმა“, როგორც ფეოდალურად დამოკიდებული გლეხი და სხვა.).

როგორც ცნობილია, ტერმინი „ყმა“, რომელსაც განსაზღვრულ პირად და უფლებრივ დამოკიდებულებაში მყოფი ადამიანის აღმნიშვნელად ხმარობდნენ, წარმოდგება სიტყვისაგან „ყ რ მ ა“, რაც ძველ

⁸⁶ ქ. კეკელიძე, ა. ფ. ქ. ლ., გვ. 128.

⁸⁷ იაკობ ცურტაველი, მარტვლობაჲ შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკლევა, ვარიანტები. ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფილისი, 1938.

⁸⁸ ეს აზრი პროფესორმა ილია აბულაძემ მოგვაწოდა ზეპირ საუბარში.

ქართულ მწერლობაში, მაგალითად, დაბადებასა და სახარებაში, ბავშვს ნიშნავს⁸⁹.

„ყრმისა“ და „მონის“ ურთიერთდამოკიდებულებას ფეოდალურ საზოგადოებასთან, მათ შინაარსობრივ განვითარებას ფეოდალურ გარემოცვაში კარგად გვიხატავს „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო სტროფები. „ყ რ მ ა“ არის ავთანდილი (სტროფები: 64, 65, 145, 149 და სხვა), ტარიელი (სტროფები: 84, 86, 92, 94, 96, 103, 114, 115, 116, 117 და სხვა). პოემაში „მონად“ იწოდება შერმადინი:

„ესეა მონა შერმადინ, ზეწითა სხელდებულა,

თანა-შეზრდილი, ერთგული და მისთვის თავდადებული“
და სხვ.

რა თქმა უნდა, „მონა“ აქ ფეოდალური შინაარსის შემცველია და გამომხატველი. თვითონ ტერმინოლოგიაც („ერთგული“, „თავდადებული“) ფეოდალური ურთიერთობის შესაფერისია. ამგვარი მნიშვნელობა ტერმინებს „ყ რ მ ა ს ა“ და „მ ო ნ ა ს“, რაღა თქმა უნდა, მე-12 საუკუნემდე კარგა ხნით ადრე უნდა მიეღო.

სწორედ ამ მხრივ არის ჩვენთვის საინტერესო სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში დამოწმებული „ყრმა“ და „მონა“.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში შესული სოციალური ტერმინოლოგია, ჩვენი აზრით, ასახავს ფეოდალური ურთიერთობის იმ ეტაპს, როდესაც „მამული“ უკვე იხმარება როგორც ფეოდალური მიწათმფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინი, ხოლო „ერი“ ქცეულა სოციალურ ტერმინად (შდრ. „წურილი ერი“ და სხვ.). მთავრდება ადრეფეოდალური ხანა და იქმნება საჭირო სოციალ-ეკონომიური პირობები განვითარებული ანუ მომწიფებული ფეოდალური ხანისათვის. განვითარებული ფეოდალური ხანის (მე-10—12 სს.) სოციალ-ეკონომიური ტერმინოლოგია ქართული ფეოდალიზმის ამ საფეხურის შესაფერისია და, რაღა თქმა უნდა, სცილდება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს.

ბ) სოციალური მოძრაობანი

ბასილი ზარზმელის თხზულებაში ასახულია ადრეფეოდალური ხანა. აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელია შემდეგი გარემოება: ფეოდალურ ურთიერთობას ჯერ კიდევ არ მოუტავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, თუმცა კი უკვე ყოველგვარი

⁸⁹ ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი I, გვ. 65.

(სოციალ-ეკონომიური) პირობა არსებობს ფეოდალიზაციის პროცესის შემდგომი გაღრმავებისათვის.

ადრეფეოდალური ხანის ნიშანდობლივი თვისებაა წინარე ფორმაციების გადმონაშთთა არსებობა⁹⁰. ამ უკანასკნელთა ლიკვიდაცია ვერ მოხდებოდა და არც მომხდარა ფეოდალიზმის განვითარების საწყისს ეტაპზე. წინარე ფორმაციების გადმონაშთთა ლიკვიდაციამ განაპირობა მოწიფული ფეოდალიზმის დასაწყისი.

მართალია, ფეოდალური ურთიერთობის არსებობა გულისხმობს მწარმოებელი საზოგადოების დაყმევებას, მაგრამ ეს იყო მეტისმეტად რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ერთბაშად ვერ დასრულდებოდა: ადრეფეოდალურ ხანაში დაყმევებულია მწარმოებელთა დიდი ნაწილი, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მის გვერდით თავისუფალი მწარმოებლის ფენის არსებობას, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ ფეოდალური ურთიერთობა ჯერ კიდევ განვითარების პროცესში იმყოფება. აღნიშნულ ეტაპზე ისევ ვხვდებით თემური წყობილების გადმონაშთს — სასოფლო თემს, რომლის რღვევის პროცესი შორსაა წასული, მაგრამ საბოლოოდ დასრულებული ჯერ კიდევ არ არის.

ღროთა ვითარებაში მცირდება მეთემე გლეხთა რიცხვი, ამის ხარჯზე იზრდება ფეოდალურად დაყმევებულ გლეხთა რაოდენობა, იზრდება დაყმევებულთა ექსპლუატაციის ხარისხი და ადრეფეოდალური ხანის ბოლოს, IX—X საუკუნეების დასასრულისათვის, თანდათან გადავდივართ მოწიფული ფეოდალიზმის ხანაზე.

სწორედ ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის გაძლიერდა მიწების ფეოდალური დატაცება. ფეოდალს ჰქონდა მონაგები, ნახმლევი, ნანადვრძევი და სხვა, მაგრამ მიწის ფეოდალური გასაკუთრება ძირითადად მაინც სათემო მიწების ხარჯზე ხდებოდა. „X საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს მოწინავე თემებში მიწების უდიდესი ნაწილი უკვე მთავრებსა და აზნაურებს ჰქონდათ დაჩემებული. მაგრამ ხალხის მიწა-წყლის მითვისება და ფეოდალურ მამულებად გადაქცევა უბრძოლველად არ მომხდარა“⁹¹. სასოფლო თემი გააფთრებით იცავდა თავის ქონებრივსა და სოციალურ უფლებებს.

სათემო მიწების მითვისებისა და მათი კერძო საკუთრების საგნად გადაქცევის პროცესი შესწავლილია ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს მიერ, რომლის

⁹⁰ 1. ჯ ა ნ ა შ ი ა ს, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე, მრომები, II, გვ. 421; მ. ლ ო რ თ კ ი ფ ა ნ ი ძ ე, ადრეფეოდალური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. II, 1959, გვ. 184—185.

⁹¹ 2. ზ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური სახელმწიფო წიგნში: „საქართველოს ისტორია“, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 128.

აზრით თემმა თავდაპირველად და ყველაზე ადრე დაჰკარგა სამოსახლო და ნაშენები (საბალ-ბოსტნე) ადგილები. შემდგომში მას მიჰყვა სახნავ-სათესი მიწები; რაც შეეხება საძოვრებს, მათზე თემის უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ კიდევ დიდხანს ვრცელდებოდა. და ბოლოს, ბრძოლის უკანასკნელი ობიექტი იყო ტყე. „თითქმის ყველა ქვეყანაში ხალხის შეგნებაში, სულ უკანასკნელ ხანებამდის, ღრმად იყო გამჭდარი შეგნება, რომ ტყე მთელი თავისი პროდუქციით საზოგადო, სახალხო საკუთრებას შეადგენს“⁹².

ტყე რომ გვიან საუკუნეებშიც სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა და საზოგადო სარგებლობაში იყო, ამაზე მეტყველებს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ერთი მუხლი, სადაც ვკითხულობთ: „ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეკირვის კაცსა და კელმწიფისა არის: წყალი, შეშა და ბალახი“⁹³.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, X საუკუნის მიწურულისათვის დამთავრდა ადრეფეოდალური ხანა და ქვეყანამ ფეოდალური განვითარების ახალ, შედარებით მაღალ საფეხურს მიიღწია⁹⁴. „სოციალური განვითარების მხრივ ეს გარემოება იმაში გამოიხატა, რომ მღაბიორების საზოგადოებრივი ფენა დამოკიდებული გახდა აზნაურებზე. აზნაურებმა დაიტაცეს სათემო მიწები. ბარის საქართველოში სასოფლო თენი საბოლოოდ დაიშალა და გაქრა. ყმათა დიდმა უნრავლესობამ თანდათან დაკარგა თავისუფლების ყველა ნიშანი და აზნაურის „გლეხთა“ რიგში ჩადგა. ამ ნიადაგზე კლასობრივი წინააღმდეგობა გაღრმავდა, კლასობრივი ბრძოლა განწყავდა“⁹⁵.

ფეოდალიზაციის პროცესი იწვევდა „გლეხთა“ ბრძოლას მათი დაყმევების წინააღმდეგ. აღნიშნული პროცესი დაიწყო ბარის რაიონებში, სადაც მწარმოებელ საზოგადოებას მძიმე ტვირთად აწვა, ერთა მხრივ, ფეოდალური, ხოლო, მეორე მხრივ, არაბთა ბატონობის უღელი. ამის გამო „მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც ადრევე მისწრაფვოდა აღმოსავლეთ საქართველოს განაპირა კუთხეების და დასავლეთი და სამხრეთი საქართველოსაკენ, როგორც დამპყრობელთათვის მიუდგო-

⁹² ს. ჯ ა ნ ა შ ი ა . ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში, შრომები, II, გვ. 438.

⁹³ ვახტანგ VI. სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოყვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ, თბილისი, 1955, გვ. 22.

⁹⁴ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , ქართული ფეოდალური სახელმწიფო წიგნში: „საქართველოს ისტორია“, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 137.

⁹⁵ ი კ ე ე .

მელი რაიონებისაკენ, არაბთა ძალმომრეობისაგან თავის დასაღწევად, თანდათანობით მტკიცდება და ძალას იკრებს ახალ ადგილებზე⁹⁶.

ასე დიწყო სამცხის კოლონიზაცია, — მოსახლეობის მომრავლება სამცხეში, ქართლის ამ განაპირა რაიონში, სადაც არაბთა ბატონობა მეტისმეტად სუსტი იყო, ანდა საერთოდ არ ყოფილა.

როგორც ცნობილია, გლეხობის ჩაბმა ფეოდალური ურთიერთობის უღელში ხდებოდა მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში. თავისუფალი მწარმოებელი ნებაყოფლობით არ თმობს არც საწარმოო საშუალებებს (მიწას) და არც თავისუფლებას.

ქართულ ნარატიულ წყაროებში მხოლოდ აქა-იქ გვხვდება ცნობები, რომელთა შინაარსი სოციალურ ბრძოლებს შეეხება. საამისო მასალა დიდი რაოდენობით უნდა ყოფილიყო დაცული დოკუმენტურ წყაროებში⁹⁷, მაგრამ სამწუხაროდ ადრეფეოდალური ხანიდან ჩვენამდე მხოლოდ ერთმა საბუთმა (IX ს.) მოაღწია. ამის გამო განსაკუთრებით საყურადღებოა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ჯაცული ცნობები, რადგან ადრეფეოდალური ხანის ქართული მწერლობის არც ერთი ძეგლი ამ საკითხზე არ გვაძლევს ისეთ მნიშვნელოვან მონაცემებს, როგორსაც ეს წყარო.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების საამისო ცნობებს ქართველმა მკვლევარებმა უკვე მიაქციეს ყურადღება⁹⁸. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ფეოდალურ საქართველოში მიმდინარე სოციალურ ბრძოლას საზოგადოდ და, კერძოდ, ზარზმის სანახების დაბალი საზოგადოებრივი ფენების ბრძოლას უკავშირებდა ეკონომიურ უთანხმოებებსა და წინააღმდეგობებს. მონასტრების დამაარსებელთა ცხოვრების ამსახველ თხზულებებში აღნიშნულია, რომ ამ მოღვაწეებს ჩვეულებრივ დიდ დახმარებას უწევდნენ ერისკაცნი, უმეტესად მემამულე აზნაურნი, რომელნიც ამას ქრისტიანული ღვთისმოსაობის გამო აკეთებდნენ. ასეთივე ქრისტიანული მისწრაფებანი უნდა გამოემჟღავნებიათ დაბალ საზოგადოებრივ ფენებსაც. თითქოს ისინიც, როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, თანაგრძნობას უცხადებდნენ ხოლმე ეკლესია-მონასტრების მშენებელთ⁹⁹. მაგრამ რაგინდ ძლიერი ყოფილიყო ქრისტიანული

⁹⁶ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე, შრომები, II, გვ. 422.

⁹⁷ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—X საუკუნეებში, 1934, გვ. 1.

⁹⁸ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—X საუკუნეებში, ტფილისი, 1934; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ბრძოლა მიწის ფეოდალური მიწისფლობისათვის ძველ საქართველოში, შრომები, II, 1952; Г. Н. Ч у б и н а ш в и л и, Грузинское чеканное искусство, 1959; ა. ბოგვერაძე, კლასობრივი ბრძოლის ანარქული ადრეფეოდალური ხანის ქართულ ორიგინალურ მწერლობაში, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966 და სხვ.

⁹⁹ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 2.

რწმენა, „...როდესაც მონასტრის გაშენება მათ რაიმე განსაცდელს უქაღდა, ეს გრძნობა მათი ეკონომიური ინტერესების შელახვით გამოწვეულს გულისწყრომას ვერ დახშავდა. მართლაც, მახლობლად მდებარე დაბა-სოფლების მკვიდრთ შორის მონასტრების გაშენებას ყოველთვის აღტაცება არ გამოუწვევია“¹⁰⁰.

ასე მომხდარა ზარზმის მონასტრის მშენებლობის დროსაც, რაც დაწვრილებითაა მოთხრობილი სერაპიონ ზარზმელის ცნობრებაში. ადგილობრივ მკვიდრთათვის სრულიად გასაგები იყო, რომ მონასტრების აშენებასა და მათ გამრავლებას მოჰყვებოდა დაბალი სოციალური ფენების ფეოდალური დამოკიდებულების გაძლიერება, რადგან რაც დრო გადიოდა, ეკლესია თუ მონასტერი მით უფრო მეტად იღებდა ფეოდალური სასულიერო ორგანიზაციის სახეს. ამდენად, სრულიად გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ უწყევნ წინააღმდეგობას ზარზმის მონასტრის ასაგებად მოსულ ბერებს ახლო-მახლო დაბების მცხოვრებნი. მით უფრო, ადვილი მოსალოდნელია, რომ ისინი ყოფილიყვნენ ქართლიდან გამოქცეული მიწის მუშაკნი, რომელთაც, როგორც წყაროდან ირკვევა, „იწროებსა“ და „უდაბური“ ადგილებისათვის შეუფარებიათ თავი, „არ იყო კუალი მგზავრობისაჲ და არცა გზაჲ“, მოგვითხრობს სერაპიონის ერთ-ერთი თანმხლები პირი. ეგებ შემთხვევითი არც კი ყოფილიყო ასეთი ადგილების შერჩევა საცხოვრებლად? ლოგიკურია, მშვიდ ცხოვრებას მონასტრებულ ხალხს სწორედ ასეთი ადგილებისაკენ გამოეწია. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს მხარე საზოგადოდ დაუსახლებელი იყო IX—X საუკუნეებამდე, პირიქით, თვით ის ფაქტი, რომ წმინდა ნინო ქართლში ამ გზით შემოვიდა, რაც მოთხრობილია ჩვენს წყაროებში, ბევრის მტკმელია: „...წარმოვემართე მათათა ზედა ჯავახეთისათა, რათა ვცნა თუ სადათ არს მცხეთაჲ. და მივემთხუევე მათათა ზედა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ერქუა ფარანაჲ... გარდამოსადინალსა მის ტბისსა მოვყევე და წარმუევემართე და იყო დინება წყლისა დასავლით კერძო და მიუღეგ წყალსა მას. და მივემთხუევე გზათა ძნელთა და ფიცხელთა. და ვნახეთ ჭირნი დიდნი გზათა მათგან და შიშნი მკეცთაგან, ვიდრე არა მოვიწიე, სადა აგი იწყო წყალმან დინებად აღმოსავლეთით. მაშინდა იქმნა მოღხინება ჩემი და ვპოვენი მოგზაურნი და შევემოყსიე მათ და მოვიწიე სანახებსა ქართლისსა და ორბნისსა“¹⁰¹.

¹⁰⁰ ი. ქ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 2.

¹⁰¹ Е. Такашвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», том II, 748—749—750 (ქელოზური ვარიანტი).

როგორც „ნინოს ცხოვრებაში“ მოთხრობილი, სომხეთიდან წამოსული ქართლის განმანათლებელი მოადგა ფარავნის ტბის პირს, აქედან იგი გამოჰყვა იმ ცნობილ საქარავნო გზას, რომელიც მდინარე მტკვრის გაყოლებით, ჯავახეთ-სამცხეზე გავლით ქართლისაკენ მიემართებოდა. ამ გზის დასაწყისი ძეგლში უდაბურად და საშიშრადაა წარმოდგენილი. ნინომ შვება მხოლოდ მაშინ იგრძნო, როდესაც მდინარემ აღმოსავლეთისაკენ იქცია პირი.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ნინომ „ლხინება პოვა“, როდესაც აწინდელ ქართლში შემოვიდა¹⁰². ჩვენ ვფიქრობთ, რომ რადგან მტკვარი აღმოსავლეთით სწორედ სამცხის ფარგლებში უხვევდა, ამიტომაც ნინოს სიტყვები: „...მაშინდა იქმნა მოლხინება და ჩემი და ვპოვენ მოგზაურანი და შევემოყსიე მათ და მოვიწიე საჩახებსა ქართლისსა და ორბნისსა“, ეხება საგანგებოდ სამცხეს.

მაგრამ ადრეფეოდალურიდან მოწიფულ ფეოდალიზმზე გარდამავალ პერიოდში „გლახობა“ სამცხეშიც — ქართლის ამ განაპირა ოლქში — ფეოდალური დაყმევების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, რასაც მოჰყვა მძაფრი სოციალური ბრძოლა.

სოციალური წინააღმდეგობების ნიადაგზე აღმოცენებული და განვითარებული ბრძოლის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო სწორედ ფეოდალიზაციის პროცესის შემდგომი განვითარება, ფეოდალური ექსპლუატაციის გაძლიერება¹⁰³, რასაც ადგილი ჰქონდა ადრეფეოდალურიდან მოწიფულ ფეოდალიზმზე გადასვლასთან დაკავშირებით IX—X საუკუნეების საქართველოში.

აღნიშნული ბრძოლის შესახებ საგულისხმო ცნობები მოიპოვება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში.

ამდენად, ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა, ბერები-სადმი გაწეული, არამც და არამც არ უნდა ნიშნავდეს, რომ ძეგლში იმ ხანის ვითარებაა აღწერილი, როდესაც „მესხეთის მთელი მოსახლეობა ჯერ კიდევ არ არის გაქრისტიანებული“¹⁰⁴. ასეთი დასკვნის საფუძველი, ჩვენი აზრით, არ არსებობს და, მაშასადამე, ეს არგუმენტი არ გამოდგება თხზულების ადრინდელობის სამტკიცებლად.

¹⁰² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბილისი 1964, გვ. 51.

¹⁰³ ვ. გაბაშვილი, სოციალური მოძრაობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში (IX—XIII სს.), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბილისი, 1966, გვ. 15.

¹⁰⁴ Г. Н. Урушидзе, დასახელებული ნაშრომი, გვ. 31.

თითქმის ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე გიორგი მერჩულეს თხზულებაში. გრიგოლ ხანკთელის მოწინააღმდეგემ, უკანონო გზით გაეპისკოპოსებულმა ცქირმა ისარგებლა ადგილობრივ მცხოვრებთა უკმაყოფილებით და იმდროისათვის არაჩვეულებრივი, მკრეხელობად მიჩნეული საქმე ჩაიდინა, როგორც იყო ანჩის ერის შეკრება და მისი წარვლენა ხანკთის ეკლესიის დასარღვევად¹⁰⁵. „ანჩელთა ასეთი, იმ დროისათვის სრულებით გაუგონარი, განზრახვა და გადაწყვეტილება მათს უკიდურეს გულისწყრომასა და მღელვარებას ამჟღავნებს. ცქირს ხალხის მონასტრისადმი სამტროდ ასე სწრაფად აყოლება არ შეეძლო, რომ ამისათვის ნიადაგი უკვე მომზადებული არ ყოფილიყო. ანჩელთა გადაწყვეტილების დაუნდობელი სიმკაცრე გვაფიქრებინებს, რომ აქაც მტრობა აგარარულ ნიადაგზე უნდა ყოფილიყო აღმოცენებული“¹⁰⁶.

მსგავსს მოვლენებს არაერთხელ ჰქონია ადგილი მეზობელ სომხეთში როგორც X საუკუნეში, ისე გვიანაც¹⁰⁷.

სომხეთის „გლეხთა“ ბრძოლა ფეოდალური (სამონასტრო) წინააღმდეგობის წინააღმდეგ, კერძოდ, სახალხო აჯანყებანი შუა საუკუნეების სომხეთში და მისი გამომწვევი მიზეზები დიდი ხანია მკვლევართა ყურადღების ცენტრშია. ამ საკითხს სათანადოდ ეხებიან: ი. მანანდიანი, ი. ჯავახიშვილი, ა. იოანისიანი, ს. პოდოსიანი და სხვები. სიენიეთის ოლქის გლეხთა მოძრაობას დაწვრილებით შეისწავლიან: ა. აბრაამიანი, ა. უტმაზიანი, ბ. არუთინიანი, ტ. სააქიანი, გ. გრიგორა-

¹⁰⁵ გრგლ ხნკთლს ცხება. გვ. 306₂₂.

¹⁰⁶ ი. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი. გვ. 5.

¹⁰⁷ ი. ჯავახიშვილი, გლეხთა მოძრაობის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში, ტფილისის უნივერსიტეტის ნიშნავი, II, 1922—23, გვ. 251—252; А. Абраамян, Крестьянское движение в Сисакаке в X в.. Исторические записки, 1938, № 3, გვ. 54—68; К. Юзбашян. К истории павликианского движения в Византии в IX в., «Вопросы истории религии и атеизма», № 4, 1956; მისივე, Тондракитское движение в Армении и павликиане, «Известия» АН Армянской ССР, серия общественных наук, № 9, 1955; С. Погосян. Закрепощение крестьян и крестьянские движения в Армении в IX—XIII вв., Ереван, 1956 (სომხურ ენაზე); А. Иоаннисян, Очерки армянской освободительной мысли, книга I, Ереван, 1957 (სომხურ ენაზე); მისივე, Движение тондракитов в Армении (IX—X вв). Вопросы истории, 1951, № 10; Р. М. Бартикян, Источники для изучения истории Павликианского движения, Ереван, 1960; А. М. Утмазян, Сюник в IX—X веках; Т. Х. Акопян, Царство Сюника, Ереван, 1966; Г. М. Григорян, Церковно-монастырское землевладение в IX—XIII веках, Ереван, 1957 (საკანდიტო დისერტაციის აბტრეფერატი); Ас. Мнацаканян. О некоторых главных вопросах тондракского движения, «Известия» АН Армянской ССР, серия общественных наук, № 3; 1954.

ნი და სხვები. ამ მკვლევართა მიერ პირველწყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია სოციალური მოძრაობანი შუა საუკუნეების სომხეთში.

თუ სივნიეთის ოლქის სოციალ-ეკონომიური ვითარების გასარკვევად ძირითადი წყაროებია: ჰოვჰანეს დრასხანაკერტცის „სომხეთის ისტორია“, თომა არწრუნის „ისტორია“, სტეფანოზ ტარონეცის „მსოფლიო ისტორია“ და ეპიგრაფიკული მასალა, სოციალური ბრძოლების განსახილველად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტეფანოს ორბელიანის „სივნიეთის ისტორიას“.

სტეფანოს ორბელიანის ცნობით, სხვადასხვა პირებმა ტათევის მონასტერს შესწირეს რამდენიმე სოფელი: ცოლუნი — ჰაბანდის გავარში, ბუნუიქი — სივნიეთში, ცური — ციხითა და მამულებით (აგარაკებით), მდინარე ცურითა და ეკლესიით — წლუჯის გავარში, აგრეთვე, გელარქუნიქში — სოფელი კტუისი, რომელიც თავისუფალი ყოფილა ყოველგვარი გადასახადისაგან. ამ ადგილთა შეწირულების სიგელი ეპისკოპოს ჰოვჰანესთან ინახებოდა. წყაროში კვითხულობთ: „თუმც ყველა ეს სოფელი ტათევს შესწირეს, მაგრამ ცურის ციხის მოსახლეობის ადგილიდან აყრა ვერ მოახერხეს (მღვდელ-მონაზვნებმა), რადგან ისინი იყვნენ იმ ადგილების მემკვიდრეობით მფლობელები, ბარბაროსნი, და ბილწი ადამიანები. ასევე ვერ მოახერხეს ტამალეკის დასაკუთრება, რადგან მისი მკვიდრნიც მათი (ე. ი. ცურელების, ნ. ვ.) მსგავსნი იყვნენ. ტაძრის მოპირდაპირე მხარეს, ღიდი მდინარის იქითა ნაპირზე იყო ავაზაკთა ერთი ციხე, რომელსაც არაველადაშტს უწოდებდნენ... ისინიც ვერ განდევნეს და მათგანაც არა მცირე უბედურება შეემთხვა (ტათევის) ძმობას“¹⁰⁸.

შემდეგ, მართალია, აღნიშნული სოფლები სხვადასხვა დროს დაისაკუთრეს ტათევის წინამძღვრებმა, მაგრამ მერმე მაინც დაჰკარგეს. ბოლოს, როგორც იქნა, მონასტერმა მოახერხა აღნიშნული ადგილების რიგ-რიგობით შემომტკიცება¹⁰⁹. იგივე ძეგლში ნათქვამია: „სმბატის, — აშოტის ძის, სივნიეთის მფლობელის, — იშხანობისას და უფალ ჰოვჰანესის ეპისკოპოსობისას, ღიდი და მრავალი უბედურება დაატეხეს თავს ტათევის წმინდა ძმობას. ცურის ციხის მცხოვრებნი, რომლებიც იყვნენ უღმერთონი, უგუნურნი და ავაზაკნი (ყაჩაღები) ერთ ღამეს მოულოდნელად გამოჩნდნენ და დაიწყეს ტაძრისა და სახელოსნოების და ღვთისმსახურთა სადგომების რბევა და ძარცვა. მო-

¹⁰⁸ შა. ი რ ხ ე ს ა ნ. ჳააძიძე ნაჩონიქი სიხასკან, შიქიქი, 1911, 230.

¹⁰⁹ შა. ი რ ხ ე ს ა ნ, ჳააძიძე, ვვ. 230.

საკლავად ეძებდნენ ეპისკოპოსს, მაგრამ ვერ იპოვეს. რაც ხელთ იგდეს, ყველაფერი თან წაიღეს და დაბრუნდნენ ციხეში (ე. ი. ცურში, ნ. ვ.), წაიღეს მირონის ვერცხლის ჭურჭელი და ჭვავზე დაახეთქეს და დაამსხვრიეს. გარიჟრაჟზე დაბრუნდა ეპისკოპოსი და როდესაც დაინახა მთელი ეს საზარელი [უბედურება], ხელთ აიღო წმინდა ჭვარი და სხვა წმინდა ნივთები და საშინელი კრულვით შეაჩვენა ციხე (ე. ი. ცური, ნ. ვ.) და მისი მკვიდრნი. მაშინვე იძრა დედამიწა, სიმაგრე ორად გაიპო, ჩამოიქცა ყველა ნაგებობა, ხოლო მისი ბევრი მოსახლე უკვალოდ დაიკარგა. ეპისკოპოსმა აღარ ინება იმ ადგილას დარჩენა, წაიღო ჭვარი და ყველა მღვდელთმსახურითურთ გადაიხვეწა უცხო ქვეყანაში“¹¹⁰.

ეს ამბავი შეუტყვია სახელგანთქმულ იშხანს-სმბატს. იგი „აღსდგა და სხვა აზატებთან ერთად გაჰყვა ეპისკოპოსს და წმინდა ჭვარს და დიდი ხვეწნა-მუდარით მიიყვანა იგი მის სამყოფელში — ტათევის დიდ მოძღვართ საჯდომში. და დაუწყო დევნა ცურის სიმაგრის დაწყველილ მცხოვრებლებს, ზოგი მათგანი დასაჯა — გაწყვიტა და მოაშორა იმ ქვეყანას, ხოლო ის ადგილი მთელი მისი საზღვრებით უწყალობა სამემკვიდრეო მფლობელობაში ტაძარს და უფალ ჰოვჰანესს გადასცა. სმბატმა ბრძანა დაეწერათ სიგელი საზარელი წყევლით, ბეჭდით დაემტკიცებინათ იგი და შეენახათ ტაძარში, რათა ვერავის ევნო მისთვის“¹¹¹.

სიგელი მთავრდება წყევლა-კრულვით ყველას მიმართ, ვინც ხელს აიღებს სარწმუნოებაზე და რაიმე ზიანს მოუტანს ტათევის მონასტერს. ყოველივე ეს მომხდარა სომხური წელთაღრიცხვის 364, ე. ი. 915 წელს¹¹².

მაგრამ ეს არ იყო უკანასკნელი შემთხვევა ტათევის მონასტრის ისტორიაში. სტეფანოსი გვიამბობს, რომ „...ვასაკის მეფობის დღეებში სევადისა და მისი დედის შაჰანდუხტის დროს მეორედ კვლავ დაარბიეს სავანე. ეპისკოპოსი უფალი ჰაკოფი (იმ დროს) ბაღში იმყოფებოდა. როდესაც იგი უკან ბრუნდებოდა, ბოროტმზრახველები ჩაუესაფრდნენ გზაზე, რომელიც ცურის ხეობაზე გადიოდა, თავს დაესხნენ და მოკლეს ეპისკოპოსი...“¹¹³.

სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ჰაკოფის შემდგომი ეპისკოპოსის

¹¹⁰ Սա. Որբելեան, Պատմութիւն, გვ. 217.

¹¹¹ იქვე, გვ. 248.

¹¹² იქვე, გვ. 250.

¹¹³ იქვე, გვ. 250.

ჟამს მეფე ვასაკის ბრძანებით ცურის ციხე დაანგრიეს, ხოლო მოსახლეობა — გაწყვიტეს¹¹⁴.

თუმცა აღნიშნულ წყაროში საგანგებოდ არ არის მითითებული ვინ იყვნენ ცურის მცხოვრებნი, მაგრამ ერთი ცხადია: მათი მიწების ხელში ჩაგდება მოისურვა ტათევის მონასტერმა, მაგრამ ეს უკანასკნელი ადგილობრივ მკვიდრთაგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ავტორი ცურისა და ტამალეკის მოსახლეობის მიმართ ხმარობს გამოთქმებს: „ბარბაროსნი“, „ბილწი ადამიანები“, „ულმერთონი“, „უგუნურნი“, საიდანაც აშკარად ჩანს მისი კლასობრივი დამოკიდებულება საზოგადოების დაბალი ფენების მიმართ.

რალა თქმა უნდა, გამოიტყულება, რომ აღნიშნულ ოლქში X საუკუნის მეორე ათეულში სივნიეთის მოსახლეობის მიერ მონასტრის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა გამოწვეული ყოფილიყო მოსახლეობის უდიდესი ნაწილის წარმართობით. მართალია, სისაკანის ოლქი — სომხეთის სხვა მხარეებს, მაგალითად, არარატს, შირაკსა და სხვათა ჩამორჩებოდა, მაგრამ IX—X საუკუნეებისათვის იგი დაწინაურებულია: IX საუკუნეში აქ დაარსდა მთელს ამ მხარეში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი მონასტერი — ტათევისა. ამავე საუკუნის დამლევს მას მოჰყვა სხვა ეკლესია-მონასტრების შვენებლობაც. მაგალითად: სწორედ IX საუკუნის დასასრულს შეიქმნა სევანის მონასტერი, 885 წელს — შოლოვანის ეკლესია, 901 წელს — მაკენის ეკლესია, 905 წელს ვანაკანის მონასტერი, 910 წელს — ხოტაკერაცი, 936 წელს — ნორაჯანის მონასტერი და მრავალი სხვა¹¹⁵.

ასე რომ, სრულიად აშკარაა — ეს იყო ს ა მ ა მ უ ლ ო ნ ი ა დ ა გ ზ ე წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი დ ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი ს ო ც ი ა ლ უ რ ი ბ რ ძ ო ლ ა.

სომხურ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ X ს. განსაკუთრებით ძლიერდება საერო და სასულიერო ფეოდალთა მიერ ყმა-გლეხთა ექსპლუატაცია, მიმდინარეობს თავისუფალი მწარმოებლის საბოლოოდ დაყმევება ძირითადად სომხეთის მაღალმთიან, შედარებით ჩამორჩენილ რაიონებში¹¹⁶. აღნიშნული პროცესის თანმხლები მოვლენა სოციალურ და კლასობრივ წინააღმდეგობათა საფუძველზე აღმოცენებული დაუნდობელი ბრძოლა გახლდათ.

ანალოგიური ვითარებაა ამ მხრივ საქართველოშიც: ფეოდალიზაციის ინტენსიური პროცესი, რაც ადრეფეოდალური ხანის დასასრულ-

¹¹⁴ შა. ი რ ე ხ ე ხ ა ნ, *ყაჰანიქიან*, გვ. 251.

¹¹⁵ A. A ბ რ ა ა მ ი ი, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 60.

¹¹⁶ ი ქ ვ ე, გვ. 57.

ლისათვის (ე. ი. IX—X სს.) მიმდინარეობდა, იწვევდა გლეხთა ბრძოლას არა მარტო ბარისა და ცენტრალურ რაიონებში, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, კლასობრივს დამპყრობელთა ჩაგვრაც ერთოდა, არამედ მთისა და ვანაპირა რაიონებშიც, თუმცა აქ იგი, ალბათ, ნაკლებ მწვავე იყო. მწარმოებელი საზოგადოების ეს ბრძოლა ფეოდალიზაციის წინააღმდეგ IX—X სს. სამცხეში რამდენადმე ასახულია სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში.

მივყვით თხზულების ტექსტს. სამონასტრო ადგილის შესარჩევად წამოსულმა ბერებმა გაიარეს ხევი, რომელსაც უტყვსა ეწოდებოდა და შეჩერდნენ ძინძედ სახელდებულ ადგილზე: „ხოლო ეუწყა რაჲ უფალთა მის დაბისათა, ვითარმედ უცხოთა ვიეთმე მონაზონთა ჰნებაეს ადგილსა მას აღშენებად მონასტერი, ხოლო მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოვლითურთ მკეცებრივ, უწირავ და ბოროტ, რამეთუ არა ინებეს კურთხევაჲ წმიდათა მათგან. ამრსთვს ზედა-მიეტევენეს...“¹¹⁷. გიორგი ჩორჩანელმა, შენიშნა რა ტყეში კვამლი და შეიტყო უცხოთა მოსვლის ამბავი, მოუწოდა ერთ ჭაბუკს და უთხრა: „შვილო საყუარელო, გზაჰყევ წმიდათა ამათ და ხვალე განთიადითგან ვილრე მწუხრამდე რაოდენი შემოწერით შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა, ვინაჲთგან ადგილსა ამას წადიერ არიან. და უკუეთუ ვინმე იპოოს დამახრწეველ მათდა უცხოებისათვს, ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისაებრ აშენებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა“. ხოლო წმიდათა მათ მამათა ეტყოდა: „გულპყრობილ იყვენით, ვითარმედ ყოვლითა ძალითა თანაშემწე თქუენდა ვარ მე და მზრუნველ, და არავინ წინააღმდგომ ჩუენდა არს ადგილთა ამათ, რომელთა გეგულების დაპყრობად, ხოლო შემდგომად სამისა დღისა კუალად გიხილნე, უფალსა თუ ენებოს“¹¹⁸.

გიორგი ჩორჩანელს შესაძლებლად მიაჩნია ბერებს მათი „უცხოებისათვს“ ვინმემ წინააღმდეგობა გაუწიოს და ამიტომ საგანგებოდ ავალებს მეგზურს: თუ ასეთი რამ მოხდება, მან ყველას აუწყოს, რომ ჩორჩანელის ნებართვით ხდება მის საბრძანებელში მონასტრის აგება, ბერებს კი შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „...არავინ წინააღმდგომ ჩუენდა არს ადგილთა ამათ, რომელთა გეგულების დაპყრობად“. მიუხედავად ამისა, ბერები დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მათ „...იწყეს სლვად პირსა მის მდინარისასა დასაეღით კერძო. და ვითარ ვლეს, მი-

¹¹⁷ ს. წ. ზრ. ზმლს ც. ა, გვ. 156²⁰⁻²⁴.

¹¹⁸ იქვე, გვ. 161²²⁻²⁸—162¹⁻³.

იწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა. ხოლო იყო მუნ წისქვილი, სახლი რამე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა საძმო ეწოდებოდა. და ამას შინა იყვნეს კაცნი რამე უკეთურნი, ყოლად მკეცებრივნი, ვითარცა ადგილისა უკაცოხსა და უცხოხსანი¹¹⁹. ბერებმა პირი სამხრეთისაკენ იქციეს, მაგრამ „...გვხილნეს რაჲ კაცთა მის დაბა-წისქვილისათა, იწყეს ყენებად ჩუენდა, და ვითარცა ცოფნი წინა რბიოდეს. ხოლო ჭაბუკი იგი აყენებდა მათ...“ — იგონებს ამ მგზავრობის ერთ-ერთი მონაწილე.

ბერებმა გზა განაგრძეს. მათ შენიშნეს ტბა და იკითხეს მისი სახელი. მეგზურმა ბერებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ესე არს ტბაჲ მღრვე ყოლადვე, რომელსა ეწოდების სათაჟუე. და არს ამას შინა სიმრავლე თაქუთა და სხუათა ნადირთაჲ და დედაჲ შფოთთა და ბრძოლათაჲ, რამეთუ ჟამსა ამას აქა იხილვებიან მღევარნი ნადირთანი, შეკრებულნი თვთოეულთა სანახებთანნი და ურთიერთას მღევარნი საქმეთა უჯეროთანი, რომელნი კლვადცა მზა არიან თვთოეულისა“¹²⁰. ამის შემდეგ, „...ვითარცა ვიდოდეთ, აჰა ესერა მოვიდეს ვინმე კაცი უკეთურნი, რომელნი გუეტყოდეს, რაჲთა დავაცადოთ სლვაჲ კერძოთა მათ, რომელთა მიგუემართა, რამეთუ ჟამი არსო ნადირთაჲ, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ, რაჲთა არა იქმნას ცთომჲ მათი თქუენ მიერ. და არა გკტევენს რაჲთურთით წარსლვად კერძოთა მათ. და ჭაბუკი იგი, მოძლუარი ჩუენი, ძლიერად წინააღუდგებოდა მათ, და არა იყო მათ თანა სმენაჲ, არამედ გარე-უკუ-მოგუაქცინეს და პირი იგი ზღვსაჲ მის დასავალით წიად-ვლეთ, მოვედით თავსა შთასავალისა მის ქედისასა, რომელ არა იყო ყოლად კუალი მგზავრობისაჲ და არცა გზაჲ“¹²¹.

სერაპიონმა გამყოლს ჭუარი დასწერა და უთხრა: „ღმერთმან მოგაგოს ნაცვალი მგზავრობისა შენისაჲ, ძმავო! ხოლო გეტყვ შენ, რამეთუ ადრე იხილო მისაგებელი კაცთა მათ ბოროტთა და შფოთის-მოყუარეთაჲ“¹²².

საბა-სულხან ორბელიანთან სიტყვა „შფოთი“ ნიშნავს ჩხუბს¹²³. ტერმინის „შფოთის-მოყუარეთა“-ს ხმარება ხომ არ მიგვანიშ-

¹¹⁹ ს¹ნ ზრ ზმლს ც¹ბა, გვ. 162₂₁₋₂₈.

¹²⁰ ი ქ ვ ე, გვ. 164₇₋₁₂.

¹²¹ ი ქ ვ ე, გვ. 164₃₃₋₃₆—165₁₋₆.

¹²² ი ქ ვ ე, გვ. 165₂₀₋₂₃.

¹²³ საბა-სულხან ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928.

ნებს, რომ მსგავსს მოვლენებს აქ სხვა დროსაც ჰქონია ადგილი! ტყუილად არ უწოდებს ამ ადგილს ავტორი „დღეა შფოთთა და ბრძოლათაჲს“, ანდა: „ეგრეთვე ტბაჲ ესე მიზეზი შფოთთა და კაცის-კლვათაჲ განკმა წმიდათა ამათ მიერ“¹²⁴. კიდევ: „...მისაგებელი კაცთა ამათ შფოთის-მოყუარეთა და კუხლად კაცთა მათ, რომელნი იგი შესაკრებელსა მას წყალთასა წინა რბიოდეს ვითარცა ეშმაკეულნი“¹²⁵; სერაპიონმა გიორგი ჩორჩანელს მოუთხრო „...ყოველივე მათ ზედა მოწევენული, და ვითარ ადგილსა მას ორძის სიმრავლე ძმათა, და სასწაულთა მათთვის განკმობისათვის ტბისა და კაცთა მათთვის ურჩთა და ფარვისა...“¹²⁶.

ს. ჯანაშიამ დაწერილებით განიხილა ყველა ეს ცნობა და ხაზგასმით აღნიშნა მათი განუზომლად დიდი მნიშვნელობა: ისინი არა მარტო ადასტურებენ „საზოგადოებრივი ქონების უზურბაციას ფეოდალთა მიერ, მიმძლავრების გზით. ამ ცნობების კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ამ პროცესის საესებით გარკვეულ საფეხურს, ეტაჲს, წარმოგვიდგენენ“¹²⁷.

მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა თხზულების ერთ ადგილზე, სადაც ნათქვამია: „...წმიდამან მან ვითარცა თითითა უჩუენა მათ ადგილი იგი, სადა ეგულებოდა აღშენებაჲ მონასტრისაჲ“¹²⁸. ეს გახლდათ ძინძედ სახელდებული ადგილი, „...უდაბნო... და შეცვულ ტყეთა და ქევთა“¹²⁹. აი, ამ ადგილას ჩაეყარა საფუძველი ახალ მონასტერს. ბერებმა „...დაყენეს მუნ არა მცირედნი დღენი. ხოლო ეუწყა რაჲ უფალთა მის დაბისათა, ვითარმედ უცხოთა ვიეთმე მონაზონთა ჰნებაჲს ადგილსა მას აღშენებად მონასტერი, ხოლო მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოვლითურთ მკეცებრივ, უწირავ და ბოროტ, რამეთუ არა ინებეს კურთხევაჲ წმიდათა მათგან. ამისთვის ზედა-მიეტევნეს მათ...“¹³⁰. ს. ჯანაშიას აზრით, ეს ხევი გარკვეული სოფლის ფარგლებში შედიოდა, თუმცა კი აქ მეკომურები არ იდგნენ. ს. ჯანა-

124 ს.წ.ზრ.ზმლს ცხ.ბა, გვ. 169-9.

125 იქვე, გვ. 167₃₁₋₃₃.

126 იქვე, გვ. 172:8-20.

127 ს. ჯანაშია. ბრძოლა მიწის ფეოდალური მოთვისებისათვის ძველ საქართველოში, შრომები, II, გვ. 439.

128 ს.წ.ზრ.ზმლს ცხ.ბა, გვ. 156₉₋₁₀.

129 იქვე, გვ. 156₁₃₋₁₄.

130 იქვე, გვ. 156₁₈₋₂₄.

შია სწორედ ამ უკანასკნელი გარემოებით ხსნის ავტორის სიტყვებს: „...უდაბნო იყო და შეცვულ ტყეთა და ქვეთა“¹³¹.

ვის ეკუთვნოდა ეს ადგილი? ს. ჯანაშიას თვალსაზრისით ამ ადგილის პატრონი უნდა ყოფილიყო „დაბის უფალი“, რომელსაც ბერები გაუძეებია თავისი სამფლობელოს ფარგლებიდან¹³². მეორეგან ავტორი ჰავიოგრაფის გამოთქმას — „უფალთა მის დაბისათა“ კითხულობს, როგორც „ბატონს და მის ხალხს“¹³³. მკვლევარი წერს: „...ამ ბატონს და მის ხალხს ბერებისათვის უკმეხად გამოუცხადებიათ — არც თქვენი ლოცვა-კურთხევა გვინდა და არც თქვენი მონასტერი, მოგვშორდით თავიდანაო. სერაპიონი და მისი თანამშრომელი, როგორც ჩანს, გაძლიანებულან. მაშინ ამ ფეოდალს, ალბათ, მსახურებისთვის განკარგულება გაუცია, უტაცნიათ ხელი დაუპატიჟებელი სტუმრებისათვის და ძალით ვადაურეკნიათ თავიანთი სოფლის საზღვრებს გარეშე! ავტორი მომხდარ ამბავს მასპინძლების ველურობითა და სიბოროტით ხსნის, მაგრამ ნამდვილად მოტივები სრული გამჭვირვალეობით მოჩანს“¹³⁴.

ს. ჯანაშიამ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე, თხზულების მეორე ეპიზოდზე: ძინძედან გამორეკილი ბერები მოვიდნენ „...ადგილთა ყოლად ტყეთა და უვალთა კაცთა მიერ, და მიმო-რა[ხ]-ვიდოდეს ჰირით და შრომით ადგილთა მათ იწროთა, პოვე[ს] ნიშები და სასწაულები“¹³⁵. ბერებს, როგორც ჩანს, მოსჩვენებიათ, რომ ამ ადგილს მათ აღარავინ შეედავება და ერთმანეთი დაურწმუნებიათ: სწორედ ესაა ზეგარდმო ნანიშნები ადგილით¹³⁶. ეს კი დიდი ფეოდალის—გიორგი ჩორჩანელის საყვარელი სანადირო ადგილი გახლდათ. ჩორჩანელის გულისწყრომა—საიდან არის ამ ტყეში კვამლი, ან ვის რად სჭირია იქ ცეცხლი, თუ ვინმე ნადირს ეძებს. ასე როგორ გაკადნიერებულა და გაუსირცხვილოებულა, ხოლო თუ სხვა რაიმე საჭიროება გასჩენია, მას როგორ არა აქვს ამის შესახებ ცნობა — ს. ჯანაშიას საგულისხმოდ მიაჩნია; მკვლევრის აზრით, აქ აშკარად არის გამოთქმული მთავრის უფლებები ამ უღრან ტყეზე: მთავარი „პირდაპირ აცხადებს, რომ იგი „მეცნიერ“ უნდა იყოს ე. ი. მას ცნობა უნდა ჰქონდეს ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობის შესახებ, რასაც ამ ტყეში განიზრახავს ან შეასრულებს ვინმე, ვინც არ

131 ს. ჯანაშია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 440.

132 იქვე.

133 იქვე.

134 იქვე.

135 სწორედ ამის ცხადია, გვ. 156²⁹⁻³¹.

136 ს. ჯანაშია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 441.

უნდა იყოს იგი¹³⁷. გიორგი ჩორჩანელი, ს. ჯანაშიას თქმით, ისე ადვილად ვერ ელევა ტყეს, მაგრამ ბოლოს მაინც დაეთანხმება ბერებს. „მაშასადამე, ტყის გადაქცევა სამონასტრედ მთავრის ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული“¹³⁸. ერთგან თხზულების ავტორი გიორგი ჩორჩანელს ათქმევინებს: „...უკუეთუ ვინმე იპოოს დამახრწველ მათდა უცხოებისათვის, ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისაებრ აშენებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა“¹³⁹. მეორე დღესვე იწყება სამონასტრო საკუთრებად მამულის შემომიჯვნის თავისებური პროცესი. დიდი მთავრის წინასწარი შიში უსაფუძვლო არ ყოფილა: ბერებს კიდევ ერთი დიდი შეტაკება მოუხდათ სამძოდ წოდებულ ადგილას. ამ არასასიამოვნო ფაქტმა ბერებს გადააწყვეტინა „სრულებით გვერდი აევლოთ მეტნაკლებად გამოყენებულ მიწებოსათვის და მხოლოდ საკუთრივ ტყის არე მიეჩემებინათ“¹⁴⁰.

საგულისხმოა თხზულების მესამე ეპიზოდი, რომელიც მთლიანად კონფლიქტზეა აგებული და რომელიც აგრეთვე განიხილა ს. ჯანაშიამ: ამჯერად ბერებს შეტაკება მოუხდათ მონადირეებთან.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ყველა ამ მონაცემის გამოწვლილვით განხილვის შედეგად ს. ჯანაშია ასკვნის: „ახლად ასაგები მონასტრისათვის მისი მაშენებელნი ისაკუთრებენ, „იპყრობენ“ სავსებით სპეციფიკურ ადგილს. ეს არის დიდი სივრცის მთის ტყე, სავსებით პირველყოფილი, უღრანი და გაუვალი ...მხოლოდ ამ ტყის პერიფერიაზე „არიან ადგილნი მცირედ კაცრიელნი“. აქა-იქ რამდენიმე შეკომურს ახო გაუჭრია და ჩამდგარა, მათი ადგილები მაინც „უკაცოდ და უცხოდ“ ითვლება. ჩანს, გარშემო მოსახლეობის საკმაო სიმჭიდროე და, ამ მიზეზით, მიწის სივიწროეც იგრძნობა ალბათ, — თვით ტყე ფეოდალის გართობისა და წვრილი მონადირეების ექსპლუატაციის ობიექტია. იღებენ ამ ტყეს ბერები ფეოდალისაგან, რომელიც მას თავისი „საბრძანებლის“ ნაწილად და თავის საკუთრებად სთვლის. მაგრამ სხვანაირად უყურებს ამ საქმეს ხალხი: ამკარაა, რომ იგი ფეოდალის ამ უფლებებს არ სცნობს, რომ იგი ჯერ კიდევ არ შერიგებია ტყის დაკარგვასაც, მასზე თავისი უძველესი უფლების გაუქმებას“¹⁴¹.

ს. ჯანაშიას თვალსაზრისით, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში დასრულებულია მიწისათვის ბრძოლის მისეული სტეპის სამი

¹³⁷ ს. ჯანაშია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 442.

¹³⁸ იქვე, გვ. 444.

¹³⁹ ს. ზარზმელის ცხება, გვ. 161³⁵⁻³⁸—162¹.

¹⁴⁰ ს. ჯანაშია, დასახელებულ ნაშრომი, გვ. 445.

¹⁴¹ იქვე, გვ. 447—448.

საფეხური და იწყება მეოთხე ეტაპი — ბრძოლა ტყვისათვის¹⁴², რაც იმავე სქემის მიხედვით აღრეფეოდალური ხანის დასასრულს მოასწავებს.

ს. ჯანაშიას თვალსაზრისს არ იზიარებს ა. ბოგვერაძე. მკვლევარს მიაჩნია, რომ ნაწარმოებში ბრძოლა „...სწორედ სახნავ-სათესი მიწებისათვის წარმოებს, რაც მიწისათვის ბრძოლის ვაცილებით აღრინდელი პროცესია. მონასტრისათვის ადგილის დაპყრობის სურვილით შეპყრობილ ბერებს, უწინარეს ყოვლისა, ნაყოფიერი ადგილი „შესაკრებელი მას შუა წყალთასა, რომელსა საძმო ეწოდებოდა“, მოსვლიათ თვალში და მითვისება მოუსურვებიათ. მიუხედავად ბერების წყევლა-კრულვისა და მთავრის კაცის მუქარისა, დაუპატიჟებელმა სტუმრებმა ვერ შეადწიეს „ძმობის“ საზღვრებში“¹⁴³.

მაგრამ აღნიშნულ ეპიზოდს ბევრად წინ უსწრებს პირველი შეტაკება „უფალთა მის დაბისათა“-სთან ძინძედ სახელდებულ ადგილას, რომელიც ჰაგიოგრაფის თქმით, „...უღაბნო იყო და შეცვულ ტყეთა და ქევთა“¹⁴⁴. მონასტრის მშენებლობა თავდაპირველად ხომ აქ დაიწყო? მას შემდეგ, რაც ეს „მკეცებრივი“, „უწირავი“, „ბოროტი“ კაცნი მიუხტნენ ბერებს და გამორეკეს ისინი, მათ „...წიად-მოვლეს რაჟ მდინარე იგი და მოვიდეს დასავალით მისსა, ვითარ ორ მილიონ, ადგილთა ყოლად ტყეთა და უვალთა კაცთა მიერ, და მიმო-რა[ჟ]-ვიდოდეს ჭირით და შრომით ადგილთა მათ იწროთა, პოვეს ნიშები და სასწაულები“¹⁴⁵.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთვის საინტერესოა, რომ გიორგი ჩორჩანელმა ერთი „მონათაგანი“ გაგზავნა „უღუაწსა ადგილსა“ ანდა „უღუაწთა ამათ და უვალთა ადგილთა“; ასეთ ადგილებში მიმოსვლა უკიდურესად ჭირდა, რაზედაც მეტყველებს გიორგი ჩორჩანელის მიერ მიღებული ღონისძიებანი: მისი ბრძანება „...რაათა მზა-ყვენენ გზანი მიმყვანებელნი ადგილსა მას, რომელსაცა იყვენეს წმიდანი იგი“¹⁴⁶, ან კიდევ: ჩორჩანელმა „...წარავლინნა წინაათ მკურცხლ მავალნ[ი], რაათა განჰმზადებდენ გზათა“¹⁴⁷, ანდა შერჩეული ადგილის გიორგი ჩორჩანელისეული დახასიათება:

¹⁴² ს. ჯანაშია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 448.

¹⁴³ ა. ბოგვერაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების თარიღისათვის. „მაცნე“, № 3. 1964. გვ. 62.

¹⁴⁴ ს. წ. ზრ. ზმლს ცხ. ბა, გვ. 156₁₃₋₁₄.

¹⁴⁵ იქვე. გვ. 156₂₈₋₂₉.

¹⁴⁶ იქვე. გვ. 159₂₄₋₂₅.

¹⁴⁷ იქვე. გვ. 159₂₈₋₂₉.

„...ყოველითურთ უქმ და უღუაწ არს ადგილი ესე, და ყოლად უღონოდ გხედავ თქუენ მსგავსად მოციქულთა... აწ უკუე არს ადგილი, რომელი მარჯუე არს და მომზავებელ ამათ საქმეთა, ვინაჲცა ბრძანენ სიწმიდემან თქუენმან, რაჲთა მუნ აღვაშენოთ მონასტერი, რამეთუ აქა შეუძლებელ არს ყოლად რა[ჲ]საცა ეგევითარისა საქმედ“¹⁴⁸.

ვფიქრობთ, რომ ამ ეპიზოდებში არ ჩანს ბრძოლა სახნავ-სათვის მიწებისათვის.

მაშასადამე, ა. ბოგვერაძის აზრით, ბერებს თავდაპირველად ნაყოფიერი ადგილი — „შესაკრებელი მას შუა წყალთასა, რომელსა საძმო ეწოდებოდა“ სურდათ ხელთ ეგდოთ, მაგრამ აქ ისინი გადაულახვე წინააღმდეგობას წააწყდნენ, პირი იბრუნეს და ტყის არეში მოექცნენ: „როცა ბერებმა დიდი ტანჯვითა და წვალებით შემოვლა დაამთავრეს, მათ ხელში ძირითადად ტყე აღმოჩნდა, პირველყოფილი, გაუვალი და უღრანი. ამ ფაქტში არ შეიძლება ტყისათვის ბრძოლის მომენტი დაეინახოთ. ბერებისათვის იმდენად ტყეს კი არ აქვს ფასი (ან რა ფასი უნდა ჰქონდეს მას ქვეყანაში, რომლის დიდი ნაწილიც ტყითაა დაფარული), რამდენადაც შერჩეულ ადგილს. „ადგილი ესე, რაჲმს კელყონ კელოვანთა მუშაკთა, მაშინ იხილოს თუალმან მხილველთამან შეუნიერებაჲ ადგილისა ამის“, — უთქვამს სერაპიონს მთავრისათვის“¹⁴⁹.

ა. ბოგვერაძის თვალსაზრისით, ბერებისათვის უფრო ხელსაყრელი იყო მშენებლობისა და მეურნეობის საწარმოებლად ვარგისი ადგილების ხელთ გდება, ამიტომაც მათ უკან არ დაუხვეიათ, როცა კი მიეცათ საამისო საშუალება¹⁵⁰. მაგრამ გიორგი ჩორჩანელი ხომ გარკვევით აღნიშნავს: „...საქმენი ესე, ...თვნიერ ჩემსა არა წარემართებთან. აწ უკუე არს ადგილი, რომელი მარჯუე არს და მომზავებელ ამათ საქმეთა, ვინაჲცა ბრძანენ სიწმიდემან თქუენმან, რაჲთა მუნ აღვაშენოთ მონასტერი, რამეთუ აქა შეუძლებელ არს ყოლად რა[ჲ]საცა ეგევითარისა საქმედ“¹⁵¹; გიორგი ჩორჩანელი ბერებს სთავაზობს მარჯვე, მოხერხებულ ადგილებს, ისინი კი უარს აცხადებენ. ა. ბოგვერაძე ამჩნევს ამ წინააღმდეგობას. მკვლევარი წერს: „ეს კია, რომ ასეთი (ე. ი. მეურნეობისა და მშენებლობის საწარმოებლად ვარგისი, ნ. ვ.) ადგილების მიღება, უღრანი ტყეებით

¹⁴⁸ ს-ნ ზრ-ზმლს ცხ-ბა, გვ. 160₁₄₋₂₁.

¹⁴⁹ ა. ბოგვერაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 63.

¹⁵⁰ იქვე.

¹⁵¹ ს-ნ ზრ-ზმლს ცხ-ბა, გვ. 160₁₇₋₂₁.

დაფარული ხეების სანაცვლოდ, ჩორჩანელისაგან მათ რატომღაც არ სურთ. უპატრონო და სათემო მიწების დაჭერას ამჯობინებენ¹⁵². ჩვენი აზრით, ზარზმის მონასტერი აშენდა გიორგი ჩორჩანელის კუთვნილ ადგილას, რაზედაც მეტყველებს გიორგის რეაქცია, როდესაც მან პირველად შენიშნა კვამლი: „ვინა[ა] არს ადგილსა იმას სიკჳო[ა] კუამლისა[ა], ანუ თუ ვის რად უკმს ცეცხლი? უკუეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადნიერ და ურცხვნო ქმნილ არს? დაღათუ სხუამსაჰირო რამე ვის უკმს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერ ვართ?“¹⁵³. ჩვენი აზრით, იმავე ვითარების გამომწვევლია გიორგი ჩორჩანელის შემდეგი სიტყვები: „შეილო საყუარელო, გზა - ჰყევ წმიდათა ამათ და ხვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე [რაოდენი] შემოწერთ შემოვლონ, მიმიცემიეს მათდა, ვინა[ა] თგან ადგილსა ამას წადიერ არიან. და უკუეთუ ვინმე იპოს დამახრწველ მათდა უცხოებისათჳს, ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისაებრ აშენებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა“. ზოლო წმიდათა მათ მამათა ეტყოდა: „გულბყრობილ იყვენით, ვითარმედ ყოვლითა ძალითა თანაშემწე თქუენდა ვარ მე და მზრუნველ, და არავინ წინააღმდეგომ ჩუენდა არს ადგილთა ამათ, რომელთა გეგულების დაპყრობად“¹⁵⁴.

ა. ბოგვერაძის აზრით, „...ბერებმა კარგად იციან, რომ ეს ტყე უშუალოდ არავის არ ეკუთვნის (როგორც არ უნდა გაიძახოდეს მთავარი), ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ საერთო-სათემო სარგებლობაშია და თუ ჩორჩანელი მათ აქედან გარეკავს, ამის უფლებას მას ძალა მისცემს და არა იურიდიული ნორმა“¹⁵⁵. ვფიქრობთ, აქ აშკარად ჩანს, რომ ბერებისათვის სასურველი ადგილი სწორედ გიორგი ჩორჩანელს ეკუთვნის.

მიუხედავად იმისა, მივიღებთ თუ არა სათემო მიწების ფეოდალთა მიერ მითვისების ზემოაღნიშნულ თანმიმდევრობას, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში იგი მაინც არ ჩანს დატული: ს. ჯანაშიათელის, რომ ტყე ამ ძეგლის მიხედვით ჯერ არ არის ფეოდალის საკუთრება, ზოლო სახნავი მიწები უკვე მისი საკუთრებაა. ა. ბოგვერაძეს კი მიაჩნია, რომ არა მარტო ტყე არ არის ფეოდალის საკუ-

¹⁵² .. ბოგვერაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 63.

¹⁵³ ს. ზარზმელის ცხ. ბა, გვ. 157₃₁₋₃₅.

¹⁵⁴ იქვე, გვ. 161₂₂₋₂₈—162₁₋₄.

¹⁵⁵ ა. ბოგვერაძე, კლასობრივი ბრძოლის ანარეკლი..., გვ. 153.

თრება, არამედ — სახნავი მიწებიც. ძეგლის ანალიზი კი, ჩვენი აზრით, გვიჩვენებს, რომ ტყე ფეოდალის საკუთრებაა: გიორგი ჩორჩანელს უყვირს, რომ უცნობმა პირებმა გაბედეს ტყეში მისი ნებათთვის გარეშე შესვლა და ამის ჩამდენთ „ურცხვნო ქმნილ“—თ უწოდებს. აშკარაა, რომ ტყე იურიდიულად მისი საკუთრებაა. რაც შეეხება სახნავ-სათეს მიწებს, აქაც გიორგი ჩორჩანელი გაბატონებული ჩანს: იგი ბერებს სწორედ ასეთ მიწებს სთავაზობს, თანაც ურჩევს მათ, რომ უღრანი ტყისა და მიუვალი ადგილების ნაცვლად აირჩიონ სწორედ საცხოვრებლად და სამშენებლოდ მარჯვე და მოხერხებული ადგილები, ე. ი. სახნავი მიწები.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების მიხედვით ს. ჯანაშიასეული სქემის ბრძოლის ეტაპები დაწყებულია: გიორგი ჩორჩანელის საბრძანებელში შედის როგორც სახნავი მიწები, ისე ტყეები, თუმცა ორივეგან ჯერ კიდევ ჩანს უშუალო მწარმოებელთა საკუთრებაც (ალბათ, სათემო).

მაშასადამე, ჩვენი აზრით, ბასილის თხზულებაში ასახულია დაბალი ფენების ბრძოლა სამონასტრო კოლონიზაციის წინააღმდეგ, რასაც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სოციალური ნიადაგი აქვს და არა სარწმუნოებრივი. ესაა ბრძოლა, რომელიც თან ახლავს ფეოდალიზაციის პროცესს. მაგრამ, ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად ფეოდალიზაციის ამ პროცესის გამიჯვნა ორ ძირითად ქრონოლოგიურ ეტაპად: ბრძოლა სათემო სახნავი მიწებისა და ტყის მითვისებისათვის. რა თქმა უნდა, ტყე შედარებით დიდხანს შემორჩა სათემო საკუთრებად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტყის მითვისებისათვის ბრძოლა დაიწყო მაშინ, როცა დამთავრდა სახნავი მიწების მითვისება, და მაშასადამე, თუ ძეგლში დამოწმებულია სახნავი მიწების მითვისებისათვის ბრძოლა, ეს ძეგლი ადრინდელი ვითარების ამსახველია, ხოლო თუ ტყისათვის—გვიანდელი. სათემო სახნავი მიწების მითვისებისათვის ბრძოლა არა მარტო IX საუკუნეში, არამედ ამაზე გვიანაც წარმოებდა, ისევე, როგორც სათემო ტყის მითვისებისათვის ბრძოლა ადრევე დაიწყო და გვიან ხანამდე გაგრძელდა. ამდენადვე უსაგნო ჩანს კამათი იმის შესახებ, თუ სათემო მიწების მითვისებისათვის ბრძოლის რა ეტაპია ასახული სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში. ძეგლის ადრინდელობის მომხრეები ამტკიცებენ, რომ აქ ადგილი აქვს სახნავი მიწების მითვისებისათვის ბრძოლას, გვიანდელობის მომხრენი კი ხედავენ ტყის მითვისებისათვის ბრძოლას. ჩვენი აზრით, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ბრძოლა მიმდინარეობს როგორც სახნავი მიწების, ისე ტყის მით-

ვისებისათვის. თვითონ ამ ბრძოლის სოციალური ხასიათი, როგორც ვნახეთ, სავესებით შეეფერება ადრეფეოდალური პერიოდის დასასრულის ვითარებას და კლასობრივი დამოკიდებულების სრულიად ახალ ფორმას, რომელიც X საუკუნიდან გლახთა დაყმევების პროცესის გაძლიერების ნიშნით მიმდინარეობს.

8. პოლიტიკური ვითარება, ისტორიული პირები

საისტორიო ძეგლში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა დადგენა აუცილებელია ამ ძეგლის წყაროთმცოდნეობითი კვლევის დროს: ერთი მხრივ, ეს ხელს უწყობს პოლიტიკური ისტორიის ფაქტების დადგენას, მეორე მხრივ — ძეგლის დათარიღებას.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში დამოწმებულ ისტორიულ პირთაგან ზოგიერთმა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მიიპყრო დიდი ყურადღება. მათი ვინაობის გამორკვევა უშუალოდ და ორგანულადაა დაკავშირებული თხზულების დათარიღების ცდასთან. ასე, მაგალითად: სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას ი. ჭავჭავიძე ილი, კ. კეკელიძე და ე. თაყაიშვილი ათარიღებდნენ ძირითადად გრიგოლ ხანცთელისა და სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში“ მოხსენიებული ზოგიერთი პირის იდენტიფიკაციის გზით. ბასილის თხზულებაში ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირად ავტორს გამოჰყავს გიორგი მაწყვერელი; ვინმე გიორგი მაწყვერელი მოხსენიებულია გიორგი მერჩულესთანაც. სერაპიონ ზარზმელის სულიერი მოძღვარი — მიქაელ პარეხელი მსგავსებას პოულობდა გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების მიქელთან. ეს იდენტურობა იყო ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, რომლის საფუძველზეც დასახელებული მკვლევრები ცდილობდნენ თხზულების დათარიღებას. თითოეული მათგანი სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების დაწერის თარიღად X საუკუნეს სდებდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, მათ მსჯელობასა და დასკვნებში განსხვავება იმ მხრივ შეინიშნება, რომ აღნიშნული მკვლევარნი ცდილობენ დააზუსტონ — X საუკუნის რომელ პერიოდშია შექმნილი ჩვენთვის საინტერესო თხზულება: ი. ჭავჭავიძელით „ცხოვრება“ დაიწერა X საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს, ე. თაყაიშვილი X საუკუნის პირველ მეოთხედს ასახელებს, კ. კეკელიძე კი — X საუკუნის მეორე ათეულის მიწურულს.

ყველა საამისო დასკვნა, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, დაფუძნებულია ისტორიულ პირთა ვინაობის გარკვევის ცდაზე.

ამ პირთაგან თითოეულს ქვემოთ ცალ-ცალკე შევეხებით.

მიქაელ. თხზულების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი — მიქაელ პარეხელი ძეგლში ხშირად იხსენიება. წყარო მის შესახებ გვა-

ცნობს: „რამეთუ აღეშენა რაჲ წმიდაჲ და დიდი უდაბნო[ა] ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი. ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა მუნიით და აღაშენა უწყებითა საღმრთოთჲთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათა[ა] ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდიან. ხოლო ესე სიტყუად მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქაელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდთაჲ, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოხსი საკვრველთ-მოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისა[ა], ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა. ამისა ნეტარისა მიქაელის მიმართ წარემართა ყოლად ბრძენი სერაპიონ, რომელსა თანა-ჰყვა ძმა[ა] მცირე ჰასაკითა. რამეთუ დიდსა მიქაელს, ვითარცა რაჲ მამასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა, შეჰვედრა თავი თვისი. ხოლო ნეტარსა მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და მხაკარი, ეგრეთვე მიქაელს ბასილი და მარკელაოზ“¹.

ამ ამონაწერიდან ირკვევა, რომ მიქაელ ყოფილა მონასტერთა აღმშენებელი და, ამავე დროს, მოწაფე ცნობილი საეკლესიო მოღვაწისა ასურელ მამათა რიგიდან „დიდისა შიოხსი საკვრველთ-მოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისა[ა], ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა“.

ზოგ მკვლევარს (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, პ. პ ე ე ტ ე რ ს ი, პ. ი ნ გ ო რ თ ვ ე ვ ა, ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე) თხზულების სწორედ ეს ადგილი აქვს ძირითადად მხედველობაში, როდესაც „ცხოვრების“ დაწერის თარიღად VII საუკუნეს მიიჩნევს. ამ მკვლევართა ზემოაღნიშნული არგუმენტი, უნდა ითქვას, საკმაოდ ძლიერია: ჩვენთვის დანამდვილებით ცნობილია შიოს მოღვაწეობის ხანა, და ამდენად მისი მოწაფის ცხოვრების IX საუკუნის II ნახევარში გადატანა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

თხზულების ზემოაღნიშნული ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ მიქაელ პარეხელი იყო შიოს, „საკვრველთ-მოქმედად“ წოდებულის მოწაფე, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ს მერმინდელი გადამკეთებლის ნახელავად მიანდა, რადგან ბასილი ზარზმელს ამ თხზულების დაწერისას ხელთ ექნებოდა თვით მიქაელ პარეხელის „ცხოვრება“, ამ უკანასკნელის მოწაფეების მიერ აღწერილი, ამიტომაც მას შეუძლებელია მიქაელის ბიოგრაფიული ცნობების შესახებ ეთქვა: „...მამათა მიერ მოვალს ჩუენდაო“; ასეთი გამოთქმა, მკვლევრის აზრით, გულისხმობს „ზეპირს

¹ ს. ნ. ზრ. ზმლ. ცხ. ბა, გვ. 153₂₉₋₃₈—154₁₋₈.

გადმოცემით მიღებულს რამდენიმე საუკუნოვან ამბავს²; „ამ გარდმოცემაში, — წერს მკვლევარი, — ის კი შენახულა, რომ მიქელის საკრველთ-მოქმედი მოძღვარი „ვითარცა მთიები ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა“, მაგრამ ის კი წარყვნილა თუ რა ერქვა ამ მოძღვარს. ამოწერილი სიტყვების უადგილობასა და შემდეგ ჩამატებულობას ამქლავნებს სხვა მოსაზრებაც. ბასილი ამბობს: მიქელმა „აღაშენა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი ძმათა ადგილსა... რომელსა პარეხ უწოდიან“. როგორ შეეძლო მას უშუალოდ ამ სიტყვების შემდეგ ეთქვა: „ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქელ იყო აღმაშენებელი“³.

საზოგადოდ კი, ქ. კეკელიძის აზრით, თუ ამ ადგილს ბასილი ზარზმელს მივაკუთვნებდით, ისიც შეიძლება გვეფიქრა, რომ „მის შრომაში „შიოს“ ნაცვლად იკითხებოდა სახელი „გრიგოლ“, რომელიც, ნუსხახუცურად ქარაგმით დაწერილი „გლისი“ ან „გილსი“, შემდგომი დროის უმეტარი გადამწერის თვალსა და ხელში „შიოდ“ ქცეულა“⁴.

რადგან ქ. კეკელიძე აღნიშნულ ძეგლში არაერთ შერყვნილ ადგილს უთითებს⁵, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ეს ფრაგმენტიც დროთა ვითარებაში დამახინჯებულიყო, მით უფრო, რომ იგი სტილისტურად და აზრობრივად სრულიად გაუმართავია. ამას, გარდა ქ. კეკელიძის მიერ შენიშნული შეუსაბამობისა, მოწმობს შემდეგიც: წინადადებას პარეხის აშენების შესახებ აკლია ქვემდებარე: „რამეთუ აღეშენა რაჲ წმიდაჲ და დიდი უდაბნო[ა] ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი. ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა (?) მუნიით და აღაშენა უწყებითა საღმრთოთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათა[ა] ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდიან. ხოლო ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მალალთა და დიდთაჲ, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოხსი საკრველთ-მოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისა[ა], ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა“⁶.

² ქ. კეკელიძე, ა. ფ. ქ. ლ., გვ. 115.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ К. Кекелидзе, Памятники древнегрузинской агнографической...

გვ. 65.

⁶ ს. ნ. ზრზმელს ც. ბა, გვ. 153-154-154-1-2.

როგორც ვხედავთ, დამოწმებული კონტექსტი მთლიანად დალაგებასა და გამართვას საჭიროებს, რაც არ შეიძლება თვითონ ორიგინალიდან მომდინარეობდეს. ისმის კითხვა: ხომ არ შეიძლება საქმე ინტერპოლაციასთან ანდა გადაძწერის შეცდომასთან გვექონდეს? აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ შემდეგი გარემოება: თვით ხელნაწერი გვიანდელ საუკუნეებს განეკუთვნება და, როგორც ერთხმად და ხაზგასმით აღნიშნავენ მკვლევარნი, ჩვენამდე იგი დამახინჯებული სახით არის მოღწეული*.

ა. ბოგვერადის აზრით, „თუ დავუშვებთ, რომ შიოს სახელი გადაძკეთებელმა შეიტანა თხზულებაში, მასვე უნდა ეკუთვნოდეს ზედსართავი „საკვრველთ-მოქმედი“, რომლითაც ქართულ ჰაგიოგრაფიაში შიოა ცნობილი და არა გრიგოლი. ცხადია, „ქართლი“ შიოს სამოღვაწეო უფროა, ვინემ გრიგოლისი (მერჩულეს თვალსაზრისითაც რომ გავიგოთ ეს სახელი)“⁷.

რა თქმა უნდა, ა. ბოგვერადე მართალია, როდესაც შენიშნავს, რომ „საკვრველთ-მოქმედად“ ქართულ აგიოგრაფიაში შიოა ცნობილი და არა გრიგოლ ხანცთელი, მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ საისტორიო წყაროებში საკვრველთ-მოქმედი მიემართება შიოს გარდა სხვა სახელებსაც — და მათ შორის გრიგოლსაც (თუმცა არა გრიგოლ ხანცთელს)⁸. ამიტომ არ არის მთლად გამორიცხული, რომ ავტორს გრიგოლის სახელთან, თუკი ის ეწერა „ცხოვრების“ თავდაპირველ რედაქციაში, ეპითეტი „საკვრველთ-მოქმედი“ დაეკავშირებინა.

რაც შეეხება საკითხს, შესაფერი იყო თუ არა ტერმინი „ქართლი“ გრიგოლ ხანცთელის სამოღვაწეო ასპარეზის აღსანიშნავად, თუ ის შიოს უფრო შეეფერებოდა, ვფიქრობთ, გათვალისწინებული უნდა იყოს ტერმინ „ქართლის“ შინაარსი როგორც შიოს, ისე გრიგოლის ხანაში. ორივე ხანაში „ქართლი“ იხმარებოდა ფართო შინაარსით და მოიცავდა მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს. კერძოდ,

⁷ ა. ბოგვერადე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 54—55.

⁸ მაგალითად. რაკეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის XI საუკუნის წარწერაში მოხსენიებულია ნიკოლოზ საკვირველთ-მოქმედი (გ. ბოკოჩიძე, რაქის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტომი V, ტფ., 1930, გვ. 166—167). ჭვარისას ეკლესიის ხატის წარწერაში მოხსენიებულია გრიგოლ საკვირველთმოქმედი (გ. ბოკოჩიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 174).

* თ. უორდანიას აზრით, ხელნაწერი XIII საუკუნისაა, მ. ჯანაშვილით იგი XVII საუკუნის უნდა იყოს, ხოლო კ. აეკელიძის აზრით იგი უფრო XVI საუკუნისაა. ვიღრე XVII-სი.

სამხრეთ საქართველო შეადგენდა ე. წ. ზემო ქართლს.⁹ თვით ტაო-კლარჯეთის მმართველები ხშირად იწოდებოდნენ ქართლის კურაპალატებად¹⁰. სამცხე „ყოველი ქართლის“ შემადგენლობაში იყო წარმოდგენილი. მაშასადამე, გრიგოლის სამოქმედო ასპარეზად ქართლის დასახელება არ იქნებოდა შეუსაბამობა. გრიგოლ ხანცთელის სიტყვებით, „...ქართლად ფრიადი ქუეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღსრულების, ხოლო კკრიელგჳსონი ბერძნულად ითქუნის, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა ყავ“, გინა თუ „უფალო, შეგვწყალებ“¹¹.

ამრიგად, „ქართლი“, როგორც ეთნიკური ტერმინი, გრიგოლ ხანცთელის ხანაში (IX ს.) მიემართებოდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მცხოვრებთ (თუ დასავლეთისასაც არა), თვით ტაოელ მეფეებს ეწოდებოდათ „ქართველთა მეფე“. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, სამცხეც „ქართლში“ არის ნაგულისხმევი.

გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება მიქელის შესახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდის; „ხოლო იყო ნეტარი მიქელ ქუეყანისა შავშეთისაჲ, სოფლისა ნორგიალისაჲ, და მიძნაძოროს მონაზონ იქმნა, ხოლო პარეხთა შინა მრავალთა წელიწადთა ცხოვნდა და აღ-რად-ესრულა, მუნვე დაემარხა. და აწ საფლავი მისი და დიდებულისა მამისა ბასილისი, რომელიცა შემდგომად მისსა პარეხთა მკვდრ იყო, ერთგან არიან და კაცთა კურნებასა მიჰმადლებენ, რომელნი სარწმუნოებით მივლენან მათდა“¹².

„რაჟამს ხანცთაჲ იქმნა სახელოვან მადლითა და სახარულევან სულიერთა შვილთაგან, მას ეამსა მიძნაძოროთ ხანცთად მოვიდა დიდი მეუღაბნოე მიქელ მამაჲ, რომელიცა დაემკვდრა პარეხთა, რამეთუ იყო იგი მეგობარ ნეტარისა მამისა გრიგოლისა. და ეძიებდა მარტოდ-მყოფებასა და პოვა თავისა თვისსა სამკვდრებელი ბერთისა პარეხთა და განზრახვითა ამის წმიდისაჲთა დაემკვდრა მათ შინა და კეთილად წარემართა სათნობათა მიმართ უფლისათა“¹³.

„ხოლო მტერი ეშმაკი, იგლოვდა ფრიად, რამეთუ ხედვიდა წმიდათა კაცთა განმრავლებითა ეამისა თვისსა შემოკლებასა, და მიქელის-თვის დიდსა საუცრებასა ცხადად და ფარულად ჰყოფდა, რაჲთამცა გა-

⁹ ი. ჭავჭავაძის მიხედვით, საქართველოს საზღვრები..., 1919, გვ. 35.

¹⁰ მატიაზე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 252_{გ-დ}.

¹¹ გრგოლ ხანცთელის ცნობა, გვ. 290_{ა-ბ}.

¹² იქვე, გვ. 281_{ა-ბ}.

¹³ იქვე, გვ. 280_{ა-ბ}.

ნიოტა უდაბნოა. ხოლო იგი ძლიერად მოითმენდა გუემათა დაუძინებელისა მის მკდომისათა და არცხუნდა თითო-სახეთა მათ მანქანებათა მისთა შეწვევითა ქრისტესითა და წმიდათა ყოველთა ოხითა. ხოლო იყო უამსა რომელსამე მამამ მიქელ განშორებულად სენაკსა თვსსა, მდგომარე მალალსა კლდესა ზედა მცირედ რაჲმე უღბად, და კადნიერ იქმნა მის ზედა ბელიარ და სიმაღლისა მისგან გარდამოავდო ქუე. ხოლო დაიცვა ყოლად უვნებელად ყოველთა მეუფემან ქრისტემან ღმერთმან. არამედ მამამ მიქელ შეზრუნდა, მიმდემი სამარადისოსა მას ბრძოლასა, და მოწაფე თვისი მიავლინა სულიერად მოძღურისა თვისისა მამისა გრიგოლისსა და აუწყა ყოველი იგი განსაცდელი სულთა ბოროტთაჲ¹⁴.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ი. ჭავახიშვილი, კ. კეკელიძე და ე. თაყაიშვილი ამ ორი თხზულების მიქელს აიგივებდნენ.

გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებასა და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხსენიებული მიქელი სხვადასხვა პირებად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად მიიჩნია მ. ჭანაშვილი¹⁵, რომელიც ემყარებოდა თხზულებების რამდენადმე განსხვავებულ მონაცემებს მიქელის შესახებ: ზარზმელის „ცხოვრებაში“ მოხსენიებული მიქელი პარეხს მივიდა ოპიზიდან, ხოლო ხანცთელის „ცხოვრების“ მიქელი კი — მიჯნაძორიდან ხანცთას, ხოლო ამ უკანასკნელიდან ბერთის პარეხს გადავიდა, სადაც დაემკვიდრა კიდევ¹⁶.

მ. ჭანაშვილის მიერ თავის დროზე გამოთქმული მოსაზრება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა და გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების მიქელის სხვადასხვაობის შესახებ გაიმეორეს და უფრო გააფართოეს კიდევ პ. ინგოროყვამ და ა. ბოგვერაძემ, მათ საამისოდ დამატებითი არგუმენტები წამოაყენეს.

ა. ბოგვერაძის აზრით, ეს ორი მიქელი სრულიად სხვადასხვა პირებია, რადგან:

1. თუ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების მიქელი მაშენებელია, გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების მიქელი ასეთად არ გამოიყურება: მიძნაძორიდან წამოსული იგი პირდაპირ მკვიდრდება „ბერთისა პარეხთა შინა“;

2. პირველი მიქელი თავის ეგუტერში გარშემორტყმულია მრავალრიცხოვანი ძმებით, მეორე კი — „ეძიებს მარტოღმყოფობას“, თუმც, როგორც ტექსტიდან ჩანს, მას მოწაფეც ჰყოლია;

¹⁴ გრ. გლ. ხნც. თლს. ც. ა, გვ. 280₄₃₋₄₃—281₁₁₋₁₁.

¹⁵ მ. ჭანაშვილი, ქართული მწერლობა, წიგნი II, გვ. LV—LVI (სქოლიო).

¹⁶ იქვე.

3. თუ პირველი მიქელის მასწავლებელი იყო შიო „საკვრველთ-მოქმედი“, მეორის სულიერი მოძღვარი და მეგობარი გრიგოლ ხანცთელი ყოფილა;

4. მიქელს, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ტექსტის მიხედვით, ეწოდება პარეხელი, გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების მიქელი კი მარტო სახელით იხსენიება;

5. როგორც ბასილის თხზულებიდან ირკვევა, მიქელ პარეხელის „ცხოვრება“ დაუწერიათ მის მოწაფეებს. ა. ბოგვერაძეს საეპეოდ მიაჩნია, რომ ჯერ შექმნილიყო პარეხელის, ხოლო შემდეგ მისი მასწავლებლის — გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრება“, ანდა როგორ შეიძლებოდა გ. მერჩულეს ეს ფაქტი დარჩენოდა აღუნიშვნელიო, დასძინს მკვლევარი.

მაშასადამე, ა. ბოგვერაძე ამ ორი მიქელის იგივეობას გამორიცხავს იმის გამოც, რომ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების მიქელ გარშემორტყმულია მრავალრიცხოვანი ძმებით, გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების მიქელი კი ფიქვებს „მარტოდმყოფობას“. მაგრამ ამ უკანასკნელსაც ჰყავს თავისი მოწაფე: „...არამედ მამაჲ მიქელ შეზრუნდა, მიმდემი სამარადისოსა მას ბრძოლასა, და მოწაფეთკისი მიაელინა სულიერად მოძღურისა თვისისა მამისა გრიგოლისისა და აუწყა ყოველი იგი განსაცდელი სულთა ბოროტთაჲ“¹⁷.

მკვლევარი ამ ორი მიქელის იგივეობას გამორიცხავს იმის გამოც, რომ ბასილის თხზულების მიქელ პარეხელად იწოდება, მეორე კი — მხოლოდ სახელით იხსენიება. მაგრამ ეს მიქელიც ხომ შეიძლებოდა ყოფილიყო პარეხელი? მისი მხოლოდ სახელით მოხსენიება თითქოს არ უნდა იძლეოდეს იმის საფუძველს, რომ ისინი სხვადასხვა პირებად დავსახოთ, მით უფრო, რომ მათი მოღვაწეობის ადგილი თითქმის ერთი და იგივეა*.

რაც შეეხება ა. ბოგვერაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ნაკლებ სარწმუნოა ჯერ დაწერილიყო მიქელ პარეხელის, ხოლო შემდ-

¹⁷ გრგლ ხნცთლს ცა. გვ. 281გ-11.

* ამ ორი მიქელის იგივეობას უარყოფს ი. აბულაძე თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში, სადაც იგი აღნიშნავს, რომ „... ხანცთელის ცხოვრების „პარეხთა“ გეოგრაფიული სახელია, ხოლო სერაპიონის ცხოვრებებსა კი საზოგადო უნდა იყოს, რადგან აქ იგი, ან მისი ფუძე, იხმარება არა მრავლობითი რიცხვის ფორმით, რაც საგნის სახელთაგან წარმოქმნილ გეოგრაფიულ სახელთათვის დამახასიათებელია, არამედ მხოლობითით („პარეხ“ უწოდიან). ამასთანავე ზარზმელის ცხოვრების „პარეხის“ შემცველი ადგილია. დამოუკიდებლად იმისა, იქნება ის საკუთარი თუ საზოგადო სახელი, საგულისხმოა იმითა, რომ იქ მოცემულია ამ სახელის მნიშვნელობა: ადგილი კლდოვანი და უვალი კაცთაგან“.

გომ მისი მასწავლებლის—გრიგოლ ხანცთელის „ცხოვრება“, ვფიქრობთ, გაუმართლებელია: გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება დაიწერა გრიგოლის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ. ცხადია, ამ 90 წლის მანძილზე, იმის გამო, რომ ხანცთელის „ცხოვრება“ არ იყო შექმნილი, აგიოგრაფიული მწერლობა არ შეჩერდებოდა. თუკი დასაშვებია იყო გრიგოლის ცხოვრება არ აღწერილიყო 90 წლის განმავლობაში, არც ისაა გამორიცხული, რომ მისი მოწაფის — მიქელის „ცხოვრება“ აღეწერათ ხანცთელის „ცხოვრებაზე“ ადრე.

ბეშქენ. ასე ეწოდება ბაპლუნდის საგვარეულოს ორ წარმომადგენელს: დიდი მთავრის — მირიანის მამას და მის შვილს: „...და[ჟ] გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაპლუნდისაჲ [ძისა] იოვანესი“¹⁸; „...გარდა-რაჲ-იცვალა ყოლად კურთხეული იგი გიორგი, ყოველივე, რაჲცა აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შე[პ]ვედრა და შეილთა მისთა საკუთრებით განუთჳსა, რომელთა ეწოდა სულა, ბეშქენ და ლაკლაკი“¹⁹.

მამაკაცის საკუთარი სახელი „ბეშქენ“ ფეოდალურ საქართველოში ფრიად გავრცელებული ყოფილა. აღნიშნული სახელი ჩვენამდე შემონახულ ქართულ ძეგლთაგან პირველად „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მოიხსენიება.

სახელი „ბეშქენ“ XI საუკუნიდან გვხვდება: ჭაყელთა გვარში და მის განშტოებებში (XIII ს-ში ბოცოს ძეებში), გურკლელთა, ჭილაძეძეთა, გობოძეძეთა, ვარდანისძეთა, მჭეცისძეთა გვარებში. თუხარისის ერისთავი — ბეშქენ ჭაყელი მოიხსენიება „მატიანე ქართლისაში“, როგორც ბაგრატ IV თანამედროვე და მისი მოწინააღმდეგის — ლიპარიტ ბაღვაშის მომხრე: „და ჰყვეს ლიპარიტს კახნი და ბერძენნი, და წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთაუფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისსა, თვნიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჭაყელისა, თუხარისისა ერისთავისა“²⁰.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვამცნობს ბეშქენ ჭაყელის მკვლელობაზე ჭავჭავთში: „ხოლო მეორესა წელსა ბზობად წარმოემართა მეფე ღანუქით წარსლვად რაქსას პირსა, და ზატიკი გარდაი-

¹⁸ ს.წ. ზრ. ზმლს ც.ა. გვ. 176²⁷⁻²⁸.

¹⁹ იქვე, გვ. 176³³⁻³⁶—177¹.

²⁰ მატიანე ქართლისა, ქც. გვ. 298¹⁶⁻¹⁵.

კადა ნაჯიდურს. მუნ მოართუეს ამბავი ბეშქენ ჯაყელისა ჯავახეთს თურქთაგან მოკლვისა“²¹.

იკორთის ტაძრის ერთ-ერთ, 1172 წლის წარწერაში მოიხსენიება ბეშქენი და ერისთავთ-ერისთავი სულა: „ქ. სამებაო ერთარსებაო, ადიდე ერთავე შ[ინ]ა ცხოვრებათა ე[რისთავთ]-ე [რისთავი]* სუ[ლა] ---რ--- და ბეშქენ ბქესა ვრდ (?)- --- ლეიარსა (?), ე[რისთავთ]-ე[რისთავ]ს მ[ი]ხ[ა]ლ[ა]ის** (?)- ---თ და ლოცვა ყავთ ქ[რონიკონს] ტუბ (392-1172)“²².

ბოცოსძეებში (ჯაყელთა განშტოება) „ბეშქენი“ იხსენიება ალის მონასტრის (ბოცოსძეთა საგვარეულო მონასტერი) ხელნაწერთა მინაწერ საბუთებში და მოსახსენებლებში (XIII—XIV სს.)

გურკლელთა გვარში „ბეშქენი“ მოხსენიებულია ჟამთააღმწერელთან როგორც ამირეჯიბი: „...ათაბაგი ავაგ, სურამელი, გამრეკელი, ამირეჯიბი ბეშქენ. და ესრეთ მრავალყამ იყოფოდეს ხატაეთს და ყარაყურუმს“²³.

ვარდანისძეთა, ჭილაძისძეთა, გობოძისძეთა და მკეციძისძეთა გვარებში სახელი „ბეშქენ“ გვხვდება ჯვრის მონასტრის ალაპებში: „[თუესა დეკენბერსა იგ] ამ[ასვე] დღესა წირვაჲ და აღ[ა]პი ბეშქენ ჭილაძისძისაჲ, მოგკვიდა ათასი თეთრი აღბულა ენტელეგის ძისა და ჭილაძის ძისა მსახურისა ჩიფხუტისა ქ[ე]ლითა და ვინცა შეეცვალოს, შე-მცაცვ[ა]ლებ[უ]ლ არს სჯ[უ]ლისაგ[ან] ქ[რისტი]ენანეთაჲსა“;²⁴ „თუესა დეკენბერსა კთ: ამასვე დღესა აღაპი არის საუკუნოჲ გარეყნის ძისა მაკ[ა]რის შვ[ი]ლისა ფორთოჯინის რ[ა] და მისსა მ[ე]უ[ლ]ლისა ე[ა]რდანის ძისა ბეშქენის ასოლისა ხათოთაჲსა და [ვინცა] შეუცვალოს, მე-მცა-იცვლების სჯულისაგ[ან] ქრისტიანთაჲსა და წყ[ე]ოლმცა არის პირითა დ[მ]რ[თ]ის[ა]თა“;²⁵ „ყველიერისა კვრიაკესა წირვაჲ და აღაპი საუკუნოჲ მოლაპრეთ უხუცესისა მკეცის ძისაჲ ბეშქენისი, შეუნდვენ ღმერთმაჲ“;²⁶ „პარასკევსა შემდგომად ამაღლებისა პანაშვიდი გობოძის ძეთა მიცვალებულთაჲ: ზუადისაჲ,

²¹ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა, ქც., I, გვ. 334, 18-19.

²² ქრონიკები..., I, გვ. 260.

²³ ჟამთააღმწერელი..., ქც., II, გვ. 220-8; 228, 14.

²⁴ ე. მ. ბ. რ. ვ. ე. ლ. ი., მასალები იერუსალიმის ქართულ კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.), თბილისი, 1962, გვ. 89.

²⁵ ჯვრის მონასტრის ალაპები, ე. მ. ბ. რ. ვ. ე. ლ. ი., დასაზ. ნაშრომი, გვ. 92.

²⁶ იქვე, გვ. 72.

* გამოცემაშია: „მე“ (ერისთავთ-ერისთავნი)“.

** გამოცემაშია: „მ“ ხლ (მიხალი?)“.

ივანესი, კუეპესი, ბეშქენისი და სარგისისი, შეუნდვენ ღმერთ-მან“;²⁷ „თუესა ნოენბერსა იბ: ამასვე დღესა აღაბი და პანაშვილი საუკუნოჲ ბეშქენმანდატურთ უხუცესისა ვარდანის ძისა. მოგუცა მისმ[ან] სიძემ[ან] ფურთუხ გარეყანის ძემ[ან] რომი ათასისა თეთრისა წითელი და გაუჩ[ი]ნეთ აღ[ა]ბი და პან[ა]შვილი, დაუკლებელ[ა]დ გარდაიქდებ[ო]დეს“;²⁸ „პარასკევსა ყვ[ე]ლი[ე]რის[ა]სა მწობრი პაპნ[ა]შვილი გობოს ძეთაჲ მიცვ[ა]ლებ[უ]ლთაჲ ზვადისა, ივანესი, კუეპესი, ბეშქენისი და სარგისისი და შაბ[ა]თსა თუთოჲ ხ[უ]ცესი ყამსა წირვიდეს ზოთათივსვე და საწირ[ა]ვი ეკლ[ე]სი[ო]თ მ[ი]ეცემოდეს. მე, ბორენა, მოვიღე ამა საუკუნოჲსა პანაშვილისათვის ექოსასი თეთრი, და ვინცა შეცვ[ა]ლოს, შე-მცა-ცვ[ა]ლ[ე]ბ[უ]ლ [ა]რს შჯოლის-გ[ან] ქ[რი]სტიანთაჲსა და კროლმცა არის ამა ს[ა]ფლ[ა]გსა მადლითა“²⁹.

„ბეშქენი“ გვხვდება არა მხოლოდ დიდგვარიან ფეოდალთა, არამედ წვრილ ფეოდალ-აზნაურთა და დაბალი რანგის სასულიერო პირთა შორისაც (ცხადია, ის გავრცელებული იქნებოდა გლეხთა შორისაც). მაგალითად, XV საუკუნის 90-იან წლებში დაწერილ მცხეთის გუჯარში მოწმედ დასახელებულია ბეშქენ გიგაშვილი (როგორც ჩანს, აზნაური): „ღვთივ გვრგვნოსნისა (ყახთა) პატრონისა აღექსანდრეს ყამში-ვა მოვედ მე პატრონი ქუჩი და თავადნი და აზნაურშულნი თა მიახლნეს და ღვთივ გვრგვნოსნისა სანატრელისა ღთ აღმაშენებლის მეფეთ-მეფისაგან შემოწირულს მზლუარზედა დავიფიცეთ თვთ მე კზმან აბალაკმან და სდ ჩემთა საყდრისა შვილთა ჯიმითის სამზლუარი თავი სალოცავნი, ჩუმლაყის თავსა ჩავიარეთ და მივდეგით კუნელამდი, ჩავიარეთ და მივდეგით ძამაურაზედა, ჩავიარეთ და მივდეგით წურს ქევზედა, ჩავიარეთ და მივდეგით გაწყუჭტილასა ...წნორაზედა... ჭიაბრის ეკლესიასთან იორამდის, (სადაცა) ღთ აღმაშენებელსა ეკლესია სამზლურად ჩაუდგამს... (მოწამენი: ალავერდელი კირილე, დიდი საგინა, ციციშვილი მერაბ და ზაალ, მაყაშვილი ინდო და ზაალ ...ბოჭორმის დეკანოზი, გიგაშვილი ბეშქენ... და ტიმოთე“³⁰.

1513 წ. დაწერილი სამთავისის ერთ-ერთი სიგელი გვამცნობს, რომ ამილახორი თავა სწირავს სამთავისის საყდარს სოფელ ნადარბაზევს და აღნიშნავს: „...და დავადგინეთ მწირველად და მეექუდრედ ბეშქენას ძე მოძლუარი (Sic) მარკოზ და მისი შვილი დანიელ,

²⁷ კერის მონასტრის აღაპეზი, ე. მ. ე. ტ. რ. ე. ლ. ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

²⁸ ი. ქ. ვ. ე., გვ. 84.

²⁹ ი. ქ. ვ. ე., გვ. 107.

³⁰ ქრონიკები..., II, გვ. 310.

შვილნი და მომავალნი მათნი ყოველნივე ასრე და ამა წესითა, რომე ორნი მწირველნი თორმეტთა საუფლოთა...“³¹.

როგორც ვხედავთ, მამაკაცის საკუთარი სახელი „ბეშქენ“ შუა საუკუნეების საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა*.

სახელი ბეშქენ სხვადასხვა ფორმით გვხვდება არაქართულ (სომხურ, არაბულ, სპარსულ) სამყაროებშიც.

პრ. აჭარიანი ნაშრომში: *ძაკიყი ანბან. მასაჟიანი* იხილავს საკუთარ სახელს ბეჟგჷნ და იქვე შენიშნავს: იხილე პეშგინე³².

საკუთარი სახელის „ბეჟგჷნ“ წარმომავლობა ავტორისათვის უცნობია. კირაკოზ განძაკეცის მიხედვით, ბეჟგენი ერქვა თურმე ალბანელთა კათალიკოსს, რომელიც 1155 წელს დაქორწინებულა და ამის გამო გადმოუგდიათ ტახტიდან³³. აღნიშნული სახელი სომხურში რამდენიმე ფორმით ხმარებულა: 1. პეშქენ (მცდარი დაწერილობით „პელგენ“). მაგალითად, პეშქენ ორბელიანი, ძე სომხეთისა და საქართველოს სპასპეტისა—ბურთელის, ძმა სისაკანის (სივნიეთის) ოლქის იშხანის—ივანესი. იგი იხსენიება 1334—1344 წლებში. 2. პეშგინე. სომხეთის ისტორიაში ცნობილი პიროვნება ყოფილა ორბელიანთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი პეშგინე, ძე სმბატისა, შვილიშვილი ბურთელისა, ქართველთა მეფის—ალექსანდრე I სიმამრი. სივნიეთის ოლქის დაპყრობით იგი (ალექსანდრე, ნ. ვ.) შეიქმნა პეშგინეს სიუზერენი, მაგრამ რადგანაც შიშობდა, რომ სომხები განუდგებოდნენ ქართველთა სამეფოს, მოაწამლინა იგი და ამით ბოლო მოუღო სივნიეთის ორბელიანთა საგვარეულოს. ეს ამბავი 1438 წელს მომხდარა. პრ. აჭარიანის მოწმობით, თომა არწრუნი „არწრუნთა სახლის ისტორიაში“ ხმარობს იმავე სახელს ორი სხვადასხვა ფორმით: „პელგინი“ და „პეშგინი“ (სახელი მოცემულია ნათესაობით ბრუნვაში). 3. ბიშქენ. XV საუკუნის სომხეთში ცნობილი ყოფილა ძე ავაგ ელივარდელისა და ძმა მანველ არჩიევის ძოხოისა. F. Justi-ს მიხედვით, საშუალო სპარსული *Pēšgin*³⁴ მომდინარეობს ძველი ირანული სიტყვიდან

³¹ ქრონიკები, II, 322.

³² ზ. სნაჯან, *ძაკიყი ანბანის ანბანის* წიგნი I, ერევანი, 1942, გვ. 4-3.

³³ იქვე.

³⁴ F. Justi, *Iranisches Namenbuch*. Hildesheim, 1963, გვ. 251.

* ამდენად, უსაფუძვლოა ე. მინორსკის დასკვნა, თითქოს სახელი „ბეშქენ“ საქართველოში იშვიათად იხმარებოდა (V. Minorsky, *The Georgian maliks of Ahar*, BSOAS, 1951, XIII, ნაწილი 4, გვ. 870).

*paīsa, ახალი სპარსული pēšah 'ხელოვნება, ხელსაქმე',³⁵ არაბული Bis-kin (ააკუთისთან).³⁶

პრ. აჭარიალის მიხედვით, ძველ სომხურში გვაქვს ფორმები: ბე-ე-ე და ბიშქენ, რომელთა გამოყოფა პეშქენ ფორმიდან შეუძლებელია, ეს უკანასკნელი კი დამოწმებულია 1065 წელს³⁷.

აღმოსავლურ წყაროებში სახელი ბეშქენ რამდენადმე სხვაგვარი ფორმით გვხვდება: „ბიშქინ, ფიშქინ, ფიშთექინ“³⁸.

XII საუკუნეში და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში ჩრდილო-დასავლეთ ირანის ერთ-ერთ ოლქს მართავდნენ ქართული წარმოშობის დინასტიის წევრები — ბეშქენიანი.³⁹ ამ დინასტიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი, როგორც ეს მუჰამედ ნესევის თხზულების „სირათ ას-სულთან ჭელალ ად-დინ მანქობერდის“ მიხედვით მტკიცდება, ყოფილა ნუსრათ ად-დინ მუჰამედ ბენ ბიშქინი, რომელიც XIII საუკუნის პირველ მეოთხედში მოღვაწეობდა⁴⁰.

ცნობილია, რომ არაბულ დამწერლობაში არ არის ასო პ, ამიტომაც ირანულ P-ს არაბები გადმოსცემენ ან ფ-თი, ან და ბ-თი. მაგალითად, ბეშქენ, ბაჰლაუნდი და სხვ.

ქართული ფორმა „ბეშქენ“ თავიკიდური ბ-ს გამოუფრო ახლოა არაბულ ფორმასთან, ვიდრე საშუალო სპარსულ ანდა სომხურ ფორმასთან.

სახელი „ბეშქენ“ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების გარდა არც ქართულ და არც სომხურ მწერლობაში XI საუკუნემდე არ გვხვდება, და მხოლოდ ამ ერთი შემთხვევით სახელის გავრცელებულობის შესახებ მსჯელობა ადრეულ საუკუნეებში მართებული არ იქნებოდა.

ბაჰლაუნდი. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხსენიებულია წარჩინებულ ფეოდალთა საგვარეულო — ბაჰლაუნდი: „ხვა-

³⁵ შ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1966, გვ. 450.

³⁶ ააკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვეთი I. არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ. თბილისი, 1964 (იხ. ქართული თარგმანის გვ. 19, არაბული ტექსტის გვერდი 21).

³⁷ ლ. ასნაოქან. ჰაიფე ასნანაზინსეჰი ჩაორაჟინ, ტომი IV. ეჩეენი, 1948, გვ. 240.

³⁸ პ. თოფური, მასალები ბეშქენანთა ქართული დინასტიის ისტორიისათვის. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1963. 33-119.

³⁹ იქვე. გვ. 113; И. П. Пегрушевский, Бешкениды — Пшавгениды, грузинские малики Ахара в XII — нач. XIII вв. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1937. ნაკვეთი XVIII, გვ. 58.

⁴⁰ პ. თოფური, დასახელებული ნაშრომი, გვ. 114.

ლის დღე მივიდენ საფლავად მისსა, ადგილსა მას ზანავისასა, სადა-
იგი მონასტერი შეუენიერი შენ არს, რომლისა-იგი იყვნეს პირველნი
აღმაშენებელნი ამასპო და ქურდია. ხოლო აწ კუალად და[ჟ] გიორ-
გისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ
ბ ა ჰ ლ ა უ ნ დ ი ს ა [ჟ] [ძისა] იოვანესი“⁴¹.

ეს საგვარეულო სხვა წყაროებიდან ცნობილი არ არის. უნდა ვი-
ფიქროთ, რომ მისგან წარმოიქმნა გვიან შუა საუკუნეების ქართული
ფეოდალური საგვარეულო ფალავანდიშვილებისა (—ფალაუნდიშვი-
ლი—ბაჰლაუნდიშვილი).

ბაჰლაუნდი უცხოური წარმომავლობის სიტყვაა: ჰრ. ა ჰ ა რ ი ა -
ნ ი ს მიხედვით, ბ ა ჰ ლ ა ვ უ ე ჰ ვ ე ლ ა დ ფ ა ჰ ლ ა უ ნ ი ს სა ტ ო მ ო სა ხ ე ლ ი ს
შემოკლებული ფორმაა, რომელიც მომდინარეობს სპარსული ფორმი-
დან⁴².

უძველესი ირანული ფორმა ამ გვარ-სახელისა არის ძველი სპარ-
სული Parθava ‘პართია, პართელი, პართული’ საშ. სპარსული Pahlav,
Pahlavān, ახ. სპარსული Pahlav, Pahlavān ‘გმირი, ფალავანი’⁴³, არაბუ-
ლი Pahlavān (šams ad-dīn, F. Justi)⁴⁴, სომხური გვარ-სახელი *Պահլավ-*
ուհի. დაბოლოების მიხედვით ქართული ბ ა ჰ ლ ა უ ნ დ ი თითქოს
ყველაზე ახლოს სომხურ ფორმასთან არის. განსხვავებას ქმნის
თავკიდური ბ ქართულ ფორმაში და ზედმეტი დ სიტყვის ბო-
ლოს⁴⁵. თავკიდური ბ ქართულ ფორმაში შესაძლოა დისიმილაციუ-
რი გაუღერებით აიხსნას (შეადარეთ ბატარა<პატარა, ბატონი<პატ-
რონიდან და მისთანანი), რაც შეეხება ბ ო ლ ო კ ი დ უ რ დ-ს,
ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო ა, რომ ეს დ განვითარებულა ამ სახე-
ლის ახალ სპარსულ ფორმაშიაც, რომელიც და-
ც უ ლ ი ა გ ვ ა რ შ ი ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი, მაგრამ ფ ა ლ ა-
ვ ა ნ ი⁴⁶.

ლ ა ტ ა ვ რ ი. „ხოლო ვითარცა ვთქვთ, მივიდა წმიდა იგი (სე-
რაპიონ ზარზმელი. ნ. ვ.) საფლავსა ზედა მისსა, მოწლედ და თახა-
ლმობით იტირა. და ვითარცა ჯერ-იყო, მოიკითხა და ნუგეშინისსცა
დასა მისსა ლ ა ტ ა ვ რ ი ს, რომელსა უკანა[ჟ]სკნელ თეკლა ეწო-
და“⁴⁷...

⁴¹ ს¹ნ¹ ზრ¹ ზმლ¹ს ცხ¹ბა, გვ. 176₂₄₋₂₈.

⁴² ლ. მ ნ ა ო კ ა ნ. Հայոց անձնանունների քառաբան, ტომი IV, გვ. 218.

⁴³ მ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 449.

⁴⁴ ი ქ ვ ე.

⁴⁵ ი ქ ვ ე.

⁴⁶ ი ქ ვ ე.

⁴⁷ ს¹ნ¹ ზრ¹ ზმლ¹ს ცხ¹ბა, გვ. 177₁₋₄.

სომხურში იხმარება საკუთარი სახელი ლატორი, რომელიც, პრ. აქარიანის აზრით, ქართული ლატავრაღან მომდინარეობს⁴⁸.

„მატიანე ქართლისა“ გვამცნობს: „ხოლო ამან ჟუანშერ შვირთო ცოლი ნათესავი ბაგრატონიანთა, ასული ადარნასესი, სახელით ლატავრი, და აბრალა დედამან მისმან მოყვანება მისი ცოლად: არათურე კეთილად მეცნიერი იყო, ვითარმედ არიან ივინი ნათესავნი დავით წინასწარმეტყუელისანი, რომელი-იგი კორციელად მამად ღმრთისად იწოდა“⁴⁹.

გარბანელი. მამაკაცის საკუთარ სახელად სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხსენიებულია გარბანელი, ამ სახელს ატარებს სამცხის ერთ-ერთი დაბის მცხოვრები (როგორც ჩანს, არაწარჩინებული): „რამეთუ კაცი იგი პირველ კსენებული გარბანელი და ორნი იგი ძმანი, რომელნი დანთქმასა ტბისა[სა] განერნეს, იკურთხნეს მონაზონად ჯელითა მის წმიდისა[ქ]თა, ვინა[ქ]თგან ახალსა ამას მოსეს ებრძანა ახლისა ისრაჱლისა წინამძღურობაჲ, ამისთვის უკმდეს თანაშემწედ საქმესა მის კარვისა ახალნი ბესელიელ და ელიაბ“⁵⁰; „ხოლო კაცი იგი ია გვჩუენებდა მცირესა რასმე დაბასა და სახელ-სდებდა კაცსა სახელთანსა და კეთილსა, რომელსა ეწოდა გარბანელი* და გუეტყოდა: „მივედით ადგილსა იმას ამის იწრომსა მიერ გზისა, და კაცმან მან ადვილად მიგიყვანნეს ადგილსა მას, სადა[ქ]თ იქმნა წიად-სლვა[ქ] თქუენი განთიად“⁵¹; „და ვითარცა მოვედით ადგილსა მას, რომელსა ბაბგენ უწოდოიან, და ვიხილეთ მცირე ველი ადგილსა მას ბობხა წოდებულსა, და გვთხრა ჩუენ ია ყოველივე კაცისა მისთვის გარბანელისა“^{52**}; „ხოლო იყენეს ხუროთმოძღუარ და ზედა-მდგომელ საქმისა მის გარბანელი და ორნი იგი ძმანი“⁵³.

ეს სახელი, ჩანს, სომხურშიც გარბანელ-ის ფორმით იხმარებოდა. პრ. აქარიანის ცნობით, სომხურში გარბანელი (*Գարբանիէլ*) მხოლოდ ერთხელ იხსენიება და ისიც XI საუკუნეში: გარბანიელი ერქვა იშხანთა-იშხანის შაპუქის მამას, რომელიც ფალაურ არშა-

⁴⁸ ლ. მ. ნ ა რ ი ა ნ. ლაკივ ანბნანნიანისიქი ქართლის, ტომი, II, ერევანი, 1944, გვ. 407.

⁴⁹ მ ა ტ ი ა ნ ე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 251-2.

⁵⁰ ს წ ზ რ ზ მ ლ ს ც ბ ა, გვ. 170₁₁₋₁₆.

⁵¹ ი ქ ვ ე, გვ. 165₉₋₁₁.

⁵² ი ქ ვ ე, გვ. 165; 5-19.

⁵³ ი ქ ვ ე, გვ. 170₂₉₋₃₀.

* ნ ს ხ. გარბანელი.

** ნ ს ხ. გარბანელისა.

ქ უ რ დ სომხურში VIII საუკუნეშია დადასტურებული. ქ უ რ დ ეწოდებოდა სივნიეთის ერთ-ერთ იშხანს (735-იან წლებში)⁶⁰. სომხურში იმავე სახელის ორი სხვა ფორმაც არსებობს: ქ უ რ დ ი კ და ქ უ რ დ ო⁶¹.

პრ. აჭარიანის აზრით, სომხური *քուրդ* მომდინარეობს სპარსული *Kurd*-იდან⁶² და VIII საუკუნეზე უადრეს არ გვხვდება.

მ. ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს აზრით, ა მ ზ ა ს პ. ა მ ზ ა ს პ ა ნ, ა მ ა ს პ ო არის ა მ ა ზ ა ს პ ი ს ვარიანტები⁶³.

სახელისათვის ა მ ა ზ ა ს პ ამოსავალია ძველი ირანული *Hamāzāspa, რომელიც ორი ნაწილისაგან შემდგარი სიტყვაა: 1. hamāza (სკრ. samā-ja), რაც ნიშნავს კრებულს, სიმრავლეს, ჯოვს. 2. aspa, ე. ი. 'ცხენი'.⁶⁴

საკუთარი სახელი ა მ ა ზ ა ს პ ი და მისი სახეცვლილება ა მ ზ ა ს პ ი გვხვდება ლეონტი მროველთან და „მოქცევაჲ“-ს ტექსტში.

ა მ ა ზ ა ს პ ი ს ა გ ა ნ (იამასასპ) ნაწარმოებია დედაკაცის საკუთარი სახელი ა მ ა ზ ა ს პ უ ჰ ი სომხ. puhri ნაწილაკის საშუალებით⁶⁵.

ჰამაზასპ (სომხ. Համազասպ) სიტყვისაგან ამ წესით ნაწარმოები საკუთარი სახელი ქალისა, — საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ძველს სომხეთში. იგი ჯერ კიდევ IV საუკუნისათვის არის დადასტურებულ⁶⁶. ჰამაზასპუჰი ერქვა ქართლის მეფის ფარსმანის მეუღლეს.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში დადასტურებულია ა მ ა ზ ა ს პ ი ს უ კ ვ ე ვ უ ლ გ ა რ უ ლ ი, გ ა ქ ა რ თ უ ლ ე ბ უ ლ ი ს ა ხ ე — ა მ ა ს პ ო⁶⁷.

ი ა მამაკაცის საკუთარი სახელია. იგი პირველად ბასილის თხზულებაში გვხვდება. უფრო ადრე ამ სახელის არსებობა არ დასტურდება. ერთგან, XII საუკუნის II ნახევრის ფრესკაზე შემორჩენილია ი ა მ დედაკაცის საკუთარ სახელად⁶⁸.

ლ ა კ ლ ა კ ი. პირველად ეს სიტყვა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში გვხვდება მამაკაცის საკუთარ სახელად. სომხურში ასეთი სა-

⁶⁰ ზ. Անույան, Հայոց անձն. բառարան, ტომი V, ერევანი, 1962, გვ. 223.

⁶¹ ი ქ ვ ე.

⁶² ი ქ ვ ე.

⁶³ მ. ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 24.

⁶⁴ ზ. Անույան, Հայոց անձն. բառարան, ტომი III, ერევანი, 1946, გვ. 15.

⁶⁵ გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მცხეთას ბერძნულ-წარწერა ექსპანიანეს ხანისა, თბილისი, 1958, გვ. 17.

⁶⁶ ი ქ ვ ე, გვ. 18.

⁶⁷ მ. ან დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 24.

⁶⁸ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 227—

ხელი არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში ჰრ. აქარიანი მას არ აღნიშნავს. ი. აბულაძის აზრით, ლაკლაკი არის ფრინველის სახელი, გადმოტანილი ადამიანის სახელად⁶⁸.

გიორგი ჩორჩანელი ი. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი პირია გიორგი ჩორჩანელი, რომელიც კ. კეკელიძეს მიაჩნდა იმავე საგვარეულოს წარმომადგენლად, რომელსაც ეკუთვნოდნენ იოანე და თორნიკე, — ათონის ივერიის მონასტრის დამაარსებელი და ცნობილი მოღვაწენი. მკვლევრის აზრით, იოანე იყო სამცხიდან, სოფელ ჩორჩანიდან, რომელიც ზარზმის მონასტრიდან შვიდი კილომეტრით იყო დაშორებული. „ამ მხრის პატრონთ და დიდებულთ, — წერს მკვლევარი, — ეძახოდნენ ჩორჩანელს, resp. ჩორდვანელს. IX საუკუნეში, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებით, ცნობილია გიორგი ჩორჩანელი, რომელმაც, როგორც უშვილომ, თავის სამკვიდრებელთან ერთად ჩორჩანელობაც გადასცა თავის დის შვილებს — ხურსიძეებს. აი ამ ჩორჩანელ-ხურსიძეთა გვარიდან ყოფილა იოანე, რომლის მშობლებს, სულასა და მარიამს, მის გარდა ჰყოლიათ კიდევ, სხვათა შორის, ერთი შვილი, ეს ის ცნობილი თორნიკეა, ბერობაში იოანე, რომელმაც 979 წლის 24 მარტს დაამარცხა ბარდა სკლიაროსი. ისტორიას მის საერისკაცო სახელად ვარაზ-ვაჩე მიაჩნია“⁶⁹.

მაგრამ შემდეგ მკვლევარმა ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი შეიცვალა⁷⁰. კ. კეკელიძის თქმით, ათონის ივერიის მონასტრის დამაარსებლის—იოანეს გენეალოგიურად დაკავშირება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების გიორგი ჩორჩანელთან არის შეცდომა, რომელიც ექ. თაყაიშვილისაგან მომდინარეობს⁷¹. ამ უკანასკნელმა ზარზმის მონასტრის წარწერებში მოხსენიებული ხურსიძეები, ვითომცდა წინაპრები იოანე ათონელისა, შეცდომით მიიღო გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრეებად⁷².

ა. ბოგვერაძესაც გიორგი ჩორჩანელი იოანესა და თორნიკეს საგვარეულოს წარმომადგენლად მიაჩნია. მკვლევარი წერს: „სერაპიონი მოხუცი გარდაიცვალა. გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრეები სულა, ბეშქენ და ლაკლაკი ამ დროისთვის საკმაოდ ახალგაზრდები

⁶⁸ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, 1941, გვ. 90.

⁷⁰ კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, ძველი ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1954, გვ. 44.

⁷¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, 1960, გვ. 99 სქოლიო.

⁷² Е. Такашвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, выпуск I, Тифлис, 1905, стр. 32—33.

• ეს აზრი აწ განსვენებულმა ი. აბულაძემ ზეპირ საუბარში მოგვწოდა.

არიან. ამის გამო, წარმოდგენილი ქრონოლოგიით ისინი მე-9 საუკუნის 70-იანი წლებისა და X საუკუნის პირველი მეოთხედის პირებად უნდა მივიჩნიოთ. ამ ხანის ჩორჩანელთა საგვარეულოს შესახებ ჩვენ სხვა ცნობებიც გავვაჩნია. ცნობილი თორნიკე ერისთავი, რომელიც ჩორჩანელთა (resp. ჩორღვანელთა) საგვარეულოს ეკუთვნოდა, X საუკუნის პირველ ათეულში ჩანს დაბადებულად. ათონის სინოდიკებით ცნობილი არიან თორნიკეს მამა — ბიძანი — მამა ჩორღვანელი (როგორც ჩანს, მისი სახელი იყო სულა) და ბიძები — აბუჰარბი და არშუშა. რადგან ახალ ჩორჩანელთა საგვარეულოს დაფუძნება ზემოთ წარმოდგენილი ქრონოლოგიის მიხედვით IX ს. 80-იან წლებზე ადრე სავარაუდებელი არ არის, ჩორჩანელთა ასეთი გამრავლება რალაც სამი ათეული წლის მანძილზე ბუნებრივად ვერ გამოიყურება⁷³.

ჩვენამდე მოაღწია თორნიკე ერისთავის ანდერძმა, რომელშიც ნათქვამია: „მე იოვანე თორნიკე იოთილძან და ძმამან ჩემძან იოვანე ვარაზ-ვაჩე, ძეთა სულ-კურთხეულისა ჩორღვანელისა, მოვიგეთ წმიდა ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმინდათა მამათა მიერ „სამოთხე“... სალოცველად და სადიდებელად პირველად ძლიერისა და ღვთის მსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა კუროპალატისა დავითისათვის ...და მერმე იოვანე-ვარაზვაჩისათვის და მეუღლისა მისისა და შვილთა მისთა მიქაელისა და ჩორღვანელ-ზორვარისა ჩოროლოჰდისათვის და თორნიკისათვის და ძმისწულთა ჩემთა-ჩორღვანელ პატრიკისათვის და ბაგრატ პატრიკისათვის და სალოცველად სულისა ბაგრატ მაგისტროსისა და მშობელთა ჩემთა ჩორღვანელისათვის და მარამისათვის და ძმათა ჩემთა ბაგრატისათვის და არშუშა მსათვის და აბუჰარბისათვის და მამის ძმისა აბულჰარბისათვის და არშუშა მსათვის და ყოველთა სახლისა ჩემისა მიცვალებულთათვის“⁷⁴.

როგორც თორნიკეს ანდერძიდან აშკარად მოჩანს, ჩორღვანელი არის მამაკაცის საკუთარი სახელი. მაგალითად, თორნიკეს მამას ჩორღვანელი ერქვა (და არა სულა); ჩორღვანელი ერქვათ, აგრეთვე, თორნიკეს ძმების — იოვანე ვარაზ ვაჩესა და ბაგრატის ვაჟებს.

⁷³ ა. ბოგვერაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 57.

⁷⁴ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, I, ტფილისი, 1892, გვ. 108.

პრ. აჭარიანთან ვკითხულობთ: „ჩორდვანელი I, ძე თორნიკე I-ისა, ცოლი ჰყავს მარიამი. ძმები — აბუპარპ და არშუშა, შვილები — თორნიკე, ვარაზვაჩე, ბაგარატ, არშუშა და აბუპარპ“⁷⁵.

მაშასადამე, პრ. აჭარიანის მიხედვით, არსებობს თორნიკიანთა საგვარეულო, რომლის შემადგენლობაში რამდენიმე ჩორდვანელი შედის. ამ საგვარეულოს მამამთავარი არის თორნიკე I და არა ჩორდვანელი⁷⁶. ავტორი ეყრდნობა ნ. აკინიანის გამოკვლევას, რომლის მიხედვით ზემოდასახელებული საგვარეულო ასეთნაირად გამოიყურება: (იხ. შემდ. გვ....)

პრ. აჭარიანი წერს: „თორნიკე II, ჩორდვანელ I-ის ძე, თორნიკე I-ის შვილიშვილი. ტაოს თორნიკიანთა ტომიდან. თავდაპირველად სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა, 976 წელს მიიღო სასულიერო წოდება და ჰოვჰანესის სახელით შევიდა თორთომის მონასტრებიდან ერთ-ერთში, საფიქრებელია ოშკის (უშქის) მონასტერში... 977 წელს ბარდა სკლიაროსი კეისრის წინააღმდეგ აჯანყდა. დედოფალმა თეოფანემ სთხოვა ჰოვჰანეს-თორნიკეს დროებით დაეტოვებინა მონასტერი და გაელაშქრა აჯანყებულთა წინააღმდეგ. მან უარის თქმა ვერ გაბედა. ჰოვჰანეს-თორნიკე მივიდა ტაოს კურაპალატთან დავითთან და მიიღო 10000-იანი ლაშქარი და იშხანაც — იშხან (მთავართმთავარ) ჯოჯიკთან ერთად გაილაშქრა ბარდას წინააღმდეგ, დაამარცხა იგი და სდია მას ნფრკერტამდე. ამის გამო დედოფალმა თეოფანემ თორნიკეს უწყალობა დიდძალი მამული. ასოლიკი მოგვითხრობს ამ ამბავს და თორნიკეს უწოდებს „ტომით ქართველს“, რადგანაც იგი ბერძნული სარწმუნოებისა იყო. თორნიკეს ინიციატივით კარნუ-ქალაქში გაკეთდა წარწერა — განძარან ქართულ ენაზე (981 წელს). ამავე პერიოდშიდან შემორჩენილია ქვის ჭვარი — ხაჩქარ, რომელიც მონაზონმა თორნიკემ ალაპარტვინა კარნუ-ქალაქის მახლობლად: „სახელითა ღვთისათა, მე, ჰოვჰანესმა, ჩორტვანეკის ძემ, აღმართე ჭვარი ესე ეამსა მას ვასილისა და კოსტანდისა“. წარწერა შესრულებულია სომხურ ენაზე“⁷⁷.

ჩვენ არაფერს ვიტყვით იმ მცდარ მოსაზრებაზე, რომელსაც ნ. აკინიანი გამოთქვამს და პრ. აჭარიანიც იზიარებს, რადგან ეს ცალკე კვლევის საგანია და საგრძნობლად სცილდება ჩვენს საკვლევ ობიექტს, მაგრამ ერთი კი ცხადია, ყველა მკვლევარი, რომელსაც ამ სა-


⁷⁵ ლ. მ. ანაიკიანი, ლაქიი ანმანანინენხი ჩაოაყან, ტომი IV. ერევანი, 1948, გვ. 214.

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ იქვე, გვ. 320—321.

კითხზე უმუშავენია, აღნიშნავს, რომ იოანესა და თორნიკეს მამას ჩორდვანელი ერქვა⁷⁷.

ამრიგად, ჩორდვანელისა და ჩორჩანელის გაიგივება ჩვენ საეკვოდ მიგვაჩნია. ვფიქრობთ, არ არის მართებული გიორგი ჩორჩანელის გენეალოგიურად დაკავშირება იოანესა და თორნიკესთან.



⁷⁷ ვ ა ქ ს ი მ ე ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, იოანე-ვარაზუაჩესთვის, ანალები. I, 1947, გვ. 239—251. გეორგიკა, ტომი II, ნაკვეთი 2, თბილისი, 1952, გვ. 267 (სქოლიო 2). ქრონიკები..., ტომი I, გვ. 108—110.

* Handes Amso r y a, Zeitschrift für Armenische philologie, Marz-April, 1934, 3, 4, გვ. 97—113.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში გიორგი ჩორჩანელი მოხსენიებულია „დიდ და წარჩინებულ მთავრად“, რომელიც თავისი სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით სავსებით შეეფერება IX—X საუკუნეებს.

გიორგი ჩორჩანელის და —ლატავრი, შემდგომში თეკლად წოდებული, იყო მეუღლე „დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაჰლაუნდისა[ა] [ძისა] იოვანესი“.

გიორგი „... შვილთაგან ოკერ და უქმ იყო, რამეთუ ორნი შვილნი სიჩხოებასავე შინა წასრულ იყვნეს და შემდგომად მათისა დედაცა, ნათლად გამომყვანებელი მათი, მიიცვალა, და სხვსა მეუღლისა შეერთებაჲ არლაოდეს თავს-იდეა. და ვითარცა ვთქუთ, გარდა-რაჲიცვალა ყოლად კურთხეული იგი გიორგი, ყოველივე, რაჲცა აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთვსა, რომელთა ეწოდას ულა, ბეშქენ და ლაკლაკი“⁷⁸.

მაგრამ გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების შემდეგ მისი დის—ლატავრის ოჯახში უთანხმოება დაწყებულა, რომელსაც სისხლისღვრაც კი მოჰყოლია. თხზულებაში ვკითხულობთ: „და ვითარცა იყო დიდსა დაწყნარებასა და მშვიდობასა შინა ადგილი იგი შემდგომად გარდაცვალებისა დიდისა მთავრისა გიორგისისა და კეთილად წარემატებოდა ყოველი საბრძანებელი მისი, რომელი დაეტევა დისა მისისა თეკლა[ა]სა და შვილთა მისთადა, ვინაჲ ბირებითა ეშმაკისა[ა]თა იქმნა უწესო[ა] ამბოხი, რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დისიძე თვისი, რამეთუ მძლავრებით ეტყოდა, ვითარმედ ნაწილ-უც მამულსა თანა თქუენსა დასა ამას თქუენსა, ვინა[ა]თგან თქუენცა დედისა მიერ გაქუს, რომლისათვისცა განმრავლდეს სიტყუს-გებანი ურთიერთას. და ესრეთ მოკლა დისიძე თვისი. და ესე რაჲ ესრეთ იქმნა, განგძელდა საქმე ესე სამ წელ“⁷⁹.

ფეოდალური შინაბრძოლა, რომლის მკაფიო სურათი დახატულია ბასილი ზარზმელის თხზულებაში, დამახასიათებელია არა ადრე-ფეოდალური ხანის დასაწყისისათვის, არამედ ადრეფეოდალურიდან მოწიფულ ფეოდალიზმზე გარდამავალი ხანისათვის, როდესაც მნიშვნელოვნად მტკიცდება ფეოდალთა მდგომარეობა და იწყება ბრძოლა პირველობისა და უპირატესობისათვის, ბრძოლა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს როგორც ფეოდალური სახლების ურთი-

⁷⁸ ს.წ. ზარზმელის ც., გვ. 176₂₉₋₃₀—177₁.

⁷⁹ იქვე, გვ. 177₁₈₋₂₇.

ერთდაპირისპირებაში, ისე ძლიერი და აღზევებული ფეოდალური სახლების მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვინმე გიორგი ჩორჩანელი იხსენიება ათონის მონასტრის ალაპებში. იგი აშკარად გვიანდელი პიროვნებაა, მაგრამ ეს ფაქტი საგულისხმოა იმ მხრივ, რომ გარკვეული წარმოდგენა გვექმნება ჩორჩანელთა ფეოდალური საგვარეულოს შესახებ. ალაპებში ვკითხულობთ: „თუესა ფებ(ე)რვალსა იზ ალაპი არს გიორგი ჩორჩანელისაჲ, ფარსმანის ძმისაჲ. და ვითარცა სვანელოზისა და ი(თან)ე მამნებლისა და ეფთვმესტვს სწერია, ყოველთა ეგრეთ აღესრულებოდენ: ლოცვაჲ და ჟამისწირვაჲ და ძმათა ნუგეშინისცემაჲ ტრაპეზსა, ხუთ-ხუთითა სასუმლითა და ყოველთა მკდელთა ორი დღე ჟამისწარვაჲ, რომელი ესე მამისა არსენის თანა ჩუენ ყოველთა ძმათა დავაწესეთ, დიდთა განძთა და კუმაშთა მათათჳს, რომელნი სიცოცხლესაცა და შემდგომად აღესრულებისა ჩუენ ზედა, წაეგნეს. და აწ ვინცა ვინ მამასახლისი იყოს, ხუტეცსა ერთსა გაუწესებდეს, რომელ ამას ორსა დღესა ჟამსა უწირვიდეს, და ზეგარდამოთა ლოცვათა მამნებელთავე თანა ელოცებოდენ ორთავე ძმათა, არსენის და გიორგის“⁸⁰.

XI საუკუნის გიორგი ჩორჩანელს უშუალო ნათესაური კავშირი ექნებოდა ბასილი ზარზმელის თხზულების გიორგი ჩორჩანელთან, რადგან, როგორც ცნობილია, ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში ჩვეულებრივი მოვლენა იყო ამა თუ იმ ფეოდალურ საგვარეულოში ერთი და იმავე სახელის გამეორება (საამისო მაგალითები მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ), ასე რომ, ჩორჩანელთა ფეოდალურ საგვარეულოში გიორგი გავრცელებული სახელი ყოფილა.

მეორე ადგილას იხსენიება აღნიშნული ჩორჩანელისა და ფარსმანის მამა-სახელად სულა: „თუესა იანვარსა კბ ალაპი არს სულაჲსი, ფარსმანის და ჩორჩანელისა მამისაჲ, და ქონქოზისი და ცუარისაჲ. იგივე ზემო წერილი წესი ლოცვისაჲ აღესრულენ და ჟამის წირვაჲ და ოთხ-ოთხი სასუმელი ტრაპეზსა“⁸¹. როგორც ჩანს, აღნიშნულ საგვარეულოში სულაც გავრცელებული სახელი ყოფილა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ცნობილი წარწერა, რომელიც ზარზმის ეკლესიის სამრეკლოზე მიბჯენილ სამ-

⁸⁰ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, თბილისი, 1901. გვ. 228—229 (ქარაგუმების გახსნა და სსკენი ნიშნები ჩვენია).

⁸¹ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, გვ. 225.

ლოცველოს კედელშია ჩატანებული, შესასვლელის თავზე, და რომელშიც მოთხრობილია ბარდა სკლიაროსის განდგომა და ტაოს კურაპალატის — დავითის მიერ ბიზანტიელ იმპერატორთა დასასმარებლად ქართველთა ლაშქრის წარგზავნის ამბავი: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა და წმიდისა ღმრთისმშობლისა მეოხებითა მე, ივანე, ძემან სულისამან, აღვაშენე წმიდაჲ ეგუტერი. მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს გადაგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი აღიდენ ღმერთმან, უშუელა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგვავლინნა: სკლიაროსი გავაქციე მე მას ქუეყანასა, რომელსა ჰქვიან ხარსანანი, ადგილსა, რომელსა ჰქვიან სარუენისნი, მუნ ესუენა ტახტი...“⁸²

როგორც უკვე დადგენილია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, აღნიშნული წარწერა შესრულებული უნდა იყოს 979 წლის შემდგომ (წარწერაში მოხსენიებული ბრძოლა 979 წლის 24 მარტს მოხდა) 1001 წლამდე, რადგან დავით კურაპალატი წარწერის შესრულების ჟამს ცოცხლად იხსენიება. გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნულ წარწერაში მოხსენიებული ივანე სულას ძე იყოს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში დასახელებული სულას ვაჟი.

ვიწინე სულა იხსენიება, აგრეთვე, ზარზმის ფერისცვალების ხატის წარწერაში. საზოგადოდ, აღნიშნულ ხატს ზარზმის სიძველეთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სადღეისოდ საბოლოოდ დადგენილია, რომ აღნიშნული ხატი განახლებულია XI საუკუნის პირველ მეოთხედში ცნობილი ზვიად ერისთავის მიერ⁸³. ხატზე შესრულებული წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა შეიმოსა ხატი ესე მწედ ამსა გიორგისა, ოვფალთა: ფარსმან ერისთავისა, ივანესა, ტკი... მირიანისა, ფერისა, სულასა, ერისა მათისა მამასახლისობასა პავლესა, ქორონიკონი რვე (886 წ.)“⁸⁴.

ფარსმან ერისთავი იხსენიება, აგრეთვე, ლაკლაკისძეთა სამწერობლის წარწერაში, სადაც დასახელებულია მისი მამა—ივანე ლაკლაკი. წარწერის მიხედვით, სამწერობელი იქმნება ფარსმანის მშობელთა და მმათა, აგრეთვე მისი სახლის ყოველთა გარდაცვლილთა მოსახსენებლად.

თუ დავუშვებთ, რომ ზარზმის ფერისცვალების ხატისა და ლაკლაკისძეთა სამწერობლის წარწერებში მოხსენიებული ფარსმან ერისთავი ერთი და იგივე პირია, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ სამწერობ-

⁸² ვ. ბერიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 124.

⁸³ Г. Н. Ч у н и а ш в и т и, დასახელებული ნაშრომი, გვ. 33.

⁸⁴ იქვე, გვ. 28.

ლის წარწერა ფერისცვალების ხატის წარწერაზე გვიანდელია, რადგანაც სამწერობლის წარწერის მიხედვით ფარსმან ერისთავის ძმები ვარდაცვლილნი არიან, ფერისცვალების ხატის წარწერაში კი ფარსმან ერისთავის ძმები მოიხსენიებიან როგორც ცოცხალნი:⁸⁵ „ქ. სახელითა ღმრთისაათა მე ფარსმან ერისთავმან, ძემან კოკრთხეოვლისა ოვფლისა ივანე ლაკლაკისამან, შეეკმენ ესე სამწერობელნი სალოცველად ჩემ და შეილთა ჩემთათვის, ყოველთა სახლისა ჩოვენისათა, და მოსაკენებლად სოვლყოკრთხეოვლთა მშობელთა და ძმათა ჩემთათვის, და ყოველთა სახლისა ჩოვენისა გარდაცვალებოვლთათვის; და დავასხენ წმიდასა საყდარსა ზარზმას, მამულსა ჩემსა, წინაშე ხატსა ფერისცვალებისასა. აწ წმიდანო მლოვდელნო და დიაკონნო, რომელნი იმსახურებდეთ კორცსა და სისხლსა ოვფლისა ჩოვენისა იესოვ ქრისტესა, მოგკესენენით წმიდასა ლოცვასა თქოვენსა“⁸⁶.

აღაპებში იხსენიება ვინმე მიქელ ლაკლაკი: „თუესა ნოემბერსა კდ დღესასწაულსა წმიდისა ეკატერინესსა აღაპი არს მიქელ ლაკლაკისა და გიორგი ფოხოლიკაძესა და, დიდთათვის მსახურებათა ეკლესიისათა, რომელ სიცოცხლესა ყოველი მსახურებდა შინა დაეყო და, შემდგომად მიცვალებისა, მოსცეს ეკლესიასა რკ დრაჰკანი ძუელი. ამისათვის აღესრულებოდენ აღაპი მათი პახაშვიდითა, ანაფორაათა და ყოვლითავე ნუგეშინისცემითა ძმათაათა, ეწდიოს-მწუხრი გ და სამხრად და“⁸⁷.

ლაკლაკთა ქალი იხსენიება ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ აღაპში: „თუესა ივლისსა კდ ამ[ა]სვე დღესა აღა[პ]ი ქინა-ყოფ[ი]ლ[ი]-სა ქრისტ[ი]ნისიი, ლაკლ[ა]კთა ქ[ა]ლ[ი]სა, შეუხდვენ ღმერთმან“⁸⁸.

როგორც ათონისა და ჯვრის მონასტრების აღაპებიდან აშკარად ჩანს, მამაკაცის საკუთარი სახელი ლაკლაკი ამ ხანისათვის უკვე გვარად ქცეულა (ივანე ლაკლაკი, მიქელ ლაკლაკი, ლაკლაკთა ქალი და ა. შ.)

როგორც ვიცით, გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების შემდეგ შეწყდა ჩორჩანელთა ფეოდალური საგვარეულოს მამაკაცთა შტო, მაგრამ საგვარეულო მაინც განაგრძობს არსებობას გიორგი ჩორჩანელის

⁸⁵ გ. ჩუბინაშვილის აზრით, სამწერობელი X—XI საუკუნეების მიჯნისაა.

⁸⁶ ათონის ივერიის მონასტრის ..., გვ. 250—251.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ ჯვრის მონასტრის სენიპსარას აღაპები, ე. მეთრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962 წელი, გვ. 104.

დის—ლატავრის ხაზით. ეს არის ახალ ჩორჩანელთა საგვარეულო. შემდეგში ეს საგვარეულო გაიყო ორ (და შესაძლოა 3) შტოდ: ჩორჩანელების და ლაკლაკთა (ფალავანდიშვილების?). ახალ ჩორჩანელთა საგვარეულო პირველად იხსენიება XI საუკუნის ალაშში⁸⁹. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ლატავრის შვილის — ლაკლაკის სახელიდან მომდინარეობს ლაკლაკთა გვარი.

ლაკლაკი გვარად მოხსენიებულია ზარზმის ფერისცვალების ხატის XI ს-ის წარწერაში: „წმიდაო დედოფალო, მეოხ ეყავ წინაშე ძისა და ღმრთისა ჩუენისა ყოველთ ლაკლაკთ: ერისთავთ-ერისთავ მირიანს და... მე, გლახაკმა ეპრაქსია, დედამან სკსა (?) და მირიანისამან, შევამკე... სალოცველად ყოველთა ლაკლაკთ, საქსენებლად სულისა ჩუენისა...“

ლაკლაკი, როგორც ჩანს, გვარად იხსენიება აგრეთვე აღნიშნული სამწერობლის წარწერაში, რომელიც თარიღდება ან X საუკუნის დასაწყისით (თუ მასში მოხსენიებული ფარსმან ერისთავი არის იმავე ზარზმის ფერისცვალების ხატის 886 წლის წარწერის ფარსმანი), ან X—XI სს. მიჯნით (თუ გავიზიარებთ გ. ჩუბინაშვილის დათარიღებას). ამ წარწერაში მოხსენიებულია ივანე ლაკლაკი. როგორც ჩანს, აქ ლაკლაკი გვარია და არა ივანეს მეორე სახელი. ამას ადასტურებს აგრეთვე ათონის ერთ-ერთ ალაშში მიქელ ლაკლაკის მოხსენიება. ამრიგად, ლაკლაკთა გვარზე უადრეს წყაროდ უნდა მივიჩნიოთ სამწერობლის წარწერა.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია გიორგი მაწყვერელი. იგი თხზულებაში ხუთჯერ არის მოხსენიებული⁹⁰.

განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი ადგილი „ცხოვრებიდან“, სადაც მოთხრობილია: გარდაიცვალა გიორგი ჩორჩანელი, რომელმაც თავისი ქონების დიდი ნაწილი დის—ლატავრის შვილებს დაუტოვა, რომელთაც ეწოდებოდათ სულა, ბეშქენ და ლაკლაკი. მაგრამ გავიდა ხანი, „...ბირებითა ეშმაკისა[ა]თა იქმნა უწესო[ა] ამბოხი, რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დისიძე თვსი, რამეთუ მძლავრებით ეტყოდა, ვითარმედ ნაწილ-უც მამულსა თანა თქუენსა დასა ამას თქუენსა, ვინა- [ა]თგან თქუენცა დედისა მიერ გაქუს, რომლისათვსცა განმრავლდეს სიტყვს-გებანი ურთიერთჲს, და ესრეთ მოკლა დისიძე თვსი. და ესე რაჲ ესრეთ იქმნა, განგრძელდა საქმე ესე სამ წელ. ხოლო წელსა მეოთხესა ამათ საქმეთასა განაბრწყინვა ღმერთმან დიდი იგი

⁸⁹ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაშებით... გვ. 228—229.

⁹⁰ ს¹ ზარზმელს ც¹, გვ. 177²⁷⁻²⁸, 178¹⁻¹⁰, 180²⁸⁻²⁷.

მღღელთ-მოძღუარი გიორგი შუარტყელი, რომელმან დაიპყრა საყდარი აწყურისა [ა], რამეთუ არა ჯერ-იყო ცხედარსა ქუეშე დაფარვა [ა] სანთლისა [ა]. და ქელთ-იდვარა და განგება და სამცხისა [ა], და აწყუნარა ყოველი საბრძანებელი თვისი, ვითარცა წეს-იყო, და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი... და ვითარცა გარდაჰდა წელიწადი შკდად აღთუალული, დასცხრეს და დადუმნეს ყოველნივე შფოთნი და უწესობანი წმიდისა ამის მღღელთ-მოძღურისა გიორგის მიერ. ხოლო ყოველთა ამათ საქმეთა სიმრავლისათა მეტყუელ [ი] პირი და ენა და დისავე თანა გიორგის მაწყურელსა იყო ნეტარიცა მამა [ა] სერაპიონ. ვინა [ა] ცა ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი-იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკუანა [ა] სკნელ ეხილვნეს, მომითხრნეს, პირმან მან უტყუველმან, გიორგის ვიტყვ მაწყურელსა...“⁹¹

როგორც ცნობილია, ვინმე გიორგი მაწყურელი იხსენიება გიორგი მერჩულესთანაც, რომელიც მას ასახელებს X საუკუნის იმ ცნობილი მოღვაწეების გვერდით, რომელთაც ეკადრებოდათ და შეშვენილათ კიდევ ხანცთელი არქიმანდრიტის ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერა. თხზულებაში გიორგი მაწყურელის შესახებ ნათქვამია: „ხოლო ყოველი ვერ შეუძლევ აღწერად უმეტრებისა გზითა, რამეთუ ვპგონებდ ცხოვრებისა ამის დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს ჟამთა ჩუენთა: დიდი სოფრონი, სანატრელი მამა, შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმშენებელი და უკუნისამდე გვრგვნი მისი, და ღმერთ-შემოსილი მამა ილარიონ პარეხელი, და ქრისტეს მღღელთმოძღუარნი ღირსნი გიორგი მაწყურელი ეპისკოპოსი და სტეფანე მტბევარი ეპისკოპოსი პირველი და სხუანი მსგავსნი მათნი. და ვითარცა მათ ნეტართა დაიძინეს, მაშინლა რეცა განმეღვძა უცებსა ამას და ფრიად ცოდვილსა კელყოფად და აღწერად ცხოვრება და სასწაულნი ესე, რომელ აწ გესმნენ“⁹².

როგორც უკვე არაერთგზის აღნიშნული გვექონდა, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი და კ. კეკელიძე გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებასა და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხსენიებულ გიორგი მაწყურელს მიიჩნევენ ერთი და იმავე პირად.

ამ მოსაზრებას, ცხადია, მხარს უჭერს ეპოქისა და სახელთა დამთხვევა (თუ, რა თქმა უნდა, სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობის ხა-

⁹¹ ს¹ ზ¹ ზმ¹ლს ც¹, გვ. 177²²⁻²³...36—178¹⁻⁷.
⁹² გ¹ გ¹ლ ხ¹ნ¹ც¹თ¹ლს ც¹, გვ. 294³⁻¹¹.

ნად IX საუკუნის შუა წლებს მივიჩნევთ. მაგრამ, ამ ორი გიორგის იგივეობა, ცხადია, სრული უეჭველობით დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება, რადგან არ არის საცხებიტ გამორიცხული ორი გიორგი მაწყვერელის არსებობა აღნიშნულ ხანაში).

გასარკვევია, აგრეთვე, თუ რა როლს ასრულებდა აწყურის ეპისკოპოსი სამცხის პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვადასხვა ეპოქაში და როდის გაძლიერდა ის იმდენად, რომ „...ქელთ-იდვა ...განგებაჲ სამცხისა[ჲ], დაწყნარა ყოველი საბრძანებელი თჳსი...“. ამ საკითხის გარკვევას ართულებს ის გარემოება, რომ დღესდღეობით თითქმის სრულიად შეუსწავლელია (უმთავრესად მასალის სიმწირის გამო) აწყურის ეპარქიის ისტორია. აწყურის ისტორიის შესწავლის დიდ მნიშვნელობაზე არა მხოლოდ სამცხის, არამედ მთელი საქართველოს ისტორიის კვლევაში ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს:

„რა საფუძველზე უნდა შემუშავებულიყო და როდის მაწყვერელის ავტორიტეტი? რა დამოკიდებულებაშია ძველი აწყური („სოსანგეთი“) ოძრხესთან (თუ ოძრკევთან)? ქართლის ცხოვრების ტრადიციით ისიც ხომ ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი იყო. რას შეიძლება მოწმობდეს აწყური „სამცხისა“ და „ქართლის“ ქვეყნების ურთიერთობაში, რა ურთიერთობაშია „ოძრკე“ (ოძრხევი) „სამცხესთან“?

აწყურის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში ისე დიდია, რომ ამ ძეგლის (ციხის, ქალაქის, ტაძრის) მეცნიერულ-მონოგრაფიული შესწავლა მთელი ამ ქვეყნის (სამცხის) მეცნიერულ შესწავლას საფუძვლად უნდა დაედოს“⁹³.

ჭერჭერობით ისიც კი არ არის დადგენილი, თუ როდის დაარსდა ეს ეპარქია.

ცნობილმა საისტორიო წყარომ — „ეპისტოლეთა წიგნმა“ შემოგვინახა უძველესი სია ქართლის ეპისკოპოსებისა, რომელთა რიცხვი VI საუკუნის დამდეგს აღნიშნული ძეგლის მიხედვით 24 იყო.

აბრამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლეში კირონ ქართლის კათალიკოსის მიმართ ვკითხულობთ: „ეხლა, თუ მამათა სარწმუნოებისაგან შეცვლილი არა ხარ, როგორც მრავალგზის მომწერე, მოდი, დაგმე შენც ქალკედონის წყეული კრება და ლეონის ბილწი ტომარი. როგორც შენმა წინაპარმა ნეტარმა გაბრიელ ქართლის კათალიკოსმა დაწყველა ჩვენ ნეტარ მამებთან ერთად თავისი თანამოსაყდრეებითურთ, რომელთა სახელებია ესენი: თვითონ გაბრიელ ეპისკოპოსი მცხეთისა სახელოვანი, პალგენ ეპისკოპოსი სეფესახლისა, ელიფას

⁹³ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 261.

ეპისკოპოსი სამურიალი, სამუელ ეპისკოპოსი ტუმასუელი, დავით ეპისკოპოსი ბოლნისისა, იაკობ ეპისკოპოსი ორტავისა, სტეფანოს ეპისკოპოსი უსთავისა, საპაკ ეპისკოპოსი ტფილისისა, ელაგეს ეპისკოპოსი მანგლისისა, ენეს ეპისკოპოსი მარუელი, ევგენეს ეპისკოპოსი სამთაველი, იოსებ ეპისკოპოსი აღსუელი, იოვან ეპისკოპოსი სარუსთიელი, იოსებ ეპისკოპოსი კუხორდოსი, ეზრას ეპისკოპოსი კისდადისა, ენოვქ ეპისკოპოსი წილკნისა, იოსებ ეპისკოპოსი მიდამილი, ლაზარ ეპისკოპოსი ბოლდბილი, თეოდოროს ეპისკოპოსი ფორთის, ზაქარია ეპისკოპოსი კასდრელი, ფოკას ეპისკოპოსი ტსერმილი, ისააკ ეპისკოპოსი ქუნანაკერტისა, თომა ეპისკოპოსი ტარსისა, ესტგენ ეპისკოპოსი ქორზონისა⁹⁴.

როგორც ტექსტიდან აშკარად ჩანს, საეპისკოპოსოთა სახელები მეტად დამახინჯებულია, ამიტომ თითოეული მკვლევარი თავისებურად აღადგენს მათ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი: მცხეთის, სამეფო სახლის, ასურეთის, თმოგველი? (დმანელი?), ბოლნელი, ცურტაველი, რუსთავის, თბილისის, მანგლელი, მროველი, სამთაველი, აძველი? წყაროსთაველი, კუმურდოელი, გიშისა? წილკნელი? ბოდბელი, ბორტის, კარსნის, კერმელი, ხუნანის, ტაშირის? და ქორზანისა (ქორჯანისა?)⁹⁵.

ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე: მცხეთის, ნეფის კარის, სამთაველი, დნანელი, ბოლნელი, ცურტავის, რუსთავის, თბილისის, მანგლისის, მროველი, სამთავისის, აწყვერის, წყაროსთაველი, კუმურდოელი, ახიზის, წილკნელი, ნინოწმინდელი, ბოდბელი, ბერთას (ჩელეთი), კაწარელი, კერმელი, ხუნანის, ტარსის? ხორანთა (ხორნაბუჯი)⁹⁶.

მართალია, საეპისკოპოსოთა სიაში მკვლევარი აწყვერსაც ასახელებს, მაგრამ, როგორც შრომის 51-ე გვერდიდან ჩანს, მასვე შეჰპარვია ეპქვი ამ საკითხის სისწორეში, თუმც აწყვერის გვერდით კითხვის ნიშანი არ დაუსვამს. მკვლევარი წერს: „იოსებ ეპ. აღსუელ (უხთ: *სკაოსსლი*) შ ვ ი ძ ლ ე ბ ა ი ყ ო ს ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ა წ ყ ვ ე რ ი ს ა“⁹⁷.

ამ საკითხის თაობაზე კ. კ ე ე ლ ი ძ ე შენიშნავს: „აი სია ჯერ ისეთი ეპარქიებისა, რომელთა სახელწოდება შედარებით ნაკლებად იწვევს ექვს: ბოლნისი-ბოლნისი, ორტავ-ცურტავი, უსთავ-რუსთავი,

⁹⁴ ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით. ვაკოკლევითა და კონენტარებით ვამოსცა ზ ა ზ ა ა ლ ე ქ ს ა ძ ე მ, თბილისი, 1968, გვ. 97—98.

⁹⁵ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, კვ. 307. სქოლიო 3.

⁹⁶ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართველი სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წიგნი I. ტფილისი, 1924, გვ. 52.

⁹⁷ იქვე, გვ. 51.

ტფლეაც-ტფილისი, მანგლეაც-მანგლისი, მარუელ-მროველი, სამთავა-
ცი-სამთავისი, კუხორდოი-კუმურდო, წილქან-წილქანი, ფოზდბის-ბოდ-
ბე, ფორთაჲ-ბერთა *respec.* ჩეღეთი, ქუნანაკერტ-ხუნანი, ტსერმილ-
ქერეში, ქორჩონა-ქორზანენე *respec.* ხორანთა-ხორანბუჯი. ამას გარ-
და სიაში ნაჩვენებია აგრეთვე შემდეგი სახელები, რომელთა ქართული
შესატყვისი ჰიპოთეზის სახით თუ შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს:
კასდრაცი-კაწარეთი, სამურიალ-სამთავრო, ტუმასუელ-დმანელი, ად-
სუელ-აწყვერელი, სარუსთიელ-წყაროსთაველი, კისდად-ახიზა, მიდა-
მილ-ნინოწმინდა, ტარს-ნიქოზი (?). თუ ამ სახელების ინტერპრეტაციას
გავიზიარებთ, „ეპისტოლეთა წიგნის“ სია მოგვცემს მემატიანის ყველა
სახელს: მცხეთა, სამთავრო, ბოლნისი, რუსთავი, მანგლისი, ახიზა, ნი-
ნოწმინდა, ბერთა-ჩეღეთი, აგარაკი—ქუნანაკერტ, ქერეში, ხორანთა-
ხორანბუჯი, წყაროსთავი — არტანი, ნიქოზი — ტარსი (?), სულ ცა-
მეტს, ვახტანგისდროინდელ სახელს, ვახტანგის მიერ პირველად კათე-
დრების დაარსების შემდეგ 506 წლამდე იბერიას ათი ეპარქია შეჰმა-
ტებია: დმანისი, სამთავისი, აწყური, კუმურდო, წილქანი, კაწარეთი,
ტფილისი, რუსი, ბოდბე, ცურტავი“⁹⁸.

მაშასადამე, 506 წელს ალბანელთა, სომეხთა და ქართველთა გა-
ერთიანებულ საეკლესიო კრებას საქართველოდან კათალიკოსიანად
სულ 24 ეპისკოპოსი დასწრებია: სწორედ ამდენი ქართველი მღვდელ-
მთავარი აწერდა თურმე ხელს ამ ძეგლის წერას⁹⁹, ე. ი. როგორც
„ეპისტოლეთა წიგნიდან“ ირკვევა, VI საუკუნის დამდეგს ქართული
ეკლესია 24 საეპისკოპოსოს შეიცავდა, სიმეონ ბეთ-არშამელის ცნო-
ბით კი, VI საუკუნის დამდეგს ქართლში 33 ეპისკოპოსი ყოფილა¹⁰⁰.

როგორც ვნახეთ, „ეპისტოლეთა წიგნი“ დატულ სიაში აწყურის
საეპისკოპოსოს კითხულობენ (ისიც კითხვის ნიშნით) ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე
და კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი კ ი მას საერთოდ არ ასახე-
ლებს.

აწყურის საეპისკოპოსოს ვერც ჯ უ ა ნ შ ე რ ი ს თხზულებაში ვხვდე-
ბით: „ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულ-
თა სუეტნი ცხოველი, დაუპყრა სუეტსა შინა სამხრით ადგილსა მას,
სადა-იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი დიდი. და მუნ
შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთა-
სავე საეპისკოპოსოსა. და დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლე-
სიასა ა ხ ი ზ ი ს ა ს ა; ერთი არ ტ ა ნ ს კერუმეთს; ერთი ჯავახეთს,

⁹⁸ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ტფილისის
უნივერსიტეტის მოამბე, X, ტფილისი, 1930, გვ. 320.

⁹⁹ ე პ ი ს ტ ო ლ ე თ ა წიგნი, გვ. 97—98.

¹⁰⁰ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1951, გვ. 301—302.

წუნდას; ერთი მანგლისს; ერთი ბოლნისს; ერთი რუსთავს; ერთი ნინოწმიდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა; ერთი ჭერემს, მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელ არს ხუნანს გამართებით. შემდგომად მისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოსი, სადა-იგი ეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისი, რომელი იწამა მიერ წყობასა ვახტანგისსა¹⁰¹.

ეყრდნობა რა ჯუანშერის ზემოაღნიშნულ ცნობას, ი. ჯავახიშვილი დასკვნის: „...სულ თექვსმეტი საეპისკოპოზო გამოდის. მაგრამ ეს სია, ცხადია, სრული არ არის, რადგან აქ არც სამეფო სახლის ეპისკოპოზი და არც ცურტაველი ეპისკოპოზი დასახელებული არ არიან, თუმც თვით მასვეც სხვაგან ამავე ნაწარმოებში ეს მღვდელმთავრები მოხსენებული ჰყავს და იაკობ ხუცესის თხზულებითაც მათი ამდროს არსებობა უცილობლად დადასტურებულია“¹⁰².

ი. ჯავახიშვილის აზრით, ჯუანშერის მხოლოდ ამ ცნობაზე დაყრდნობა შეუძლებელია, რადგან იგი ქართლის საეპისკოპოსოებიდანაც ცოტას ასახელებს (მხოლოდ სამს). ჯუანშერს ურბნისის საეპისკოპოსოს დასახელებაც კი დავიწყებია¹⁰³. „მაშასადამე, — დასკვნის მკვლევარი, — თუ ცურტავეის სამეფო სახლის, რუისის ან ურბნისისა, წილკნისა და სამთავისის საეპისკოპოზოებსაც მივათვლით, მაშინ 21 სამწყსო იქმნება და V საუკუნის შუა წლებისა და მეორე ნახევრისათვის ეს რიცხვი დაახლოებით სწორი უნდა იყოს. უეჭველია, V ს. დამლევისათვის მეტიც უნდა ყოფილიყო“¹⁰⁴.

ს. ჯანაშია „ეპისტოლეთა წიგნის“ და ჯუანშერის თხზულების სათანადო ადგილის ანალიზის შედეგად დასკვნის, რომ VI ს. დამდეგისათვის ქართლში სულ ცოტა 24 საეპისკოპოსო მანიც იყო, VI საუკუნეში ამ რიცხვმა დიდად იმატა და VII ს. დამდეგისათვის უკვე 35-მდე მიაღწია¹⁰⁵. ს. ჯანაშია ასახელებს ამ დროის ყველაზე უეჭველ საეპისკოპოსო კათედრებს: მცხეთის გარდა — სამთავისი, რუისი, ნიქოზი, წილკანი — შიდა ქართლში; ქვემო ქართლში: ტფილისი, მანგლისი, ბოლნისი, ცურტავეი; კახეთ-კუხეთში: ჭერემი, რუსთავი, ნინოწმიდა, ხორნაბუჯი, ბოლბე, ჩელთა; სამცხეში: აწყვერი; ჯავახეთ-

101 ჯუანშერი. ... ქც., I, გვ. 198₁₁₋₁₈ — 199₁₋₈.

102 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1951, გვ. 301.

103 იქვე.

104 იქვე.

105 ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, გვ.

ში: წუნდა, კუმურდო; კლარჯეთში: ახიზა, არტაანში — ერუშეთი და სხვა¹⁰⁶.

აწყური სამცხის არა მხოლოდ სარწმუნოებრივი, არამედ ერთ-ერთი პოლიტიკური ცენტრიც იყო. ამაზე უნდა მიუთითებდეს ქართლის ცხოვრების XVIII საუკუნის ჩანართი I საუკუნეში ანდრია მოციქულის აწყურში მოსვლის შესახებ: „...წმიდა მოციქული წარმოემართა და მოიწია აწყვერსა, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი, და პირისპირ საქრისი. და დაივანა ადგილსა ერთსა, სადა იგი იყო ტაძარი საკერპო, რომელსა აწ ძველ-ეკლესია ეწოდების, და მას შინა იმსახურებოდეს კერპნი მათნი“¹⁰⁷. ან კიდევ: „და ვითარცა ესმა ესე მოციქულისაგან ქურცივსა მას და მესხთა, უმეტესითა სიხარულითა აღივსნეს, ცნეს რა წილბდონა ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობლისა, მადლი შესწირეს ქრისტესა და უბიწოდ მშობელსა მისსა, და უმეტესი სიყუარული და სურვილი სურვილსა ზედა შესძინეს წმიდისა ამის ხატისა, და ცრემლითა სიხარულით აღიდებდეს მას. და დაასვენეს ყოვლად დიდებული ხატი ყოვლად წმიდისა აწყვერის ღვთისმშობლისა მცირესა მას ეკუდერსა, რომელსა აწ ძველ-ეკლესიად სახელს დებენ“¹⁰⁸. „ქართლის ცხოვრების“ მე-18 საუკუნის ჩანართი (ჯუანშერის თხზულებაში) აწყურის საეპისკოპოსოს დაარსებას ჰერაკლე კეისრის სახელს უკავშირებს: როდესაც ეს უკანასკნელი სამცხის გზით ქართლში შემოვიდა „...ესმა სასწაულთ-მოქმედება ხატისა მის, რომელი წმიდასა ღმრთისმშობელსა გამოესახა და მიეცა პირველწოდებულისა ანდრიასთვის, და მას მოესვენა და დაესვენებინა მცირესა ეკუდერსა შინა აწყურს. მოვიდა კეისარი ერაკლე ხილვად და თაყუანისცემად ხატისა მის. მაშინ იწყო ერაკლე აწყურს დიდისა საყდრისა საძირკუელისა ჩაგდება და შენებად, ვიდრემდის მიერიოთ გან განსრულდა მორწმუნეთა კაცთა მიერ, და მიერ შექმნეს საეპისკოპოსოდ“¹⁰⁹.

ამრიგად, ჯერჯერობით არ არის დადგენილი თარიღი აწყურის კათედრალის დაარსებისა, მაგრამ ცხადია, რომ იგი IX საუკუნეში არსებობდა, და არა მხოლოდ არსებობდა: გრიგოლ ხანცთელაძე ცხოვრების მიხედვით, ამ პერიოდში იერარქიულად მაწყვერელი ერთ-ერთი პირველი იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა შორის.

¹⁰⁶ ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, გვ. 20.

¹⁰⁷ ცხოვრება მეფეთა, ქც., I, გვ. 29²⁷⁻³⁰.

¹⁰⁸ ძქვე, 23, 42-11.

¹⁰⁹ ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქც., I, გვ. 223¹⁷⁻¹⁸.

ქართული სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორცაა „განგება დარბაზობისა“ (XIII ს.), საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მაწყვერელის როლი და მნიშვნელობა აღნიშნულ ხანაში: „რაჟამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა, ეფისკოპოსნი დასხდენ: 1. ბრძანოს ქართლისა კათალიკოზმან და დაჯდეს მარჯუენით მეფისა, ტახტსა ზედა მოკიდებით, ნატიითა და ბალიშითა. 2. შემოვიდეს ჭყონდიდელი და დაჯდეს მარცხენით მეფისა, ნატიითა და ბალიშითა. 3. შემოვიდეს დიდისა სომხითისა მიტრაპოლიტი და დაჯდეს კათალიკოზსა ქუემოთ, ნატიითა და ბალიშითა. 4. შემოვიდეს მთავარეფისკოპოზი და დაჯდეს მიტრაპოლიტსა ქუემოთ, ნატიითა, უბალიშოდ. 5 შემოვიდეს მაწყვერელი და დაჯდეს მთავარეფისკოპოზსა ქვემოთ, ნატიითა, უბალიშოდ. 6. შემოვიდეს ამბა ალავერდელი და დაჯდეს ჭყონდიდელსა ქუემოთ, ნატიითა, უბალიშოდ“¹¹⁰ ამით მოსდევს ეპისკოპოსთა სია, ამგვარი თანმიმდევრობის შემცველი: ქისიყელი, კუმურდოელი, ნინოწმინდელი, იშხნელი, ანჩელი, მტბევაარი, წურწყაბელი, წყაროსთველი, ერუშნელი, მანგლელი, წინწყაროელი, რუსთველი, წილენელი, კაწარელი, ურბნელი, მრუელი, სამთავნელი, ნიქოზელი. სულ კათალიკოსიანად 24. მათში მაწყვერელი მეხუთე ადგილზეა ქართლის კათალიკოზის, ჭყონდიდელის, სომხითის მიტრაპოლიტისა და მთავარეპისკოპოსის შემდეგ.

XIV საუკუნეში, ჩანს, მცირდება მაწყვერლის როლი და მნიშვნელობა: იგი პირველობას იშხანის ეპისკოპოსს უთმობს. „გარიგება კელმწიფის კარისა“ გვამცნობს: „რა სწორად ეპისკოპოზნი მოვიდენ იმერით: იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევაარი და გოლგოთელი, მათ რაჟ ეთაყვანენ, კელნი მეფემან ნოხთა ზედა დასხნეს. იშხნელისათვს უფრო მდაბლად და ორი ანუ სამი ბიჯი წამოიარეს და მოესალმოს; და ამ სხუათათვს სწორად ნუ დაიძვრის“¹¹¹.

მაშასადამე, „გარიგება კელმწიფის კარისა“ იშხანის ეპისკოპოსის დაწინაურებას გვამცნობს (თუ, რა თქმა უნდა, სია შედგენილია იერარქიული და არა გეოგრაფიული ან სხვა რაიმე პრინციპით).

აწყური ერთ-ერთ პოლიტიკურ ცენტრად რჩება სამცხეში ქრისტიანული საეკლესიო ეპარქიის არსებობის ხანაშიც, რის გამოხატულებაცაა წყაროებში შემორჩენილი მწირი ცნობები მაწყვერლის პოლიტიკურ როლზე. გარდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ზემოაღნიშნული ცნობისა გიორგი მაწყვერლის შესახებ, ამაზევე მიუთა-

¹¹⁰ ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოცემა, თბილისი, 1966, გვ. 47—48.

¹¹¹ გარიგება კელმწიფის კარისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 91.

თებს „მატიანე ქართლისაჲ“-ს ერთ-ერთი ცნობა, რომლის მიხედვით მაწყვერელი XI ს. შუა ხანებში გვევლინება სამცხის ლაშქრის სარდლად და დიდ როლს ასრულებს საქართველოს შინაფეოდალურ ბრძოლებში: ლიპარიტ კლდეკარის ერისთავი ებრძოდა მეფე ბაგრატს. ერისთავმა ტყვედ იგდო აწყურის ციხის პატრონი. ამ ბრძოლაში მეფის საშველად წამოსულ მესხთა ჯარს მაწყვერელი მეთაურობდა. „მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს: „და ვითარ ამას შინა გარდაქდეს დღენი ზაფხულისანი, და კულად იწყო ლიპარიტ მათვე ფიცხელთა საურავთა. და გამოიტყუვნა ანისით დედოფლისაგან აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა, და ხიხათა და ციხის-ჯუარისა და აწყურის ციხის პატრონი, და ერისთავი ივანე, ივანე დადიანი და გუარამ გოდერძის ძე, ბეკის ციხისა პატრონი,—და შეიპყრნა ივინი ანისის კარსა. და დაადო ტფილისი მეფემან, და გავიდა ჯავახეთს. ამისა შემდგომად გამოიყვანა მაწყურელი მან მესხნი, განძითა ბაგრატი სითა, შუელად მეფისა, და მეფე დგა ღრტილას. ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფოქათა. გამოექცა მაწყურელი მეფესა ბაგრატს და შეეზრახა ლიპარიტს. ვითარცა ცნა ესე მეფემან, ზამთრისა ბუქთა საშინელთა გარდაიარა შავშეთი და ჩავიდა ქართლს“¹¹².

როგორც ცნობილია, ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 1046 წლის დამლევს, ან 1047 წლის დამლევს¹¹³. ამ ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ XI საუკუნის I ნახევრის დამლევს მაწყვერელის როლი სამცხეში იქამდე არის გაზრდილი, რომ მის მოკავშირეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით.

რა ადგილი უჭირავს მაწყვერელს სამცხის პოლიტიკურ ცხოვრებასა და საეკლესიო იერარქიაში სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების მიხედვით?

თხზულების ცნობით, გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების შემდეგ ამ მხარეში არა ჩანს ძლიერი საერო ხელისუფალი (ბაპლანდიალებმა გამუდმებული და სასტიკი ბრძოლით ერთმანეთი დაასუსტეს); შესაძლოა სწორედ ამით ავხსნათ მაწყვერელის ამგვარი დაწინაურება („ქელთ იღვა განგებაჲ სამცხისა [ჲ], დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი“), წინააღმდეგ შემთხვევაში (ძლიერი საერო ხელისუფლების არსებობის პირობებში) ნაკლებად და-

¹¹² მ ა ტ ი ა ნ ე ქ ა რ თ ლ ი ს ა ო , ქ ტ . , I , გვ . 300₇₋₁₀.

¹¹³ ი . ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე რ ის ის ტ ო რ ი ა , II , 1965 , გვ . 145 .

საშვებია სასულიერო ხელისუფლის ამგვარი მოქმედება¹¹⁴.

როდის შეიძლება ვივარაუდოთ სამცხეში ასეთი ხანა? როდის იყო აქ იმდენად სუსტი უზენაესი საერო ხელისუფლება, რომ ის საერთოდ არ ეხსენებინათ ამ მხარის ვითარების ამსახველ ძეგლში (სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ასეთი ხელისუფლება არ ჩანს, ჩანან მხოლოდ ადგილობრივი დიდი მთავრები: გიორგი ჩორჩანელი თავისი ვასალი მცირე მთავრებითურთ და მირიან ბაპლაუნდი). ეს გარემოება აფიქრებს ს. ჭანაშიას, რადგანაც მკვლევარს მიაჩნია, რომ IX ს. II ნახევარში სამცხეში უზენაესი საერო ხელისუფლება არსებობდა ბაგრატიონთა სახით.

თუნდაც რომ ეს მოუხსენებლობა შემთხვევითად მივიჩნიოთ, მაინც აუხსნელი დარჩება, თუ როგორ იგდო სამცხის გამგებლობა ხელთ მაწყვერელმა, თუკი სამცხე ბაგრატიონებს ექვემდებარებოდა?

გავარკვიოთ, ჩანს თუ არა სამცხე ბაგრატიონთა მფლობელობაში IX ს. ამის შესახებ წყაროებში პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. „მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს: „...სიცოცხლესავე ჟუნშერისსა იცვალა ადარნასე ბაგრატიონიანმან ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემოსა ტაოსა, და ციხეთაგანცა რომელნი ჰქონდეს შეილისშვილთა ვახტანგ მეფისათა. და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა“¹¹⁵. ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ „...განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“¹¹⁶. „და მისცა ღმერთმან გამარჯუება და აკლმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა“¹¹⁷. მაშასადამე, აშოტის სამფლობელო უშუალოდ შავშეთ-კლარჯეთი ყოფილა.

აშოტ კურაპალატი მოკლეს 826 წელს, 29 იანვარს. მან „...დაუტყვნა სამნი ძენი: უხუცესი ადარნასე და შედეგი მისი ბაგრატ. ესე ორნი თანა ჰყვეს მას, რაჟამს — იგი მოიწია შავშეთ-კლარჯეთად. ხოლო

¹¹⁴ ბაგრატიონების დამკვიდრებაზე საერთოდ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, როგორც ჩანს, არ იყო მტკიცე საერო ხელისუფლება. უნდა ვიფიქროთ, რომ აშოტ კურაპალატს ამანაც შეუწყო ხელი შედარებით მცირე დროში შემოემტკიცებინა საქართველოს სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი პროვინციები. ამ შემთხვევაში მხოლოდ სავარყო ფაქტორი — ბიზანტიის ვასალობა ალბათ არ იქნებოდა საკმარისი: ქვეყანაში შექმნილი სამინაო ვითარებაც შესაბამისი და ხელშემწყობი უნდა ყოფლიყო.

¹¹⁵ მტ^ნე ქრთ^ლსა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 251¹⁷⁻²⁰.

¹¹⁶ იქვე, გვ. 252⁶⁻⁷.

¹¹⁷ სუმბატ დავითის ძე, ც^ა და უწყ^ბა, ქც., I, 376²⁴⁻²⁵.

უმრწემესი გუარამ არტანუჯის მოსლვასლა შინა დაებადა და შემდგომად აშოტის სიკუდილისა, მამისა მათისა, რომელ გარეთ ქუეყანა ჰქონდათ ძეთა აშოტისთა — წარუღეს საკინოზთა, რამეთუ იყვნეს იგინი უსრულ ასაკითა. ხოლო რაეამს სრულასაკ იქმნეს იგინი, კულადცა მოსცა ღმერთმან მათვე ყოველივე იგი ნაქონები მამისა მათისა. და ვიდრე უსრულოდა იყვნეს იგინი ასაკითა, იზარდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა, და იყვნეს ხარკის მიმცემელ საკინოზთა ყოველნივე ქვენი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი. ხოლო არტანუჯით გამოღმართ დაიპყრეს მათი ნაქონები იგი მამულები მამისა მათისა, დასუეს ბაგრატი კურაპალატად¹¹⁸.

მაშასადამე, მოკლული კურაპალატის მცირეწლოვანი შვილებისათვის არაბებს წაურთმევით „გარე ქუეყანა“, რომელიც აშოტის სამფლობელოში უშუალოდ არ შედიოდა. ამ ცნებაში ი. ჯავახიშვილი გულისხმობს ქართლს, რადგან „მატიანე ქართლისა“ ერთგან პირდაპირ მიუთითებს, რომ „ეფუღლნეს საკინოზნი ქართლს“¹¹⁹. მაგრამ არაბები ამით არ დაკმაყოფილებულან: ისინი აშოტის სამფლობელოსაც მისწვდნენ და შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალის ქვეთ ხარკი დაადეს. აშოტის შვილთა სამფლობელო იმდენად შემცირებულა, რომ მათ შემდგომში ბრძოლით მოუპოვებიათ არტანუჯის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, რომელიც ადრე მათ მამას — აშოტ კურაპალატს ეპყრა.

გავიდა ხანი. აშოტის შვილები — ადარნასე, ბაგრატი და გუარამი წამოიზარდნენ. მათგან შუათანას ბიზანტიის კეისარმა კურაპალატობა უბოძა, უმრწემესს-გუარამს „...დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი, და არტანი“¹²⁰. მაშასადამე, თრიალეთი უშუალოდ გუარამსა სჭერია. მაგრამ „მატიანე ქართლისას“ ცნობით, „...შეიპყრნა ლიპარიტი ქუეყანანი თრიალეთისანი, ალაგო ციხე კლდე-კართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“¹²¹.

„როცა ლიპარიტმა თრიალეთში კლდე-კარის ციხე ააგო და თავის პატრონად დავით ბაგრატის ძე გაიხადა, ერთიკა და მეორეც (ლიპარიტიცა და დავითიც, ნ. ვ) გუარამის მფლობელობის უფლებას არღვევდნენ და დავითი თავისი ბიძის წინააღმდეგ მოქმედებდა, რასაკვირველია, როცა ლიპარიტს მფარველობა გაუწია“¹²². ამის გამო ხომ არ შე-

118 სუმბატ დავითის ძე, ცბა და უწუბა. ქც., I, გვ. 377₃₈—378₁₋₈.

119 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 96.

120 მტნე ქართლსა, ქც., I, გვ. 257₁₃₋₁₄.

121 იქვე, გვ. 258₁₃₋₁₄.

122 ი. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 101.

ნიშნავს მემატრიანე: „ხოლო ამას დავით კურაპალატსა აღუდგა მტრად ნასრა, ძე გუარამ მამფლისა, რომელი იყო მამის ძმა ამის დავითისა“¹²³.

რადგან აქ დავითი უკვე იწოდება კურაპალატად, ამიტომ ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 876 წლის შემდგომ¹²⁴.

ამასობაში გუარამის სამფლობელოს ახალი მტერი გამოუჩნდა: ეს გახლდათ სომეხთა ერისთავთ-ერისთავი აშოტ ბაგრატიუნი, რომელმაც ქართლის ჩაგდება მოისურვა, ხოლო ამ უკანასკნელზე მისი ხელისუფლების გავრცელებით საფრთხე ემუქრებოდა გუარამის სამფლობელოსაც. გუარამისა და მისი შვილის — ნასრას მოწინააღმდეგენი ამ ბრძოლაში, სომეხთა გარდა, ყოფილან ლიპარიტი და დავით ბაგრატიის ძე.

„მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს: „ხოლო ნასრას შეუყრიბეს მტერად სომეხნი, ლიპარიტ და ქართველნი, აშოტ ძმა დავითისი, და მათ თანა სარკინოზნი. და შეებნეს ნასრას და გააქციეს, და მიიხუნეს ციხენი. და წარვიდა საბერძნეთს წინაშე ბერძენთა მეფისა“¹²⁵.

წყართთა ჩვენებიდან ჩანს, რომ ტაო-კლარჯეთის საკურაპალატოს დამფუძნებელი აშოტი (+826) არ ფლობდა სამცხეს. ასევე მისმა უმცროსმა ვაჟმა გუარამმა (+882) ვერ შეძლო სამცხის ხელთ გდება. თუმცა იბრძოდა ამისთვის. „მატიანე ქართლისას“ ცნობით, გუარამს „ღეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი, და არტანი“. აქ, როგორც ვხედავთ, სამცხე არ იხსენიება. ამასვე ადასტურებს გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება, რომლის ცნობითაც „მამფალი გუარამ დიღო, მირეანისათვის გულ-ძკრად იყო“¹²⁶, რადგანაც მირიანმა „მძლავრ სამცხისა ერთა ძე თვისი დაადგინა კათალიკოზად“. ეს „გულ-ძკრობა“, ცხადია, აიხსნება გუარამის მეტოქეობით მირიანთან სამცხის მფლობელობაში.

გუარამის ვაჟი ნასრი, როგორც წყაროებიდან ჩანს, იბრძვის სამცხის დაუფლებისათვის და ამ ბრძოლაში იღუპება 888 წელს¹²⁷.

ამრიგად, IX ს-ის 80-იან წლებშიც კი ბაგრატიონები სამცხეში ჯერ კიდევ არ ჩანან დამკვიდრებულნი¹²⁸.

¹²³ მტრე ქრთლსა. გვ. 258₁₂₋₂₀.

¹²⁴ ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 101.

¹²⁵ მტრე ქრთლსა, ქც., გვ. 260₂₁₋₂₃.

¹²⁶ გრგლ ხნცთლს ცა. გვ. 287₇₋₈.

¹²⁷ ცა და უწყება, ქც., I, გვ. 379₇₋₁₄. მტრე ქრთლსა, ქც., I, გვ. 258₁₈₋₂₀ — 260₂₄₋₂₅.

¹²⁸ ბაგრატიონთა გამკვებლობაში სამცხე ჩანს X ს. (ზარზმის 979 წლის წარწერა მოწმობს, რომ სამცხე უკვე ბაგრატიონთა მფლობელობაშია). შესაძლოა ეს მოხდა IX—X სს. მიჯნაზე, მაგრამ პირდაპირი მითითება წყაროებში ამის შესახებ არ ჩანს.

4. ისტორიული გეოგრაფია

სამცხის ისტორიულ გეოგრაფიას არაერთი მკვლევარი შეხებია¹. ჩვენი მიზანია ბასილის თხზულებაში სამცხის ისტორიულ გეოგრაფიაზე დატული ცნობების ღირებულების შეფასება.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხსენიებულია „ქუეყანა სამცხისაჲ“: „ხოლო ჩუენდა ჯერ-არს, რაათა ნეშტი თხრობისაჲ გულს-მოდგინებით ვისმინოთ, თუ ვითარ მოიწივნეს სანახებთა ქუეყანისა სამცხისათა“². სხვა ადგილას ავტორი წერს: „ესერა ვთქუათ, რამეთუ იყო რაჲ დიდი იგი მამაჲ და მოძღუარი მიქელ მდგომარე ლოცვასა ღამისასა, განკრვებაჲ რაჲმე დაეცა და აღიტაცა ზეცად და იხილა ვინმე, ვითარცა მღვდელ-შუენიერად შემოსილი, და ეტყოდა მას, რაათა მის მიერ განსწავლულნი იგი მოწაფენი მყის წარავლინნეს ქუეყანად სამცხისა, რომელ არიან სერაპიონ და იოვანე“³.

„ქუეყანა სამცხისა“ იხსენიება ლეონტი მროველის თხზულების გვიანდელ ჩანართში⁴. იმავე წყაროში დამოწმებულია ტერმინი „სამცხე“⁵.

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941; П. Иоселиани, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифл., 1850; მისივე, Местность Абас-Туман и его минеральные воды, «Кавказ», 1864, №№ 90, 93, 99; Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПб, 1878; მისივე, Кавказ в древних памятниках христианства, МАК, т. XII; П. Уварова, Христианские памятники, МАК, т. IV; Е. Такайшвили, АЭРЗ, вып. I, Тифлис, 1905; вып. III, 1907; Н. Марр, Георгий Мерчул, Жизнь св. Григория Хандзтийского, ТР, кн. VII, 1911; Д. Гордеев, Отчет о поездке в Ахалцихский уезд 1917 г. Росписи в Чуле, Сапаре и Зарзме, ИКИАИ, I, 1923; პევე ინგოროყვა, საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ მოკლე სამხსოვრო ცნობა, კონსტანტინოპოლი, 1918; მისივე, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954; ივ. ჭავჭავაძე, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, 1919; მისივე, ქართველი ერის ისტორია, ტომი II, თბილისი, 1965; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1964; მისივე, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი, 1966; ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. შოთა რუსთაველი, თბილისი, 1966 დ სხვ.

² სწ ზარზმელს ც, გვ. 154²⁹⁻³¹.

³ იქვე, გვ. 154³¹⁻³⁶.

⁴ ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტომი I, თბილისი, 1955, გვ. 42³.

⁵ იქვე, გვ. 37²⁴, 40²⁴.

Ա իբրև զսուրբ Կիսկուրյան :
 Տ՛ր : Տարբերակ : ո՞րն քան
 ոտակ : հոբաներ : ծծուկ : ին
 ուտ : հիսուսակու : Ղիլի
 ն ծծա : Գ Գ Գ Գ Գ :

Ք Ստիպի պատհանալ Տ
 ծանոթա կարծիդուրե՛՛՛ն
 ետևե Գնուե Տ պիտու
 հրեռոյ՞ զրկմն տուի
 եստեն ծանրեհն ո՞ւրե
 հ Տ շողակետողուտն
 ետուստ ջրուրկուտ ծն
 տու : մի . սորե՛՛ ծրդ Տ
 ո՞րն ին . ոսիւրեսն ծուրիւ
 Երկուտ զ ԼԵՒԵՒԵՒ
 եստ . ղրկմն մի . հնիւ
 պրիկի զմարտն կուտ :
 Տ զրծողածու զԾ . կնի ո

դի Կտն հղթուրկուտ : Թ՛ն
 եւստուե , դի եղև սեւ
 ծղ Տ զպիտուսն պիտու
 դրուող կուտ պնթու : Տ
 եւստուե Ե՛՛ Կուտուտ , ծ
 ուտ : ծուրկու Տ ղրկու : դի
 Տ ծուրկուտ ուրիտն մ
 եւստուրուտ սրի ծ՛՛ ԼԵՒ
 Տ Կ : Տ կնուե Ե՛՛ ուտ
 եւ ղրկու . Ե՛՛ն ե՛ Կու
 կուտն . մ ետն պիտու
 ուրկուտ ուրկու . Ե՛՛ ուրկ
 մ եւստուրկու սրի ուրկ
 ստու Ե՛՛ն ԼԵՒ Կ : Տ Կ
 ծ՛՛ Ե՛՛ ծ՛՛ ու ծ՛՛ ղրկու . Ե՛՛ն
 ուրկուտն ուրկն ի՛՛ն . Տ
 ուտուստ ղն ի՛՛ն . Տ
 ծուրկուտ կուտ . Ե՛՛ն
 կուտ զմարտն Ե՛՛ն : ղ
 ուրկն կուտն յայտուտ
 եւ ծուրկն հըսկուտ : ստու
 ուտուր ղուրկուտ . Տ ԼԵՒԵՒԵՒ

քանն օտեւե ծէ կրօղանն երևող
 ցնեւ հղնեւե . մի ք մե որք
 օտն յնեւե պոօսատեւե :
 ծէ կ՞ հընի ք մեմի պպոլրամն
 յնեւե ծէ դոտոմն պրտեւս
 աոնեւ : ծէ կ՞ պիտմնեւ ծեծ
 ուե կ՞ պիտմնեւ ժող կստոս
 ծան . որպակ . հընի ք մե կր
 մն ծատյա յսահողմից ք ծ
 ահպծէ որմն մն ռստրե ծղը
 հողմից : ը ափսիա ք դծա
 ն որոտղևոն ք ոտրոյ կ մա
 քի . յնի ծան աոնեւ մի ծէ
 կ՞ յղըպպ յնի : մ կնրմն
 աղց օղն կսծնեւան երն
 յնեւե ծատր ըպպիպի օղն
 : ծէ ոմոս կատրտո յնի ծը
 կրղպրտոս օպիտոնե ծէ
 ուստոնե կրտոնե լոտո ոկր
 ք որդն ծատմեղց ք կնր
 ծիպրոս մպրամն յպմոպիեւե
 ծն կրեւե կրղպրմե : դր ոյ

որդ ոտրոյ ոսնի լն ուպ :
 մ ք մե կնրմնիցս ծաւե որո
 ք ծուտե օտոս կիծողտե ծէ
 ծրտոյցրո ք մե կտապտա
 : մ ք մնից որք ծիղն ծապը
 յպգոմն օպիտոնե ծէ ք կ
 տեւե կր կոտամ յնի պիտոյ
 հողմիցն մ ոյ ոյ ոյ ոյ
 ե : ծուցն ծծնեւե ծ ք ոմամ
 ծիւտեւե լոպիաւե : ծանրո
 ն ուկրպրղպրե հ ծրտն ծէ
 կեմա օպրե . ծէ կնմա որո
 ո կպտոտե օպտոս կ կր
 ք : ծէ ծուեւե ծուցն ծէ կր
 ք կոտաւե , յոյմե օղր ծա
 յպրոհոցն կտո օտոտաղպ
 ում յնի պրեւ ծէ ծուտոս :
 դր ոյ ոյ ոյ ոտրոյ կ մապ :
 յնի պրեւե ծէ ծատրե , ծէ
 աղևոսն օղրտե ծի ոյ ոյ
 ծէ կ՞ որպակ . ում ծը կրեւն , ծ
 լոպրմն ք ծանոնե ծէ ծնե

Կողոպտողացիս ընդունիցս
ուստա ձեռքս և սխալու
վեցող կոստա ծարւսիս
ուսն: Ե՛ք ՚հի սնծող սխալմա
ծիցող՝ սպասա: սնե տնե
թ կզս թեւծնե տղայս ու
սն: և ՚ստմա ընդունի զձե
ու: Ե՛ք թ թեւ ձեռքս / ՚հ՛ս
սիրարհող ՝ քե՛ կողու թե
ղցու րոն: ՚հ՛ թ ձեռքս
ձե՛ ձեռնի հըն կուսս
ն: ՚հսն ողբայտ նարչ
սնսղ պղկտայստա: ք
անցու ձեռքս ու ողբ
սնա ձատկնայս՝ քե՛ կո
տաստ՝ կձեռն ձեռնե կող
ձեռն քհնե ձալկողց
՝: Զ՛ ողբիս քե՛ ստասս հ
սղցա: քե՛ ծրպայս ձեռն
անայտ ձեռնկողց
ս կողք քեռեհա: սնի ծ
հսն թեռնայս կնա թեռ

ուրեւստ քեռայս կող
ք ձեռք: ձեռնիս քե՛ ձեռն
ս կձեռնե քեռե կեւ
նեռեհա: սնտա թոս կղ
տոս իմա՛ք ձեռն կող ձեռ
տայս ձե՛ ձեռքս ձեռն
քե՛ քեռե ողբողս: սն իմ
թեռնայս ձե՛ ձեռքս ձեռն
քե՛ ձեռնայս կողքս
թեռնայս կողքս քե՛ կողքս
քե՛ ողբայտ ձեռնե կ
ղքստա: ողբ ողբ կող
կղ: ողբ՝ կողքս կողքս
նեռն քհն թող կղքս սն
կողքս կողքս քհն կողքս:
քե՛ կողքս: Ե՛ք կողքս
թե՛ք քեռն, սն թեռ քեռ
նեղքս ողբ թեռնայս կողք
ողք քեռն ձե՛ ձատկնայս
քե՛ ծրպայտ: քե՛ ողբ
կողքս կողք քե՛ կողքս
քեռն ձեռնայս քե՛ ծրպայտ
քեռ: քե՛ ողքս կողքս

րնդստէ ստէ . ճէ ւթ՝ քիցստէ ծո
 ծնաւ ճւստսիստէ ստէ ճէ ճճէ
 ստէստէ :- :- :- :-

Եւր տուիս որովանդաւ պտուիս
 ին որդի անդիս՝ քանքէն ճն .
 նէ քիւսպիւնէ : րոտէ շնդո
 անտէ ստէ : սնի կռնրուիս
 պտու շնծիւքի կռնդպէն որի
 ստէ սնկպէն : ստտէ պպիւն
 և ւր ճից արտառ ճէ սիւնս
 լոթն . քրո . ճէ ճճն . ճէ պիտ
 պիպիւնէն ճճի : քն : և :-

„სამცხეს“ იხსენიებს ბაგრატიონთა გვარის მემკვიდრე IX ს. მიწურულს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის შვილებს შორის ბრძოლის ერთ ეპიზოდში⁶.

„სამცხე“ მოხსენიებულია გიორგი მერჩულეს თხზულებაშიც⁷.

ერთგან ლეონტი მროველი სამცხეს „ქუეყანას ოძრკევისას“ უწოდებს, მის მცხოვრებლებს კი — „ოძრკეველთ“. სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ასახვისას (I საუკ. მეორე ნახევარი) მემკვიდრე მოგვითხრობს სომეხთა სპასპეტის სუმბატ ბივრიტიანის შესახებ, რომელმაც „...ალაშენა ციხე ქუეყანასა ოძრკევისასა, რომელსა ეწოდებოდა სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქვანდემოთი, მოკიდებულად მთასა ღაღოსსა. და დაუტევნა მას შინა ლაშქარი შემწედ წუნდელთა და მამბოლად ოძრკეველთა და წარვიდა“⁸. როგორც ჩანს, ამ ხანისათვის სამცხე ერთ ტერიტორიულ ერთეულს შეადგენს, რომლის ცენტრიც ოძრკეა (ოძრკევი?), რის გამოც, ალბათ, თვით ქუეყანას „ქუეყანა ოძრკევისა“ ეწოდება.

„მატიანე ქართლისა“ იხსენიებს, აგრეთვე, სამცხეს, მის მოსახლეებს კი — მესხებს უწოდებს: „გამოვიდა თეოდოსი საბერძნეთით, მოვიდა სამცხეს, და დადგა მარგის მერეს, უკმობდა მესხთა აზნაურთა, იკრებდა ლაშქართა და ლამოდა მკლავითა თვისითა აღებასა მამულისა თვისისა“⁹; ან კიდევ: მე-11 საუკუნის 75-იანი წლები იყო; „კჳალად გადგა ივანე ლიპარიტის ძე, და ცნა გიორგი მეფემან. ქუთათისით გარდამოვიდა სამცხეს, მოირთნა მესხნი, გარდამოიარა და მივიდა სამშკლდის კარსა“¹⁰. „მესხნი“ იხსენიებიან ლეონტი მროველის თხზულებაშიც¹¹.

სამცხის მდებარეობის განსაზღვრისა და ქართლთან მისი მიმართების გარკვევისათვის საყურადღებოა რამდენიმე ადგილი გიორგი მერჩულეს თხზულებაში: როდესაც გრიგოლმა თევდორესა და ქრისტეფორეს წასვლის ამბავი შეიტყო, ფრიად შეწუხდა და წამოვიდა მათ საძებნელად. „და ვითარ მოიწია ქართლისა სანახებსა, ნებიერთა ღმრთისაჲთა ძიებასა მას ძმათასა პოვა ეფრემ ყრმაჲ, ჭაბუკი ღირსი, და ღირსებასა შინა იხილვა მამაკაცებასა სრულსა მიწევნული სიწმიდით, და სიწმიდესა შინა აწყურისა ეპისკოპოსი სასწაულთა მოქმე-

⁶ სუმბატ დავითის-ძე, *ცა და უწყება*, გვ. 379.

⁷ გიორგი მერჩულე, *ცა გრგლ ხნტოლსა*, გვ. 261²⁹, 263¹⁴, 267¹⁸, 267³⁰, 270¹⁷, 279²², 286⁴⁰.

⁸ *ცა მფთა*, გვ. 47¹¹⁻¹⁴.

⁹ *მტნე ქა*, გვ. 270¹⁸⁻²¹.

¹⁰ *იქეე*, გვ. 316¹⁰⁻¹¹.

¹¹ *ცა მფთა*, გვ. 41¹, 41³⁴.

დი. ხოლო ეპისკოპოსობასა შინა მიიწია მოხუცებულებასა კეთილსა და აღესრულა საკვრველებით, და ნაწილნი მისნი წმიდანი მიეცნეს ნათლად სამცხესა¹².

აფხაზეთში გრიგოლი შეხვდა თევდორესა და ქრისტეფორეს და წამოიყვანა ისინი ხანცთაში. „და მგზავრ სლვასა მათსა ჰრქუეს ნეტარსა გრიგოლს სანატრელთა მათ თევდორე და ქრისტეფორე: „წმიდაო მამაო, ეამსა მას წარმოსლვისა ჩუენისასა ხანცთით სამცხეს, რაჲ მოვიწიენით მახლობელად ადგილსა მირიან აზნაურისასა, და გვხილნეს ჩუენ კაცთა მისთა, რამეთუ სადგური ჩუენი ეამსა მწუხრისასა ველსა ზედა ვყავთ, და აუწყეს უფალსა თვისსა...“¹³.

თევდორესა და ქრისტეფორეს კვლავ მოუწოდებდა უხილავი ძალა წასულიყვენენ მონასტრის ასაგებად. ერთხელ, ღამით ფარულად დატოვეს მათ ხანცთა, წარმოიყვანეს ძმანი და გასწიეს „კერძოთა ქართლისათა“, რადგან უფალი უწოდდა აეშენებიათ ნეძკსა და კვრიკე-წმიდის მონასტრები. „ხოლო ნეტარსა გრიგოლს ეუწყა უფლისა მიერ, რაჲთა არღარა დააბრკოლნეს გულს-მოდგინებისა მისგან მათისა, არამედ თანა-მდგომ ექმნეს კეთილსა მას საქმესა. და ძიება-ყო მამამან გრიგოლ და პოვნა იგინი სამცხეს და აბრაღა ფარულად წარსლვაჲ მათი“¹⁴; თევდორე და ქრისტეფორე „...წარვიდეს ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა, და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ და აღაშენეს სენაკები ორგანვე. და უწოდეს თევდორეშს ვანსა ნეჰჳ, ხოლო ქრისტეფორეშსა კვრიკე-წმიდაჲ, და მოწაფენი დაუტევენს“¹⁵.

ამრიგად, როგორც გიორგი მერჩულეს თხზულება მოწმობს, ცნება „ქართლი“ მოიცავდა სამცხეს: სამცხე იხსენიება როგორც „ქართლის სანახები“, „კერძონი ქართლისანი“. ზემოაღნიშნული ცნობებიდან ჩანს, რომ „ქართლის“ ცნებაში არ შედიოდა კლარჯეთი, რადგანაც კლარჯეთის უდაბნოდან წასული თევდორე და ქრისტეფორე, ისევე, როგორც გრიგოლ ხანცთელი, გაემართნენ ქართლის სანახების — სამცხისაკენ¹⁶.

სამცხე მტკვრის ხეობაში მდებარეობდა. სახელდობრ, მის ფარგლებში, პ. ინგოროყვას აზრით, შედიოდა თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით ახალციხისა და ადიგენის რაიონები, ასპინძისა

¹² გიორგი მერჩულე. ცა გრგლ ხნკო ლაჲ, გვ. 257³¹⁻³⁸.

¹³ იქვე, 270¹⁵⁻¹⁹.

¹⁴ იქვე, გვ. 279¹²⁻¹⁶.

¹⁵ იქვე, გვ. 279²²⁻²⁵.

¹⁶ შეჯარეთ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 296—302.

ყოფილა „კაცთა და პირუტყუთაგან“, ამას ბასილი ზარზმელის თხზულებაც აღასტურებს: „ხოლო სლვასა მას მათსა, ვითარცა სამეუფოთა პალატთა, უპირველად ვილოდეს, ვიდრემდის მოიწინეს მთასა მას, ვითარცა სიმალღესა ცისასა აღძრულნი, და დადგეს ადგილსა მას, რომელსა ბერას ჯუარ ეწოდების“²⁶; ანდა: „მთაჯესე მადალი არს, თავი ყოველთა ამათ ქედთაჲ, რომელსა პრქვან თავი შეშთაჲ; რაჲეთუ თავი არს ყოველთა ამათ მალნართაჲ, ამისთვის შეშის-თავ ეწოდების. და უვალ არს კაცთა და პირუტყუთაგან სიმალღისათვის მისისა“²⁷.

მდინარე მტკვარი, რომლის ხეობაშიც მდებარეობდა სამცხე, „არს ყოველთა აქაურთა მდინარეებთა... უდიდესი, რომელი განვლის საშუალ ქვეყანასა ამას, პირველად ვახსენოთ მდინარე იგი, რომელი გამოსდის კოლას ყალნუმთას, გამოვლის სამცხეს, ქართლს, ჰერეთს, რანს შორის, განვლის მოვაკანს, მიერთვის რახს, ჯავათს და სალიანს ქვეით ერთვის კასპიის ზღვას“²⁸.

მტკვარს, როგორც აღნიშნავს ვახუშტი, „...ერთვიან ყოველნი მდინარენი კოლისა, არტანისა, ჯავახეთისა, სამცხისა, ქართლისა, კახეთისა, ჰერეთისა, რანისა, მოვაკანისა და თვთ არაზიცა. არამედ არს მტკვარი სასმელად გემოიანი და შემრგო, უმეტეს ქართლსა და სამცხესა შინა“²⁹.

წერილობითი წყაროები ქართულ ქალაქთა შესახებ მსჯელობისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სწორედ მტკვრის ხეობას, რომელიც აგრერიგად მდიდარი ჩანს უძველესი ქალაქებით. ამ მხრივ სამცხეც, ვითარცა მტკვრის ხეობაში მდებარე მხარე, არ შეადგენდა გამონაკლისს. მაგალითად, ოძრტე ძველთაძველი და, ამავე დროს, ძლიერი ციხე-ქალაქი ყოფილა. ძვ. წ-ით IV საუკუნის ამბების თხრობისას ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ „...განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ქუეყანა, და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა. და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკურისა, ოძრტე მოკიდებულნი კლდესა დადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა პქვან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე. ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურათა, და რუსთავი, და დე-

²⁶ სწ. ზარზმელის ც., გვ. 156_{გ-დ}.

²⁷ იქვე, გვ. 164_{ა-ბ}.

²⁸ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 33.

²⁹ იქვე.

და-ციხე სამშკლდე, და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი, და კახეთისა ქალაქნი³⁰.

XI საუკუნის ისტორიკოსის ეს ცნობა იმით არის საინტერესო, რომ ქალაქი ოძრკე მის დროს უძველეს ქალაქთა რიცხვში იყო ნაგულვები. ის ფაქტი, რომ ლეონტი მროველი მას ქართლის ქალაქად მიიჩნევს და მცხეთის, კასპის, ურბნისის, უფლისციხისა და სხვათა გვერდით მოიხსენიებს, უეჭველია, მიგვანიშნებს, რომ ტერმინს „ქართლი“ ავტორი ამ შემთხვევაში ფართო პოლიტიკური მნიშვნელობით ხმარობს.

ვახუშტი გადმოგვცემს, რომ ოძრკე-ქალაქი და ციხე აუგია ლეგენდარულ ოძრახოსს, ქალაქის სახელის მიხედვით თვით საერისთაოსაც დარქმევია „საერისთო ოძრახოსი“; იგი „განყოფილებისამდე სამეფოსა“ ქალაქად არსებულა, შემდგომ კი დაბად ქცეულა. XVIII საუკუნეში ოძრკე ყოფილა „ოკერ, და ციხე შემუსვრილი“³¹. მაგრამ ამ ქალაქს გაცილებით უფრო ადრე დაუკარგავს ძველი დიდება და მნიშვნელობა. ჭერ კიდევ VIII საუკუნის 40-იანი წლებისათვის, როგორც ეს ჭუანშერის თხზულებიდან ჩანს, ოძრკეს სახელოვანი ქალაქის სახელი შემოუნახავს მხოლოდ „ძველ ნაქმართა მისთათკს“³².

ლომსიანთას შესახებ საინტერესო დაკვირვებას იძლევა ვახუშტი ბატონიშვილი. მისი აზრით, ლომსიანთა იგივე ახალციხე უნდა იყოს: „ამას (ე. ი. ახალციხეს, ნ. ვ.) ვგონებ ლომსიად, ვინათგან, ისახელების რა ახალციხე ცხოვრებასა შინა, არღარა მოიხსენების მერე ლომსია“³³.

ი. ჯანაშიაშვილის აზრით, გუარამის მიერ აგებული „ციხე ლომსიანთა... ეხლანდელ ლომსიანთას უდრის“³⁴. ნ. ბერძენიშვილი იზიარებს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ლომსიანთა სხვაა და ახალციხე კი სხვა, რადგან მათი იგივეობის დასამტკიცებლად ვახუშტის დასკირდებოდა აღენიშნა, რომ ციხე ლომსიანთა XI საუკუნეში იმდენად საფუძვლიანად გადაკეთდა, რომ მას სახელიც უცვალეს და ახალციხე შეარქვეს, საამისო მასალა კი ჭერჭერობით არ მოგვეპოვება³⁵.

რაც შეეხება ჭვარის ციხეს, ქართულ საისტორიო მწერლობაში იგი არაერთგზის იხსენიება, ხან ჭუარის ციხისა და ხან ციხის-ჭუარის

³⁰ ლეონტი მროველი, ოწამფთა, გვ. 17¹⁷⁻²¹—18¹⁻².

³¹ ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 125.

³² ჭუანშერი, ოწავბტნგგვსსსა, გვ. 224.

³³ ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 125.

³⁴ ი. ჯანაშიაშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 321.

³⁵ ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 84.

სახელწოდებით: „მოვიდა ბაგრატ და ამის მსახურებისა ნაცვლად მეფემან უბოძა სულას მამულობით ციხის-ჯუარი და ოძრქვე ბოდოკლდითა, და სხუაცა მრავალი საქონელი და სამღვდელთმოდღურონი, და რაცა უნდა“³⁶. ლიპარიტმა „...გამოიტყუენა ანისით დედოფლისაგან აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა, და ხიხათა და ციხის-ჯუარისა და აწყუერის ციხის პატრონი“³⁷.

ქართულ საისტორიო წყაროებში არაერთგზის იხსენიება, აგრეთვე, სამცხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი — დემოთი³⁸. ლეონტი მროველი სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ასახვისას (I საუკუნის 70-იანი წლები) მოგვითხრობს, რომ „...სომეხთა უკმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჭავახეთი და არტანი“³⁹. მამასადამე, ლეონტის მოწმობით, ქალაქი წუნდა და დემოთის ციხე, აგრეთვე, ჭავახეთი და არტანი ქართლში შედიოდა. ანგარიშგასაწევი ის გარემოება, რომ ქალაქი წუნდა იხსენიება დემოთის ციხის გვერდით, ხოლო ჭავახეთი და არტანი წყვილად არის დასახელებული იმ დროს, როდესაც წყაროების ერთობლივი მოწმობით წუნდა ჭავახეთში შედიოდა. ასე, მაგალითად: თარგამოსმა „...ჭავახოსს მისცა ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა. და ამან ჭავახოს ალაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჭთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქჷან ჰური“⁴⁰. ფარნაეაზმა განაწეესა რა ერისთავნი, ერთ-ერთი „...გაგზავნა წუნდის ერისთავად. და მისცა ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჭავახეთი და კოლა და არტანი“⁴¹. „დაჯდა მეფედ არშაკ, და დაიპყრა ყოველი ქართლი; და მეფობდა იგი ნებიერად, და უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა. და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჭავახეთს, ქალაქსა წუნდას“⁴². ჭუნანშერის ცნობით, ვახტანგმა „...დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა; ერთი არტანს ერუშეთს; ერთი ჭავახეთს, წუნდას“⁴³.

წუნდელნი და დემოთელნი სხვაგანაც იხსენიებიან წყვილად. „...იყო ოძრქვეს ქალაქსა შინა ერისთავი მეფისა არმაზელისი, აზნაურთაგანი, და იგი დადგრომილ იყო სარწმუნოებით ერთგულებასა

³⁶ მტ^ნე ქ^ა, გვ. 305₂₋₅.

³⁷ ი ქ ე ე, გვ. 300₈₋₁₀.

³⁸ ც^ა მფ^{თა}, გვ. 47₁₂, 48₁, 49₂₀.

³⁹ ი ქ ე ე, გვ. 49₁₉₋₂₀.

⁴⁰ ი ქ ე ე, გვ. 10₁₋₃.

⁴¹ ი ქ ე ე, გვ. 24₁₈₋₁₉.

⁴² ი ქ ე ე, გვ. 30₆₋₈.

⁴³ ც^ა ვებ^ნგ გრ^გსლ^ა, გვ. 198₁₈₋₁₉.

ზედა არმაზელისსა, და მას შეეწეოდეს მეგრელნი. ხოლო წუნდე-
ლი და დემოთელინი შეეწეოდეს ერთმანერთსა, და
დაუცბრომელად იბრძოდეს. და უფროსი ბრძოლა მათი იყვის მდინა-
რესა ზედა, რომელსა ჰქვან ნოსტე“⁴⁴.

მაშასადამე, ლეონტი პროველთან ქალაქი წუნდა, რომელიც ის-
ტორიულ ჯავახეთში შედიოდა, I საუკუნის მეორე ნახევარში ებრძვის
ოძრხეს, ისევე როგორც დემოთი. როგორც ვხედავთ, სამცხისა და მი-
სი მეზობლის — ჯავახეთის თემები ამ ხანისათვის მეტოქეობას უწე-
ვენ და ებრძვიან კიდევ ერთმანეთს. ამ ბრძოლაში დემოთი წუნდის,
ე. ი. ჯავახეთის მხარეზეა: ოძრქის ერისთავის წინააღმდეგ დაუცბრო-
მელ ბრძოლაში დემოთელინი წუნდელთ ეხმარებიან.

წუნდელთა და ოძრქელთა შორის მონხდარ კონფლიქტზე ლეონ-
ტი პროველი სხვაგანაც მოგვითხრობს. როდესაც მემატიაზე არმაზე-
ლისა და აზორკის მეფობას შეეხება და დაწვრილებით აღწერს მათ
ბრძოლას სუმბატ ბივრიტიანთან (I საუკ. 70-იანი წლები), იგი წერს:
„მაშინ სუმბატ გამარჯუებული შემოვიდა ქართლად, და მოაოხრა ქარ-
თლი, რომელი პოვა ციხეთა და ქალაქთა გარე; ხოლო ციხე-ქალაქთა
არა ჰბრძოდა, რამეთუ არა მზა იყო მსწრაფლ გამოსლვისაგან. არა-
მედ აღაშენა ციხე ქუეყანასა ოძრქევისასა, რომელსა ეწოდების სამ-
ცხე, ადგილსა, რომელსა ჰქვან დემოთი, მოკიდებულად მთასა დადოსსა.
და დაუტევნა მას შინა ლაშქარნი შემწედ წუნდელთა და მა-
ბრძოლად ოძრქეველთა და წარვიდა“⁴⁵.

საგულისხმოა, რომ ლეონტი პროველის კონცეფციით სამცხეს
ჰყავს ერისთავი, რომელიც ქართლის მეფეს ემორჩილება. ამას ადას-
ტურებს რამდენიმე ერისთავთან ერთად ოძრქის ერისთავის განდგომა
ქართლის მეფისაგან. ლეონტის ცნობით, განდგომილი ერისთავები და-
ეთათბირენ ერთმანეთს და განიზრახეს ქართლის სამეფო ტახტზე აყუ-
ვანათ ამაზასპის ნაცვლად სომეხთა მეფის ვაჟი; III საუკუნის შუა
წლებში „...განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერის-
თავნი ეგრისისანი, ერთი ოძრქისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი
წუნდისა. ეზრახნეს ესე სომეხთა მეფესა, და ითხოვეს ძე მისი მეფედ,
რანეთუ დისწული იყო ამაზასპისი“⁴⁶. ზემოჩამოთვლილ მხარეთა ერის-
თავებს ჯუანშერი ვახტანგ მეფის „წარჩინებულებს“ უწოდებს. მეფემ
ბრძანა „...აღშენება უჯარმისა და მუნ შინა ზრდა დაჩი მეფისა, რამე-

⁴⁴ ცხება მეფთა, გვ. 47₂₁₋₂₂—48₁₋₂.

⁴⁵ იქვე. გვ. 47₉₋₁₄.

⁴⁶ იქვე. გვ. 57₇₋₈.

ზარზმელი წერს: „ესევეთარი ესე კაცი იყოფოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა, რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ—ჩორჩანელი, რომლისა ტაძარნი შენ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისასა“⁵⁶.

სოფელი ჩორჩანი „ოძკის წყლის დასავლეთით იყო“⁵⁷. ე. თაყაიშვილმა იგი დიდგვარიან ზურციძეთა სამფლობელოდ მიიჩინა⁵⁸. ავტორი წერს: „Те из членов этого рода (იგულისხმება ზურციძეთა გვარი, ნ. ვ.), которые владели деревнею Чорчаном в Коблианском ущелье и крепостью Скрос-цихе, назывались Чорчанелями“⁵⁹. სოფელი ჩორჩანი იხსენიება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“⁶⁰. ეს პუნქტი დღესაც არსებობს ადიგენის რაიონში⁶¹, სარაიონო ცენტრიდან აღმოსავლეთით 2 კმ-ის დაცილებით. იგი დიდ და პატარა სმადას, ზანავსა და გომარო სოფლებთან ერთად შედის დიდი სმადის სასოფლო საბჭოში⁶².

რაც შეეხება ზანავს, რომელიც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ჩორჩანთან ერთად იხსენიება, ისიც ქვაბლიანის ხეობაში მდებარეობს, ადიგენის რაიონში, სარაიონო ცენტრიდან ჩრდილოეთით 2 კმ-ის დაშორებით და მეზობელ სოფლებთან ერთად, როგორცაა; დიდი და პატარა სმადა, ჩორჩანი და გომარო, დიდი სმადის სასოფლო საბჭოში შედის⁶³.

სოფელი ზემო-ზანავი ზანავის ეკლესიითურთ იხსენიება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“⁶⁴. ამვე სახელის მატარებელია მომდევნო სოფელი, რომელსაც შუა-ზანავი, ანდა მეორენაირად წინ-ზანავი ეწოდებოდა⁶⁵.

ს. ჯიქიას ვარაუდით, უნდა არსებულყო აგრეთვე ქვემო-ზანავიც, მაგრამ „დავთარის“ შედგენის დროისათვის იგი აღარ ჩანს ისევე, როგორც ამჟამად შუა-ზანავი⁶⁶. დაგვრჩა მხოლოდღა ერთი სოფელი ამ სახელწოდებით, რომელიც ამჟამად, როგორც უკვე აღნიშნული

⁵⁶ ს-ნ ზრ-ზმლს ც-ა. გვ. 157, 22.

⁵⁷ ივ. ჯაქიახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 53.

⁵⁸ Е. Такашвили. Зарзмский монастырь, его реставрация и фрески, СМОМПК, выпуск 35. Тифлис. 1905, გვ. 33, 34, 78, 80 და შემ.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარი, ტომი II, გვ. 94.

⁶¹ საქართველოს სსრ ადმინისტრაციული დაყოფა. თბილისი, 1966, გვ. 18.

⁶² იქვე.

⁶³ იქვე.

⁶⁴ გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარი, II, გვ. 62.

⁶⁵ იქვე. გვ. 63.

⁶⁶ იქვე, III, გვ. 92.

იყო, დიდი სმადის სასოფლო საბჭოში შედის. „დავთრის“ შედგენის დროისათვის როგორც ზემო, ასევე შუა-ზანავი უდისადმი დაქვემდებარებული პუნქტები იყო და თითოეულს 4000 ახჩად შეფასებული ფულადი და ნატურალური გამოსაღები ჰქონდა შეწერილი⁶⁷. „დავთრის“ მიხედვით ამ სოფელს აკისრია შემდეგი გადასახადები:

ისფენჯო, 16 კაცი—400
ხორბალი — ქილა 100, ლირებ. — 1200
ქერი — ქილა 100, ლირებ. — 1000
პეავი — ქილა 10, ლირებ. — 100
ფეტვი — ქილა 10, ლირებ. — 100
მუხუდო — ქილა 1, ლირებ. — 30
ოსპი — ქილა 2, ლირებ. — 40
ცერცი — ქილა 2, ლირებ. — 30
სელის თესლი — ქილა 2, ლირ. — 20
კაქალი — ქილა 3, ლირებ. — 60

გამოსაღ. იონჯასა და თივაზე — 160
გამოსაღ. ცხვარზე — 110
გამოსაღ. ღორზე — 140
გამოსაღ. ფუტკარზე — 180
გამოსაღ. თაფუზე და ღეშთიბანნი — 150
გამოსაღ. ბოსტანზე — 48
გამოსაღ. იალალზე — 52
გამოსაღ. მურახხასნიგე თითო სახლზე 2 32
ბნდჰაჟ და საქორწინო გამოსაღ. 148⁶⁸

სოფელი შუა-ზანავი, ანუ წინ-ზანავი „დავთრის“ შედგენის დროისათვის უდისადმი დაქვემდებარებული პუნქტაა, რომელშიც 6 კომლი მოსახლეობს; სოფელს შეწერილი აქვს 4000 ახჩად შეფასებული გამოსაღები⁶⁹. „დავთრის“ მიხედვით ამ სოფელს აკისრია შემდეგი გადასახადები:

ისფენჯო, 6 კაცი, — 150
ხორბალი — ქილა 100, ლირებ. 1200
ქერი — ქილა 100, ლირებ. 1000
პეავი — ქილა 10, ლირებ. 100
ფეტვი — ქილა 10, ლირებ. 100
მუხუდო — ქილა 1, ლირებ. 30
ოსპი — ქილა 2, ლირებ. 40
ცერცი — ქილა 2, ლირებ. 30
სელის თეს. — ქილა 2, ლირებ. 20
კაქალი — ქილა 3 ლირებ. 60

გამოსაღები ხილზე 250
გამოსაღ. იონჯასა და თივაზე 150
გამოსაღ. ცხვარზე 200
გამოსაღ. ღორზე 100
გამოსაღ. ფუტკარზე 150
გამოსაღ. თაფუზე და ღეშთიბანნი 100
გამოსაღ. ბოსტანზე 50
გამოსაღ. მურახხასნიგე თითო სახლზე 2
გამოსაღ. იალალზე 58
ბნდჰაჟ და საქორწინო გამოსაღ. 210⁷⁰.

სოფელი ცხროკა გიორგი ჩორჩანელის სანადირო ადგილადაა დასახელებული. ბასილი ზარზმელი წერს: „ხოლო უმრავლესთა ეამთა ინადირობნ იგი ადგილთა მათ ცხროკა წოდებულთა, რამეთუ იყო მუნ სიმრავლე თხათა და სხუათა ნადირთა ველურთაჲ, და არეთა

⁶⁷ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გვ. 62—63.

⁶⁸ იქვე, II, გვ. 62—63.

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 63.

მათ ეშენა სახლი, რომელ ოდესმე ეწიის ღამე, სადგურ ყვიან მას შინა სიბნელისათეს ღამისა და უვალობისა და სიჭშოხსა ტყეთაჲსა“⁷¹.

მაშასადამე, ცხროქა იმავე ქვაბლიანის ხეობაში უნდა ყოფილიყო, ჩორჩანისა და ზანავის მახლობლად. მისი ადგილმდებარეობის დაზუსტება ხერხდება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მეშვეობით, სადაც იგი „სიხრუჯ“ ფორმით იხსენიება და ისეთი გეოგრაფიული პუნქტების გვერდით, რომლებიც ქვაბლიანის წყლის ზემო წელში, მისი მარცხენა ნაპირის ზეგანზე მდებარეობს⁷². გასაგებია, რომ ცხროქა სწორედ ამ ადგილას უნდა ყოფილიყო და დღეს აქ არის საძებნელი მისი ნანგრევები, რადგან „ქართული საკუთარი სახელების თურქული ტრანსკრიპციით გადმოცემის ხერხების შესწავლის საფუძველზე სავესებით გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ „დავთარში“ მოხსენიებული სოფლის სახელი „სიხრუჯ“-ი „ცხროქა“-ს კანონზომიერად გადათურქულებული ფორმაა“⁷³.

თუ ბასილი ზარზმელის თხზულებაში ცხროქა მონადირეთათვის ღამის გასათევ ადგილად იხსენიება, „დავთრის“ ცნობით, XVI საუკუნის ბოლოს იგი ახალციხის ლივაში შემავალი ქვაბლიანის რაიონის ერთ-ერთი, ხუთი კომლისაგან შემდგარი სოფელია, რომელსაც შეწერილი აქვს 1000 ახჩად შეფასებული ფულადი და ნატურალური გამოსაღები⁷⁴.

სოფელ სიხრუჯისათვის „დავთარში“ კვითხულობთ:

ისფენჯი, 5 კაცი — 125

გამოსალ. ფუტყარზე 50

ხორბალი-ქილა 10, ღირებ. 120

გამოსალ. ბოსტანზე 60

ქერი — ქილა 10, ღირებ. 100

გამოსალ. თაფუზე და

ღეშთიანნი 60

კვაი — ქილა 5. ღირებ. 50

გამოსალ. მურახხასნიჲ თითო

სელის თეს. — ქილა 3, ღირებ. 30

სახლზე 2 10

გამოსაღები იონჯასა და თივაზე 160

გამოსალ. იალაღზე 10

გამოსაღები ცხვარზე 50

ბაღჲაჲ და საქორწინო

გამოსაღები ღორზე 40

გამოსალ. 13575.

ძ ი ნ ძ ე დ წოდებული ადგილი ქართული წყაროებიდან მხოლოდ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში იხსენიება. აქ ნათქვამია: „...მოვიდეს ადგილსა რასმე ძ ი ნ ძ ე დ სახელ-დებულსა“⁷⁵. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ჩვენებით ამ უკანასკნელის შედგენის

⁷¹ ს^ნ ზ^რ ზ^მლს ც^ა, გვ. 157²²⁻²⁶.

⁷² ს. ქ ი ა, დასახელებული ნაშრომი, III, გვ. 118.

⁷³ ი ქ ე ე, გვ. 116.

⁷⁴ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 87.

⁷⁵ ი ქ ე ე.

⁷⁶ ს^ნ ზ^რ ზ^მლს ც^ა, გვ. 156¹¹⁻¹².

დროისათვის ძინძე თექვსმეტი კომლისაგან შემდგარი სოფელია;⁷⁷ 1930 წელს ამ სოფელში მხოლოდ ერთი კომლი მოსახლეობს, დანარჩენები დასახლებულან იქვე, ცოტათი ზემოთ, უტყუხუბნად წოდებულ ადგილას⁷⁸.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ნათქვამია: „და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას კვიისასა, რომელ არს უტყუხსა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელ-დებულსა...“⁷⁹ „ღღევანდელი სოფ. უტყუხუბანი სწორედ იმ ხევის „დასასრულსა“, რომელიც ზარზმასთან გამოეყოფა ქობლიანის ხეობას და მიემართება აჭარისაკენ (გოდერძის უღელტეხილისაკენ)“⁸⁰. ამ ხევს „უტყუხს“ ხევი რქმევიცა; როგორც ირკვევა, სამცხეში წამოსული ძმანი გოდერძის უღელტეხილს გამოჰყოლიან და ძინძე სწორედ ამ უღელტეხილთან ყოფილა⁸¹. მთელი ეს ხევი ზარზმად წოდებულ ადგილამდე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების მიზნდვით, დასახლებული ჯერ კიდევ არ ყოფილა. ბასილი წერს: „...რამეთუ უდაბნო იყო და შეცვულ ტყეთა და კვეთა“⁸². სწორედ ამ ადგილას, სოფელ ძინძეს ერთ-ერთ მაჰალლეს დარქმევიცა „უტყუხუბანი“⁸³; მასში 1859 წელს მხოლოდ ერთი კომლი ირიცხებოდა⁸⁴; 1901 წელს კი „უტყუხუბანში“ ათი კომლი მოსახლეობდა⁸⁵. სოფელი ძინძე დღეს აღარ არსებობს⁸⁶.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ავტორი ასახელებს ადგილს, რომელსაც უმწაჲ ეწოდება. ამ ადგილიდან მოჰქონდათ სამშენებლო ქვა ზარზმის ეკლესიის ასაგებად: „და იცნობებიან ქვანი იგი ზოგს-რაჲმე კუთხთა მიერ და კამარათა. ხოლო არს სახელი ადგილისა მის უმწაჲ, რომელი შორავს ათორმეტ მილიონ“⁸⁷. მაშასადამე, თხზულების ავტორი მიუთითებს მანძილზე, რომლითაც უმწაჲ დაშორებული ყოფილა ზარზმიდან. ოცხის წყლის გამოღმა დღეს არსებობს

⁷⁷ გურჯისტანის ვილაიეთის დიდა დაეთარი, II, გვ. 67.

⁷⁸ ს. ჯიქია, დასახლებული ნაშრომი, III, გვ. 101.

⁷⁹ ს-ნ ზარზმელს ც-ა, გვ. 156₁₀₋₁₂.

⁸⁰ ს. ჯიქია, დასახლებული ნაშრომი, გვ. 102.

⁸¹ იქვე.

⁸² ს-ნ ზარზმელს ც-ა, გვ. 156₁₃₋₁₄.

⁸³ ს. ჯიქია, დასახლებული ნაშრომი, გვ. 102.

⁸⁴ სცია, ფ. 70, ს. 59, გვ. 3 (ციტირებულია ს. ჯიქიას დასახლებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 102).

⁸⁵ არაქინ, ახალციხის ამბები, „ივერია“, 1901, № 127.

⁸⁶ „საქართველოს სსრ აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა (თბილისი, 1966)“ არ ასახელებს არც ძინძესა და არც უტყუხუბანს.

⁸⁷ ს-ნ ზარზმელს ც-ა, 171₅₋₈.

სოფელი უნწა, რომელიც შედის ადიგენის რაიონში⁸⁸. სოფლები: ვარხანი, აბასთუმანი, საბუზარა, სალრძე, ხარჯამი, წახანი, ქიქინეთი, წახნისწყარო, ხევაშენი და ბენარა სოფელ უნწასთან ერთად ვარხანის საბჭოში შედის⁸⁹. ს. ჯიქიას სამართლიანი მითითებით, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხსენიებული უნწა სწორედ ზემოდასახელებული უნწა უნდა იყოს, რომელიც სოფელ ვარხანიდან აღმოსავლეთით 2 კმ-ით არის დაცილებული⁹⁰. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსენიებული სოფელი უნწა ოცხის რაიონში შედიოდა, ეს უკანასკნელი კი ახალციხის ლივას განეკუთვნებოდა.⁹¹ „დავთარის“ შედგენის დროისათვის იგი საკმაოდ მოზრდილი სოფელი ჩანს: მასში 30 კომლი მოსახლეობს, რომელსაც შეწყობილი აქვს 8000 ახჩად შეფასებული ფულადი და ნატურალური გამოსაღები⁹². „დავთარის“ მიხედვით უნწას აკისრია შემდეგი გადასახადები⁹³:

ისთენჯი, 30 კაცი — 750	გამოსალ. ბოსტანზე 50
ხორბალი-ქილა 200, ლირებ. 2400	გამოსალ. ლორზე 50
ქერი-ქილა 360, ლირებ. 3600	გამოსალ. მურახხანზე 60
ქვავი-ქილა 15, ლირებ. 150	გამოსალ. თაფუზე და ღუმითბანნი 80
ფეტვი-ქილა 5, ლირებ. 50	
შირა-მანი 50, ლირებ. 400	გამოსალ. ცხვარზე 60
გამოსალ. ხილზე — 50	გამოსალ. იალაღზე 10
გამოსალ. იონჯასა და თივაზე 50	წისქვილი 2 თვალი, 6 თვით 60
გამოსალ. ფუტკარზე 50	ბნდაკვჳ და საქორწინო ვაჟოსალ. 60

ბასილი ზარზმელის თხზულებაში იხსენიება ძ ა რ ღ უ ა ს ს ო ფ ე ლ ი. იგი, როგორც ჩანს, ზარზმიდან შორს არ უნდა იყოს, რადგან ავტორი წერს: „...დაემოწაფა წმიდასა ამას კაცი ვინმე ყოლად უცნაური. და იყო კაცი იგი ადგილისაგან მცირისა, რომელსა ძ ა რ ღ უ ა ს ს ო ფ ე ლ ე წოდების. და დ ღ ი თ ი-დ ღ ე მ ო ვ ი დ ი ს კ ა ც ი ი გ ი და ეტყოდა მას, ვითარმედ: „მაკურთხე, მამაო, წმიდითა კელითა შენითა და შემრთე წმიდასა კრებულსა შენსა“⁹⁴. ასეთი სახელწოდებით სოფელი არც ვახუშტისთან გვაქვს და არც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოგვეპოვება რაიმე მის შესახებ.

⁸⁸ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 17.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ ს. ჯიქია, დასახელებული ნაშრომი, III, გვ. 172.

⁹¹ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, გვ. 126.

⁹² იქვე.

⁹³ იქვე.

⁹⁴ სწზრზმელს ცა, გვ. 182₁₋₈.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში იხსენიება აგრეთვე ბობხად წოდებული ადგილი⁹⁵. ერთგან ავტორი ასახელებს დაბას, რომელსაც ბობლა ჰქვია⁹⁶. უთუოდ ერთ და იმავე სახელწოდებასთან უნდა გვექონდეს საქმე, მხოლოდ მცირეოდენი განსხვავებით.

რომელი ფორმაა მისაღები, ამის გარკვევა შესაძლებელი ხდება თანხმოვანთა იმ კომპლექსების გათვალისწინებით, რომელთაც ქართული ენის სპეციფიკურ კომპლექსებს უწოდებენ (ბლ, თხ, ჰყ). „სპეციფიკურია ეს კომპლექსები ქართულისათვის, რადგანაც ასეთი რამ, სისტემის სახით, სხვა კავკასიურ ენაში არ გვხვდება; ქართულში კი ისინი სისტემას წარმოადგენენ. ეძახიან მათ, აგრეთვე, ჰარმონიულ ჯგუფებს, რადგანაც კომპლექსში შემავალი თანხმოვნები (მაგ., ბ და ლ, თ და ხ, ჰ და ყ) შეგუებულია ერთმანეთთან არა მხოლოდ ფიზიოლოგიურად, არამედ აკუსტიკურადაც: კომპლექსის შემადგენელი ორივე თანხმოვანი ერთნაირი მქდერადობა-სიყრუისაა: ან ორივე მქდერი, ან ორივე ყრუ ფშვინვიერი, ან ყრუ მკვეთრი“⁹⁷.

ქართულში ასხვავებენ თანხმოვანთა ჰარმონიული კომპლექსების ორ—A და B სისტემას. ამ უკანასკნელს ჰქმნის, სხვებთან ერთად, ბლ-ფხ-ჰყ ჰარმონიული კომპლექსები (მაგალითად: ბლავის-ფხა-ეჰყობა)⁹⁸. მაშასადამე, „ბლ“ ქართულისთვის სრულიად ბუნებრივი და ამავე დროს სპეციფიკური კომპლექსია, სადაც ორივე თანხმოვანი ერთნაირი ქდერადობისაა. საკმარისია „ბ“-ს გვერდით გაჩნდეს „ხ“ ყრუ ფშვინვიერი, ეს გამოიწვევს კომპლექსის ცვლილებას: „ბ“ თანხმოვანი ყრუვდება მეზობელი ყრუ ფშვინვიერის გავლენით. ამდენად, „ბხ“ არაბუნებრივია ქართულისათვის და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში დამოწმებული „ბობხაც“ ნაკლებ მისაღებად გვეჩვენება.

ასეთი სახელწოდების დასახლებული პუნქტი ვახუშტისთან არ გვხვდება. ი. ჯავახიშვილი სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხსენიებულ „ბობხა“-ზე ამბობს, რომ „ბობხა ეთანასწორება ალბათ თანამედროვე რუკების ბოლას“⁹⁹. ამის გამო ს. ჯიქია შენიშნავს: „თანამედროვე რუსულ რუკებზე მზეარის რაიონის ამ მონაკვეთზე Dora-დ აღნიშნული პუნქტი ქართულად ბოლა არ არის, ბოგაა და ამდენად

⁹⁵ ს. ზ. ზმლს ც. ა. გვ. 165₁₇.

⁹⁶ იქვე, გვ. 185₂₂.

⁹⁷ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 108—109.

⁹⁸ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი, 1956, გვ. 62.

⁹⁹ ი. ჯ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტომი II, 1948, გვ. 53.

ბოზხას გაიგივებას ბოგასთან დიდი ფონეტიკური დაბრკოლება ხედება¹⁰⁰.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში დასახელებული ადგილი, რომელიც ერთგან „ბოზხად“, ხოლო მეორეგან „ბობლად“ იხსენიება, ს. ჯიქიას აზრით, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთრის“ ტექსტში მოხსენიებული სოფელია, რომელიც ამ უკანასკნელის შედგენის დროისათვის გაუკაცრიელებულა; „დაეთარში“ იგი შეტანილია მზვარეს რაიონში სხვა გაუკაცრიელებულ ადგილებთან, — კერძოდ, კონჯლა, ქვემო-ფარება, ივლიტა და მარიამწმინდა, — ერთად¹⁰¹. მართალია, „დაეთრის“ გამომცემელს ამ სოფლის თურქულ დაწერილობასთან კითხვის ნიშანი დაუსვამს, მაგრამ III ტომში ს. ჯიქია აზუსტებს ამ სახელწოდებას და მის ქართულ შესატყვისად ბოზხლა-ბობხა ფორმებს წარმოგვიდგენს¹⁰².

ამრიგად, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება აღრინდელი ფეოდალიზმის ხანის სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის გარკვეულ ცნობებს შეიცავს. დასახელებული პუნქტებიდან ნაწილი დღესაც არსებობს ქვაბლიანის ხეობაში. ძეგლიდან აშკარა ხდება, რომ IX—X საუკუნეებში ისინი მკვიდროდ დასახლებულ პუნქტებს წარმოადგენდნენ (ზანავი, ჩორჩანი); მათი ნაწილი მომდევნო საუკუნეებში სრულიად გამქარალა (სოფელი ძარღუა, ბობლა-ბობხა); სამაგიეროდ იმ დროისათვის უკაცრიელი, სანადიროდ გამოსაყენებელი ადგილი კი მომდევნო საუკუნეებში მკვიდროდ დასახლებულ, ეკონომიურად მძლავრ პუნქტად გადაქცეულა (XVI საუკუნის ცხრთქა). ამრიგად, ეს ძეგლი ნაწილობრივ ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ქართულ წერილობით წყაროებს გააჩნია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ავტორი სამცხის აღსანიშნავად ხმარობს გამოთქმას „ქუეყანაჲ სამცხისაჲ“; ასევე აღნიშნავს იგი კლარჯეთსაც. მაგალითად: „ესე ნეტარი და ყოლად ქებული სერაპიონ აღმოსცენდა ქუეყანასა კლარჯეთისასა მშობელთაგან ღირსთა და პატიოსნებით და ლიტონად ცხორებულთა...“¹⁰³. ავტორი ასახელებს „ქუეყანასა ქართლისასა“. მაგალითად: „...მიქაელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდთაჲ, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოხისი საკვრველთ-მოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისაჲ,

¹⁰⁰ ს. ჯიქია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52.

¹⁰¹ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი. II, გვ. 36—37.

¹⁰² ს. ჯიქია, დასახელებული ნაშრომი. III, გვ. 63. შდრ. ტომი, II, გვ. 37.

¹⁰³ ს. ზარზმელის ც., გვ. 152²⁸⁻²⁸.

ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა¹⁰⁴. ბასილი ზარზმელი იხსენიებს „ქუეყანასა ბერძენთასა“. მაგალითად: „...ქელოვნებით ვანაქუმულსა კაცსა მოუწოდა მიქაელ ქუეყანისა განბერძენთასა, ადგილისაგან ხუფათ წოდებულისა“...¹⁰⁵.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ძეგლის ავტორი ტერმინს „ქუეყანა“ ხმარობს დიდი ტერიტორიული ერთეულის — ქვეყნის, მხარის მნიშვნელობით. მაგრამ იგივე ტერმინი მისი თავდაპირველი მნიშვნელობითაც არის გამოყენებული, როდესაც იგი მხოლოდ და მხოლოდ მიწას აღნიშნავდა. მაგალითად: „და ზეცისანი განმხიარულებულნი აღიდებდეს ღმერთსა, ხოლო ქუეყანისანი გუამისა მის წმიდისა შეხებითა სენთა და სალმობათაგან ქსნილნი მადლობასა და თაყუანის-ცემასა შესწირვიდეს“...¹⁰⁶; „...შრომით და ქუეყანის — მოქმედებით იზარდებოდეს“...¹⁰⁷; გიორგი ჩორჩანელი „...არა თუ ქუეყანი ერთა და ქუმეთრევეთაგან მდიდროდა, არამედ ღმრთის-მსახურებით ცხორებულთაცა ყოველთა ერეოდა“¹⁰⁸; „და გამოულო ქელთა მისთა და დაჰნერგა ქუეყანასა...“ რტოჲ ბაჲჲსაჲ¹⁰⁹; „ვჰმადლობთ ღმერთსა, წმიდანო მეუფენო, რომელმან ჟამთა ამათ მოხედვაყო ჩუენ ზედა და ქუეყანასა ზედა გჰჩუენნა კაცნი ზეცისანი“...¹¹⁰.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ავტორი დიდი ტერიტორიული ერთეულის — მხარის მნიშვნელობით ხმარობს, აგრეთვე, ტერმინს „ქვეცი“: „ხოლო მოგუეთხრა ესე არა თუ უჩინოთა ვიეთმე მიერ კაცთა, არამედ ფრიადცა საჩინოთა და ბრწყინვალეთა, ვიტყვთ უკუე გიორგის ებისკოპოსსა მაწყუერელსა, რომელი-იგი აღმოსცენდა ქევისა გან შუარტყლისა, მშობელთაგან წარჩინებულთა და ღმრთის-მოშიშთა, ხოლო აღიზარდა იგი განთქმულსა მას უდაბნოსა ოპიზას...“¹¹¹; ანდა: „და ვითარცა გარდავლეს მთაჲ იგი არსიან წოდებულნი და მივიდეს ქევსა ყველისასა, ხოლო იქმნა რაჲმე მუნცა ნაკლულევანებისა სრულ ყოფად განგებულებით, რამეთუ აჰა ესერა

¹⁰⁴ ს. ნ. ზარზმელის ც., გვ. 153₃₄₋₃₆—154₁₋₂.

¹⁰⁵ ი. ქ. ვ. ე., გვ. 183₂₂₋₂₄.

¹⁰⁶ ი. ქ. ვ. ე., გვ. 180₃₁₋₃₄.

¹⁰⁷ ი. ქ. ვ. ე., გვ. 152₂₈₋₂₉.

¹⁰⁸ ი. ქ. ვ. ე., გვ. 157₁₅₋₁₇.

¹⁰⁹ ი. ქ. ვ. ე., გვ. 173₇₋₈.

¹¹⁰ ი. ქ. ვ. ე., გვ. 159₂₋₃.

¹¹¹ ი. ქ. ვ. ე., გვ. 171₃₁₋₃₅.

მოგებნეს კაცნი ვინმე მონაზონნი და ჰრქუეს: „კეთილად მოხუედით, საღმრთონო მუშაკნო ქრისტეს ვენაჯისანო“...¹¹².

იგივე ტერმინი ხეობის, ხევის (ე. ი. გეომორფოლოგიური) მნიშვნელობითაც იხმარება: „ხოლო წმიდამან მან ვითარცა თითითა უჩუენა მათ ადგილი იგი, სადა ეგულებოდა აღშენებაჲ მონასტრისაჲ. და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას ქვევისასა, რომელ არს უტყვისა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელდებულსა, განიმსტურეს რაჲმე და განიცადეს, და იხილეს, რამეთუ უდაბნო იყო და შეეკვლ ტყეთა და ქვეთა“¹¹³. ან კიდევ: „რამეთუ აღვპყევით პირსა მის მდინარისასა და მივიწიენით ქვესა რასმე ღრმასა და უდალსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების, და ფრიად ძლით შევედით მას შინა, ვინაჲცა სიკშოჲსა მისგან მყოფარ ჟამ ვერღარა ვიხილეთ ცაჲ ანუ მზისა შარავანდელი, რომლისათესცა კირით და შრომით დაყოვნებულნი, ვითარცა სიზრქით აღმურისაჲთ ანუ სიღრმით უყისაჲთ აღმოშობილნი, აღვედით რაჲთავსა მის ქვეისასა და ვიხილენით მცირენი რაჲმე ყანობირნი და მცირე დაბაჲ“¹¹⁴.

ტერმინი „ქუეყანა“, ვითარცა ქვეყნის, მხარის აღმნიშვნელი, ბასილი ზარზმელის თხზულებაში გვხვდება 6-ჯერ, ხოლო თავდაპირველი მნიშვნელობით — 5-ჯერ. ზემოაღნიშნული ტერმინი, როგორც ცნობილია, ამ ახალ მნიშვნელობას VIII საუკუნიდან იძენს¹¹⁵. VIII საუკუნის წინა ხანაში ამ შინაარსით ხმარებული ერთადერთი სიტყვა იყო „სოფელი“. თუ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში IX საუკუნემდე ტერმინი „სოფელი“ აღნიშნავდა ქვეყანას, მხარეს, და ბოლოს, სამყაროს, ამიერიდან იგი იხმარება, აგრეთვე, როგორც ტექნიკური ტერმინი დასახლებული პუნქტის აღსანიშნავად. ამ უკანასკნელმა მნიშვნელობამ ხმარებიდან თანდათან განდევნა ყველა სხვა მნიშვნელობა, რომელთაგან უკანასკნელ დრომდე შემოგვრჩა მისი ხმარება სამყაროს აღმნიშვნელად¹¹⁶, ხოლო ქვეყნის აღსანიშნავად იგი VIII საუკუნის დამლევამდე იხმარებოდა. ამ მნიშვნელობით ტერმინი „სოფელი“ უკანასკნელად დადასტურებულია იოანე საბანის ძის თხზულებაში¹¹⁷.

¹¹² ს. ზ. ზმელს ც. გვ. 175₂₁₋₂₂.

¹¹³ ი ქ ვ ე, გვ. 156₉₋₁₄.

¹¹⁴ ი ქ ვ ე, გვ. 163₇₋₁₄.

¹¹⁵ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვეთი პირველი, გვ. 6.

¹¹⁶ И. Д ж а в а х о в. Государственный строй древней Грузии и Армении, том I, ТР, книга VII. 1905, გვ. 39—40.

¹¹⁷ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 140.

ძველ ქართულ მწერლობაში დასახლებული პუნქტის აღსანიშნავად IX—X სს.-მდე ხმარებული ერთადერთი ზოგადი ტერმინი იყო „დაბა“, რომელიც თანამედროვე „სოფლის“ გაგებით იხმარებოდა და ძველ ქართულში აღნიშნავდა დამუშავებულ ადგილს, განსხვავებით დაუმუშავებლისაგან, რომელსაც უდაბნო ეწოდებოდა. ამ სიტყვის „დაბ“ ძირი დღემდე იხმარება სვანურში, სადაც იგი „ხნულს“ აღნიშნავს¹¹⁸. ტერმინი „დაბა“ IX—X საუკუნეებიდან მოყოლებული განდევნა ტერმინმა „სოფელი“¹¹⁹.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში დასახლებული პუნქტის აღსანიშნავად ტერმინი „დაბა“ იხმარება: „ხოლო ეუწყა რაჲ უფალთა მის და ბისათა, ვითარმედ უცხოთა ვიეთმე მონაზონთა ჰნებაჲს ადგილსა მას აღმენებად მონასტერი, ხოლო მათ არა ინებეს...“;¹²⁰ „...ხოლო გვხილნეს რაჲ კაცთა მის და ბაწისქელისათა, იწყეს ყენებად ჩუენდა, და ვითარცა ცოფნი წინა რბიოდეს“¹²¹; „...ალვედით რაჲ თავსა მის ქევისასა და ვიხილენით მცირენი რაჲმე ყანობირნი და მცირე დაბაჲ“¹²²; „ხოლო კაცი იგი ია გუჩუენებდა მცირესა რასმე დაბასა და სახელსდებდა კაცსა სახელოანსა და კეთილსა, რომელსა ეწოდა გარბანელ და გუეტყოლა...“¹²³; „და ვითარ მივედით დაბასა მას, აჰა ესერა ზემო კაცი იგი კსენებული მივიდოდა სახედ თვსად ორთა თანა ძეთა მისთა“¹²⁴; „ხოლო იყო კაცი იგი დაბისაგან ბობლა წოდებულისა“¹²⁵.

ამავე მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ტერმინი „სოფელი“: „ხოლო წმიდამან მან განაჩინნა წესნი და კანონნი საეკლესიონი, რომლისა მიერ ირწყვებოდეს საღმრთოთა მადლითა, ვინაჲცა სოფლებნიცა მისცნა კაცმან მან ღმრთისამან გიორგი, ვიდრემდის მოსწრაფე იყო, რაჲთა ყოველივე ადგილისა მისთვის წარაგოს“¹²⁶; „და

¹¹⁸ Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка. т. 3, с. 43; ი. ჭავჭავაძის ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 140; არნ, ფიქობაძე. სახელის დუბის უძველესი ადგილები ქართველურ ენებში, თბილისი 1942. გვ. 15—16.

¹¹⁹ И. Джавахов, Государственный строй древней Грузии и Армении, том 1, с. 39—40.

¹²⁰ სწ. ზრ. ზმ. ს. ც., გვ. 156₂₀₋₂₂.

¹²¹ იქვე, გვ. 162₃₁₋₃₃.

¹²² იქვე, გვ. 163₁₃₋₁₄.

¹²³ იქვე, გვ. 165₆₋₈.

¹²⁴ იქვე, გვ. 165₂₄₋₂₆.

¹²⁵ იქვე, გვ. 185₂₃₋₂₄.

¹²⁶ იქვე, გვ. 171₁₉₋₂₃.

შემოკრბა სიმრავლე გარემოთა მონასტერთა და სოფელთა“;¹²⁷
„და იყო კაცი იგი ადგილისაგან მცირისა, რომელსა ძარლუას
სოფელ ეწოდების“¹²⁸; „და ვითარცა წარვიდა კაცი იგი
სოფლად თჳსსა, იცნეს იგი კაცთა და მეგობართა“...¹²⁹.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში ტერმინი „სოფელი“ თავისი ად-
რინდელი მნიშვნელობითაც იხმარება: „ისწრაფე, ძმაო, და წარვედ
ადგილთა ნამუშავეთა შენთა, რამეთუ შფოთნი რამე შემთხუეად
არიან ეამ რაოდენმე, ხოლო თუ უნდეს ღმერთსა, ადრე იქმნას გან-
ქარვებაჲ მათი, გარნა მე ვერღა მიხილო ოდესცა სოფელსა ამას,
რამეთუ ადრე წარვალ ამიერ“¹³⁰; „რამეთუ მახლობელ რაჲ იქმნა სო-
ფლით წარსლვისა და მწუხარებისაგან სიხარულად მისლვისა, მოუ-
წოდა კრებულსა მას ძმათასა და ჰრქუა“...¹³¹.

ტერმინი „სოფელი“ ბასილი ზარზმელის თხზულებაში სამყაროს
აღმნიშვნელადაც იხმარება: „ერეთ დედაჲ ამისი ნეტარისაჲ სახელ-
მოუქსენებლად დაიფარა სოფლით, რამეთუ ნათლად რაჲ გამო-
იყვანა წმიდაჲ ესე ნაშობი ორთა თანა ძმათა მისთა...“¹³²

აღნიშნულ ძეგლში ტერმინი „დაბა“ დასახლებული პუნქტის აღ-
სანიშნავად იხმარება 6-ჯერ, ხოლო „სოფელი“ — 4-ჯერ.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში ტერმინების — „ქუეყანა“ და
„სოფელი“-ძველი და ახალი მნიშვნელობით თითქმის ერთნაირად
გვერდიგვერდ ხმარება უნდა მიგვანიშნებდეს, რომ თხზულება შეიქმ-
ნა სწორედ იმ ხანაში, როდესაც ზემოაღნიშნული ტერმინები კვლავაც
იხმარებოდა მათი თავდაპირველი მნიშვნელობით, თუმცა ახალი ში-
ნაარსით გამოყენებაც უკვე მკვიდრად იყო ფესვგადგმული.

დასკვნა

ამრიგად, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების სახით ხელთა
გვაქვს ადრეფეოდალური ხანის უმდიდრესი და უმნიშვნელოვანესი
საისტორიო წყარო. აღნიშნულ თხზულებაში უხვად არის მოცემუ-
ლი ცნობები სამცხის ისტორიულ გეოგრაფიაზე, დადასტურებულია
ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე არსებული ქედების, ხევების, ხეობების,
ტბათა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი. თხზულებაში

¹²⁷ ს.წ. ზარზმელის ც., გვ. 342₂₅₋₂₆.

¹²⁸ იქვე, გვ. 343₂₉₋₂₉.

¹²⁹ იქვე, გვ. 344₄₋₅.

¹³⁰ იქვე, გვ. 337₅₋₈.

¹³¹ იქვე, გვ. 341₅₋₇.

¹³² იქვე, გვ. 321₂₁₋₂₂.

არსებული მონაცემებით შესაძლებელი ხდება სამცხის ზოგი მნიშვნელოვანი პუნქტის ლოკალიზებაც.

თუ ქართულ საისტორიო წყაროებში მცირეოდენი რამ მაინც არის მოთხრობილი სამცხეში არსებული თორის, ციხის-ჯუარის, აწყურის, რკინის-ჯუარის, დემოთის, ლომსიანთას შესახებ, სრულიად არაფერია ნათქვამი ისეთ გეოგრაფიულ პუნქტებზე, როგორცაა: ბობლა-ბობხა, უმწაჲ, ძინძე, უტყვსა, ზანავი, ჩორჩანი, ძარლუას სოფელი და ბერას-ჯუარი. ამ ადგილებს პირველად სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება ასახელებს. ამრიგად, ეს ძეგლი ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ამ მხრივ ქართულ საისტორიო წყაროებს გააჩნია.

თხზულება საშუალებას გვაძლევს რამდენადმე მაინც წარმოვიდგინოთ IX — X საუკუნეების სამცხის ეკონომიური ვითარება. აღნიშნული პროვინცია სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ფრიად დაწინაურებული ყოფილა. თხზულებაში დადასტურებული ტერმინები: „აგარაკი“, „ყანობირი“, „ორთოკი რკინისაჲ“, „წისქვლი“ მიგვანიშნებს, რომ მემინდვრეობა, როგორც მეურნეობის დარგი, მართლაც არსებულა IX—X საუკუნეთა სამცხეში.

მიწათმოქმედების გვერდით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მესაქონლეობას, აგრეთვე, მონადირეობას.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს როგორც წყარო, რომელშიც სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენებით („შენებაჲ“, „აშენებაჲ“, „მაშენებელი“, „აღმაშენებელი“, „პირველნი აღმაშენებელნი“, „კულად აღშენებაჲ“, „ხურონი“, „გალატოზი“, „გალატოზთა გამგებელი“, „ხუროთმოძღვარი“) უხვად მოიპოვება ფაქტები ხელოსნობიდან.

ბასილის თხზულებამ შემოგვინახა ცნობები ვაჭრობის სფეროდანაც; როგორც ირკვევა, არც ფულადი მეურნეობა ყოფილა ამ მხარეში საესეებით უცნობი. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სამცხის სოციალური ვითარების გასათვალისწინებლად. მასში დაცულ სოციალურ ტერმინთა ანალიზი და მათი შეესება-შეჭერება სხვა ძეგლში (მაგ., გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება) დადასტურებულ ტერმინებთან შესაძლებლობას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ამ მხარის ფეოდალური საზოგადოების როგორც მაღალი (გაბატონებული), ისე დაბალი (დაქვემდებარებული) საზოგადოებრივი ფენები. ასეთი ტერმინებია: მთავარი, წარჩინებული („მთავარი დიდი და წარჩინებული“), უფალი, საკუთარი, წინაშემდგომელი, ქუეყანის-მოქმედი, კაცი, გლახაკი, მონა.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში შესული სოციალური ტერმინოლოგია, ჩვენი აზრით, ასახავს ფეოდალური ურთიერთობის იმ

ეტაპს, როდესაც „მამული“ იხმარება როგორც ფეოდალური მიწათმფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინი, ხოლო „ერი“ ქცეულია სოციალურ ტერმინად (შდრ. „წურილი ერი“ და სხვ.). მთავრდება ადრე-ფეოდალური ხანა და იქმნება საპირო სოციალ-ეკონომიური პირობები განვითარებული ანუ მომწიფებული ფეოდალური ხანისათვის. ამ გარდამავალ ეტაპზე გაძლიერდა მიწების ფეოდალური დატაცება. ფეოდალს ჰქონდა მონაგები, ნახმლვეი, ნანდერძევი და სხვა, მაგრამ მიწის ფეოდალური გასაკუთრება ძირითადად მაინც სათემო მიწების ხარჯზე ხდებოდა. ეს პროცესი ხასიათდება მძაფრი სოციალური ბრძოლებით, რომელთა შესახებ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში. ამ საკითხის ირგვლივ ქართული მწერლობის თითქმის არც ერთი ძეგლი არ გვაძლევს ისეთ მონაცემებს, როგორსაც აღნიშნული წყარო.

ბასილის თხზულება საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ქართული ხელოვნებისა და სამართლის ისტორიისათვის. ამ უკანასკნელისათვის მნიშვნელოვანია ძეგლში დაცული ფაქტები, რომლებიც ბაჰლანდინათა საგვარეულოში შემკვიდრებისათვის ატეხილ ბრძოლას შეეხება.

ძეგლი არ არის მნიშვნელობას მოკლებული ძველი ქართული მწერლობის ისტორიის თვალსაზრისით, მასში დადასტურებულია ქართულ ენაზე არსებობა ისეთი თხზულებებისა, როგორიცაა „ცხოვრება“ პავლე თებელისა, ანტონი დიდისა, მაკარი ეგვიპტელისა, ილარიონ დიდისა, თეოდოსი დიდისა, ხარალამპისა, გრიგოლ აკრაქანტელისა; თუ ამ თხზულებათა არსებობა სხვა წყაროებიდანაც ცნობილი იყო, ბასილის ნაწარმოები შეიცავს ცნობას მიქელ პარეხელის ცხოვრების არსებობის შესახებ, რომელიც მის მოწაფეებს შეუქმნიათ. ანალოგიური ცნობა ჭერჭერობით არ მოგვეპოვება. აღარაფერს ვამბობთ იმ საკითხებზე, რომლებიც სამცხე-კლარჯეთში გაშლილ სამონასტრო-სამოქალაქო კოლონიზაციის ისტორიას უკავშირდება.

ერთი სიტყვით, ბასილი ზარზმელის სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა, რომელიც ნათელს ჰფენს ჩვენი ქვეყნის წარსულის არაერთ ყურადსაღებ საკითხს. გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი შესანიშნავი მატრიანეა, და ამ მხრივ ბევრად არ ჩამოუვარდება გიორგი მერჩულეს ბრწყინვალე თხზულებას.

ცხორებად და მოქალაქობად ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისად სმრაპიონისი*

გლუკურთხენ, მამაო!

I. ფრიად უკუე შეუენიერისა და მრავალ-საწადელისა და საღმრ-
5 თოხსა ქებისა და ბრწყინვალედ შესხმისა ღირს არიან მოყუარენი
ღმრთისანი და აღმასრულებელნი საღმრთოთა მცნებათა მისთანი. რა-
მეთუ თავადი მეუფე და ღმერთი ჩუენი ჰნატრის მათ ბრძანებათა
შინა სახარებისათა, იტყოდეს რაჲ: „ნეტარ იყვენენ გლახაკნი სული-
10 თა“¹ და შემდგომითი-შემდგომად სხუანი იგი ყოველნი ნეტარებანი.
ხოლო დასასრულსა ვითარცა ნიჰსა რასმე და გვრგვინსა ბრწყინვალე-
სა წინა-უყოფს და სასყიდლად შრომათა მიჰმადლებს და ეტყუეს: „გი-
ხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი დიდ
[არს] ცათა შინა“². და სხუასა ადგილსა იტყუეს: „ამას ზედა ნუ გი-
ხარის, რამეთუ სულნი ბოროტნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხარო-
15 დენ, რამეთუ სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა“³. და კუა-
ლად მამაჲ ღმრთისაჲ დავით იტყუეს: „ამისთვის განიხარა [1] გულმან
ჩემმან და გალობდა ენა[ჲ] ჩემი“⁴, და „ვითარ მხიარულთა ყოველ-
თა მკ:ღრობაჲ შენდამი არს“⁵. ხოლო ესე სიხარული მოიწვევის
საღმრთოხსა მისგან ნეტარებისა, რომელსა იგივე წინაწარმეტყუელი
დასაბანსა [V] ფსალმუნთასა დასწერს ნეტარებასა კაცისასა „რომე-
20 ლი არა ვალს გზასა უღმრთოთასა“⁶ და კუალად: „ნეტარ არიან უბი-
წონი გზასა მავალნი შჯულსა უფლისასა“⁷.

და ყოლად ბრძნისა მამისა ყოლად ბრძენი ძე სოლომონ იტყუეს:
„ნეტარ არს კაცი, რომელმან მოიგო გონიერებაჲ და მოკუდავმან,
რომელმან პოვა მეცნიერებაჲ“⁸. ხოლო ოქრო[ჲ] აედონი ეკლესი-
25 ისა[ჲ] პავლე კმობს: „გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ და კუალად
გეტყუ: გიხაროდენ“⁹.

ნუსხ:შია: [1] განიხაროს.

¹ მათე 5.3. ² მათე 5.12. ³ ლუკა 10.20. ⁴ ფსალმ. 15.9. ⁵ ფსალმ. 86.7. ⁶ ფსალმ. 1.1. ⁷ ფსალმ. 118.1. ⁸ ივანე. 3.13. ⁹ ფილიპ. 4.4.

* ძეგლის წინამდებარე გამოცემა იმეორებს მის წინა გამოცემას: „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V—X სს.)“ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1964. მისგან განსხვავებით ტექსტს ვურთავთ ლექსიკონსა და საძიებლებს.

რამეთუ სარწმუნოებაჲ თქუენი სამარადისოსა ნეტარებასა მოგატყუებს თქუენ და ამით სასოებითა განმტკიცებულთა ძუელისა და ახლისა სჯულისა წმიდათა ისწავეს მოთმინებაჲ და სარწმუნოებით რბიოდეს გვრგვნსა მას ზეცისა ჩინებისასა, ვითარცა იგივე პავლე, პირი ქრისტესი, იტყუ[ს]: „რამეთუ არს სარწმუნოებაჲ მოსავეთა მისთა ძალ⁵ საქმეთა მამხილებელ არა ხილულთა, რამეთუ ამას შინა იწამნეს მოხუცებულნი“¹⁰ ძუელსა და ახალსა შინა საღმრთოდ განბრწყინებულნი. რამეთუ ვითარცა-იგი ერთისა მისგან მდიდრად აღმომდინარისა წყარო[ა]სა მრავალნი ირწყვებიან მტილნი[ი] და სამოთხენი და სიმრავლე ნერგთა თვით-სახეთა[ა] მადლისა მისგან და ნიჭისა საღ-¹⁰მრთო[ა]სა, ეგრეთვე მოფინების ყოველთა თითოეულად განფენა მადლთა, ვითარცა იგივე პავლე ჯმობს: „განფენანი მადლთანი [არი-ან]“¹¹ და თესლად-თესლადი ენათა. და კუალად იტყუ[ს]: „პირველად მოციქულნი, მწყემსნი და მოძღუარნი და მამანი [245] დაეწეს-ნენ“¹², რამეთუ შემდგომითი-შემდგომად არა დააკლებს მადლი სუ-¹⁵ლისა აღმოშობად შვილთა მათ ემბაზისათა ვითარცა-იგი სიტყუაჲ მეტყუელი. ვითარმედ: „მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-აცემდით სახელითა მამისა[ა]თა და ძისა[ა]თა და სულისა წმიდისა[ა]თა;“¹³ და „აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ“¹⁴ და შემდგომი. და სხვთ „ალორძნდით [1] და განწარვლდით და განაესეთ ქუეყანაჲ“^{15, 20} და კუალად მოციქული[2] იტყუ[ს]: „იესუ ქრისტე, გუშინ და დღეს და იგი თავადი უკუნისამდე“¹⁶, რომელმან აწცა აღმოაბრწყინეა ვითარ-²⁵ცა რაჲ ელეა-ციკროვნება[ა] ახალთა ამათ მნათობთა[ა] ახალსა სამყაროსა წმიდისა ეკლესიისა[სა], რაჲთა ვითარცა მთიები ბრწყინვიდენ პირსა ყოვლისა სოფლისასა და ბაძვად საღმრთოდ მოქალა-³⁰ქობისა გულსა ყოველთა მოსწრაფეთასა. რამეთუ აჰა ესერა ჯერ-ჩინებითა ღმრთისაჲთა ეამთაცა ჩუენთა იხილვნეს ახალნი მნათობნი და მოძღუარნი და მასწავლელნი, ვითარცა ძუელსა შინა ელია და იოვანე, და შემდგომად პავლე თებელი და დიდი ანტონი, მაკარი, ეფთვი, სება და გერასიმე. და რად გვკმს თვითოეულად წარმოთქუმა[ა]; ყო-³⁵ველნი მსგავსნი და მობაძვანი მათნი, რომელთა ვლეს მოსწრაფებით იწროჲ და საჭირველი გზაჲ, მიმყვანებელი ზეცისა ქალაქად, რომლისა ხუროთ-მოძღუარ და შემოქმედ ღმერთი არს.

ხოლო იტყუან ვიეთნიმე, ვითარმედ: „ეამთა ამათ ჩუენთა არღარავის [v] კელ-ეწიფების მსგავსებაჲ პირველთა მამათა[ა], რამეთუ³⁵

ნუსხაშია: [1] ალორძინდით. [2] მოციქული.

¹⁰ ე ბ რ ა ე ლ. 11,1-2. ¹¹ I კ ო რ ი ნ. 12,4. ¹² I კ ო რ ი ნ. 12,28. ¹³ მ ა თ ე 28,19. ¹⁴ მ ა თ ე 28,20. ¹⁵ შ ე ს ა ქ. 1,28. ¹⁶ ე ბ რ ა ე ლ. 13,8.

განგებითა რა[**ა**]თმე საღმრთოთა მიფარულ არს“. არამედ შენ ის-
 მინე გულს-მოდგინედ, საყუარელო, რომლისათვის აწ სიტყუაჲ წარ-
 მართებულ არს. რამეთუ ყოვლითურთ მსგავს იქმნა ამათ წმიდათა მა-
 მათა ყოლად ბრწყინვალე და ზეცისა ჩინებისა ღირსი ყოლად წმიდაჲ
 5 მამაჲ და მოძღუარი ნეტარი სერაპიონ. გარნა ვიტყოდით ზოგს-რამემ
 შეკრებულთა ცხოვრებისა მისისათა აღწერით მოთხრობად და საღმრ-
 თოთა სმენის-მოყუარისა სიწმიდისა თქუენისა მოჭსენებად, * პატიო-
 სანო და საღმრთოო კრებულო და მწყობრ-მდგომობით მიმსგავსებულ-
 ნო ზეცისა დასთანო, რომელნი მკვდრ ჩინებულ ხართ ტალავართა ნა-
 10 მუშავეთა მისთა, მღდელნო და მამანო უდაბნო[**ა**]სა დიდისა ზარზ-
 მისანო, რომელთა წილ კეთილ გხუდა[**1**] დიდი ესე მნათობი მამაჲ,
 მამათა მოძღუარი და მასწავლელი, რაჲთა გუესმოდო[**ა**]ნ სწავლანი
 და საღმრთონი საქმენი და შრომანი მისნი და ვადიდებდეთ მამასა
 ზეცათასა, ვითარცა-იგი უფალი იტყვს, ვითარმედ: „ესრეთ ბრწყინვე-
 15 დინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი
 კეთილნი“¹⁷, და შემდგომნი. ხოლო ჳერ-არს ჩუენდა, ძმანო, რაჲთა
 ჩუენცა ძალისაებრი ვაჩინოთ ბაძვა[**ა**] დიდისა მის მოძღურისა[**2**]
 და მწყემსისა [ა] [3]; და აწ გულს-მოდგინედ [246] და შრომის-მოყუა-
 რებით ვისმინოთ მცირე ესე სიტყვსამიერი გამოხატვაჲ ვრცელისა
 20 მის ფრიად საწადელისა ცხოვრებისა მისისა და აწინდელისა აქა შემო-
 კრებისაჲ. ხოლო ცრემლით ვევედრები სიყუარულსა თქუენსა ყოლად
 უღირსი ესე, რაჲთა თანა-ლმობილ იქმნეთ უძღურებისა ჩემისა მო-
 ცემად სიტყუაჲ ღირსი აღებასა პირისა ჩემისასა სიტყუასა მიერ უსიტყ-
 უთა სიტყვერ-ყოფელისა და უძღურთა განმძლიერებელისა, რამეთუ
 იწყებს სიტყუაჲ დასაბაძსა ცხოვრებისა მისისასა.

25 II. ესე ნეტარი და ყოლად ქებული სერაპიონ აღმოსცენდა ქუე-
 ყანასა კლარჯეთისასა მშობელთაგან ღირსთა და პატიოსნებით და ლი-
 ტონად ცხოვრებულთა, რომელნი შრომით და ქუეყანის-მოქმედებით
 იზარდებოდეს და ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ზრდიდეს გლახაყ-
 თა, და ძალისაებრსა მისცემდეს უღონოთა კელის-აპყრობასა, და სიმ-
 30 შკდით და სიმდაბლით იყოფვოდეს მსგავსად საწინაწარმეტყუელო-
 [ა]სა სიტყვსა: „ვის მივხედნე, გარნა მშკდსა და მდაბალსა“¹⁸ და
 შემდგომი. ხოლო მამასა ამის ნეტარისასა ეწოდებოდა კჳპრიანე, ხო-
 ლო სახელსა დედისა მისისასა უმეცარ ვართ, არა თუ სახე ბოროტე-
 ბისა რაჲსათვისმე, არამედ ჟამთაგან დაფარვისათვის, რამეთუ რომელ-

ნუსხაშია: [1] გზოდა. [2] მოძღურისაჲ. [3] მწყემსისა[ა]—და აწ გულისკმის-ყოფა[ა].
 და ბაძვაჲ დიდისა მოძღურისა და მწყემსისაჲ.
¹⁷ მათე, 5, 16. ¹⁸ ესაია 66, 2.

მან ესევეთარი გამოილო ნაყოფი, ვერ ეგების მისი უშუერებით და უნდოდ წარწ[v]ყმედაჲ, ვითარცა უფალიცა იტყოდა: „ვერ კელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოლდება“.19 ესრეთ დედაჲ ამისი ნეტარისა[ა] სახელ-მოუქსენებელად დაიფარა სოფლით, რამეთუ ნათლად რაჲ გამოიყვანა წმიდაჲ ესე ნაშობი ორთა თანა ძმა-ბ-თა მისთა, რომელი ერთი იგი უხუცეს იყო და ერთი უმრწემეს, რომლისა კსენებაჲ მრავალგზის ეგულების სიტყუასა, რამეთუ შვნა რაჲ სამნი ესე ნაშობნი და განიხარა შვილთ-სხმისაგან, ვითარცა მეფსალმუნე დასწერს: „დედაჲ შვილთა ზედა სახარულევანი“20 ნათლად გამოყვანებელი მათი ნათლად წარუვალად[!] მიიცვალა. ხოლო უმრ-წემესი ძე იოვანე დაშთა ყოლად უსრული და ენა-ბრგუნილი[2]. იგი უკუე აზარდა მამამან მისმან კვპრიანე, ვითარცა შეჭვავს მამასა შვილთ-მოყუარესა. არამედ შემდგომად არა მრავალთა წელთა აღესრულა მამა[ა]ცა ამათ ნეტართაჲ[3] და წინაშე ღმრთისა მიიცვალა სიბერიითა კეთილითა განპოხებული. და დაშთეს სამნივე იგი ყრმანი15 მსგავსად ბაბილოვნისა ყრმათა აღსა მას შინა სიგლახაქისასა შეთხეულნი.

ხოლო აქა ეგულების სიტყუასა მცირედ წიაღსლვა[ა] სხუად მიმართ, რაჲთა უმეტეს გამოჩნდეს კეთილთა მათ ნერგთა ნაყოფთ-მცენარებაჲ, და ამისსა შემდგომად კუალად არა ოდენ ასწილ, არამედ20 უმეტესცა რტო-განრთხმით გარდაფენილებაჲ ოცდაათეულად, სამოცეულად [247] და ასეულად, რაჲთა დასასრულსა თხრობისასა გულისკმა-ჰყოთ, თუ ვითარი ტკბილი და შუენიერი დამწიფდა ტევანი მათისა მის მოძღურებისა ნამუშავეთაჲ.

III. არამედ აწ ჭერ-არს ჩუენდა, რაჲთა დიდთა მათთვის უდაბ-25 ნოთა და მონასტერთა მოვიკსენოთ, თუ ვინა[ა] იქმნა შენება[ა] მათი, ანუ ვინ იყენეს მაშენებელნი იგი, პირველად—სული იგი და მადლი საღმრთოჲ, და მერმე—მის მიერ აღძრულნი წმიდანი იგი მამანი. რამეთუ აღეშენა რაჲ წმიდაჲ და დიდი უდაბნო[ა] ოპიზაჲ მონა-ზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკა-30 რი. ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით და აღაშენა უწყებითა საღმრთოთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათა[ა] ადგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეს უწოდოიან. ხოლო ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქაელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდ-35 თაჲ, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოხისა საკვრევლთ-მოქმედისაჲ,

ნუხსაში: [1] წარვლად. [2] ბრგუნჯი. [3] ნატრთაჲ.

19 მათე 7,18. 20 ფსალმ. 112,9.

რომელი, ვითარცა მთიები განთიადისა[ა], ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა. ამისა ნეტარისა მიქაელის მიმართ წარემართა ყოლად ბრძენი სერაპიონ, რომელსა თანა-ჰყვა ძმა[ა] მცირე ჰასაკითა. რამეთუ დიდსა მიქაელს, ვითარცა რაჲ მამასა სულთასა და მზრდელსა 5 ობოლთასა, შეჰვედრა თავი თვისი. ხოლო ნეტარსა მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწა[v]ფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და მაკარი, ეგრეთვე მიქაელს ბასილი და მარკელაოზ. და მათ თანა შეივედრა[!] ნეტარი სერაპიონ თანა-ძმითურთ და თანაადრაცხილ ყვნა დასსა მოწაფეთასა. ხოლო 10 უხუცესი იგი ომად წესითა მსოფლიოთა დამპყრობელ ექმნა[?] მამულსა სამკვდრებელსა და იგივე შეიტკბო ტალანტი, მოლუაწებად უცხოთა და გლახაკთაჲ.

ამისსა შემდგომად მო-რა[ა]-იწია ჟამი; წმიდაჲ მამა[ა] ჩუენი ვითარცა ღირსი ბრძანებითა მიქაელისითა პატივითა მღვდლობისა[ა]- 15 თა სრულ იქმნა და ღირსებით მსახურ საღმრთო[ა]სა საკურთხეველისა. და ამან ყოლად განთქ[უ]მულმან და დიდთა ნიშთა მოქმედმან მიქაელ აღზარდნა და სრულებად სათნოებისა აღიყვანნა ივინი, ვინა- [ა]ცა ხედვიდეს საღმრთოსა[ა] მას მოქალაქობასა მისსა და მდინარეთა უმდიდრესთა სწავლათა[ა] და ნიშთ[ა] და სასწაულთა დიდთა 20 მის მიერ აღსრულებულთა, რომელნი შემდგომად სიკუდილისა მისისა აღწერნეს მოწაფეთა მისთა. ამას რაჲ ყოველსა ხედვიდეს წმიდანი იგი, ვითარცა მაგალითთა კეთილთა შთახედვიდეს მსგავსად ქელოვანთა მხატვართა და მისმიერთა მადლთა მოღებითა აშენებდეს საფუძველსა ზედა სწავლათა მისთასა არა თივასა ლერწამსა, არამედ ოქ- 25 როსა, ვეცხლსა და თუალთა ანთრაკთა. ხოლო მის მიერ შეყუარებულ იყვნეს ვითარცა კეთილად მიმღებ[248]ელნი სწავლათა მისთანი. ამით ესევეთარითა საქმითა აღასრულეს ჟამი მრავალი წინაშე მისსა და ყოვლითურთ მობაძად მისსა იქმნნეს.

IV. ხოლო ჩუენდა ჯერ-არს, რაჲთა ნეშტი თხრობისა[ა] გულს- 30 მოღვინებით ვისმინოთ, თუ ვითარ მოიწივნე[ს] სანახებთა ქუეყანისა სამცხისათა. ესერა ვთქუათ, რამეთუ იყო რაჲ დიდი იგი მამა[ა] და მოძლუარი მიქაელ მდგომარე ლოცვასა დამისასა, განკვრევაჲ რაჲმე დაეცა და აღიტაცა ზეცად და იხილა ვინმე, ვითარცა მღვდელ-მუენიერად შემოსილი, და ეტყოდა მას. რაჲთა მის მიერ განსწავლულნი 35 იგი მოწაფენი მყის წარავლინნეს ქუეყანად სამცხისა, რომელ არიან სერაპიონ და იოვანე. და უჩუენებდა ნიშთა რათმე და სახეთა, თუ რომელსა მივიდენ ადგილსა; პოონ, მივიდენ რა[ა], სასწაული იგი და

ნუსხაშია: [1] შეივედრა. [2] იქმნა. [3] სლთ-მას. [4] სწავლაჲთა.

მუნ[1] კელ-ყონ აღშენებაჲ მონასტრისა[ა] და შეკრიბნეს მას შინა სულნი მრავალნი სადიდებელად ღმრთისა და მეუფისა ყოველ-თაჲსა. და ესე ჩუენებაჲ აქამომდე იყავნ!

ხოლო მო-რა[ა]-ეგო გონებასა წმიდაჲ იგი, რომელსა მრავალნი ეხილვნეს ნიშნი საღმრთონი, და მოუწოდა წმიდათა მათ ლა შექმუ-
ნებულთა ჰირითა ჰრქუა სერაპიონს: „საყუარელო შვილო და ქრის-
ტეს მიერ ძმად სერაპიონ, ფრიად მძიმედ აღმიჩნდა ბრძანებაჲ ესე,
რამეთუ ფრიადცა უყუარს სულსა თანაზრდილობაჲ და უფრო[ა]ს-
ლა, რომელნი საღმრთოთა სიყუარულითა შეკრულ იყვენ. აწ ვინა-
[ა][v]თგან საღმრთოჲ არს ბრძანებაჲ ესე, რაჲთა განხვდე ამიერ და
10 აღაშენო სულთ-სამზრუნველოჲ, სადა-იგი გიჩუენოს შენ ღმერთმან“. ხოლო მას ესმა რაჲ წმიდისა მიერ. დავარდა ფერკთა თანა მისთა და მყოვარ ეჲმ უქმოდ მდებარე იყო. ხოლო წმიდამან უპყრა კელი, აღ-
დგინა და ეტყოდა: „გულპყრობილ იყავ, შვილო, რამეთუ შეუძლე-
ბელ არს ბრძანებასა საღმრთოსა მცირედცა წინა-განწყობაჲ, და ესე-
15 ცა ბრძანებაჲვე არს, რაჲთა რომელი გეტყოდა ჯუარისა ოდენ მარ-
ტოდ ტვრთვასა[2], იგივე გეტყ-ს. რაჲთა ცხოველი ხატი განკაცები-
სა მისისა[ა] იტვრთო[3] და ეგრეთ განხ-დეთ, რაჲთა ა-რა-ა-მე-
ნოთ წმიდაჲ ეკლესია[ა], მას შინა აღმართოთ იგი თაყუანის-[ს]აცე-
მელად და სენთა და უძღურთა განმდევნელად და სულთა მრავალ-
20 თა გამოსაქსნელად“. ესევეთარი რაჲ მრავალი ესმა წმიდასა მას, სიტყ-
ყვსა წილ ცრემლთა სიმრავლე გარდამოადინა და ჰრქუა: „უკუეთუ
სათნო არს, მამაო, წინაშე შენსა, ევედრე ღმერთსა ჩემთჲს. რაჲთა
არა განმაშოროს წმიდასა კრებულსა შენსა და მარადის ხილვად წმი-
დასა პირსა შენსა“. ხოლო მან მიეგო და ჰრქუა, რაჲთა არა დააკლ-
25 დე საღმრთოსა გვრგვინსა მორჩილთასა, ამიერ დააცადენ სიტყვს-გე-
ბანი და მზა-ყავ თავი შენი სლვად გზათა, და თანამოგზაორ შენდა
ყავ ძმა[ა] შენი იოვანე და ოთხნი[4] ძმთა ამათგანნი. ხოლო აღუწყნა
ნიშნი [249] რა[ა]მე მის ადგილისანი, რაჲთა ადვილად იცნან ადგილ-
ნი იგი, რომლისა აღშენებად ბრძანება[ა] მოელო. და ესეცა ჰრქუა,
30 ვითარმედ: „უწყოდეთ, შვილნო, რამეთუ სულთა მრავალთა მიზეზ
ექმნეთ[5] ცხოვრებად საუკუნოდ, რაჲთა ვითარცა იტყ ს მოციქული:
„კმასა მას თანა საყვარისასა მრავალთა თანა შენ ძლით ცხოვნებულთა
წარმოუდგე მეუფესა[6]“21. ესევეთარნი რაჲ სიტყუანი ესმნეს წმიდისა
მისგან, არღარა იკადრა წინა-განწყობაჲ, არამედ შეუ[ვ]რდა ცრემ- 35

ნუსხაშია: [1] მუნ მ'რ. [2] ტვირთვასა. [3] იტვრთო. [4] ორნი. [5] ექმნეს.
[6] მეუფესა.

21 1 კორინთ. 15, 52.

ლით და მოწილედ[1] შეიტკბენ[ს] ურთიერთას წმიდათა მათ, და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი ძმანი, და ლოცვაჲ წმიდისა[ა] საგზალ თვისსა ყვეს.

V. ხოლო წარმოემართნეს რაჲ, მათ თანა-ეტკრთა ცხოველი ხატი
5 ფერისცვალებისა[ა] თანა-შემწყედ და სასოდ ყოველთა ქრისტეანეთა. ხოლო სლვასა მას მათსა, ვითარცა სამეუფოთა პალატთა, უჭირველად ვიდოდეს, ვიდრემდის მოიწინეს მათსა მას, ვითარცა სიმაღლესა ცისა-
10 სა აღძრულნი, და დადგეს ადგილსა მას, რომელსა ბერას ჯუარ[2] ეწოდების. ხოლო წმიდამან მან ვითარცა თითითა უჩუენა მათ ადგი-
15 ლი იგი, სადა ეგულებოდა აღშენებაჲ მონასტრისა[ა]. და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას კევისასა, რომელ არს უტყვსა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელ-დებულსა, განიმსტურეს[3] რა[ა]მე და განიცადეს, და იხილეს, რამეთუ უდაბნო იყო და [v] შეცეულ ტყეთა და კეთა. და შეიყუარეს იგი ძმათა მათ. ხოლო წმი-
20 დაჲ იგი ეტყოდა, ვითარმედ: „არა არიან სასწაულნი იგი ადგილსა ამას, რომელი გვბრძანა წარმომგზავნელმან მოძღუარმან ჩუენმან“. ხოლო ეგრეთცა კელყვეს და იწყეს შენებად მცირე ტალავარი და ადგილი რა[ა]მე მონასტრისა[ა], და დაყვენეს მუნ არა მცირედნი დღე-
ნი.

20 ხოლო ეუწყა რაჲ უფალთა მის დაბისათა[4], ვითარმედ უცხო-
[თ]ა ვეთმე წონაზონთა ჰნებავეს ადგილსა მას[5] აღშენებად მონას-
ტერი, ხოლო მათ არა ინებეს, რამეთუ იყვენეს ყოვლითურთ მკეცებ-
ოივ. უწირავ და ბოროტ, რამეთუ არა ინებეს კურთხევა[ა] წმიდათა
მათგან. ამისთვის ზედა-მიეტევნეს მათ და ვითარცა იგი წერილ არს
25 კაცთა მათთვის ნაზარეველთა[6], ვითარმედ „მოიყვანეს ქრისტე წუე-
რამდე მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი მათი დაშენებულ იყო“²²,
ეგრეთვე წმიდანი ესე—პირამდე მის მდინარისა, რომელ არს აღმო-
სავალით ადგილსა მას. და წიალ-მოვლეს რაჲ მდინარე იგი და მოვი-
დეს დასავალით მისსა, ვითარ ორ მილიონ, ადგილთა ყოლად ტყეთა
30 და უვალთა კაცთა მიერ, და მიმო-რა[ა]-ვიდოდეს ჰირით და შრომით
ადგილთა მათ იწროთა, პოვე[ს] ნიშები და სასწაულები, უწყებული
დიდისა მისგან მოძღურისა, და განიხარეს დიდითა სიხარულითა. და
გულსავსებით მეცნიერ იქმნეს, ვითარმედ არა ცუდ და ამაო [250]
არს გზა[ა] იგი საპიროებით სლვისა მათისა[ა]. და იხილეს რამე
35 ბორცვ მცირე, უმაღლესი სხუათა მათ ადგილთა[ა], და აღმოსავალით

ნუსხაშია: [1] მოწილედ. [2] ბერას ჯუარი. [3] გწი მსტურეს. [4] ო რ მის დაბი-
სასა. [5] ადგილისა მის. [6] ნაზარეველთა გერგესეველთა.

²² ლუკა 4, 29.

ბორცუსა მას წყალი აღმომცენარე, მდინარი და შუენიერი, რომელი-
იგი გულსავსე-ჰყოფდა წადილსა მას მგზავრობისასა. ხოლო მიმოგა-
ნიმსტურეს და იხილეს, და არა იპოვა ადგილი ველოანი და ფართოე-
ბით შემწყნარებელი მათი. და უბრძანა წმიდამან მან, რაჟთა საშუალ
წყაროსა მას და ბორცუსა მოიქმნას ადგილი და აღეშენოს მცირე ტა- 5
ლავარი, რომელი ექმნა მათ შემწყნარებელ უცხოებისა მათისა, და
რაჟთა ცხოველ[ი] იგი ხატი მას შინა თაყუანის-იციემებოდის მათ
შიერ.

VI. ხოლო ჩუენ აქა წარემართოთ სიტყუაჲ და განცხადებულად
წარმოუჩინოთ სიყუარულსა თქუენსა, თუ ვითარ იყო ადგილისა მის 10
წარმართებაჲ, ანუ ვინ იყო კაცი იგი, რომელმან ყოველივე ვითარცა
ღმრთისამიერიტა ბრძანებითა კეთილად წარუმართა მათ. რამეთუ იყო
ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელი ყო-
ველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაჲთა,
რომლისა სივრცე საზღვართ-ვრცელ და მრავალ იყო. და არა თუ 15
ქუეყანიერთა და ქუემეტრეთაჲგან მდიდროოდა, არამედ ღმრთის-მსა-
ხურებით ცხორებულთაცა ყოველთა ერეოდა. და ვითარცა იობისთვის
წერილ არს: „ქემმართად მართალ და უბრა[v]ლო“²³. ესევეითარი
ესე კაცი იყოფოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა,
რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ — ჩორჩანელი, 20
რომლისა ტაძარნი შენ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანა-
ვისასა^[1]. ხოლო უმრავლესთა ჟამთა ინადირობნ იგი ადგილთა მათ
ცხოვრება წოდებულთა, რამეთუ იყო მუნ სიმრავლე თხათა და სხუა-
თა ნადირთა ველურთა[ჲ], და არეთა მათ ეშენა სახლი, რომელ ოდე-
სმე ეწიის ღამე, სადგურ ყვიან მას^[2] შინა სიბნელისათვის ღამისა და 25
უვალობისა და სიკშოხსა^[3] ტყეთა[ჲ]სა.

და იყო, რაჟამს დაიბანაკეს წმიდათა მათ ადგილსა მას ზემოქსე-
ნებულსა და ქმნეს [ტალავარი] მახლობელად ბორცუსა მის, და აღა-
გზნეს ცეცხლი, და ვითარცა აქდა კუამლი დიდძალი. ხოლო ვითარცა
იხილა გიორგი მორწმუნემან, იყო რაჲ მღევარ ნადირთა, განკვრდა 30
ფრიად და ჰრქუა წინაშემდგომელთა: „ვინა[ჲ] არს ადგილსა იმას
სიკშო[ჲ] კუამლისა[ჲ], ანუ თუ ვის რად უქმს ცეცხლი? უკუეთუ
ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადნიერ და ურცხვნო^[4] ქმნილ არს?
დაღათუ სხუაჲ საჭირო რაჲ ვის უქმს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერ
ვართ?“ არამედ ვერავინ მისცა პასუხი, ვინა[ჲ]ცა მყის უბრძანა ერთ- 35
სა ვისმე მონათაგანსა: „და წარვედ მსწრაფლ“, ჰრქუა, „და ზეღამი-

ნუსხაშია: [1] ზანაისათა. [2] მათ. [3] სიკშოხაჲ. [4] ურცხვინო.

²³ იო ბ. 1, 1.

წევნით ცან ძალი საქმისაჲ ამის და მაუწყე ჩუენ, თუ რა[251][ა]-მე არს სახილაგი ესე?"

ხოლო წარვიდა მყის ყრმა[ა] იგი და ჳირით და შრომით მიჳყვა კუამლსა მის ცეცხლისასა. ხოლო ვითარცა მიიწია მუნ, იხილა ტალა-
ვარი იგი და კაცნი შემოსილნი ხალენებითა უცხოთა მეუღაბნოეთა-
თა. განჳკრთა უკუე კაცი იგი, ხოლო იგინიცა განკვრდეს. და მივლი-
ნებული იგი ჳკითხვიდა ვინაობასა ანუ რაჲ-მე არიან საქმენი მათნი,
რომელნი ესევითარითა სიგლახაკითა იხილვებიან და ესევითარსა ამას
ულუაწსა ადგილსა იხილვებიან? ხოლო მათცა მიუგეს და ჳრქუეს:
10 "და საყუარელო, შენ უკუე ვინ ხარ, ანუ რად გიგმს ზედამიწევნით
ცნობაჲ ჩუენისა ვითარებისა[ა]?" და კაცი იგი ეტყოდა: „მთავრისა
ვარ მე დიდისა, რომლისა სახელი გიორგი, რომლისა მიერ მოვივ-
ლინე მე, რამეთუ დაუკვრდა ესევითარსა ამას ადგილსა კუა[მ]ლი
ცეცხლისა[ა] და ყოლად ყოფაჲ კაცისა[ა]“. ხოლო წმიდასა მას ვი-
15 თარცა ესმა, რამეთუ მთავარი არს და უფალი ადგილთა მათ, გამო-
იკითხა გამოწულივით ყოველი საქმე მისი. და ვითარცა ცნა ზედა-
მიწევნით, ვითარმედ უფალ[1] არს მათ ადგილთა და მჳყრობელ ყო-
ველთა მათ სანახებთა[2], მეყსეულად იწყო წმიდამან სერაპიონ და
მყის წარმოუთხრა ჳირველითგან ვიდრე მუნ ჳამამდე, თუ რომლისა
20 მიზეზისათჳს მოიწინეს ადგილსა მას, და ვითარმედ ეგულების აღშე-
ნებაჲ მონასტრისა[ა]. და ესეცა შესძინა, ვითარმედ: „ბრძანე-
[v]ბა[ა] არს საღმრთოჲ, და მოწაფენი ვართ ნიშთა და სასწაულთა
მიერ განბრწყინებულისა მიქაელ ჳარეხელისანი“.

და ვითარცა ესმა ესე ყოველი კაცსა მას და რაჲ-იგი იხილა, ყო-
25 ველი მიუთხრა დიდსა მას მთავარსა და ყოველთა წინაშემდგომელთა.
ხოლო იგინი მთავრითურთ შიშმან და განკვრევაბამან შეიჳყრნა და
საოცარ რა[ა]მე ჳგონეს საქმე იგი. ხოლო კაცი იგი ეტყოდა მათ, ვი-
თარმედ: „კაცნი მინახეან ყოლად კორცითა მყოფნი, ხატითა და სახი-
თა მონაზონთა[ა]თა და არა საოცრად, არამედ ცხადად“. ხოლო გან-
30 თენნა რაჲ, კუალად უბრძანა მთავარმან ორთა საკუთართა თჳსთა და
გონებითაცა ფრთხილთა, რაჲთა ზედამიწევნით ცნან ყოველივე. ხოლო
წარმოვიდეს კაცნი იგი. და ვითარცა მოიწინეს წინაშე წმიდისა მის მა-
მისა, და იხილნა იგინი და გულისჳკმა-ყო, რამეთუ მთავარნი არიან და
საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი, მიეგება და მოწლედ[3] მოიკით-
35 ჳნა წმიდამან მან და წინაშე ხატსა წარავლინნა, და თაყუანის-[ს]ცეს
რა[ა], და იკურთხნეს და განიხარეს დიდად ფრიად.

ესხანაი: [1] უფალ. [2] სანახებთა. [3] მოწილედ.

მაშინ ჰრქუეს მთავართა მათ წმიდასა სერაპიონს და სხუათა მათ
 ძმათა: „ვკმადლობთ ღმერთსა, წმიდანო მეუფენო, რომელმან ეამთა
 ამათ მოხედვაყო ჩუენ ზედა და ქუეყანასა ზედა გკჩუენნა კაცნი ზე-
 ცისანი. ხოლო აწ გულსავსე გუყუენით ჩუენ, თუ რომლისათჳს ჳერ-
 იჩინა სიწმიდემან [თქუენ]მან მოსლვა[ა] ულუაწთა[1] ამით და
 უვალთა ადგილთა. [252] მაშინ წმიდამან მამამან სერაპიონ სახე პა-
 ტიოსნისა ჳუარისაჲ გამოსახა და სულთ-ითქუნა სიღრმით სული-
 სა[ა]თ და ესრეთ ჰრქუა მათ: „ჩუენ, ჳ საყუარელნო, დაღაცათუ
 ცოდვილ ვართ, კაცნი ვართ ქრისტეანენი, და გურწამს ქრისტე ღმერ-
 თი ჩუენისა ცხოვრებისათჳს განკაცებული და მოველით აღდგომასა
 ყოველთასა და წმიდათათჳს განმზადებულსა ნეტარებასა, რომელ[2]
 არას ვიტყვთ გარეგან ჳეშმარიტებისა, რამეთუ მოწაფენი ვართ ღი-
 დისა მის და განთქ[უ]მულისა მიქაელ პარეხელისანი და ბრძანებითა
 საღმრთოჲთა მის მიერ წარმოვლენილნი, და რაჲთა აღგილსა ამას
 აღვაშენოთ შესაკრებელი ცხოვართა პირმეტყუელთა[ა]“. და ყოვე-
 ლივე წარმოუთხრა შემდგომითი-შემდგომად. ხოლო მათ ვითარცა
 გულისკმა-ყვეს, რამეთუ ჳეშმარიტ არიან სიტყუანი მათნი. სახელი
 ღიდისა მის მოძღურისა[ა] ესმა, თაყუანის-სცეს ხატსა მას ცხოველ-
 სა, და წმიდანი იგი მოიკითხნეს და წარემართნეს და მიიწინეს, რაჲთა
 წინაშე გიორგი ღმრთის-მსახურისა ყოველივე ხილული და სმენილი
 წარმოუთხრას. ხოლო მას ესმა რაჲ, ვითარმედ მოწაფენი მიქაელისნი
 არიან, ირწმუნა ჳეშმარიტებაჲ სიტყუათა მათთა[ა] და განიხარა, და
 წარვიდა სახიდ თჳსსა და სურვიელ იყო ხილვასა მათსა.

VII. ხოლო შემდგომად სამისა ღდისა უბრძანა, რაჲთა მზა-ყვენ
 გზანი მიმყვანებელნი ადგილსა მას, რომელსაცა იყვენს წმიდანი იგი.
 და აღე[V]კაზმა და აღილო მცირედი რა[ა]მე ევლოგიაჲ, რომელი შე-
 ეტყუებოდა კაცთა მათ მეუღაბნოეთა, და მის თანა წარიყვანნა[3]
 ხუცესნიცა საცეცხურ-საკუმეველებითა. და წარავლინნა წინაჲთ
 მკვრცხლ მავაუნ[ი]. რაჲთა განმზადებდენ გზათა; და მი-რა[ა]
 იწინეს ადგილსა მას, რომელსა წმიდანი იგი იყვენს. ხოლო ცნეს რაჲ
 წმიდათა მათ, და მყის წინა მიეგებნეს მთავარსა და საღა-იგი წყარო[ა]
 [არს], განვიდეს ადგილსა მას, ვინა[ა]ცა გარდაჲდა საკედარსა და შე-
 უვრდა ხატსა მას ცხოველსა, და ეგრეთვე წმიდანი იგი მოიკითხნა და
 იკურთხა მათ მიერ. მაშინ მიუგო მთავარმან მამათა მათ ნეტართა და
 მღუღარითა სულითა ეტყოდა: „და ვ[კ]მადლობ ღმერთსა და მეუფე-
 სა, ჳ წმიდანო, რომელმან არა უგულებელს-ყო უღირსებაჲ ჩუენი და
 დღეთა შინა ჩემთა ყო ჩემ თანა სასწაული, რომელმან აწ ღირს-მყო

ნუსხაშიჲ [1] ულუაწთა. [2] რომელ[ა]. [3] წარიყუნა.

ყოლად არადირსი ესე პირველად თაყუანის-ცემად ცხოველსა ხატსა
ნისსა, და მერმე—წმიდათა პირთა თქუენთა“.

ხოლო სანატრელი სერაპიონ აღიესო სულითა წმიდითა და მსგავ-
სად მდინარისა აღმოადინებდა თაფლმჭოლვარითა მით ენითა სწავ-
8 ლათა საღმრთოთა. და ვითარცა მდინარე ედემისა[ა] აღმოუწყარო-
და ოქროსაქადულით პირით მისით, რომლისათვისცა განკვრდა მთავარი
იგი და ყოველნი წინაშემდგომნი. რომლისათვისცა შე[253]უ[ვ]რ-
დეს ფერკთა მისთა და ეტყოდეს[1]: „ვითარცა ერთი მოციქულთაგანი
ქრისტემან მოგავლინა, აწ უკუე ჯერისაებრსა ყოფად გვბრძანებდი,
10 მამაო!“ და წმიდათა მათ ძალისაებრ[2] ჰ[რ]ქუეს არა ყოვნებად საღმრ-
თოსა ბრძანებასა. ვითარცა ჯერ-არს ადგილსა ამას აღშენებად მონას-
ტერი შესაკრებელად სულთა ღმრთის-მოყუარეთა. ხოლო მთავარი იგი
შეუვრდა მათ და ეტყოდა: „გვედრები, ჰ წმიდანო, ნუ დაამძიმებთ
15 ჩემ ზედა სათხოველსა, რამეთუ აჰა ესერა ხედავთ, ვითარ ყოვლით-
ურთ უქმ და უღუაწ[3] არს ადგილი ესე, და ყოლად უღონოდ გხედავ
თქვენ მსგავსად მოციქულთა. ხოლო ვინა[ა]თგან ღმერთსა მოლუაწედ
ჩემდა მოუვლინებდეთ, საქმენი ესე, რომელთა იტყვთ, თვნიერ ჩემსა
არა[4] წარემართებიან. აწ უკუე არს ადგილი, რომელი მარჯუე არს
და მომზავებელ ამით საქმეთა, ვინაჲცა[5] ბრძანენ სიწმიდემან თქუენ-
20 მან, რაჲთა მუნ აღვაშენოთ მონასტერი, რამეთუ აჰა შეუძლებელ არს
ყოლად რა[ა]საცა ეგვევითარისა საქმედ“.

ხოლო წმიდაჲ იგი ეტყოდა მას: „ღმერთმან, რომელმან უბრძანა
მოსეს კუერთხითა განჰებაჲ ზღვსა[ა] და კულად უდაბნოს კლდისა-
გან უღალისა აღმოცენებად წყალი, და მოღებასა საზრდელისასა უწყმა
25 მანანა[ა] ერსა, ვინა[ა] იგივე არს აჰაცა, რომელმან ძნელოვანნი ად-
ვილ ყენეს[6] ჯერ-ჩინებითა შენითა და შე[v]წევნითა საღმრთოთა.
ხოლო შეუძლებელ არს, რაჲთამცა ბრძანებასა საღმრთოსა წინა-გან-
ვეწყვიენით და ადგილი ესე სხუად ვცვალებთ, რამეთუ ნიშნი და უწყე-
ბანი ადგილსა ამას უწამებენ“. ხოლო მთავარმან ჰრქუა: „ეგებისა
30 ესე [7], მამაო, რაჲთა კაცმან ნეფსით თავი ჰირთა მისცეს და უკუანა-
[ა]სკნელ მოკიცხულ და მაშურალ იპოოს ცუდად?“ ხოლო წმიდაჲ იგი
ეტყოდა: „გონიერად ისმინე, ჰ მთავარო, იგავი ესე, რამეთუ მარგა-
ლიტნი და თუალნი პატიოსანნი მიმოგანბნეულ რაჲ იყენენ თანა-აღ-
რევით მიწასა, არა ესრეთ ბრწყინვენ წინაშე თუალებსა[8] ხილვის-
35 მოყუარეთასა, ვითარ-იგი რაჲამს გამოიქურვენ და განწმდენ[9] და
ოქროთხზულეებით შეიწყვიენენ[8] კეთილთა მიერ მქედელთა, მაშინდა

ნუსხაშია: [1] ეტყოდის. [2] ძლ'ისაებრსა. [3] უღუაწ. [4] არა)არს. [5] ვინაჲცაჲ.
[6] ყენეს+და. [7] ეგებისა ესე ჰრქუა. [8] თუ'ლებსა. [9] გწმწმდენ.

გამოჩნდეს ბრწყინვალეობა მათი და იქოს მუშაკი და შუენიერება მათი. ეგრეთვე ადგილი ესე რაჟამს კელ-ყონ კელოვანთა მუშაკთა, მაშინ იხილოს თუალმან მხილველთამან შუენიერება ადგილისა ამის, ვინა[ა]ცა ნუ გუაიძულებ დატევებად ადგილისა ამის და სხუად ცვალებად, რამეთუ ესე ვერ ეგების ჩუენ მიერა“.

ესე რაჟამს მთავარსა, თავი მოიდრიკა და დადუმნა. ამისსა შემდგომად აღდგა, ილოცა და ჰრქუა მათ: „ლოცვა ყავთ ჩუენთვის, წმიდანო, რამეთუ მე არა მშურს ადგილი ესე, ხოლო სხუად თანაღმობა და შეწევნა[ა] ყოლად შეუძ[254]ლებელ არს“. და მოჰგუარეს მას საკედარი და წარვიდა, და ეტყოდა და ჰრქუა წმიდათა მათ: „არა თუ-10 რე ღირს ვიყავ ლოცვასა თქუენსა“. და წარვიდა მწუხარე. და ვითარცა მივიდა მდინარესა მას წინაშე მათსა მყოფსა, და იხილა მცირე რა- [ა]მე კლდე და გარდაჰდა მას ზედა და დაჰდა. და მოუწოდა ერთსა ყრმათაგანსა და ჰრქუა მას: „მივედ, ძმაო, და არქუ წმიდათა მათ, რა-15 მათა მოვიდენ ადგილსა ამას“. ხოლო ვითარცა წარგზავნა იგი, ჰ[რ]ქუა თვსთა საკუთართა: „ვინა[ა]თგან არა ინებეს წმიდათა მათ ადგილთა მას ზანავისათა[1], რაჟამცა მუნ გუეშენა უდაბნო[ა] დიდი და მა- ლალი, აწ უკუე რაჟამს ჯერ-არს ყოფად?“ ხოლო მათ ჰრქუეს: „რაჟამთა არა დავაბრკოლოთ გულს-მოდვინება მათი“.

ხოლო მთავარმან ჰრქუა: „საღმრთოჲსა ძალისა განუგებელად არა 20 არს საქმე ესე კაცთაგან. ამისთვისცა ჯერ-არს, რაჟამთა ძალისაებრი ვაჩუენოთ შეწევნა[ა]“. და ვითარცა მოიწინეს წმიდანნი იგი ადგილსა მას, და კუალადცა ეტყოდა მათ მთავარი იგი: „გვედრები, წმიდანო ღმრთისანო, რაჟამთა ერთი მომმადლო[თ] მე, რამეთუ არიან ადგილნი მრავალნი და კეთილნი და ნაშენებითა ღონიერნი და იხილნეთ[2] იგი- 25 ნი, და უკუეთუ დიდად მოაშუნდეს სულსა თქუენსა, აჰა ადგილნი და შესავალნი და ყოველი საკმარი უხუებით“. ხოლო ნეტარმან სერაპიონ კუალადცა ჰრქუა: „მსგავსად მოციქულისა ვიტყოდ: „უკუეთუმცა ან- გელოზი მა[v]ხარებდა, გარეშე მისსა, რომელი გუეხარა, არა გურ- წამს“24.

მაშინ გიორგი მოუწოდა ვისმე ჰაბუკსა ასაკითა, რომელ არს ძალითა, და ჰრქუა: „შვილო საყუარელო, გზა-ჰყევ წმიდათა ამათ და ხვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე [რაოდენი] შემოწვრით შე- მოვლონ, მიმიცემიეს მათდა, ვინა[ა]თგან ადგილსა ამას წადიერ არი- 30 ან. და უკუეთუ ვინმე იპოოს დამახრწვეველ მათდა უცხოებისათს, ყო- ველთავე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისაებრ აშენებენ

ნუსხაშია: [1] ზანავისათა]ზანაეთასა. [2] იხილნათ.

24 გალატ. 1,8.

- მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა“. ხოლო წმიდათა მათ მამათა ეტყოდა: „გულპყრობილ იყვენით, ვითარმედ ყოვლითა ძალითა თანა-შემწე თქუენდა ვარ მე და მზრუნველ, და არავინ წინააღმდეგომ ჩუენ-და არს ადგილთა ამათ, რომელთა გეგულების დაპყრობად, ხოლო შემ-
 5 დგომად სამისა დღისა კუალად გიხილნე, უფალსა თუ ენებოს“. ვინა[ა] წმიდათა მათ განიხარეს ფრიად და მადლობაჲ აღუარეს. და მამათა ღამე[1] იგი კლდესა მას ზედა განათიეს. და ესეცა სიტყუაჲ ჰეშმარიტ არს, მოწვეწული ჩუენდა, ვითარმედ ხილვა[ა] ანგელოზისა[ა] იხილა ღამესა ამას, რომელი განაძლიერებდა მას და გულს-
 10 მოღვინებით შრომად უბრძანებდა, რომლისათვისცა შემდგომად ორისა დღისა შექმნნა ორნი ჯუარნი წმიდამან მან კელითა თვისითა და კლდესა მას ზედა აღმართნა სახელსა ზედა წმიდათა მთავარ-ანგელოზთასა. ხოლო უკუანა[ა]სკნელ მცირე[255] ეგუტერიცა აღეშენა, რამეთუ ნიშნი და კურნებანი სნეულთანი იქმნებოდეს საღმრთო[ა]საგან მადლი-
 15 ს[ა] წმიდათა მათ მთავარანგელოზთა[ა]სა.

- VIII. ხოლო ჩუენ კუალად აღვიდეთ პირველსავე სიტყუასა და ძალისაებრ ვიპყრათ წესი თხრობისა[ა]. რამეთუ გან-რაჲ-ათიეს ღამე იგი და მზე აღმობრწყინდებოდა, აღდგა წმიდაჲ იგი და ძმა[ა] მისი იოვანე და ერთი ძმათა მათგანი, რომელთა რიცხვ ექუს იყო, და წარე-
 20 მართნეს ჰაბუქსა მას თანა სამნი იგი და სამნი დაეტევენეს ადგილსა მას. ხოლო იწყეს სლვად პირსა მის მდინარისასა დასავალით კერძო. და ვითარ ვლეს, მიიწინ[ეს] შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა. ხოლო იყო მუნ წისქვლ[ი], სახლი რა[ა]მე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა ს ა ძ მ ო ეწოდებოდა. და ამას შინა იყვნეს კაცნი რა[ა]-
 25 მე უკეთურნი, ყოლად მკეცებრივნი, ვითარცა ადგილისა უკაცო[ა]სა და უცხო[ა]სანი.

- და ვითარცა მივიწიენით ადგილსა მას, მაშინ ჰაბუქი იგი, მოძლუარი ჩუენი, გუეტყოდა: „წმიდანო ღმრთისანო, სა[ა]თ გნებავს სლვა[ა]?“ ხოლო ჩუენ გუენება, რაჲთა[2] გარე-შეწერით შემოვლოთ
 30 სიმგრგულე მათ ადგილთა[ა], ვინა[ა] პირი სამხრით ვიჭ[ი]ეთ თანა-აღყოლად ერთისა მის მდინარისა. ხოლო გვხილნეს რაჲ კაცთა მის დაბა-წისქვლისათა, იწყეს ყენებად ჩუენდა, და ვითარცა ცოფნი წინა რბიოდეს. ხოლო ჰაბუქი იგი აყენებდა მათ და რისხვით [V] უთქუმი-
 35 მეტყუელებით: „ვიხილე უღმრთოჲ აღმაღლებული ნაძუთამდე ლიბანისათა და თანა-წავეჰკედ, და არა იპოვა ადგილი მისი“²⁵.

ნუსხაშია: [1] მამათა. ღამე[მთავარი [2] რ.

²⁵ ფ ს ა ლ მ. 36, 35-36.

ხოლო, შენ, იხილე, საყუარელო, თუ ვითარ საღმრთო[ა]თა სულითა სავესე იყო წმიდაჲ ესე, ანუ თუ რასა-ლა მოასწავებდა კაცთა მათთვის სიტყვთა მით საწინაწარმეტყუელო[ა]თა, არამედ შემდგომად მცირედისა მოოკრებასა და სრულიად უჩინო-ყოფასა ადგილისაგან მათისა, რომელი-იგი შემდგომად მცირედისა დრო-მეც, საყუარელო, 5 და სიტყუამან წარმოგიჩინოს.

ხოლო აწ პირველსავე შევეხნეთ თქუამად. რამეთუ აღვეყვეით პირსა მის მდინარისასა და მივიწიენით კევსა რასმე ღრმასა და უღალსა, რომელსა გოდე რძისა ეწოდების, და ფრიად ძლით შევედით მას შინა, ვინა[ა]ცა სიკშო[ა]სა მისგან მყოვარ ეამ ვერღარა ვიხილეთ 10 ცაჲ ანუ მზისა შარავანდელი, რომლისათვისცა ჰირით და შრომით დაყოვნებულნი^[1], ვითარცა სიზრქით აღმურისა[ა]თ ანუ სიღრმით უყისა[ა]თ აღმოშობილნი, აღვედით რაჲ თავსა მის კევისასა და ვიხილენით^[2] მცირენი რა[ა]მე ყანობირნი და მცირე დაბაჲ. და მყის მიერ მოგუეგება კაცი ვინმე კეთილი, მკცოვანი, და მოწლედ^[3] მო- 15 იკითხვიდა წმიდასა მას და აწუევდა, რაჲთა მცირედ განისუენოს [256] შრომისა მისგან, რამეთუ განსმენილ იყო მოსლვა[ა] ჩუენი ყოველთა მათ სანახებთა. და გუკითხვიდა კაცი იგი, თუ რად გვქმს უგზოთა და უვალთა ადგილთა სლვა[ა]. ხოლო ჭაბუქმან მან იცნა იგი და ყოველივე საქმე ჩუენი ზედამიწევნით მიუთხრა. და ვითარცა მრავალგზის გუევედრებოდა კაცი იგი, რაჲთა ღამესა მას სავანე ვყოთ სახლსა მისსა. ხოლო წმიდამან მან მადლობით მიითულა^[4] კეთილი იგი გონებაჲ მისი და ჰკითხა სახელი და ჰ[რ]ქუა, ვითარმედ: „შეუძლებელ არს არა-მისლვა[ა] ჩუენი ადგილსა მას დროსსა“. და კაცი იგი ეტყოდა: „სახელი ჩემი ია, ხოლო დაყოვნებულ 25 თქუენდა [არს] ადგილსა მას მისლვაჲ, რომელსა იტყვთ^[5]“. ვინა[ა] წმიდაჲ იგი ეტყოდა: „საყუარელო ძმად ია, შრომა თავს-იდეც ღმრთისათვის და მცირედ თანამოგზაურ მექმენ ჩუენ“. ხოლო მოიღეს მცირედ პური და მარილი და ყველი. და რომელთა ენება, ჭამეს, ხოლო წმიდასა მას ყოლად არარაჲსა გემო[ა] უხილავს.

ხოლო კაცი იგი ია თანამოგზაურ გუექმნა ჩუენ. და წარვემართენით აღმოსავალით კერძო და ვიდოდეთ ქედთა რა[თ]მე მალალთა, ტყიანთა და ლოდოანთა. და ვითარცა აღვედით უმადლესთა ადგილთა, და ჰკითხა მას კაცსა წმიდამან მან: „საყუარელო ია, რაჲ ეწოდების ადგილსა ამას?“ ხოლო იგი ეტყოდა: „რამეთუ არს ესე შესაყარებელი ნა- 35 დირთა ველისათა[ა] და ბაკთა ეწოდების“. [V] ხოლო წმიდამან

ნუსხაშია: [1] დაყოვნებულთა. [2] ვიხილნეთ. [3] მოწილედ. [4] მიითულა. [5] ეტყუთ.

მან აღიღო კელითა თვისითა ორთოჯი^[1] რკინისა[ა] და გამოაქანდა-
 კნა ჭუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა, რომელნი-იგი იხილვე-
 ბიან ვიდრე დღენდღ[ლ]ად დღემდე. კუალად მიიხილა წმიდამან და
 იხილა აღმოსავალით კერძო ქედსა ზედა მას ტბაჲ აღრეული ლალითა,
 5 რომელი-იგი სახედ მწკრისა იხილვებოდა. დაგვკვრდა ჩუენ ფრიად
 და ვ[კ]კითხეთ კაცსა მას: „რამ არს ადგილი ესე უცხო[ა]სა ამის
 წყლისა[ა]?“ ხოლო ია მომიგო ჩუენ: „ესე არს ტბაჲ მღრვე ყოლადვე,
 რომელსა ეწოდების ს ა თ ა კ უ ე^[2]. და არს ამას შინა სიმრავლე თა-
 10 კუთა [და] სხუათა ნადირთა[ა] და დედა[ა] შფოთთა და ბრძოლა-
 თა[ა], რამეთუ ჟამსა ამას აქა იხილვებიან მღევარნი ნადირთანი, შეკ-
 რებულნი თვთოეულთა სანახებთანი და ურთიერთას მღევარნი საქმეთა
 უჭეროთანი, რომელნი კლვადცა მზა არიან თვთოეულნი^[3]“. და ვითარ-
 ცა წარვემართენით ტბისა მის მიმართ, და კაცი იგი ია შეუ[კ]რდა
 წმიდასა და ღმრთისა მადლობასა აღუარებდა ხილვისათჳს ჩუენისა. და
 15 ესრეთ გუეტყოდა, რამთა ყოლადვე უბრძანებდეთ, უკუეთუ რამ გუე-
 ნებოს მის მიერ. ხოლო წმიდამან ჰრქუა მას: „ნუ წარხუალ ჭერეთ,
 ძმაო, რამეთუ ჭაბუკი ესე უმეცარ არს ადგილთა ამათ“. და ია ეტყო-
 ღა: „ქრისტემან მომმადლოს, რამთა მარადის ვიყოფევოდე სიწმიდისა
 თქუენისა თანა, მამაო“. და ვითარცა შთა[257]ვედით პირსა მის ტბი-
 20 სასა, ვკითხეთ კაცსა მას ჟამი დღისა[ა]. ხოლო მან მომიგო: „მწუხრ
 არს და მიდრეკილ დღე“. ხოლო წმიდამან მან მიუგო: „რამ არს იმიე-
 რით ქედთა ამათ ტყიანთა, ანუ სიმაღლე დიდისა ამის მთისა[ა], რო-
 მელ არს ზემოთ ჩუენსა?“ და მან მიუგო: „მთა[ა] ესე მაღალი არს,
 თავი ყოველთა ამათ ქედთა[ა], რომელსა ჰრქვან თ ა ვ ი შ ე შ ა -
 25 თ ა[ა]; რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მადნარათა[ა], ამისთვის შ ე -
 შ ი ს - თ ა ვ ეწოდების. და უვალ [არს] კაცთა და პირუტყუთა[გან] სი-
 მადლისათჳს მისისა. ხოლო წინა[ა]თ ჩუენსა არიან ადგილნი მცირედ
 კაცრიელნი, და აწ ვინა[ა]თგან მოსწრათჳე ხართ, რამთა ადგილსა მას
 დ რ ო ს ს ა[3] მიხვდეთ, არა ჭერ-არს ყოვენებად, რამთა არა უუამოდ
 30 გეწიოს ღამე“. ვინა[ა]ცა ენება წმიდასა მას, რამთა ტბაჲ იგი მარ-
 ჭუ[ე]ნით წარვლოთ და წარვიდეთ ღელეთა მიერ, რომელნი იყვნეს
 წინაშე ჩუენსა.

და ვითარცა ვიდოდეთ, აჰა ესერა მოვიდეს ვინმე კაცნი უკეთურ-
 ნი, რომელნი გუეტყოდეს, რამთა დაეცადოთ სლვა[ა] კერძოთა მათ,
 35 რომელთა მიგუემართა[4], რამეთუ ჟამი არსო ნადირთაჲ, რომელნი
 მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ,

ნუსხაშია: [1] ორთოხი. [2] სათაქვე. [3] დროსასა. [4] მიგუემართაჲრ გუეტყო-
 დეს რა დაეცადოთ.

რამათა არა იქმნას ცთომა[ა] მათი თქუენ მიერ. და არა გვტევნეს რამ-
თურთით წარსლვად კერძოთა მათ. და ჰაბუკი იგი, მოძლუარი [v]
ჩუენი, ძლიერად წინააღუდეგებოდა მათ, და არა იყო მათ თანა სმე-
ნა[ა], არამედ გარე-უკუ-მოგუაქინეს და პირი იგი ზღვსა[ა] მის და-
სავალით წიალ-ვლეთ, მოვედით თავსა შთასავალისა მის ქედისასა, რო-
მელ არა იყო ყოლად კუალი მგზავრობისა[ა] და არცა გზა[ა]. ხო-
ლო კაცი იგი ია გვჩუენებდა მცირესა რასმე დაბასა და სახელ-სდებდა
კაცსა სახელოანსა და კეთილსა, რომელსა ეწოდა გ ა რ ბ ა ნ ე ლ [1] და
გუეტყოდა: „მივედით ადგილსა იმას ამის იწრომსა[2] მიერ გზისა,
და კაცმან მან ადვილად მიგიყვანნეს ადგილსა მას, სადა[ა]თ იქმნა 10
წიალსლვა[ა] თქუენი განთიად“.

IX. არამედ, საყუარელნო ძმანო და გულს-მოდგინედ სმენის-
მოყუარენო მამანო, უმეტესად ჯერ-არს ჩუენდა, რამათა ვისმენდეთ
საკვრველთა ამათ საქმეთა და ვადიდებდეთ ღმერთსა, რომელმან ესე-
ვითარი მოგუმაღლა ჩუენ მამაჲ და მოძლუარი. და ვითარცა მოვედით 15
ადგილსა მას, რომელსა ბ ა ბ ე ნ უწოდიან, და ვიხილეთ მცირე ველი
ადგილსა მას ბ ო ბ ხ ა წოდებულსა, და გვთხრა ჩუენ ია ყოველივე
კაცისა მისთვის გ ა რ ბ ა ნ ე ლ ი ს ა [3]. მაშინ ია შეუვრდა წმიდასა მას
და მოწლედ[4] მოიკითხა[5]. ხოლო წმიდამან მან ჯუარი დასწერა და
ეტყოდა მას: „ღმერთმან მოგაგოს ნაცვალი მგზავრობისა შენისა[ა], 20
ძმაო! ხოლო ვეტყუ შენ, რამეთუ აღრე იხილო [258] მისაგებელი
კაცთა მათ ბოროტთა და შფოთის-მოყუარეთა[ა]“.

ხოლო ვითარცა იგი განგუეშორა და წარმოვიდა, ჩუენ შთამოვე-
დით შთასაქანელსა მას, ვითარცა წყალთასა. და ვითარ მივედით და-
ბასა მას, აჰა ესერა ზემო კაცი იგი კსენებული მივიდოდა სახედ თვსად 25
ორთა თანა ძეთა მისთა. და ვითარცა გვხილნა ჩუენ ესევითარითა რა-
დთმე სახითა, განჰკრთა და მოწლედ[6] განგვკითხვიდა და განგ-ხილ-
ვიდა ჩუენ. და ვითარ ცნა, ვითარმედ იგინი არიან, რომელნი მოსრულ
არიან ადგილთა ამათ აღშენებად მონასტრისა, და იხილა რამ, ვითარ-
იგი არღარა იყო ჩუენ თანა სახე სამოსელთა ჩუენთა[ა] და ყოვლი- 30
თურთ დაბძარულ იყვნეს ასონი ჩუენნი, მაშინ ცრემლით მოეხვა და
ამბორს-უყოფდა ფერკთა მის წმიდისათა[7]. და ესრეთ იხილა რამ
წმიდამან მან კაცი იგი, ეტყოდა: „საყუარელო და ქრისტეს მიერ ძმაო
გარბანელო[8], აწ აჰა ესერა მცირედ თანალმობით შეეწიე მგზავრო-
ბასა ჩუენსა და რამათა წარგვძლუე ვიდრე მდინარემდე, რომელ არს 35
ჩრდილო[ა]თ ჩუენსა“.

ნუსხაშა: [1] გარბანელი. [2] იწროსაჲ. [3] გარბანელისა. [4] მოწილედ. [5] მოი-
კითხნა. [6] მოწილედ. [7] წათსა. [8] გარბანელო.

- ეტყოდა, ვითარმედ: „არა ეგების ეგე, ჰ წმიდაო ღმრთისაო, რამეთუ ესერა დასლვასა მზისასა ღმერთმან მოგიყვანნა ცოდვილისა მონისა თქუენისა, და ვხედავ წყლულებასა ფერკთა თქუენ[^v]თასა და [გევე-დრები], რამთა მცირედ განისუენოთ მაშურალობისაგან მგზავრობისა თქუენისა და რამთა ზედამიწევნით ვცნა, უკუეთუ რაჲ არს ესოდენი ესე მღულარებაჲ სულისა თქუენისა[^ა], რომელ ესრეთ გა[^ი]ძულა დადებად სული უღალთა ამათ და უვალთა გზათა სლვად“. წმიდამან ჰრქუა მას: „შეუძლებელ არს ჩემგან, რამთამცა არა მივედით ადგილსა მას ვანჩინებულსა“.
- 8 მოვიდა თანა მეუღლითურთ; მსგავსად სარეფთელისა და სომანიტელისა შეუვრდეს ფერკთა წმიდისათა, და ვითარ ვერ არწმუნეს, მაშინ ჰბაუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, შეუ[^ვ]რდა ძმასა მისსა იოვანეს და ეტყოდა: „აჲ ესერა არა დაშთომილ არს სული ჩუენ თანა, დავემორჩილნეთ კაცსა[¹] ამას, რამეთუ არღარა არს უამი სლვისა[^ა]“.
- 15 წმიდაჲ იგი ეტყოდა: „რომელმან-იგი გაბაონს ისო ნავესსა დაუყენა მზე²⁶ და კუალად წმიდასა მას ბერსა ბესარიონს, ამანვე[²] ჩუენცა ღირს მყენეს მზესა ამას თანა ხილვად და თაყუანის-ცემად წმიდასა ხატსა მისსა“.
- 30 მამინ წარმოუძღუა კაცი იგი და წარმო-რა[^ა]ემართნეს, ჰბაუკმან მან ჰრქუა წმიდათა მათ: „ლოცვა ყავთ ჩემთვის, წმიდანო, რამეთუ ხვალე ინებოს თუ ღმერთმან, შევემთხვო წმიდათა ფერკთა თქუენთა“.
- [²⁵⁹] ვინაჲცა ესე განგებულებით იქმნა, [რამთა] თანა-ეწამოს იგი დიდებულსა მას სასწაულსა, რომელსა შემდგომად მცირედისა ეგულების სიტყუასა წარმოთქუმა[^ა].

- და ვითარცა წარმოვედით, იპოვა წინაშე ჩუენსა გზა[^ა] რა[^ა]მე, იწრო[^ა] და ძნიად საჭირველი. ხოლო გარბანელმან[³] უბრძანა ძესა თვსსა, რამთა თანა გზა-მყვეს ვიდრე პირამდე მდინარისა, რომელსა შთავედით რაჲ, და აღმავალნი კუალად გვხილნეს ძმათა მათ, მოგუეგებნეს.

- ხოლო შენ, საყუარელო, განიხილე-ღა საკვრველი ესე, რამეთუ რაჲამს კაცისა მისგან წარმოვედით და ვიდრე მოსლვამდე ჩუენდა, კუალად ეგო [მზე] ადგილსა მას სიტყუასაებრ წმიდისა, რომელი-ესე გჰკურდა[⁴] და ვადიდებდით ღმერთსა, მადიდებელთა მისთა. ხოლო გვხილნეს რაჲ ძმათა მუნ მყოფთა, ცრემლოოდეს ჩუენ ზედა, რამეთუ სამოსელი ჩუენი ყოლად არღარა იყო, და ფერკნი ჩუენნი დაჭეჯილ და დაბძარულ იყვნეს. და მცირედ რა[^ა]მე ნუგეშინის-ვიეციო საზრდელი, რომელი პოვა მათ თანა, ხოლო განთენა[⁵] რაჲ, შევეწირენით

ნუსხ.შია: [1] კცთა. [2] ამანვე+და. [3] გარბანელმან. [4] გჰკურდა. [5] განთენდა.

²⁶ შდრ. ისუ ნავე 10,12.

ლოცვანი. და მოიღო წმიდამან მან კელითა თვისითა შეშაჲ, და ვითარ-
ცა პირველ ვთქუთ, და შექმნნა ჭუარნი და აღმართნა სახელსა ზედა
წმიდათა მთავარ-ანგელოზთასა. და ვითარცა იყო ეჲმი სამეჲმისა[ა],
ვილოცევდით რაჲ ადგილსა მას, და აჲა ესერა კაცი იგი გარბანელი[1]
[v] და ჭაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, და ორნი კაცნი, უცხონი კაცნი, 5
და მოიწინეს სწრაფით ჩუენდა. ხოლო ჩუენ ვიხილენით რაჲ, განვიხარ-
ეთ. და იგინი იყვნეს შეპყრობილ შიშითა რაჲთმე დიდითა, და კაცნი
იგი უცხონი—ვითარცა მკუდარნი ხილვითა, ხოლო ჩუენ ვიკითხევდით
მიზეზსა, თუ რა[ა]სათვის სულთქუმით და ექვთ მოიწინეს იგინი, ანუ
ვინ არიან კაცნი იგი, რომელნი სახედ მკუდართა უქმო და უსიტყუ 10
არიან? ხოლო იწყო თხრობად გარბანელმან[2] და ჰრქუა წმიდათა მათ:
„რაჲმს-იგი წარმოხუედით თქუენ, და ჭაბუკი ესე იყო ფრიად მაშ-
ურალ, და იყო ღამე, და მივიდეთ საზრდელი და გკვკრდა ფრიადი სიმ-
ქნე თქუენი და ვადიდეთ ღმერთი და დავიძინეთ. ხოლო გან-რაჲ-თენა,
წინაშე თქუენ[სა] წარმოსლვად ვემზადებოდით. აჲა ესერა იქმნა 15
ძრვა[ა] და ოხრაჲ რაჲმე, ვითარცა ქარისა[ა] და განგვკვრდით ფრიად.
და შემდგომად მცირედისა მოვიდეს კაცნი ესე, ვითარცა-ესე ხედავთ,
და ძლით იწყეს სიტყუად. და ვითარცა ვჰკითხევდით თუ: „რა[ა]-მე
იყო ქმად ესე და ძრვაჲ?“ ხოლო ამათ მოგუგეს და გურქუეს, რამეთუ
„განიპო კლდე იგი, რომელი იყო დასავალით ტბისა მის, და წარვიდეს 20
წყალნი იგი მრღ-ენ[ი], და ჩუენ, რომელნი ვიპოენით გარემოს ადგი-
ლისა მის, განვიბნიენით ძლიერისა მისგან [260] ზარისა და შთამოვე-
დით კაცისა ამის, რამეთუ მეცნიერ იყო ჩუენდა“. და ვითარცა იგინი
ამას იტყოდეს მოწამედ სიტყუათა მათთა იხილევბოდა მდინარე იგი,
რამეთუ არღარა იტევდეს ადგილნი თვისნი, რამეთუ ყოვლით კერძო 25
გარდაეცა მრღვე, ვითარცა მწვრე, რომლისათვისცა განკვრევბამან
შეგვკვარნა ყოველნი.

ხოლო ჭაბუკი იგი ეტყოდა წმიდასა მას: „აჲა ესერა ვხედავ, რა-
მეთუ სიტყუანი შენნი საქმე არიან. ვინა[ა] მაქსოვს გუშინდელი იგი,
[რა]ჲმს-იგი უბრძანებდით კაცსა მას, რომელი თანამოგზაურ გუქმნა 30
ვიდრე ტბამდე ს ა თ ა კ ვ ს ა [3], ვითარმედ აღრე იხილო მისაგებელი
კაცთა ამათ შფოთის-მოყუარეთა და კუალად კაცთა მათ, რომელნი-
იგი შესაკრებელსა მას წყალთასა წინა რბიოდეს ვითარცა ეშმაკეულნი;
რამეთუ ვჰგონებ, რომელ არცალა თუ კუალი იპოოს ადგილისა მის“.
ხოლო ვითარცა დასცხრა მდინარისა მის დიდროაჲ, ვცანთ ქემმა- 35
რიტი, ვითარმედ ადგილი იგი ტბისაჲ იხილევბის ველად ლოდოანად,
ხოლო ადგილი იგი წისქვლ-სახლთა[ა] კუალად წარლუნილ და უჩინო.

ნუსხაშია: [1] გარბანელი [2] გარბანელმან. [3] სამთავსა.

ამისა შემდგომად შეუ[ვ]რდა წმიდასა ჭაბუკი იგი და მიიღო ლოც-
ვა[ა], და ჰრქუა: „უფალსა თუ ენებოს, ადრე გიხილნე, ხოლო უკუე-
თუ რაჲ გნებავს მთავრისა მიერ, მიბრძანეთ, რამეთუ მასცა ჰნებავს
ხილვა[ა] თქუენი ადრე“. და წმიდამან [v]ჰრქუა: „თვნიერ საღმრთო-
5 მსა კურთხევისა არარაჲს მკადრე ვართ წინაშე მისსა, რამეთუ თვთ უმ-
ჯობესად უწყის ყოველი, სიტყვსაე[ბ]რ სოლომონისა[1]; „ყურნი
ბრძნისანი მარადის მზა არიან საღმრთოთა სიტყუათა“²⁷. და წარვიდა
ჭაბუკი იგი და ჩუენ დავშითთ ადგილსავე მას.

ხოლო მი-რა[ა]-იწია ჭაბუკი იგი წინაშე მთავრისა, და ყოველივე
10 წარმოუთხრა შემდგომითი-შემდგომად. და რომელთა ესმა, განკვრე-
ბაჲ[2] დაეცა, [ზარი] განჰკდა, და ადიდებდეს ღმერთსა. მაშინ
ღმრთის-მსახური იგი შიშითა და სიხარულითა აღივსო და წარემარაჲ
ხილვად სასწაულთა მათ და ნიშთა, და ყოველნი საბრძანებელნი მისნი
მის თანა და გარემო სანახებნი მათ არეთანი, რომელთაცა ასმ[ი]ოდა
15 დიდი ესე საკვრელებაჲ, და მყის კრებული დიდძალი შეკრბა ადგილ-
სა მას, სადა-იგი-იყვნეს წმიდანი იგი. და ვითარცა მოვიდა მთავარი, ამ-
ბორს-უყო ხატსა მას ცხოველსა, და შევრდომით მოიკითხნა იგინი, და
განკვრეებით იკითხვიდა[3] სასწაულთა მათთვის. და ყოველივე ზედა-
მიწევნით ცნა კაცთა მათ მიერ, რომელნი მას წარველინნეს, ვითარ
20 ადგილი ტბისა[ა] მის ველოან ქმნილ არს და შესაკრებელი იგი წყალ-
თა[ა] დაფარულ იყო ქვშათა მიერ და ლოდთა, რომელსა კაცნი იგი
ჰირისა მისგან განრომილნი თვთ წარმოიტყოდიან[4].

ხოლო მოვიდეს [261] მღღელნი და მონაზონნი თვთოეულთა
მათგან ადგილთა და სიხარულით მოიკითხვიდეს წმიდათა მათ. და
25 სხუანიცა მონაზონნი მრავალნი შემოკრბეს. და ადგილისა მისგან მის
მდინარის-კიდისა ლოცვით და ლიტანიით ადგილსა მას პირველ ესე-
ნებულსა[5] ბორცუსა ადვედით. და ბრძანებითა მთავრისა[ა]თა მოი-
ქმნა ადგილი იგი და ველოან იქმნა. და სხუანიცა მთავარნი მოიწინეს
გარემოთა ადგილთანი და თვთოეულ[ნი] უთხრობდეს წმიდათა მათ
30 სიმარჯუესა[6] სამონასტრეთა[7] ადგილთასა, და კაციცა იგი, რომელ
პირველ იოტა ძ ი ნ ძ ე დ წოდებულისა მისგან ადგილისა, მოწოდელ[5]
შეუვრდებოდა და აწუევდა, რაჲთა მუნ აშენებდენ. რომელსაცა მიუ-
გო წმიდამან და ჰრქუა: „სულსა შინა უკეთურსა შიში ღმრთისაჲ არა
დაემკვდრების, არცა ჯერ-იყო მარგალიტსა დასხმად წინაშე ღორთა²⁸,
35 რამეთუ ბრმა[ა]ცა თანა-წარჰკდების ოქროსა მის წინაშე მდებარესა,

ნუსხაშა: [1] სოლომონისა. [2] განკვრეებით. [3] იკითხვდა. [4] წარმოიტყუდის.

[5] პირველ ესენებულთა. [6] სამარჯუშა. [7] სამონასტრესა. [8] მოწოდელ.

²⁷ შდრ. იგ ა ე. 18, 15. ²⁸ მ ა ე 7.6.

არამედ შენდობილ^[1] იყავნ ჰირველი ცთომა[ა] შენი, ხოლო ჩუენ ნუ
ჯინ გუაიძულეებს სხუად^[2] ცვალებად ადგილისა“. ხოლო ყოველი იგი
კრებული დიდად განსთქემილეს: „ესე სასწაულნი თანამოდგამ არიან
მოსეს მიერ ქმნილთა მათ განპებასა ზღვსასა და კლდისაგან აღმოცენე-
ბასა წყლისასა და კუალად კიდობნისა მიერ განპებასა იორდანისასა და 5
კუალად გრიგოლის მიერ საკვრვ[ვ]ელთ მოქმედისა განკმობასა მის
ტბისასა, რომელი იყო მიზეზ მტერობისა მის ძმათა[ა]სა. ეგრეთვე
ტბაჲ ესე მიზეზი შფოთთა და კაცის-კლვათა[ა] განკმა წმიდათა ამათ
მიერ“. ხოლო წმიდაჲ იგი, ვითარცა იყო უტხო[ა] ზუაობისაგან, მიუ-
გო და ჰრქუა მათ: „ნუ ჰგონებთ, მთავარნო და ერნო, თუმცა ჩუენითა 10
რაჲთმე ძალითა ქმნილ იყვენეს სასწაულნი ესე, არამედ რამეთუ ადი-
და ხატი პირისა[3] თვისისა[ა] ქრისტემან ღმერთმან, რაჲთა თქუენ
გრწმენეს, ვითარმედ არა ტყუვილ და ამათ არიან საქმენი ესე, რო-
მელთა თქუენ ხედავთ“. მიერთგან ეწოდა სახელი შემსგავსებული
საქმეთა ადგილსა მას, რამეთუ ეწოდა ზ ა რ ზ მ ა ერთა მათგან, რო- 15
მელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყვენეს. ხო-
ლო ლოცვით და გალობით განათიეს ღამე იგი და განთიად მოიკითხნეს
წმიდანი იგი და სიხარულით წარვიდეს სახილ თვისა[4].

X. ხოლო ღმრთის-მსახური გიორგი დაშთა მათ თანა და უბრძანა,
რაჲთა მოიძიონ ადგილი, სადა ჰნებავეს აღშენებად ეკლესიაჲ. და მის- 20
ცნა საკმარნი უხუებით. და წარვიდოდა რაჲ, უბრძანა კუალადცა მოს-
ლვა[ა]. მიერთგან იწყეს ძიებად ადგილსა, სადა უშენონ ღმერთსა სა-
დიდებელად ეკლესია[ა]. ხოლო წმიდასა მას ენება, რაჲთა[მცა]
ბორცუსა მას ზედა უმაღლესსა აღაშ[262]ენა ეკლესიაჲ. და ძმაჲ მი-
სი იოვანე და სხუანი ძმანი ეტყოდეს: „ნუ, წმიდაო მამაო, ადგილსა 25
ამას, რამეთუ მაღალ და ცივ არს, და ძმანი ესე შიშუელ და გლახაკ“.
რომლისათვისცა იქმნა ცილობაჲ შორის მათსა. და ვითარცა-იგი გე-
დეონ საწუმისი დადვა გამოცდად საქმეთა²⁹ და კუალად დიდმან თევ-
დოსი ნაწმირთა მიერ მოიძია ადგილი, სადა აღაშენოს მონასტერი,
ეგრეთვე ამათ ნეტართა ყვეს, რამეთუ აღავსნეს ორნი კანდელი სწო- 30
რითა ზეთითა და დადგნეს ადგილთა მათ ცილობისათა. რამეთუ იყო
მცირე ღელე სამხრით ადგილსა მას უმაღლესსა, და კანდელი
იოვანესი დადვა მუნ თვთ იოვანე, ხოლო ბორცუსა მას ზედა—წმიდა-
მან სერაპიონ. და ორნივე დადგეს ლოცვად. ხოლო ვითარცა განთენა,
იხილვა დავსებულად კანდელი იგი სერაპიონისი^[5], ხოლო კანდელი 35.
იგი იოვანესი ბრწყინვიდა ვიდრე შუა სამხრამდე. რამეთუ ესე განგე-

ნუსხაშა: [1] შენდობა. [2] სხედ. [3] პლისა. [4] თსსა. [5] სერაპიონისა.

²⁹ შდრ. მსაქ. 6,37—38.

ბულებად იყო საღმრთოა; რაჟთა არა სწრაფით, არამედ ფრიად შეენიერად ჟამსა თვისა აღეშენოს საყდარი მაღალსა მას ადგილსა. ესე რაჟ იხილეს ყოველთა, დაამტკიცეს, რაჟთა მუნ იწყონ შენებად ეკლესიისა.

ხოლო წმიდამან მან ჰრქუა ძმასა თვისსა თაფლმწითოლვართა მით

- 5 ენითა: „ძმარ იოვანე, ღმერთმან გაჩუენა საკრეველი ესე დიდებული, რამეთუ იხილა[1] ნა[ვ]კლულევანებაჟ გონებისა შენისა[ა]. ხოლო ესე უწყოდე, ვითარმედ შემდგომად მცირედისა ადგილსა ამას აღეშენოს საყდარი ფრიად შეენიერი“. და შეჰკაზმეს ადგილი იგი, და შეემატებოდა რიცხუსა ძმათასა, რამეთუ მოიზიდვიდა სახელგანთქმულებაჟ
- 10 კაცისა მის ღმრთისა[ა], და სახედ მდინარისა ირწყეებოდეს ტკბილთა მათ სიტყუათა მისთაგან. რამეთუ კაცი იგი პირველ კსენებული გარბანელი და ორნი იგი ძმანი, რომელნი დანთქმასა ტბისა[სა] განერნეს, იეურობნეს მონაზონად ქელითა მის წმიდისა[ა]თა, ვინა[ა]თგან ახალსა ამას მოსეს ებრძანა ახლისა ისრაჴლისა წინამძღურობაჟ, ამის-
- 15 თვის უკმდეს თანა-შემწედ საქმესა მის კარვისა ახალნი ბესელიელ და ელიაბ[2]30. რამეთუ არა თუ ნისლსა შევიდა და ფიცარნი ქვისანი მოიხუნა, რომელსა შჯული და მცნებანი წერილ იყვნეს, არამედ თვთ იგი აღმწერელი მათი გონებითა მოაქუნდა, რომელი მასვე, მოსეს, ნაპრალსა კლდისასა დაფარულსა ეტყოდა: „მე ვარ, რომელი იგი ვარ.“31
- 20 და მათსა ზედა თაბორსა მოსეს და ელიას თანა ზრახვიდა, თავთა მათ თანა მოწაფეთასა, ესე აჲა კორცითა გამოსახული მკართა ზედა ეტკრთა და თაყუანის-საცემელად მორწმუნეთა აღემართა. რომლისათვისცა იწყეს შენებად ეკლესიისა და დადვეს საფუძველი ადგილსა მას, რომელი იოვანე გამო[263]არჩია. ხოლო საჭირო იქმნა შენებაჟ მისი,
- 25 რამეთუ ქვანი მათ ადგილთანი ტყეთაგან დაფარულ იყვნეს, ვინა[ა]-ცა წყლისაგან რაჟსმე ღონიერობდეს და უშუერსა რასმე ქვასა[3] მუნით გამოიღებდეს.

- ხოლო იყვნეს ხუროთმოძღუარ და ზედამდგომელ საქმისა მის გარბანელი და ორნი იგი ძმანი. ხოლო განითქუა რაჟ, ვითარმედ
- 30 ესე ვითარნი ესე კაცნი ესრეთ აღაშენებენ ეკლესიასა, იწყეს სახედ მდინარისა მოსლვად საქმესა მას ეკლესიისასა. და არა იპოვა რაჟთურთით ქვა[ა], და ჰირით და შრომით მდინარისა მისგან მოიღებდეს. ვინა[ა]ცა კუალადცა მოვიდა მუნ ღმრთის-მსახური იგი გიორგი და განიცადა ყოველი საქმე მათი, და იურვოდა, რაჟთამცა კეთილად
- 35 აღეშენა ეკლესია[ა] იგი. და მოუქდა გულსა და ჰრქუა წმიდათა მათ: „ქრისტეს მიერ განბრძნობილნი მამანო, უკუეთუ სთნავს სიწმიდესა

ნუსხაშია: [1] იხილნა. [2] ელიობ. [3] ქუასა.

30 გამოსლვ. 36,1. 31 შტრ. I კორ. 15,10.

